ჟიულ ვერნი

ტომი პირველი

მოგზაურობა დედამიწის ცენტრისაკენ

დღემდე ჟიულ ვერნს ქართველი მკითველი იცნობდა სამი ნაწარმოებით: "კაპიტან გრანტის შვილები", "ოთხმოცი ათასი კილომეტრი წყალქვეშ" და "საიდუმლო კუნძული".

ამჯერად გამომცემლობას განზრახული აქვს გამოსცეს რვა ტომად ჟიულ ვერნის ყველა პოპულარული თხზულებები.

"მოგზაუდრობა დედამიწის ცენტრისაკენ" რვატომეულის პირველი წიგნია. შემდეგ ტომებში, გარდა ადრე გამოცემული სამი წიგნისა, შევა: "დედამიწიდან მთვარემდე", "მთვარის გარშემო". "კაპიტან ჰატერის თავგადასავალი", "თხუთმეტი წლის კაპიტანი" და "ოთხმოცი დღე მსოფლიოს გარშემო".

ფრანგულიდან თარგმნა
გასტონ ბუაჩიძემ

პირველი გამოცემა

სარედაქციო კოლეგია:

გრიგოლ აბაშიძე
გასტონ ბუაჩიძე
ლილი გოგოხია
კოტე ჯავრიშვილი
ჯენეტო ჭანტურია

ჟიულ ვერნი მიემგზავრება

ყოველდღიურობას წინ არა მხოლოდ ფანტაზია უსწრებს, უსწრებს შეუმჩნევლად და თანდათანობით დაგროვილი ცოდნაც. ეს გარემოება განსაზღვრავს ჟიულ ვერნის ადგილს გასული საუკუნის ფრანგულ ლიტერატურაში. მწერალი ფართოდ იყენებდა მეცნიერების მიღწევებს. მრავალ რომანში მხოლოდ ამ მიღწევებს ეყრდნობოდა და მკითხველს საკმაოდ დასაბუთებულ პროგნოზს სთავაზობდა.

ჟიულ ვერნმა ერთბაშად როდი მიაგნო თავის მოწოდებას: ჯერ კომედიებსა და ვოდევილებს წერდა. ზოგიერთ მათგანს მისი მომავალი მეგობარი და მრჩეველი ალექსანდე დიუმა - მამა უწონებდა. 1850-იანი წლების მეორე ნახევარში ჟიულ ვერნმა განიზრახა შეექმნა "მეცნიერების რომანი". პირველი ასეთი რომანი, "ხუთი კვირა აეროსტატით", დაწერა და დასტამბა 1862 წელს. აქედან მოყოლებული ჟიულ ვერნს, მხედველობის დაკარგვის მიუხედავად, სიკვდილამდე არ შეუწყვეტია წერა და ბეჭდვა. იგი გარდაიცვალა

1905 წლის 24 მარტს ამიენში. ხელნაწერად დარჩენილი რამდენიმე რომანი მწერლის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა.

ჟიულ ვერნის სამყარო დროში მკვეთრადაა შემოფარგლული: ადვილი დასადგენია, რომ ამ რომანების დამწერიც და პერსონაჟებიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვორბდნენ.

ჟიულ ვერნი ახდენს მოვლენათა განზოგადებას მეცნიერებათა და, პირველ რიგში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევებზე დაყრდნობით. შედარბისათვის გავიხსენოთ, რომ ბალზაკს თავისი მწერალური მეთოდი გამოჰყავს ბიუფონის საბუნებისმეტყველო დაკვირვებებიდან, ემილ ზოლას - ექიმი კლოდ ბერნარის პრაქტიკიდან.

ჟიულ ვერნი თავისი საუკუნის შვილია. საერთო მომენტი ადვილად მოიძებნება მსოფლმხედველობრივად, მხატვრული მეთოდით, განწყობილებით, სტილით, დასახული მიზნებითა და მათი გადაჭრის ხერხებით ერთიმეორისაგან ესოდენ განსხვავებულ მწერლებს შორის, როგორიცაა ბალზაკი, ჟორჟ სანდი, ვიქტორ ჰიუგო, ჟიულ ვერნი თუ ემილ ზოლა. განა ყოველივე ამას არ გულისხმობდა ჟიულ ვერნი, როდესაც თავისი ახალი ტიპის რომანში ცდილობდა გაეერთიანებინა, მისივე თქმით, "გუშინდელი რომანტიზმი დღევანდელ რეალიზმს და ხვალინდელ სიმბოლოსთან?"

ამ მწერალთან ნაწარმოებების მსგავსად, ჟიულ ვერნის რომანებსაც წინ უძღვის ფართო ექსპოზიცია. იგი ვერნის საერთო პრობლემატიკას ემსახურება.

ამ საერთო ამოცანას ცალკეული რომანები ინაწილებენ. ყოველივეს აერთიანებს პროგრესის ცნება.

მისი შემადგენელი ნაწილია ტექნიკის განვითარება, კერთოდ კი ტრანსპორტის საშუალებათა სრულყოფა ("მოტივტივე ქალაქი").

"არაჩვეულებრივი მოგზაურობათა" პერსონაჟების გამგზავრებას წინ უსწრებს საგულდაგულო მზადება, წიგნების კითხვა და საჭირო აღჭურვილობის შეკრება.

ხოლო თითოეული თავგადასავალი უხილავი ადამიანის ჩანაფიქრს მისდევს. იგი ყველა მოგზაურობის მონაწილეა. ეს მოგზაური თვით ჟიულ ვერნია.

გარეთ სივრცეა და მკვდარი მთვარე

ჟიულ ვერნის სამყარეო რეალურ მონაცემებს ეფუძნება, იგი ძირითადად დედამიწით იფარგლება. მართლაც, დედამიწას მხოლოდ რამდენიმე რომანის მოქმედება თუ სცდება: "დედამიწიდან მთვარემდე", "მთვარის გარშემო".

ამ ორი ნაწარმოებით ჟიულ ვერნი პრაქტიკული საზომით მიუდგა მსოფლიო ლიტერატურაში ოდითგან არსებულ, საფრანგეთში კი XVII საუკუნის მწერლის სირანო დე ბერჟერაკის სატირულ ნაწარმოებში "უცხო სამყარო, ანუ მთვარის სახელმწიფონი და სამეფონი" ასახულ სელენეს თემას.

საგულისხმოა. რომ ჟიულ ვერნის არჩევანი კოსმიურ სივრცეში კაცობრიობის არსებობასთან საკმაოდ მჭიდროდ დაკავშირებულ ამ უახლოეს თანამგზავრზე შეჩერდა. ამრიგად, მთვარეზე გამგზავრების დროს ჟიულ ვერნი არსებითად ისევ, მიწიერ საქმეებს იკვლევს. ჩვენმა თანამედროვეებმაც ხომ დაადასტურეს მწერლის ოცნების საფუძვლიანობა ჯერ კოსმოსის სივრცის გადალახვით და შემდეგ მთვარეზე ფეხის შედგმით.

გამართლდა აგრეთვე ჟიულ ვერნის პროგნოზი ტექნიკის საშუალებით სრულქმნაზე, რასაც კოსმოსის დაპყრობა განაპირობებს. ვფიქრობთ, სწორედ ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის პრაქტიკული ქმედითი მოდელის შექმნას ჟიულ ვერნის სამყაროს ერთი მთავარი თვისება.

ჟიულ ვერნის ასტრონავტები ცარიელ სივრცეს გაივლიან და მთვარესთან ახლო მანძილზე მისულები მკვდარი და უკაცრიელ ზეციურ სხეულს იხილავენ

გარდა ამ "მთვარეული ეპიზოდისა", მხოლოდ რამდენიმე ცდა არის დედამიწის ფარგლებს გარეშე გასვლისა "არაჩვეულებრივ მოგზაურობებში". მკვდარი მთვარე და უკაცრიელი კოსმოსი იმაზე მიუთითებენ ადამიანს, რომ მისი ადგილი და დანიშნულება დედამიწაზეა. აქ ჯერ იმდენი სიმდიდრე და სილამაზეა აუთვისებელი, რომ ყოველივე ეს ენთუზიასტთა მრავალ თაობას ეყოფა.

მთვარის გავლით დედამიწელთა მიწას ვუბრუნდებით.

მიწიელთა მიწა

ჟიულ ვერნის პერსონაჟები სამოგზაუროდ გულმოდგინედ ემზადებიან. მათთვის მთავარი დასაყრდენია მეცნიერების მიერ მოპოვებული ცოდნა.

ცოდნის პოპულარიზაციის მოქნილი ფორმაა დიალოგი. ვერნისეული დიალოგს რამდენიმე დანიშნულება და სახესხვაობა აქვს. შესავალ ნაწილში, დაპირისპირების სხვა ხერხების გვერდით (დისპუტი, გარჩევა, სამეცნიერო დაწესებულებაში პაექრობა...), გვხვდება ეგრეთ წოდებული სოკრატული დიალოგი. მეცნიერთა მთავარი ამოცანაა ჭეშმარიტების დადგენა, ჭეშმარიტება კი აზრთა დაპირისპირებიდან იბადება. ჩვეულებრივ, დიალოგის ორი მონაწილიდან ერთი არის ახალი წამოწყების ენთუზიასტი, მეორე - სკეპტიკოსი. ასეთია ვითარება პირველსავე რომანში. "ხუთი კვირა აეროსტატით", სადაც ოპონენტებია დოქტორი ფერგიუსონი და კენედი, ასევე "დედამიწის ცენტრისაკენ მოგზაურობაში", სადაც პროფესორ ლიდენბროკს თავისი არგუმენტებით უპირისპირდება აქსელი. ასევეა მრავალ სხვა რომანში. ენთუზიასტებსა და სკეპტიკოსებს ის აერთიანებთ, რომ ერთნიც და მეორენიც ცოდნას ეყრდნობიან. მაგრამ მათ, ფაუსტისა და დოქტორ ვანგერის დაპირისპირებისა არ იყოს, ის განასხვავებთ, რომ ენთუზიასტები შემოქმედებითად ავითარებენ მეცნიერებას, ხოლო სკეპტიკოსები დოგმატურად უდგებიან მას. ცხადია, მეცნიერების შემოქმედებით განვითარებაში ცალკეული შეცდომებიც აუცდენელია, მაგრმ სწორედ ამ შეცდომებსი გათვალისწინებით წარიმართება შემდგომი განვითარება, ხოლო სკეპტიკოსების ხელი მეცნიერება ან გაირინდებოდა, ან კუს ნაბიჯით წაიწევდა წინ.

ვერენის რომანში თანამედროვეობა აქტუალური კუთხითაა დანახული. ამან განაპირობა უჩვეულო წარმატება რომანისა. "ხუთი კვირა აეროსტატით". აფრიკაში მოგზაურობისას პერსონაჟების დაახლოებითნ იამვე მარშუტს მისდევენ, რომელსაც იმ დღეებში დასდგომია ერთი ევროპული ექსპედიცია. გამომცემელმა ეტცელმა ამიტოჯმაც ააწყო და დასტამბა რომანი საინფორმაციო ბიულეტინის სისწრაფით, ორ თვეში. ვერნის ზოგიერთი სხვა ნაწარმოების მოკლე შინაარსს ცალკეული თავების გამოქვეყნებისთანავე ამერიკელი ჟურნალისტები ტელეგრაფით აცნობებდნენ ხოლმე თავ-თავიანთ ჟურნალებს.

ამ პირველი რომანიდან მოყოლებული ვერნს ჩვეულებად ექცა თავის ნაწარმოებთა მოქმედების ზუსტი დათარიღება: რომანის "ხუთი კვირა აეროსტატით" ამბების იწყება 1862 წლის 14 იანვარს და თავდება ამავე წლის 24 მაისს. წიგნი "მოგზაურობა დედამიწის ცენტრისაკენ" იხსნება თარიღით 1863 წლის 24 მაისი, ხოლო ჰამბურგში მოგზაურები ბრუნდებიან ამავე წლის 9 სექტემბერს.

ჟიულ ვერნის "მოგზაურობებში" ვხვდებით სტერეოტიპიზებულ სიტუაციებსაც, ერთი რომანიდან მეორეში რომ ოდნავ სახეშეცვლილი გადადის. ასე მაგალითად, ვერნის ერთ-ერთი საყვარელი პერსონაჟია პაგანელის ტიპის უცნაური მგზავრი, რომელიც ექსპედიციისა თუ გემის გასვლის ბოლო წუთში გამოჩნდება ხოლმე, ანდა სკეპტიკოსის სახე (აქსელი "დედამიწის ცენტრისკენ მოგზაურობაში", კენედი ნაწარმოებში "ხუთი კვირა აეროსტატით"...). არაიშვითი ხერხია საიდუმლო, სენსაციური ახლად აღმოჩენილი საბუთი:

"დედამიწის ცენტრისაკენ მოგზაურობაში" ეს არის საკნუსემის ხელით ჩაშიფრული ბარათი, "კაპიტან გრანტის შვილებში" - ბოთლში ჩადებული და ოკეანეში გადაგდებული წერილი.

პირობითია ნაწარმოებში გაფანტული სხვადასხვა ნიშანი: ასეთია მოგზაურთა და მეცნიერთა ინიციალები, გავლისას რომელიმე მიუდგომელ ადგილას აღბეჭდილი ან გამოკვეთილი. ეს ნიშნები თავისებურად მოწმობს ადამიანის ძლიერებასა და მის ახალ-ახალ გამარჯვებებს, ბუნების საიდუმლოებაში ჩაწვდომას. დედამიწის ცენტრისაკენ მიმავალი მოგზაურები არნე საკნუსემის ინიციალებს ხვდებიან. რომანში "ხუთი კვირა აეროსტატით" აფრიკის შუაგულში კლდეზე ამოკვეთილ ინიციალეს "ა. დ." (ანდრე დებონოსი) მღელვარებით ამოიკითხავს დოქტორი ფერგიუსონი.

ყოველივე ეს საიდუმლოების ელემენტს აძლიერებს ჟიულ ვერნის რომანში. ზოგიერთი სხვა ხერხიც ამავე მიზნს ემსახურება. ასეთია დრამატული ეპიზოდების ჩართვა თხრობაში. ისინი თან სდევენ სამეცნიერო ექსპედიციების საქმიანობას და წინ ეღობებიან მათ უშუალო მიზნებს. ეს აძლევს მწერალს შესაძლებლობას, შეუმჩნევლად და მიმზიდველი ფორმით მიაწოდოს მკითხველს ცნობები ფლორასა და ფაუნაზე, ეთნოგრაფიასა და ხალხთა ზნე-ჩვეულებებზე, ფოლკლორსა და გეოლოგიაზე... ასეთი ეპიზოდების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ისინი უხვადაა ვერნის ნებისმიერ ნაწარმოებში.

ამგვარ ეპიზოდებში ზოგჯერ პერსონაჟები ბუნების მძვინვარე ძალებს უპირისპირდებიან. ვერნის პეიზაჟის ნიშანთვისებაა ადამიანისათვის სარგებლობის ცნების ხაზგასმა: რომელიმე ჩანჩქერის, მდინარის, უღრანი ტყის, ვულკანისა თუ გადაკარგული კუნძულის რარიგ მშვენიერი სურათები არ უნდა გადაგვიშალოს ვერნმა, იგი არასოდეს კმაყოფილდება ესთეტიკური ტკბობით. თუკი ჟან-ჟაკ რუსოს პეიზაჟი დაკავშირებულია ადამიანის გრძნობებსა და მის შეგრძნებათა გაფურჩქვნასთან, თუკი ბერნარდენ დე სენ-პიერის ან შატობრიანის პეიზაჟში ველური ბუნების სიდიადე უპირისპირდება პროზაულ არსებობას და ეგზოტიურობას იშველიებს, ვერნის პეიზაჟი, კარგი გაგებით, უტილიტარულია, მწერლის ფიქრით, ბუნების სილამაზე ესთეტიკური შეგრძნების წყაროც არის და მატერიალური სიმდიდრის შემცველიც.

მაგრამ იმისათვის, რომ ბუნებას და დედამიწას დაეპატრონოს, ადამიანმა ჯერ საკუთარი თავი უნდა დაიმორჩილოს. ამ პრობლემას ჟიულ ვერნი მეცნიერული ჰუმანიზმის საკუთარი პოზიციებიდან მიუდგა.

ეს პრობლემატიკა მრავალნაირად არის გარდატეხილი ვერნის თხზულებებში და ადამიანთა შორის წვრილმანი შეტაკებების ეპიზოდებში ვლინდება. ეს მოზარდ მკითხველში. სინანულსა და ადამიანის სულმდაბალი საქციელის გამო, სირცხვილის გრძნობას იწვევს. ავტორისეული ჩარევა ასეთ შემთხვევაში აშკარა და გასაგებია. გაორება არც ავტორს და არც მის გმირებს არა სჩვევია.

ვერნის სამყარო მოქმედების სამყაროა. პერსონაჟები აქ პოზიტიურად მოქმედებენ. მათ მრავალი რამ ადარდებთ ობიექტური სამუყაროს შემეცნებაში. მწერლის აზრით, ადამიანის სწორად წარმართულ ვნებებსა და განცდებს სამყაროს გარდაქმნა ძალუძს. ეს კი ერთ-ერთი წახნაგია მთელი ვერნისეული სამყაროს სწორ მიმართულებაში.

რასობრივ საკითხში ჟიულ ვერნი თანასწორუფლებიანობის მომხრეა. ამას ადასტურებს შეერთებულ შტატებში ზანგთა პრობლემის გაშუქება, ინდიელებისა და სხვა ხალხთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მხარდაჭერა.

ჟიულ ვერნი არ იყო პოლიტიკური მოღვაწე, მაგრამ პოლიტიკას განზე ვერ განუდგებოდა: მსოფლიო ამბები სულ უფრო მკვეთრად, ზოგჯერ მუქარითა და საშიშროებით იჭრებოდ კაცობრიობის არსებობაში. იგივეს თქმა შეიძლება მის პერსონაჟებზეც. ვერნის მეცნიერთა უმრავლესობას თავისთავად პოლიტიკა არ აინტერესებს. მათი აზრით, კაცობრიობის ბედნიერი მოამვალი მეცნიერების წინსვლამ უნდა მოიტანოს და დაამკვიდროს. მაგრამ თვით პოლიტიკა შეახსენებს ხოლმე მათ თავის არსებობას.

პოლიტიკის ერთ-ერთ ხელშესახები სფეროა ომისა და მშვიდობის საკითხი. ომები აბსურდად მიაჩნიათ მეცნიერებს. მათ სწამთ, რომ მეცნიერება წარმართავს კაცობრიობის სწორ მოქმედებას. მეცნიერება უპირისპირდება ომს. ომში ძალას მიმართავენ, ხოლო მეცნიერება ძალას გონებაში და შემწყნარებლობაში ხედავს.

ჟიულ ვერნის სამყაროს ზემოქმედების ძალა და ერთიანობა იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი თვითონ იძლევა დადებით მაგალითს თავისი პერსონჟთა შორის ურთიერთობის აგებით. ეს ურთიერთობა ეყრდნობა თითოეული პიროვნების საჭირბოროტო საკითხების მიღმა პარაქტიკულ მოქმედებას. ეს მოქმედება კოლექტიურია და ამიტომ თითოეული ადამიანი ერთობლივ ღონისძიებებში ავლენს თავის მეობას.

სამკვდრო-სასიცოცხლო ან, უბრალოდ, დაძაბულ სიტუაციაში ვერნის პერსონაჟების ურთიერთობა ადამიანისნ საუკეთესო თვისებებს ემყარება. ადამიანებს უხდებათ სულიერი და ფიზიკური ძალების მაქსიმალური დაძაბვა. ამით ისინი აფართოვებენ თავიანთი პიროვნების საზღვრებს, მოქმედებით განამტკიცებენ თავიანთ არსს.

მოქმედებას სიტყვის წინაშეც ეძლევა უპირატესობა. ვერნის პერსონაჟები სიტყვაძუნწნი არიან. ისინიც კი, ვისზედაც ეს არ ვრცელდება, ძალაუნებურად იმდენს ვეღარ ლაპარაკობენ, რამდენსაც სახლში, მყუდრო სავარძელში შესძლებდნენ: გზის დაბრკოლებები თავისას აკეთებს.

განსაცდელი და წინსვლის პირობები ალტრუისტულ, თავგანწირულ მოქმედებას მოითხოვენ. ამ თავგანწირვას პერსონაჟები ერთმანეთს არ ამადლიან.

ადამიანთა ურთიერთობას ავსებს მათი დამოკიდებულება იმ ცხოველების მიმართ, რომლებიც ერთგულად ემსხურებიან მათ. ცხენები, მაგალითად, დიდი სიყვარულით ჰყავს გამოყვანილი მწერალს. ისინი ადამიანებივით ამტანნი არიან და ზოგჯერ სამაგალითონიც. მწერალს შესწევდა უნარი, დაენახა სამყარო იმ კუთხით, რომლითც ყველაზე მეტი ხალისით აღიქვამს მას ნორჩი მკითხველი. კრიტიკაში მრავალგზის აღინიშნა ვერნის შემოქმედებაში ქალთა პერსონაჟების სიმცირე. ზოგი მკვლევარი იმასაც დასძენს, რომ ამით მწერალი პრაქტიკულად გვიჩვენებს სატრფიალო ინტრიგის გარეშე აგებული რომანის უფლებამოსილებას. აქ ვერნი ალექსანდრე დიუმასაგან განსხვავებულ გზას ადგას. ეს მოსაზრება მართებული ჩანს, მაგრამ ჩვენთვის საყურადღებო და ნიშანდობლივია ის გამორემობაც, რომ ვერნი ბუნებრივად, თავისი ნიჭისათვის ძალის დატანების გარეშე შეელია ამ ელემენტს. აქაც უსიტყვო თანხმობა ჩანს ავტორსა და მის პერსონაჟებს შორის. მათი არსება მთლიანად შეუპყრია აღმოჩენათა იმ ორმოტრიალს, რომელშიც ისინი თავიანთი ნებით ჩაეფლენ და სადაც ჭირ-ვარამსც და მამაცთა სიხარულსაც ჰპოვებენ.

ჟიულ ვერნის რომანების გმირები მრავალ ქვეყნისა და ერის წარმომადგენლები არიან. კაპიტანი ნემო ინდიელია. არიან ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები, გერმანელები, სკანდინავიელები, რუსები და სხვა მრავალი.

მნიშვნელოვანი ადგილი მაინც ანგლო-საქსურ ელემენტს უჭირავს. ეს იმით აიხსნება, რომ XIX საუკუნეში ინგლისელებმა და ამერიკელებმა საგრძნობი წვლილი შეიტანეს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

მაგრამ გმირთა ეროვნული განსხვავება კი არ თიშავს მათ ერთმანეთისაგან, პირიქით, წინ წამოსწევს მათ ერთიანობის იდეას, იმ გარემოებას, რომ ყველა ისინი ერთი დედამიწის შვილები არიან და მასვე ემსახურებიან. ეროვნული განსხვავებანი გარეგნულადაა წარმოდგენილი, საყოველდღეო ქცევისა თუ მანერებიდან გამომდინარე, და ეყრდნობა XIX საუკუნის ცნობიერებაში გავრცელებულ ზოგად სტერეოტიპებს ინგლისელისა, ისლანდიელისა, გერმანელისა და ა. შ.

ისე კი ჟიულ ვერნის ნებისმიერი პერსონაჟის შეცვლა შეიძლება ეროვნების მიუხედავად, მარტოოდენ მისი პიროვნული თვისებების გათვალისწინებით. ამრიგად, ვერნისეული ეროვნულობა, არსებითად, დროის მსვლელობასთან შეჯერებული რასინის ან ვოლტერის მიერ მინიშნებული უცხოელთა პირობითი ეროვნულობაა.

ჟიულ ვერნის სტილი სადაა, ფრაზა ბუნებრივი და, როგორც წესი, ესთეტიკური ეფექტებისგან განტვირთული. საინტერესო იქნებოდა, გავყოლოდით ვერნის ფრაზის ანალიზს იმ შემთხვევაში, როდესაც მწერალი ყველაზე უფრო უახლოვდება მისთვის პათეტიკურ, ამაღელვებელ მომენტებს, როგორიცაა: 1. ბუნების სურათები (მეტწილად აბობოქრებული და მძვინვარე სტიქიონისა, - ვულკანის ამოხეთქავ, მიწისძვრა, ქარიშხალი, მღელვარე ზღვა და სხვ.), 2. ადამიანთა შორის ურთიერთობის და მათი ბუნებასთან დაპირისპირების საკულმინაციო მომენტები (ადამიანის სიკვდილისაგან გადარჩენა, ავადმყოფობა, შიმშილი, წყურვილი...). თხრობა შემდეგ ნეიტრალურად გრძელდება. სიცივისა და მომაბეზრებლობისაგან მას იხსნის ადამიანური დაინტერესება (მწერლისაც და პერსონაჟებისაც), კვლევა-ძიება, იუმორი, დიალოგები, საკუთრივ ამბები - მათ შორის ლანდშაფტის და ეპიზოდების, პრობლემების, გარემოსი და ა.შ. უწყვეტი ცვლა.

კაცობრიობისათვის შემეცნების სარგებლობაში ჟიულ ვერნი ხედავს ცივილიზაციის წინსვლის მთავარ პირობას. ამიტომ ვერნს არ ზღუდავს, არ ეჩოთირება ენის პირობითობანი, ბანალურობანი, დამკვიდრებული შტამპები. ვერნის მიერ საოკეანო ხომალდის მიმართ ნახმარი ეპითეტი "ზღვის გოლიათი" მაშინ არავის ეჩოთირებოდა. იგი არ ეჩოთირებათ ახლც. მართლაც, დღეს ფრანგულ პრესაში ზუსტად ეს, ასი წლის წინ ვერნის მიერ ნახმარი სიტყვა géant გვხდება ნებისმიერ შესიტყვებაში, რომელიც აღნიშნავს დიდ ბირთვულ რეაქტორს თუ ატომური ენერგიით მოძრავ ნავს და ა.შ. და განა ჩვენს ყოველდღიუს სინამდვილეშიც ზუსტად იგივე პერიფრაზები არ არის: "გიგანტი ვოლგაზე" ან "ენისეიზე" და ა. შ.

ვენრის ახირებული მეცნიერები უაღრესად მთლიანი პიროვნებები არიან: მეცნიერებისა და დასახული მიზნის გარდა მათ არაფერი ადარდებთ. ამიტომ შესწევთ უნარი მთელი არსებით ემსახურონ თავიანთ ძირითად ამოცანას. ამიტომ იტაცებს მათ აღმოჩენათა სიხარული, მტკიცედ იტანენ გზის სიძნელეებს, გამარჯვების უშრეტი იმედი ასულდგუმელებთ, ძილიც მშვიდი აქვთ.

თავისი პერსონაჟების ამ თავისებური ახირების აღსანიშნავად ჟილ ვერნი მიმართავს ისეთ ეპითეტებს, როგორიცაა "ექსცენტრული", "ორიგინალური" და სხვ.

იუმორი, ისევე როგორც ვერნისეული თხრობის სხვა კომპონენტები, უბრალოა და გულშიჩამწვდომი.

ჟიულ ვერნის შემოქმედებას საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობა XIX საუკუნის კრიტიკული რეალიზმის ნაკადს მიაკუთვნებს. გარდა აშკარა ზოგადი თვისებებისა, ვერნთან მრავალი კონკრეტული დეტალის მონახვაც შეიძლება ამის დასადასტურებლად. "ბლოკადის გამრღვევებში" ვერნი ისე აღწერს საზღვაო გემს, "დელფინს", როგორც ბალზაკი "ეჟენი გრანდეში" აგვიწერს პროვინციის პატარა ქალაქ სომიურს. ბალზაკისებურად ვერნიც ჯერ ზოგად მოცულობას და ციფრობრივ მონაცემებს გვაწვდის, ახასიათებს გემის მასალას და სხვ. არ გამოგვაპარებს თავისი გმირების გენეალოგიას, არც იმის აღნიშვნა გამორჩება, რომელ ქარხანასა თუ ვერფზე აიწყო მის მიერ აღწერილი გემი, ან რომელმა სამრეწველო კომანიამ თუ სამეცნიერო საზოგადოებამ ითავა მისი აშენება. თუკი ბალზაკს ყველაზე მეტად სოციალური მექანიზმის აგებულება და ფუნქციონირება იზიდავს, ჟიულ ვერნი ხომალდის დანადგარების თავისებურებების და მუშაობის დაწვრილებით აღწერას აქცევს ყურადღებას. ბალზაკი გვიჩვენებს სომიურის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ისტორიულ ასპექტში, ვერნკი კი მისი ხომალდის ტექნიკურ სიახლეებს უკვე მიღწეულისა და მომავალ მიღწევათა პრიზმაში წარმოგვიდგენს. ამავე დროს, ბალზაკიცა და ვერნიც გვერდს უვლიან გაუმართლებელ რომანტიკულ გადაჭარბებას, გამოდიან ცხადად გამოძერწილი სინამდვილიდან და ჩვეულებრივს, რიგითს თავისი სახელით იხსენიებენ. ასე იქცევა ჟიულ ვერნი, როდესაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ "დელფინის" კონსტრუქციასა თუ გაბარიტებში ყოველივე ჩვეულებრივი იყო, და რომ ადგილობრივ მოსახლეობას ტექნიკის არაერთი და ორი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ნიმუში უნახავს.

ვერნის სამყაროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღერძს არაჩვეულებრივის (რომანის ციკლის სათაურშიც რომ არის გამოტანილი) და ჩვეულებრივის ცნებები წარმოადგენს. ვერნს ხელი აქვს აღებული იაფფასიან არაჩვეულებრივობაზე, რეალურ პრობლემატიკას მოწყვეტილ ფანტაზიის ნაყოფზე. ვერნი საჭირბოროტო პრობლემატიკიდან გამომდინარეობს, ემყარება შავ, სამუშაო მონაცემებს, მეცნიერთა ერთობლივი მუშაობით დახვავებული ეს ძვირფასი მასალა ყველაზე არაჩვეულებრივი მოგზაურობისა თუ აღმოჩენისათვის იძლევა საფუძველს. არაჩვეულებრივი ჩვეულებრივ, პროზაულ, ხელმისაწვდომ საგნებში იმალება, გვეუბნება ჟიულ ვერნი თავისი შემოქმედებით. რა თქმა უნდა, მის პერსონაჟებს ჯერ აღმოუჩენელი და ადამიანის ფეხით გაუკვალავი ბილიკები იზიდავს პირველ რიგში. მაგრამ მათ გასაღებს ან მინიშნებას ისინი ხშირად საკუთარ თაროზე მთვლემარე ძველ ფოლიანტში თუ ბუკინისტის დახლზე დამტვერილ ხელნაწერში პოულობენ. შორეულ ცათა თვალისმომჭრელი მოვლენები ჯერ მშობლიურ ცაშია არეკლილი ან თუნდაც ჩასახული; რარიგ მდიდარი არ უნდა იყოს მიწის წიაღი დიდებულ უცხო მხარეში, მისი ძირითადი შემადგენლობა უკვე იმ ნიადაგშია ჩაქსოვილი, რომელსაც დაუფიქრებლად და ანგარიშმიუცემლად ყოველ დილით თელავს რომელიმე მეცნიერი პარიზის ქვაფენილებზე. გარკვეული გაგებით, ლიტერატურისათვის ჟიულ ვერნმა "აღმოაჩინა" დედამიწა. დედამიწის საკმაოდ დანაწევრებული სურათი იყო მხატვრულ ლიტერატურაში ჟიულ ვერნამდე. ამიტომ აღმოჩნდა ჟიულ ვერნის შემოქმედება პერსპექტიული და წინასწარმეტყველური: XX საუკუნე პრაქტიკულად ხორცს ასხამს დედამიწის ერთიანობის იმ იდეას, რომელიც მხატვრული ხერხებით წარმოადგინა ვერნის კალამმა. ერთიან მოქმედებას და ვაჟკაცურ მეგობრობაში პოულობენ წინსვლის ძალას და გადალახავენ ცალკეული ადამიანის მარტოობას ვერნის პერსონაჟები. მწერლის მოწმობით, მისი ბავშვობის გატაცება იყო "რობიზონადები" დანიელ დეფოს პერსონაჟმა ადამიანაად დარჩენა შეძლო იმიტომ, რომ, კაცობრიობას მოწყვეტილი, ყოველდღიურ საქმიანობაში მაინც გრძნობდა თავის გვერდით კაცობრიობის საუკუნოვან გამოცდილებას და ეყრდნობოდა მას. რობიზონის პრობლემას არაერთი ანარეკლი და სახესახვაობა აქვს ვერნის რომანებში: კაცობრიობას ხორციელად მოწყვეტილი აირტონი იმიტომ დგება დაღუპვის გზაზე, რომ სულიერადაც წყდება მას; კაპიტან ნემოს სტოიკური ცხოვრების დრამა იმაში მდგომარეობს, რომ მან კაცობრიობისადმი დაპირისპირება და მისგან განდგომა სცადა. დეფოს რომანისაგან განსხვავებით, ვერნის შემოქმედების ცენტრშია კოლექტიური ექსპედიციები.

ხშირად ჟიულ ვერნის პერსონაჟების გამგზავრებას სპეციალისტებიცა და დიდძალი ხალხიც ენთუზიაზმით ადევნებს თვალყურს. ხუთკვირიან მოგზაურობას აეროსტატით წინ უსწრებს ლონდონის სამეცნიერო კლუბში მხურვალე შეკრება. ვლინდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმართ საზოგადოების ფართო ფენების ინტერესი: მოგზაურები ცალკეულ მეცნიერთა ახირებას თუ მირაჟს კი არ მისდევენ (თუმცა ამასაც ვერ გაექცევი), არამედ კაცობრიობის წარგზავნილები არიან. საინტერესოა ხაზგასმა დროული აღიარებისა, რასაც ვერნის რომანებში ვხვდებით, რადგან მოგზაურობები უშუალოდ მწერლისდროინდელ მეცნიერულ პროგრესს ემსახურებიან. ჟიულ ვერნის მეცნიერები სარგებლობას, გამდიდრებას, სხვა რაიმე პირად ინტერესებს კი არ ეძებენ, არამედ კაცობრიობის წინსვლას ემსახურებიან. ჟიულ ვერნის პერსონაჟები უანგარონი არიან.

ექსპედიციის წევრთა ურთიერთდამოკიდებულება მეტნაკლებად ასეთია: მეთაური - კიდევ სხვა მეცნიერი (ერთი ან მრავალი) - მონადირე-მხლებელი - გამყოლი და სხვა დამხმარე პერსონალი. ყველამ თავისი ადგილი იცის: ნაწარმოებში "ხუთი კვირა აეროსტატით" ჯო მრავალჯერ ფიქრობს, აბმობს და საქმითაც ამტკიცებს, რომ, უკიდურეს შემთხვევაში, მისი სიკვდილი ნაკლებ ზიანს მოუტანს ექსპედიციას, ვიდრე მეთაურის ან შოტლანდიელის დაღუპვა. ეს მკაცრი შინაგანი დისციპლინა სავსებით ნებაყოფლობითია.

საქმე ისაა, რომ ვერნისეული ექსპედიციების წევრები, ზოგიერთ კურიოზული შემთხვევის გარდა, საკუთარი ნება-სურვილით იღებენ მონაწილეობას ამ საქმეში. ჟიულ

ვერნს სწამს, რომ დიდი საქმის დაძლევა, მაღალი ზნეობრივი მიზნების მიღწევა ძალუძს მხოლოდ თვისუფალ, დიდბუნოვან და საღი აზროვნების ადამიანს.

ამიტომ არის დამრიგებ ლობისა და მორალიზაციისაგან განტვირთული ჟიულ ვერნის აღმზრდელობითი რომანი. სულ სხვანი არიან ვიქტორ ჰიუგოს პერსონაჟები, მაგრამ ძირეული კეთილშობილება, წინააღმდეგობებთან უდრეკი ბრძოლა, ადამიანებისათვის კეთილი სამსახურის გაწევა, საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანა სხვის საკეთილდღეოდ, აახლოვებს ვერნის მოგზურებს ჟან ვალჟანსა თუ ჟილიატთან.

ჟიულ ვერნის სამყარო ნამდვილ ფასეულობებზეა აგებული, ორაზროვნებისა და რაიმე გადაუჭრელი სულერი კრიზისების გარეშე. ვერნის პერსონაჟების უმრავლესობა სიმპათიური და მიმზიდველი ადამიანებია. თუმცა მათი ცხოვრება არაა იოლი. ასეთი სახეები ქმნიან ვენის სამყაროს ნათელ ატმოსფეროს, პირქუში და სისხლიანი დეტექტიური რომანებისა და ხრიკებით აღსავსე ალექსანდრე დიუმას რომანისაგან განსხვავებით.

სოლიდარობასა და ალტრუიზმს ემყარება მტკიცე მეგობრობა, რომლისთვისაც სულ ერთია სოციალური მდგომარეობა, ცოდნის დონე და ა. შ. მთავარი ადამიანის თვისებებია.

ამრიგად, ჟიულ ვერნის გმირებს მრავალი ბარიერის გადალახვა უხდებათ. ბუნების ობიექტური სიძნელეები, ეროვნული შეზღუდულობა, სოციალური ჩაგვრა და უსამართლობა, ცოდნის თუ ჭკუის დონე, ჩამორჩენილობა და კაცთმოძულეობა. ყოველივე ამის გადალახვით ვერნის პერსონაჟები არა მხოლოდ იკვლევენ დედამიწას, არამედ წმენდენ მას მომავალი სამართლიანი და ღირსეული კაცობრიობისათვის.

ქვეყნის კიდე მრავალია

ისევე როგორც ბალზაკის "შაგრენის ტყავში" ან "აბსოლუტის ძიებაში", ჟიულ ვერნის პერსონაჟებისათვის უცხო არაა დედამიწის შესწავლაში სხვადასხვაგვარი აბსოლუტებისაკენ ლტოლვა. სწორედ უკიდურესი, ტრადიციული მეცნიერების აზრით მიუღწეველი მიზნები იზიდავს მათ. ამავე დროს, კარტეზიანულად მოაზროვნე ჟიულ ვერნისათვის ეს არის დედამიწის სფეროს გეომეტრიული წერტილები: ორივე პოლუსი, ეკვატორი, დედამიწის ცენტრი.

XIX საუკუნისათვის უკვე ძირითად მომენტებში შესწავლილ დედამიწაზე, კოლუმბების, მაგელანებისა და ვასკო და გამების შემდეგ, მწერალს და მის პერსონაჟებს სწორედ ასეთი მნიშვნელობის აღმოჩენები იზიდავთ, რაც ადამიანის ცოდნას ამდიდრებს, ეს კი მომავალი წინსვლის საწინდარია.

გარდა ამისა, ასეთი უკიდურესი მიზნების დასახვისას მტკიცდება ადამიანის სიდიადე, მისი წარმატებული დაპირისპირება, გატოლება უშრეტ ბუნებასთან.

და ბოლოს, აბსოლუტისაკენ ლტოლვა ხომ, საერთოდ, ადამიანის მოქმედებას, კერძოდ, მის შემეცნებით აქტიურობას ახასიათებს. ჟიულ ვერნის რომანი კი ამოქმედებული ცოდნაა.

თეთრი ლაქები

მაგრამ ჟიულ ვერნს კარგად ესმის, რომ არა მხოლოდ თავის უკიდურეს წერტილებშია ასათვისებელი დედამიწა. წინა საუკუნეების გლობალურმა აღმოჩენებმა საკმაოდ ბევრი "თეთრი ლაქა" დაგვიტოვა. გარკვეული თვალსაზრისით, ასეთი თეთრი ლაქები არც არასოდეს გაქრება სავსებით: მეცნიერება ხომ სულ ახალ საკვლევ უბნებს აღმოაჩენს სწორედ დიქ, სადაც ნიადაგი თითქოს ძირფესვიანად იყო შესწავლილი.

ამიტომ, გარდა პოლუსებისა და დედამიწის ცენტრისა, ჟიულ ვერნის მოგზაურები და მკვლევარები სწავლობენ აფრიკის კონტინენტის ცალკეულ მხარეეს, სამხრეთ ამერიკის გადაკარგულ კუნძულებს...

ზოგჯერ ისინი შედარებით ვიწრო ამოცანას ისახავენ, როგორც რომანში "სამი ინგლისელისა და სამი რუსის თავგადასავალი", სადაც ექსპედიციის მიზანია ერთი მერიდიანის ზედმიწევნით ზუსტი გაზომვა.

ოღონდაც თხრობა, ჩვეულებრივ, დასახული ამოცანის ფარგლებს სცილდება. ამოცანა ხშირად მიზანიც არის და საბაბიც. ეს განაპირობებს ჟიულ ვერნის რომანის თავისებურ აგებულებას. იგი სიუჟეტ-საბაბს შეიცავს და აღემატება მას.

ჰაერი და წყალი

ჟიულ ვერნის რომანები მოიცავს მთელს დედამიწას და, მაშასადამე, გარდა ხმელეთისა, წყალს, ცეცხლსა და ჰაერსაც. ამ სტიქიონებს მწერალი ისეთივე სიყვარულით, დაკვირვებითა და საქმის ცოდნით აღწერს, როგორც საკუთრივ ხმელეთს.

იმთავითვე ხდება სინთეზი, განზოგადება. ცალკეული რომანი, როგორც ნაწილი მთელისა, იმდროინდელი მეცნიერების საერთო პრობლემატიკას უკავშირდება და ქმნის "არაჩვეულებრივ მოგზაურობათა" ციკლის გამაერთიანებელ პერსპექტივას.

ამ საერთო პერსპქტივას თითოეული რომანის კერძო ამოცანა ან მიზანი უკავშირდება. ეს მიზნები მეტი სიცხადისათვის ორ დიდ კატეგორიად შეგვიძლია დავყოთ: 1) დედამიწის შესწავლა და 2) კოსმიური სივრცისა და სხეულების შესწავლა. ჟიულ ვერნისათვის მთავარი პირველია და მეორეც, საბოლოო ჯამში, პირველს ექვემდებარე.

თავის მხრივ დედამიწის შესწავლაში ორი დიდი დონე გამოიყოფა. პირველი არის უმეტესად დედამიწის ერთ-ერთი სტიქიის შესწავლა: მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი. ასე მაგალითად, მიწაზე ხდება ძიება "საიდუმლო კუნძულში". ოკეანის უმდიდრეს ზღაპრულ სამყაროშია ჩაფლული კაპიტან ნემოს წყალქვეშა ნავი "ნაუტილუსი" რომანში "ოცი ათასი ლიე წყალქვეშ"; ჰაერში იმყოფებიან პესონაჟები წიგნებისა, "ხუთი კვირა აეროსტატით"; ცეცხლის სამფლობელოს უპირისპირდებიან ვულკანში ჩასული და ვულკანიდან ამოსული "დედამიწის ცენტრისაკენ მოგზაურობის" პერსონაჟები.

წყალი და ჰაერი, ისევე როგორც მიწა, არის ჟიულ ვერნისათვის, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის სასიცოცხლო სფეროები, ის გარემო, სადაც ფართოდ შლის ფრთებს მისი შემეცნებითი გენია, სადაც იხვეწება მისი გემოვნება, სადაც იგი ეზიარება სიცოცხლის სილამაზესადა მარადიულ სინორჩეს.

მეორე სიბრტყე გახლავთ სხვადასხვა განზომილებებით დედამიწის შესწავლა. პოეტურია თავისი განწყობილებით ლტოლვა აბსოლუტისაკენ: პოლუსები, დედამიწის ცენტრი. ერთი შეხედვით უფრო "პროზაული", მაგრამ სინამდვილეში არანაკლებად სახიფათოა და შთაბეჭდილებებით მდიდარი დედამიწის შესწავლაში დარჩენილი თეთრი ლაქების ათვისება.

ჟიულ ვერნის რომანებს ერთი დედააზრი გაჰყვება - ბრძოლა პროგრესსა და რეაქციას, ცოდნასა და უვიცობას, ადამიანურობასა და კაცთმოძულეობას, სამართალსა და უსამართლობას, ეგოიზმსა და ალტრუიზმს შორის. ჟიულ ვერნის შემოქმედებაში გაფანტულია ნიშნები იმის, რომ ყოველივე ამის სიმბოლურად განზოგადებას ავტორი ცდილობს ცეცხლისა და ყინულის ცნებების დაპირისპირებით.

ყინული და ცეცხლი

ამრიგად, მატერიის ორი პოლარული მდგომარეობა - ყინული და ცეცხლი - განსაკუთრებით იზიდავს ჟიულ ვერნს. თავის საინტერესო ესსეში, თანამედორვე ფრანგი მწერალი და კრიტიკოსი მიშელ ბიუტორი ამ ორ საწყისში სიმბოლურ შინაარსს ხედავს: ყინული უარყოფით საწყისს განასახიერებს, ხოლო ცეცხლი - დადებითს.

გარდა ამისა, ჟიულ ვერნის სამყაროში ყინულისა და ცეცხლის ეს პოლარული ცნებები აბსოლუტის ძიებას უკავშირდება. ასე თუ შევხედავთ მათ, ყინვა და ცეცხლი იმავე

უკიდურესობის ახალი გამოვლინებებია, რომლებსაც მიეკუთვნება სხვა უკვე განხილული ცნებები: პოლუსები, დედამიწის ცენტრი, ეკვატორი...

ყინული და ცეცხლი კაცობრიობის მარადიული დილემაა. იგი ყინვას სწყდება და ცეცხლისაკენ ილტვის.

ჟიულ ვერნის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან წინამდებარე რვატომეულში წარმოდგენილია "არაჩვეულებრივ მოგზაურობათა" ციკლიდან შერჩეული მისი სახელმოხვეჭილი რომანები, რომელთა კითხვით უკვე არაერთი თაობა აღიზარდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (ქართულ ენაზე ეს იქნება სადღეისოდ ვერნის ნაწარმოებების ყველაზე სრული კრებული). ამავე დროს შერჩეული ნაწარმოებები გარკვეულ წარმოდგენას იძლევიან ვერნის მეცნიერული ინტერესების მრავალმხრივობაზე. "მოგზაურობა დედამიწის ცენტრისაკენ" და "კაპიტან ჰატერასის თავგადასავალი" ორი თვალნათლივი მაგალითია მეციერთა დაუოკებელი ლტოლვისა აბსოლუტისაკენ, დედამიწის ცენტრი იქნება ეს თუ პოლუსი. ამავე დროს, მოქმედება ამ ორ შემთხვევაში ვითარდება ორ საპირისპირო სტიქიონში: დედამიწის ცენტრის გავარვარებულ მაგმასა და პოლუსის უდნობ ყინულეთში. საგულისხმოა, რომ "დედამიწის ცენტრისაკენ მოგზაურობის" ერთ კრიტიკულ მომენტში ვულკანის კრატერის აუტანელი სიცხით შეწუხებული აქსელი სწორედ პოლუსის ყინულს ინატრებს.

რომანებში "დედამიწიდან მთვარემდე" და "მთვარი გარშემო" გასული საუკუნის მეცნიერების და ტექნიკის დონის გათვალისწინებით მწერალი მკითხველს არწმუნებს, დედამიწის თანამგზავრის შესწავლა შესაძლებელიაო.

რომანში "ოცი ათასი ლიე წყალქვეშ" შესანიშნავად აღჭურვილი წყალქვეშა ნავით "ნაუტილუსით" თავისუფლებისათვის უდრეკი მებრძოლი და კაცთმოყვარე კაპიტანი ნემო სწავლობს სიცოცხლის ფორმების უშრეტ და უჩვეულო სამყაროს - წყლის ოკეანეს.

ჟიულ ვერნის ყველაზე ცნობილი რომანებია "კაპიტან გრანტის შვილები", "საიდუმლო კუნძული", "თხუთმეტი წლის კაპიტანი. ვერნის შემოქმედებითი მოწიფულობის წლებში შექმნილი ეს თხზულებები უთავსებს ერთმანეთს წმინდა ადამიანურსა (დაკარგული კაპიტან გრანტის ძიება) და მეცნიერულ (დედამიწის ნაკლებად ცნობილი მხარეების შესწავლა) მიზანს. დედამიწის საიდუმლოებათა წვდომის სიხარულს აქ ერთვის ყველაზე სრული ტკბობა ფართოდ გაშლილი სიცოცხლის სასწაულებით. ამ ტკბობაში კი ადამიანი აირტონივით მარტო ვერ იქნება. მხოლოდ მრავალთა ერთსულოვან მოქმედებას ძალუძს სიხარულის მოტანა და მხოლოდ გაზიარებული სიხარულია ნამდვილი სიხარული. სოწრედ ამიტომაც ვლინდება ყველაზე ჰარმონიულად ასეთი ტიპის რომანში ვერნისეული ცხოველმყოფელი ჰუმანიზმი.

ყოველივეს აერთიანებს ჟიულ ვერნის სადა, ოპტიმისტური, ფაქტების ლოგიკით ამოძრავებული, უდრეკი რწმენით გაჟღენთილი - "ენთუზიაზმის გადამდები" თხრობა. ახალგაზრდას ეს თხრობა უსაზღვრო ძიებისა და გაბედული მოქმედების აქტიურ სურვილს აღუძრავს, მოწიფული ასაკის ადამიანს კი მის ახალგაზრდობას უბრუნებს, რადგან სასიცოცხლო აქტიურობის კუთხით, ვერნის პერსონაჟები ნამდვილად უასაკონი არიან: თხუთმეტი წლის კაპიტნიდან დაწყებული და უკვე ხანში შესული ჟაკ პაგანელითა თუ პროფესორ ოტო ლიდენბროკით დამთავრებული. ისინი მომაბეზრებელ ზუთხვას გარიდებული მოსწავლეებივით ეკვეთებიან სამყაროს ყველა განზომილებას. რაღა თქმა უნდა, ამ თვისებაში, "არაჩვეულებრივ მოგზაურობათა" მრავალ მონაწილეს რომ აერთიანებს, თვით მთხრობელის, ჟიულ ვერნის ხალასი ბუნება გამოსჭვივის.

და ბოლოს, ერთი საკითხი წამოიჭრება ვერნის ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმართთ. ხომ ყველასათვის ცხადია, რომ მის რომანებში დასმული მრავალი პრობლემა (თუ ყველა არა) მოძველდა ამ ელვისებური ერთი საუკუნის მანძილზე. ვიღას მოუვა აზრად მთვარეზე მორიგი გამგზავრებისათვის ვერნისეული ზარბაზნის გამოყენება? ანდა ხომ უკვე დაამტკიცა მეცნიერებამ დედამიწის შიგნითა ბირთვის სიმკვრივე და, მაშასადამე, ჩვენი გეოიდის ცენტრისაკენ გამგზავრების შეუძლებლობა? პოლუსები რახანია ათვისებულია და

იქ რეგულარული ექსპედიციებიც მიდიან. სახელმწიფოებისაგან მიტოვებული უკაცრიელ კუნძულს კი სადღა ნახავ? თვითონ ვერნის მოგზაურთა წინაშე აღმართული სიძნელეებიდან ახლა მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი სიძნელეღა თუ დარჩა გადაულახავი.

მაშ რატომ გამოდის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კვლავაც მრავალათასიანი ტირაჟით ვერნის წიგნები, რატომ კითხულობს მას მოზარდი თაობა და ვერნის შემოქმედება მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის ვიწრო სპეციალისტის კვლევის საგნად არ დარჩა? პასუხი, როგორც ჩანს, ერთია: ძველდება კვლევა-ძიების საშუალებები, ხოლო უბერებელია თვით ძიება, დაუშრეტელია ცოდნის წადილი, ენთუზიაზმი, ერთმანეთის მხარდაჭერა, სოლიდარობა, რწმენა, ვაჟკაცობა, აღმოჩენის სიხარული, მოგზაურობის თავბრუდამხვევი მიმზიდველობა. ამიტომ ხიბლავს დღესაც კოსმიურ სივრცეზე მეოცნებეს აეროსტატით მოგზაურის თავგადასავალი.

გასტონ ბუაჩიძე

პირველი თავი

კვირა დღეს, 1863 წლის მაისის 24-ს, ბიძაჩემი, პროფესორი ოტო ლიდენბროკი, შინ ადრიანად დაბრუნდ. მისი პატარა სახლი ჰამბურგის ძველ უბანში, უძველესი ქუჩის, კონიგშტრასეს ცხრამეტ ნომერში მდებარეობდა.

მოახლე ქალმა მართამ ალბათ იფიქრ, სადილის მომზადება დამიგვიანდაო, რადგან ქურაზე შემოდგმული წვნიანი მხოლოდ ახლა იწყებდა თუხთუხს.

"ახლა უყურე, - ჩავილაპარაკე ჩემთვის, - რა ამბავს ასტეხს ბიძაჩემი, თუ მშიერია. ასეთი მოუთმენელი არსება სულდგმულთა შორის ალბათ არ მოიძებნება".

შეცბუნებულმა მართამ კი სადადილო ოთახის კარები შემოაღო და წამოიძახა:

- ბატონი ლიდენბროკი უკვე მობრძანებულია!

- დიახ, მართა, მაგრამ სადილზე ნუ წუხხარ, წმიდნა მიხეილის სამრეკლოზე ეს წუთია ორის ნახევარმა დაჰკრა.

- მაშ, რატომ დაბრუნდა ბატონი ლიდენბროკი?

- ამას ალბათ თვითონ გვეტყვის.

- აი ისიც! მე თავს ვუშველი, თქვენ კი, ბატონო აქსელ, დაამშვიდეთ ბიძათქვენი.

მართამ სამზარეულოს მიაშურა. დავრჩი მარტო, მაგრამ ჩემი გაუბედავი ხასიათის პატრონს, როგორ შემეძლო ამქვეყნად ყველაზე ახირებული პროფესორის დამშვიდება? ამიტომ მეც თავის შველა ვარჩიე და ზედა სართულში ჩემს საცხოვრებლად განკუთვნილ პატარა ოთახისკენ წასვლა დავაპირე. ამ დროს ჭიშკარი ხმაურით გაიღო, ხის კიბე აჭრაჭუნდა და სახლის პატრონი სასადილო ოთახში შემოიჭრა, არც შემოუხედავს, ისე გაემართა სამუშაო კაბინეტისაკენ.

სანამ შევიდოდა, კუთხეში მოისროლა თხილის სამტვრევით თავდამშვენებული ჯოხი, მაგიდაზე დააგდო ფართოფარფლებიანი ბეწვის ქუდი და ხმამაღლა მომაძახა:

- აქსელ, მომიყევი!

ფეხის გადადგმაც ვერ მოვასწარი, რომ უკვე მოთმინებიდან გამოსულმა პროფესორმა დამიყვირა:

- სად ხარ ამდენ ხანს?

განრისხებული ბიძაჩემის კაბინეტში შევვარდი. მართალია, ოტო ლიდენბროკი ბოროტი ადამიანი არაა - ამაში სიამოვნებით დგემოწმებით, მაგრამ თუ ხასიათი არ შეეცვალა, რაც ძალიან საეჭვოა, სიკვდილამდე ასეთი უხიაგი დარჩება.

ოტო ლიდენბროკი, იოჰანეუმის პროფესორი, მინერალოგიაში კითხულობდა ლექციებს და წესად ჰქონდა, ყოველ ლექციაზე ერთი-ორჯერ მაინც აფეთქებულიყო. არა იმიტომ, რომ იგი მ ოსწავლეთა სიბეჯითეს ან სწავლისადმი განსაკუთრებულ გულისყურს მოითხოვდა, ანდა მსმენელთა წარმატების მოპოვება სურდა, ამგვარი წვრილმანი მას სრულიად არ აწუხებდა. გერმანულ ფილოსოფიაში მიღებული გამოთქმისა არ იყოს, იგი "სუბიექტურად" ასწავლიდა - თავისთვის და არა სხვისთვის. ლიდენბერგი ეგოისტი მეცნიერი იყო, ჭეშმარიტი ცოდნის ჭა, მაგრამ თუკი ვინმე მოინდომებდა ამ ჭიდან ცოდნის მოპოვებას, ოწინარი საშინელ ჭრიალს იწყებდა: ერთი სიტყვით, პროფესორი ძუნწი გახლდათ.

გერმანიაში ცოტა როდია ამგვარი პროფესორები.

ბიძაჩემი, სამწუხაროდ, ენამჭევრობით არ გამოირჩეოდა, კერძო საუბარს რომ თავი დავანებოთ, საჯარო გამოსვლისას სიტყვა ღალატობდა, ეს კი მეტად სავალალო ნაკლია ორატორისათვის. მართლაც, იოჰანეუმში პროფესორი ხშირად შუა ლექციისას წაიბორძიკებდა, ენა დაებმებოდა, შეებრძოლებოდა გაურჩებულ სიტყვას, და მაინც ვერაფრით ვერ გამოთქვამდა. ბოლოს არცთუ მაინცდამაინც მეცნიერის საკადრისი გინება წამოსცდებოდა.

აი, ეს იყო პროფესორის გაბრაზების მთავარი მიზეზი.

მინერალოგიაში მრავალია ნახევრად ბერძნული, ნახევრად ლათინური ძნელადგამოსათქმელი სახელწოდებები, პოეტის ყურს რომ ეხამუშება.

მინერალოგიაზე, როგორც მეცნიერებაზე, ცუდს არაფერს ვიტყვი, მაგრამ რომბოედრული კრისტალების, რეტინოსფილური ფისის, გელენიტების, ფანგაზიტების, ტყვიის მოლიბდატების, მარგანეცის ვოლფრამატების და ცირკონიუმი ტიტანიტების ხსენებისას მჭერმეტყველსაც დაებორკა ენა.

ქალაქში იცოდნენ ბიძაჩემი ეს მისატევებელი ნაკლი და, ბოროტად იყენებდნენ: უდარაჯებდნენ ძნელად წარმოსათქმელ რთულ ადგილებს, გამოჰყავდათ წონასწორობიდან, შემდეგ კი იცინოდნენ. ეს, რა თქმა უნდა, არაა ზრდილობის მაჩვენებელი, თუნდაც გერმანელისათვის და თუ ლიდენბროკის ლექციებს ყოველთვის დიდძალი მსმენელი ჰყავდა, ბევრი მხოლოდ იმიტომ არ აცდენდნენ მეცადინეობას, პროფესორის კეთილშობილური გაცხარებით გართულიყვნენ.

ასე თუ ისე, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ბიძაჩემი ნამდვილი მეცნიერი იყო. მართალია, ზოგჯერ ისე მეტისმეტად გაცხარდებოდა, რომ თვის ნიმუშებს ამსხვრევდა, მაგრამ მასში ერთმანეთს ერწყმოდა გეოლოგის ნიჭი და მინერალოგის მახვილი თვალი. ჩაქუჩით, ფოლადის ნემსით, მაგნიტური ისრით და აზოტისსიმჟავიანი შუშით შეიარაღებული, არავის ჩამოუვარდებოდა. ნებისმიერ მინერალს, ნატეხის გარეგნულ იერის, სიმაგრის, დნობადობის, სუნის, გემოს მიხედვით, უყოყმანოდ და შეუცდომლად მიუჩენდა ადგილს დღევანდელი მეცნიერებისათვის ცნობილ ექვსას მინერალურ სახეობათა შორის.

ამიტომაც იყო, რომ ლიდენბროკის სახელს პატივისცემით ახსენებდნენ გიმნაზიებსა და მეცნიერთა ეროვნულ ასოციაციებში. ბატონები - ჰემფრი დევი, ჰუმბოლდტი, კაპიტნი ფრანკლინი და საბინი, ჰამბურგში გავლისას შემთხვევას არ უშვებდნენ ენახათ პროფესორი. ბატონები ბეკერლი, ემელმენი, ბრიუსტერი, დიუმა, მილნ- ედვარდსი, სენტ-კლერ-დევილი სიამოვნებით მიმართავდნენ მას რჩევისათვის ქიმიის ფრიად საჭირბოროტო საკითხებზე. ქიმიური მეცნიერება უმადლოდა მას საკმაოდ მნიშვნელოვან აღმოჩენებს, ხოლო 1853 წელს, ლაიფციგში გამოვიდა პროეფსორ ოტო ლიდენბროკის დიდი შრომა in-folio სათაურით უ მ ა ღ ლ ე ს ი კ რ ი ს ტ ა ლ ო გ რ ა ფ ი ი ს ტ რ ა ქ ტ ა ტ ი, თან დართული ნახატებით; თუმცა წიგნმა გამოცემის ხარჯებიც კი ვერ დაფარა.

გარდა ამისა ბიძაჩემი იყო რუსეთის ელჩის, ბ-ს სტრუვეს, მინერალოგიური მუზეუმის მცველი. ეს ძვირფასი კოლექცია ევროპაში საყოველთაოდ იყო ცნობილი.

ასეთი იყო პიროვნება, ასე მოუთმენლად რომნ მიხმობდა. წარმოიდგინე ტანადი, გამხდარი და რკინის ჯანმრთელობის მქონე ადამიანი; ჭაბუკური ქერა თმა ათი წლით

მაინც აახალგაზრდავებდა ამ ორმოცდაათიოდე წლის კაცს. მოზრდილი სათვალის შუშებს იქით მოუსვენარი დიდი თვალები უბრწყინავდა; გრძელი და წვრილი ცხვირი გალესილ დანას უგავდა; ბოროტი ენები იმასაც კი ამტკიცებდნენ, ეს ცხვირი დამაგინტებულია და რკინის ნაქლიბსაც იზიდავსო. ეს კი ნამდვილად ცილისწამება იყო: იგი მხოლოდ თუთუნს იზიდავდა და რომ არ მოგატყუოთ, ძალიან უხვადაც.

იმასაც თუ დავუმატებთ, რომ ბიძაჩემს მათემატიკურად გამოზომილი ნახევარტუაზიანი[1] ნაბიჯი ჰქონდა და სიხარულისას მუშტებს ძლიერ კუმშავდა,

რაც მისი დაუდეგარი ხასიათის მაჩვენებელი იყო - თუკი კარგად გაიცნობდი ბიძაჩემს, მასთან ურთიერთობა მაინცდამაინც არ მოგინდებოდა.

იგი ცხოვრობდა კონიგშტრასეზე, ნახევრად ხისა და ნახევრად აგურისაგან აგებულ ფრონტონიან პატარა სახლში; სახლი ჰამბურგის უძველესი უბნის შუაგულში გამავალ არხს გადაჰყურებდა, რომელსაც, საბედნიეროდ, 1842 წლის ხანძარი არ შეხებია.

მართალია, ძველი შენობა ოდნავ გადაქანებული იყო და გამვლელებისაკენ გაეშვირა ღიპი; სახურავი ყურზე ჩამოფხატვოდა, ტუგენდბუნდელი სტუდენტის ქურდივით ჩანდა, და ვერც კედლების მდგომარეობა იყო მთლად სახარბიელო, მაინც საკმაოდ მედგრად უძლებდა ავბედობას ბებერი თელის წყალობით, რომელიც ამაგრებდა ფასადს და გაზაფხულზე აყვავებულ კვირტებით ზედ ფანჯრების მინებს ეყრდნობოდა.

გერმანელი პროფესორის პირობაზე ბიძაჩემი შეძლებული კაცი იყო. სახლი მთელი თვისი უძრავ-მოძრავი ქონებით მას ეკუთვნოდა. მოძრავ ქონებას მისი ნათლული გრაუბენი, ჩვიდმეტი წლის ფირლანდიელი[2] ქალიშვილი, მოსამსახურე ქალი მართა და მე შევადგენდით. მე, როგორც ძმისწული, თანაც ობოლი, პროფესორის დამხმარე-პრეპარატორი გავხდი.

გამოგიტყდებით, რომ გულიანად შევუდექი გეოლოგიურ მეცნიერებათა შესწავლას; მე ხომ მინერალოგის სისხლი მიდუღდა და ჩემი ძვირფასი ქვების საზოგადოებაში არასოდეს მომიწყენია.

კონიგშტრასეს ამ პატრა სახლში, მისი პატრონის სიფიცხის მიუხედავად, შეიძლებოდა ბედნიერად მეცხოვრა, თუმცა იგი ცოტა უხეშად მეპყრობოდა, მაგრამ მაინც ვუყვარდი.

ამ ადამიანს მოთმინება არ ჰყოფნიდა და უნდოდა თვით ბუნებისათვისაც კი გაესწრო.

აპრილში ჩარგავდა ხოლმე ქაშანურის ქოთნებში რეზედისა და ხვართქლას ჩითილს და ყოველ დილას ზრდის დასაჩქარებლად ფოთლებს ქაჩავდა.

ასეთ თავისებურ ადამიანთან ურთიერთობაში ერთადერთი გამოსავალი მორჩილება იყო. ამიტომაც გავეშურე მისი კაბინეტისაკენ.

მეორე თავი

ეს კაბინეტი ნამდვილ მუზეუმს მოგაგონებდათ. მინერალური სამყროს სამი ძირითადი კატეგორიის - საწვავი, ლითონური და ქვისებრი მინერალების ყველა ნიმუში აქ სრულ წესრიგში იყო დალაგებული.

რა კარგად ვიცნობდი ამ მინერალოგიურ სამშვენისებს! რამდენჯერ ყოფილა, ნაცვლად იმისა რომ თავი შემექცია ჩემს ტოლბიჭებში, სიამოვნებით გაცილებით მტვერს გრაფიტის, ანთრაციტის, ქვანახშირის, ლიგნიტისა და ტორფის ამ ნიმუშებს! ბიტუმს, ასფალტს, ორგანულ მარილებს ნუღარ იკითხვთ, მათ მტვრის უმცირეს ნაწილაკსაც არ ვაკარებდი. ახლა ლითონთა ნიმუშებს აღარ იტყვით! რკინიდან _____

1 ტუზი უდრის 1, 949 მ.

2 ადგილი ჰამბურგის ახლოს

მოყოლებული, ოქროთი დამთავრებული ყველა სამეცნიერო ნიმუში ტოლფასი იყო, მიუხედავად მათი შეფარდებითი ღირებულებისა. აქ იმდენი ქვა იყო, რომ კონიგშტრასეს სახლი ახლად აშენდებოდა და ერთი ზედმეტი, ჩემთვის შესაფერი ოთახიც გამოვიდოდა.

თუმცა კაბინეტში რომ შევიდოდი, ამ სასწაულების თავი არ მქონდა, - მხოლოდ ბიძაჩემზე ვფიქრობდი. იგი ჩაფლულიყო უტრეხტული ხავერდით გადაკრულ ღრმა

სავარძელში, ხელში ეჭირა წიგნი, რომესლაც უაღრესი აღტაცებით ფურცლავდა და გაკვირვებით იძახდა:

- რა წიგნია! რა წიგნი!

ამ წამოძახილმა შემახსენა, რომ პროფესორი ლინდებროკი დროდადრო ბიბლიომანიც ხდებოდა: მაგრამ წიგნს მის თვალში მხოლოდ მაშინ ჰქონდა ფასი, თუ მის შოვნას ვერ ახერხებდა ან, უკიდურეს შემთხვევაში, თუ მისი წაკითხვა შეუძლებელი იყო.

- ვერა ხედავ? - მომმართა მან, - ეს ხომ ფასდაუდებელი განძია, ამ დილით წავაწყდი ებრაელი ჰეველიუსის დუქანში წიგნებს რომ ვჩხრეკდი.

- საუცხოოა! - მივუგე მე ძალდატანებით აღტაცებით.

მართლაც, რა საჭირო იყო ამდენი აურზაური ერთი ძველი, ხბოს უხეშ ტყავში ჩასმული in-quarto ზომის გაყვითლებული წიგნის გულისათვის, გვერდის დასანიშნავად ფერგადასული ბაფთა რომ ჰქონდა დატანებული?

პროფესორის აღფრთოვანებულ წამოძახილეს ბოლო არ უჩანდა.

- შეხედეთ, ხომ მშვენიერია? - ეკითხებოდა იგი თავისთავს და თვითონვე პასუხობდა, - მართლაც რომ აღტაცების ღირსია! ნახე, როგორი ყდა აქვს! წიგნის გადაშლა ხომ არ გაძნელდება? არა, შეგიძლია ნებისმიერ გვერდზე გადაშალო! ახლა ესეც ვნახოთ, კარგად თუ დაიხურება? მშვენივრად, რადგან ყდა და ფურცლები კარგადაა შეკინძული, - ისეა შეკრული და მოწყობილი, რომ ერთმაეთს არ სცილდება. ერთი ამ ყუას დახედე, შვიდასი წლის წიგნს ერთი ნაფხაჭნიც არ ემჩნევა. ეჰ! ამ ყდით ხომ ბოზერიანი, კლოსი ან პურგოლდიც იამაყებდნენ!

ბიძაჩემი თან ლაპარაკობდა, თან შლიდა და ხურავდა ძველ წიგნს. მეტი საშველი აღრა იყო, ამ წიგნის შინაარსი უნდა მეკითხა, თუმცა სრულებით არ მაინტერესებდა.

- რა ჰქვია ამ ჩინებულ წიგნს? შევეკითხე პირმოთნედ და ნაძალადევი აღტაცებით.

- ეს ნაშრომი, - მიპასუხა ბიძაჩემმა კიდევ უფრო მეტი აღტყინებით, - მეთორმეტი საუკუნის განთქმ ული ისლანდიელი მწერლის სნორე ტურლესონის წიგნია. - "ჰეიმს-კრინგლა". - ისლანდიაში გამეფებული ნორვეგიელი ბტონიშვილების ქრონიკაა.

- მართლა?! - წამოვიძახე რაც შემეძლო მეტი სიხარულით, - ალბათ ამ ქრონიკის გერმანული თარგმანია?

- დიახ ერთი! - მკვირცხლაც მომიგო პროფესორმა, - თარგმანიაო. თრგმანი რაში მჭირდება, ვის რად უნდ შენი თარგმანი? ეს ორიგინალური ნაშრომი გახლავს იმ მშვენიერ, მდიდარ და იამვე დროს მარტივ ისლანდიურ ენაზე, რომეზედაც შეგიძლია სულ სხვადასხვანაირი გრამატიკული კომბინაცია იხმარო და სიტყვა ათასნაირად შეაბრუნო!

- როგორც გერმანულში, - მოსწრებულად ავუბი მხარი ბიძაჩემს.

- დიახ. მიპასუხა მან და მხრები აიჩეჩა, - თუ იმას არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ისლანდიურ ენაში, ბერძნულივით, სამი გრამატიკული სქესია და ლათინურივით აუღლებს საკუთარ სახელებს!

- ჰო-ო! - ვუპასუხე და სულ მთლად გულგრილი ვეღარ დავრჩი. - ამ წიგნის ასოები თუ არის მოხდენილი?

- ასოებიო! ასოებზე ვინ გელაპარაკება, საცოდავო აქსელ! განა ასოებშია საქმე! შენ ალბათ ნაბეჭდი წიგნი გგონია? უვიცო, ეს ხომ ხელნაწერია და თანაც, - რუნული მანუსკრიპტი!

- რუნული?

- დიახ! ახლა ამ სიტყვის ახსნა-განმარტებას ხომ არ მომთხოვ?

- ცხადია, არა, - ვუპასუხე მე თავმოყვარეობაშელახული ადამიანის ტონით.

მაგრამ ბიძაჩემი განაგრძობდა გატაცებით ლაპარაკს და, ჩემდა უნებლიეთ, ისეთ საკითხებში გამარკვია, რომელთა ცოდნას სულაც არ ვეტანებოდი.

- რუნები, - განაგრძო მან, - დამწერლობის ნიშნებია, ოდესღაც ისლანდიაში რომ ხმარობდნენ და, თუ გადმოცემას დავუჯერებთ, რუნების გამომგონებელი თვით ოდინი[1]

უნდა ყოფილიყო! დაიხედე, დატკბი, ურჯულოვ, ამ ნაწერით, თვით ღმერთის ფანტაზიმ რომ შექმნა!

სხვა პასუხის უქონლობის გამო, ვფიცავ, მზად ვიყავი პირქვე დავმხობილიყავი. ასეთი პასუხი ხომ ღმერთებსაც და მეფეებსაც უნდა მოსწონებოდათ, რადგან ყველასათვის უპრიანია. მაგრამ ამ დროს ერთმა მოულოდნელმა გარემოებამ საუბრის მიმართულება შეუცვალა.

აი რა მოხდა: წიგნიდან რაღაც ჭუჭყიანი პერგამენტის ნახევი გამოვარდა და იატაკზე დაეცა. ბიძაჩემი სრულიად გასაგები სიხარბით დააცხრა ამ უმნიშვნლო ნივთს. უხსოვარი დროიდან ძველ წიგნში ჩარჩენილ დოკუმენტი უთუოდ დიდი ღირებულებისა იყო მის თვალში.

- ეს რა არის? - წამოიძახა მან. და მყისვე ფრთხილად გაშალა მაგიდაზე ხუთი დიუმის სიგრძისა და სამი დიუმის სიგანის პერგამენტის ნახევი. მასზე ზემოდან ქვემოთ სვეტებად იყო ჩარიგებული ასოები.

აი, მისი ზუსტი ფაქსიმილე. მინდა ეს საკვირველი ნიშნები გაგაცნოთ, რადგან მათი საბაბით პროფესორმა ლიდენბროკმა და მისმა ძმისწულმა წამოიწყეს მეცხრამეტე საუკუნის ყველაზე უცნაური ექსპედიცია:

რამდენიმე წამს პროფესორი ათვალიერებდა ნიშანთა ამ მწკრივს; შემდეგ სათვალე ასწია და თქვა:

- რუნული ნაწარი, ნიშნები სავსებით ემთხვევა სნორე ტურლესონის ხელნაწერს! მაგრამ ... ნეტა რას უნდა ნიშნავდეს?

ვინაიდან რუნული დამწერლობა მეცნიერტა მიერ უბრალო ადამიანეის გასაპამპულებლად შეთხზული რამ მეგონა, ამიტომ სრულიად არ მწყენია, როდესაც დავინახე, რომ, თურმე, ბიძაჩემს რუნულისა არაფერი გაეგება. ყოველ შემთხვევაში, ასე მომეჩვენა მისი ნერვიულად ათამაშებული თითების დანახვაზე.

- არა, ეს მაინც ძველი ისლანდიურია! -ბურტყუნედა იგი.

რადგანაც პროფესორი ლიდენბროკი ნამდვილ პოლიგლოტად მიაჩნდათ, ამ ენაშიაც იგი კარგად უნდა გარკვეულიყო. მართალია, დედამიწის ზურგზე

---

1 ოდინი - სკანდინავიურ მითოლოგიაში ღმერთებს შორის უზენაესი.

გავრცელებულ ორი ათას ენასა და ოთხიათას დიალექტზე თავისუფლად ვერ ლაპრაკობდა, მაგრამ მათი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც იცოდ.

ეს დაბრკოლება ახლა მის ფიცხ ხასიათს აფორიაქებდა და უკვე მოველოდი, რომ ამას აფეთქება მოჰყვებოდა, მაგრამ ამ დროს ბუხრის პატარა საათმა ორი დარეკა.

იმავე წუთს მართამ კაბინეტის კარი შემოაღო და თქვა:

- წვნიანი მოგართვათ.

- ჯანდაბას წვნიანი, - წამოიძახა ბიძაჩემმა, მზარეულიცა და მჭამელიც წყალს წუღია!

მართა გაიქცა. მეც კვალდაკვალ მივყევი და არ ვიცი, როგორ აღმოვჩნდი სასადილო ოთახში, მაგიდასთან, ჩემს ჩვეულებრივ ადგილზე.

რამდენიმე წამს ველოდი. პროფესორი არ გამოჩნდა. რამდენადაც ვიცოდი, იგი პრიველად ღალატობდა სადილის ცერემონიალს. თანაც როგორი სადილისას! ოხრახუშის წვნიანი და დესერტად შაქარმოყრილი კრევეტები. ყოველივე ამას მოზელის საამო ღვინოს ვაყოლებდი. აი, რად დაუჯდა ბიძაჩემს რაღაც ძველისძველი ფარატინა ქაღალდი. ღმერთმანი, როგორც ერთგულმა ძმისწულმა ვალდებულდ ჩავთვალე თავი, მის მაგივრად დავნაყრებულიყავი, და კეთილსინდისიერად შევასრულე ეს ვალი.

- რას მოვესწარი! - აწუწუნდა მართა. - ბ-ნი ლიდენბროკი არ სადილობს!

- დაუჯერებელია!

- რაღაც სახიფათო ამბის მომასწავებელია! - განაგრძო მოხუცმა ქალმა და თავი გაიქნია.

ჩემი აზრით, მისი აქ არყოფნა სახიფათო არ იყო, ბიძაჩემი, უბრალოდ, აყალმაყალს ატეხდა, სადილად რომ ნარჩენები დაუხვდებოდა.

ის იყო უკანასკნელი კრევეტი უნდა შემესანსლა, რომ მძვინვარე ხმამ მომწყვიტა დესერტის სიტკბოებას. სასადილო ოთახიდან ერთი ნახტომით კაბინეტში აღმოვჩნდი.

მესამე თავი

- ნამდვილი რუნულია, - მითხრა პროფესორმა და შუბლი შეიკრა, აქ რაღაც საიდუმლოა, მე მას აღმოვაჩენ, ან არა და... მკვეთრი ჟესტით დაასრულა თავისი აზრი ლიდენბროკმა.

- აქ დამიჯექი, - განაგრძო მან და მუშტით მაგიდისაკენ მიმანიშნა. - დაწერე.

იმავე წამს მზად ვიყავი.

- ახლა მე გიკარნახებ ჩვენი ანბანის ასოებს, ამ ისლანდიურ ნიშნებს რომ შეესაბამებს. ვნახოთ რას მივიღებთ, მაგრამ, წმინდა მიქაელს გაფიცებ! ფრთხილად, არ შეცდე!

კარნახი დაიწყო. რაც შემეძლო ვცდილობდი. ბიძაჩემი მიყოლებით ასოს ასოზე მკარნახობდა, სიტყვა სიტყვას მოჰყვა, მაგრამ აბდაუბდა გამოვიდა:

m. rnlls	esreuel	seecade
sgtssmf	unteief	nidrke
kt, samn	atrateS	Saodrrn
emtnael	nuaect	rrilSa
Atvaar	nscrc	ieaabz
ccdrmi	eeutul	frantu
dt, iac	oseibo	Kediil

როდესაც ეს სამუშაო დავასრულე, ბიძაჩემმა მკვირცხლად დასტაცა ხელი ნაწერს და დიდხანს ყურადღებით ათვალიერებდა.

- რას ნიშნავს ეს? - იმეორებდა იგი.

მართალი გითხრათ, ვერაფერს ვუპასუხებდი, თუმცა პროფესორი ლიდენბროკი არც არაფერს მეკითხებოდა და თავისთვის განაგრძობდა:

- კრიპტოგრამას რომ ვუწოდებთ, - ნამდვილად ისაა, აქ განზრახ აღრეული ასოების აზრს ნიღბავენ, მაგრამ თუ მათ სათანადოდ განვალაგებდით, გასაგებ წინადადებას მივიღებთ. მასში, შესაძლოა, აზრის ახსნაა ან მითითება რომელიმე დიდი აღმოჩენისა!

ჩემთვის რომ ეკითხათ, აქ სრულიად არაფერი არ იმალებოდა, მაგრამ ამ ჩემს აზრს ფრთხილად ჩემთვის ვინახავდი.

ამასობაში პროფესორმა წიგნი და პერგამენტი ერთმანეთს შეადარა.

- ეს ორი ხელნაწერი ერთი ხელით არის დაწერილი, - თქვა მან. - კრიპტოგრამა წიგნზე უფრო გვიანდელია. ამის უეწველ საბუთს შემდეგში ვხედავ - პირელი ასო არის ორმაგი M, რომელსაც ამაოდ თუ დავუწყებდით ძებნას ტურლესონის წიგნში, ვინაიდან ეს ასო ირლანდიურ ანბანს მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნეში დაუმატეს. ისე რომ, ხელნაწერსა და დოკუმენტს ერთმანეთისაგან სულ ცოტა ორასი წელი მაინც აშორებს.

უნდა ვაღიარო, რომ ეს განმარტება საკმაოდ ლოგიკურად ჩავთვალე.

- ეს კი იმას მაფიქრებინებს, - განაგრძო ბიძაჩემმა, - რომ ეს საიდუმლო ასოები ამ წიგნის ერთ-ერთმა პატრონმა დაწერა. მაგრამ, ვინ იყო ეს მფლობელი? ამ ხელნაწერის რომელიმე ფურცელზე ხომ არ მიუწერია მას თავისი სახელი?

ბიძაჩემმა სათვალე აიწია, აიღო მძლავრი გამადიდებელი შუშა და დაკვირვებით გაავლოთ თვალი წიგნის პირველ გვერდებს. მეორე გვერდს უკანა მხარეს მან რაღაც შენიშნა, ერთი დანახვით მელნის ლაქას რომ ჰგავდა. მაგრამ, თუ დააკვირდებოდი, შეიძლებოდა ნახევრად წაშლილი რამდენიმე ასო გაგერჩია. ბიძაჩემი მიხვდა, რომ სწორედ ეს იყო ყველაზე სინტერესო ადგილი; დაჟინებით ჩააშტერდა ლაქასა და, ბოლოს და ბოლოს ამოიცნო რუნული დამწრელობა. მან ადვილად ამოიკითხა:

- არნე საკნუსემ! - წამოიძახა მან გამარჯვებული ხმით, - ეს ხომ სახელია, თანაც ისლანდიური სახელი, მეთექვსმეტე საუკუნიც მეცნიერის, ცნობილი ალქიმიკოსის სახელი!

ცოტა არ იყოს აღტაცებით შევხვდი ბიძაჩემს.

- ალქიმიკოსები, - განგრძო მან, - ავიცენა, ბეკონი, ლიული. პარაცელსი თავისი დროის ჭეშმარიტი და ერთადერთი მეცნიერები იყვნენ. მათ ისეთი აღმოჩენები ჰქონდათ, რომლებიც მხოლოდ გაკვირვებას იწყვევენ. ჰოდა, რატომ არ შეეძლო საკუნსემს ამ გაუგებარი კრიპტოგრამის მეშვეობით დაემალა რაღაც საოცარი აღმოჩენა? ასე უნდა იყოს. ნამდვილად ასეა.

ამ ჰიპოთეზამ ცეცხლი წაუკიდა პროფესორის წარმოდგენას.

- უთუოდ, - გავბედე მე, - მაგრამ რა მიზეზი უნდა ჰქონოდა ამ მეცნიერს, რომ გადაემალა ეს სასწაულებრივი აღმოჩენა?

- რატომ? რისთვის? აბა რა ვიცი? განა, გალილეი ასევე არ მოიქცა სატურნის მიმართ? ბოლოს გამოჩნდება, როდესაც მივაგნებ ამ დოკუმენტის საიდუმლოებას, მანამ კი, სანამ არ გამოვიცნობ, არცა ვჭამ და არც დავიძინებ.

"ესეც საქმე!" - გავიფიქრე ჩემთვის.

- არც შენ, ჩემო აქსელ, - განაგრძო მან.

"ეშმაკმა დალახვროს!~ - ვუთხარი ჩემს თავს, - კიდევ კარგი ორი კაცის არჩივი შევჭამე!

- პირველად ყოვლისა კი, საჭიროა ამ "შიფრის" ენის ამოცნობა. ეს კი რთული არ უნდა იყოს.

ამ სიტყვების გაგონებაზე თავი ავწიე. ბიძაჩემი განაგრძობდა თავის თავთან საუბარს.

- ამაზე ადვილი რა უნდა იყოს! ამ დოკუმენტში ას ოცდათორმეტი ასოა; სამოცდაცხრამეტი თანხმოვანი და ორმოცდაცამეტი ხმოვანი. ჰოდა, დაახლოებით ასეთივე პროპორციითაა წარმოებული სამხრეთული ენები, მაშინ როდესაც ჩრდილოეთის ენები გაცილებით უფრო მდიდარია თანხმოვნებით. ასე რომ, საქმე გვაქვს სამხრეთულ ენასთან.

ეს დასკვნა სავსებით სწორი იყო, მაგრამ უნდა გაგვეგო, რომელი ენა იყო სახელდობრ?

- ეს საკნუსემი, განაგრძო პროფესორმა, - განათლებული ადამიანი იყო და ვინაიდან ამ შემთხვევში თავის მშობლიურ ენაზე არა წერდა, მას უთუოდ აერჩია განათლებულ ადამიანთა შორის მეთექვსმეტე საუკუნეში ყველაზე უფრო გავრცელებული ენა - ლათინური მაქვს მხედველობაში. თუ შევცდი, შემიძლია ვცადო ესპანური, ფრანგული, იტალიური, ბერძნული, ებრაული. მაგრამ მეთექვსეტე საუკუნის მეცნიერები ჩვეულებრივ ლათინურად წერდნენ. ასე რომ a priori უფლება მაქვს ვთქვა: ლათინურია.

ფეხზე წამოვხტი, აღმაშფოთ იმ ვარაუდმა, რომ სიტყვათა ეს ჭრელი გროვა შეიძლება ვერგილიუსის ტკბილ ენას მიკუთვნებოდა, მე რომ ყმაწვილობაში შევისწავლე.

- დიახაც ლათინური, - განაგრძო ბიძაჩემმა, - ოღონდ არეული ლათინური.

"კეთილი და პატიოსანი! - გავიფიქრე მე. - შენ თუ ამას გაარჩევ, ბიძაჩემო, მართლაც საზრიანი იქნები".

- კარგად დავაცქერდეთ, - თქვა და კვლავ აიღო ჩემ მიერ დაწერილი ფურცელი, - აი, ეს ას ოცდათორმეტ ასოიანი მწკრივი აშკარად არეულია. აქ პირველ რიგის სიტყვებით - "nrnlls" - მხოლოდ თანხმოვნები გვხვდება, მაგრამ არის ისეთებიც, სადაც პირიქით, ხმოვანება უხვადაა, როგორც მაგალითად, მეხუთე სიტყვაში "uneeief", ან ბოლოდან პირველ სიტყვაში "oseibo". ეს განლაგება კი ცხადია, განგებ არ ყოფილა კომბინირებული: იგი მიღებულია მათემატიკურად იმ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, რომელმაც განაპირობა ამ ასოთა თანმიმდევრობა. უდავოდ მეჩვენება, რომ თავდაპირველი წინადადება ჩვეულებრივად იყო დაწერილი, შემდეგ კი შეცვალეს რომელიღაც წესის მიხედვით, რომლის აღმოჩენაა საჭირო. ვის ხელშიც აღმოჩნდება ამ "შიფრის" გასაღები, ადვილად გაერკვევა ნაწერში. მაგრამ რომელია ეს გასაღები? აქსელ, შენ ხომ არა გაქვს ეს გასაღები?

ამ შეკითხვაზე ვერაფერი ვუპასუხე გასაგები მიზეზების გამო. ამ დროს მივჩერებოდი კედელზე ჩამოკიდებულ მომხიბლავ გრაუბენის პორტრეტს. ბიძაჩემის აღზრდილი იმჟამად

ალტონში იმყოფებოდა, ნათესავთან, რაც ძალიან მაღონებდა. ვინაიდან - ახლა ამის გამხელა შემიძლია - ლამაზ ფირლანდიელ ქალს და პროფესორის ძმისწულს ერთმანეთი უყვარდათ მთელი გერმანული მუდმივობით და თავდაჭერილობით. ჩვენ ისე დავნიშნეთ, რომ ბიძაჩემს არც გაუგია: იგი მეტისმეტად გეოლოგია, რომ ამგვარი გრძნობები გაიგოს. გრაუბენი მომხიბლავი ქერა ქალიშვილი იყო, ცისფერთვალება, ჭკვიანი, ოდნავ დაფიქრებული, დინჯი და აუჩქარებელი, რაც სრულიად არ ამცირებდა მის ჩემდამი სიყვარულს. ჩემსას თუ იკითხავთ, - მე მას ვაღმერთებდი, თუკი ეს ზმნა არსებობს ძველ გერმანულ ენაში! ამრიგად, ჩემი პატარა ფირლანდიელი ქალის ხატებამ წამით მომწყვიტა რეალურ სამყაროს და გადამიყვანა ოცნებისა და მოგონებათა სამყაროში.

თვალწინ დამიდგა ერთგული მეგობარი, ყოველდღე რომ მეხმარებოდა ბიძაჩემის ძვირფასი ქვების დალაგებაში, ჩემთან ერთად უკეთებდა წარწერებს. მადმუაზელ გრაუბენი მინერალოგიის დარგში მრავალ მეცნიერს ტოლს არ უგდებდა. მას უყვარდა მეცნიერების რთულ საკითხებში ჩაწვდომა. რამდენი ტკბილი წუთი გააგვიტარებია ერთად სწავლის დროს! და რამდენჯერ შემშურებია იმ უგრძნობ ქვათა ხვედრი, რომლებსაც იგი ეხებოდა თავის მომხიბლავი თითებით!

შემდეგ შესვენების დრო რომ დადგებოდა, ორივენი გავდიოდით, მივუყვებოდით ალსტერის დაბურულ ხეივნებს, და ერთად მივდიოდით ხოლმე ძველ, მაზუთით გასვრილ წისქვილთან, ასე ლამაზად რომ ჩანდა ტბის მოპირდაპირე ნაპირზე, გზად ხელიხელჩაკიდებულნი ვსაუბრობდით. ჩემს ნაამბობზე მას გულიანად ეცინეოდა. ასე მივაღწევდით ხოლმე ელბის ნაპირამდე, დავემშვიდობებოდით გედებს, დიდ თეთრ დუმფარებს შორის რომ ცურავდნენ, და გემით ვბრუნდებოდით შინ.

ამ ოცნებიდან მაგიდაზე ბიძაჩემის მუშტის დარტყმამ გამომარკვია.

- განვიხილოთ, - თქვა მან, - იმისათის, რომ წინადადები არევა მოინდომო, ჩემი აზრით, სიტყვები უნდა დაწერო ვერტიკალურად ნაცვლად ჰორიზონტალურისა. ვნახოთ, რას მოგვცემს ასეთი წყობა, აქსელ, დაწერე რაიმე წინადადება ქაღალდის ამ ნაგლეჯზე; მაგრამ, ნაცვლად იმისა, რომ ასოები ერთი მეორის მიყოლებით დაწერი, თანმიმდევრულად დააწყვე ვერტიკალურ სვეტებად, ისე რომ ხუთ-ხუთად, ან ექვს-ექვსად დააჯგუფო.

მიხვდი, რასაც მთხოვდა, და მაშინვე ჩამოვწერე ზევიდან ქვემოთ:

ძ ნ ა, პ ა ბ
ა მ რ ჩ ა გ ე
ლ ი ხ ე ტ რ ნ
ი ყ ა მ ა ა!
ა ვ რ ო რ უ

- კეთილი, - თქვა პროფესორმა, ისე, რომ არც წაუკითხვს, - ახლა ეს სიტყვები ჰორიზონტალურ ხაზად დაალაგე.

დავემორჩილე და მივიღე შემდეგი წინადადება:

ძნა, პაგ ამრჩაგე ლიხეტრნ იყამაა! ავრორუ

- ჩინებულია! - თქვა ბიძაჩემმა და ხელიდან გამომგლიჯა ქაღალდი. აი, ეს კი ძველ დოკუმენტს ჰგავს: ხმოვნები, ისევე როგორც თანხმოვნები, არეულადაა დაჯგუფებული: შუა სიტყვაში ასომთავრულიც კია ჩართული, მძიმეც, ზუსტად ისევეა, როგორც საკნუსემის პერგამენტში!

ეს შენიშვნები ჩემდაუნებურად მეტად ჭკუამახვილურად ჩავთვალე.

- ხოლო, - განაგრძო ბიძაჩემმა და უშუალოდ მე მომმართა, - შენ მიერ დაწერილი ჩემთვის უცნობი წინადადების წასაკითხად, საკმარისია, ავიღოთ თითოეული სიტყვის პირველი ასო, შემდეგ მეორე, მესამე და ასე სხვებიც მივაყოლოთ.

ბიძაჩემმა თავისდა და უფრო კი ჩემდა განსაცვიფრებლად წაიკითხა:

- ძ ა ლ ი ა ნ მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ, ჩ ე მ ო პ ა ტ რ ა გ რ ა უ ბ ე ნ!

- რაო! - წამოიძახა პროფესორმა.

აზრადაც არ მომსვლია, მიამიტ შეყვარებულს, ისე დამიწერია თავის მამხილებელი წინადადება!

- მაშ შენ გრაუბენი გიყვარს? - განაგრძო ბიძაჩემმა მეურვის კილოთი.

- დიახ... არა... - წავივბურყუნე მე.

- მაშ ასე, შენ გიყვარს გრაუბენი! - განაგრძო მან დაუფიქრებლად. თუ ასეა, მივუყენოთ ეს ხერხი ჩვენს დოკუმენტს!

ბიძაჩემი კვლავ მთელის გულისყურით ჩაეფლო თავის ფიქრებში, დოკუმენტს აკვირდებოდა, მაშინვე გადაავიწყდა ჩემი წინდაუხედავი სიტყვები, წინდაუხედავს იმიტომ ვამბობ, რომ მეცნიერის გონება ვერ ჩასწვდებოდა ჩემს გულისთქმას. საბედნიეროდ, პერგამენტის საიდუმლოს ამოხსნის წადილმა სძლია.

წამით, როდესაც პროფესორი ლიდენბროკი მთავარი ცდის ამოხსნას შეუდგა, სათვალეს მინებიდან მისმა თვალებმა გაიელვა. აიღო თუ არა ხელში ძველი პერგამენტი, თითები აუკანკალდა, ნამდვილად აღელვებული იყო. ბოლოს ძლიერად დაახველა და ბოხი ხმით წარმოთქვა თითოეული სიტყვა ჯერ პირველი ასო, შემდეგ მეორე, შემდეგ მესამე და, ამრიგად, მიკარნახა:

mmessunkaSenrA. icefdok. segnittamurtn
ecertserrette, rotaivsadu, endecsedsane
lacartniiilujsiratrac Sarbmutabiledmek
meretarcsilucolsleffenSnl

უნდა ვაღიარო ავღელდი; ეს ასოები, თითო-თითოდ წარმოთქმული, არაფერს მეუბნებოდა; ამიტომ ველოდებოდი, რომ პროფესორს წარმოეთქვა ლათინურად შესანიშნავად გამართული წინადადება.

მაგრამ ამას კი ვინ წარმოიდგენდა! მუშტის ძლიერმა დარტყმამ შეაზანზარა მაგიდა. მელანი დაიღვარა, კალამი ხელიდან გამივარდა:

- ეს არ არის! - წამოიძახა ბიძაჩემმა, - ამას არავითარი აზრი არა აქვს!

შემდეგ პროფესრომა ლიდენბროკმა გავარდნილ ყუმბარასავით გადასერა კაბინეტი, ზვავივით დაეშვა კიბეზე, გავარდა კონიგშტრასზე და სულმოუთქმელად გაიქცა.

მეოთხე თავი

- წავიდა? - იკითხა შეშინებულმა მართამ, როდესაც ჭიშკარის ბრახუნმა მთელი სახლი შეაზანზარა.

- დიახ! - ვუპასუხე მე, - სულ წავიდა!

- სადილს რას უშვება? - თქვა მოხუცმა მოახლემ.

- არ ისადილებს!

- ვახშამი?

- არც ივახშმებს.

- როგორ? - გაიკვირმა მართამ და გულზე ხელები დაიკრიფა.

- არ, ჩემო კარგო მართა, აღარც ის შეჭამს რამეს და აღარც სხვა ამ სახლში! ბიძაჩემმა ლიდენბროკმა ჩენ ყველანი უნდა გვამარხულოს, მანამ, სანამ ერთ ძველ ნაჯღაბს ამოიკითხავდეს, მისი ამოკითხვა კი სრულიად შეუძლებელია.

- ქრისტე მაცხოვარო! მაშ მეტი არაფერი დაგვრჩენია, შიმშილით უნდა დავიხოცოთ!!

იმის აღიარება ვერ გავბედე, რომ ბიძაჩემისთანა უწყალო ადამიანის ხელში მხოლოდ ეს გარდაუვალი ხვედრი გველოდა.

ძალზე აღელვებული მოხუცი ქალი ოხვრით დაუბრუნდა თავის სამზარეულოს.

როდესაც მარტო დავრჩი, გავიფიქრე, წავსულიყავი და ყოველივე გრაუბ ენისათვის მეამბნა, მაგრამ სახლი როგორ დამეტოვებინა? პროფესორი ყოველ წამს შეიძლება დაბრუნებულიყო და რომ დავეძახე? თუ მოინდომებდა ამ ლოგოგრიფის ამოცნობის

გაგრძელებას, რომელის წინაშე უძლური აღმოჩნდებოდა თვით მოხუცი ოიდიპოსიც, მე რომ არ ვუპასუხებდი მის ძახილს, მაშინ რა მოხდებოდა?

ყველაზე გონივრული ადგილზე დარჩენა იყო. სწორედ იმ ხანებში ერთმა ბეზანსონელმა მინერალოგმა გამოგვიგზავნა კაჟის გეოლოგების კოლექცია, რომლის კლასიფიცირება იყო საჭირო. მუშაობას შევუდექი. გავარჩიე, წარწერები გავუკეთე, თავის ალაგას მინიან კარადაში ჩავაწყე ყველა ეს ღრუ ქვები, რომლებშიაც პატარ კრისტალები ელვარებდა.

მაგრამ ამ საქმემ ვერ გამიტაცა. ძველი დოკუმენტის გამოცნობა კვლავინდებურად მაფიქრებდა, ტვინი ამიდუღდა და უაღრესად შევწუხდი. მაწუხებდა გარდუვალი კატასტროფის წინათგრძნობა.

ერთი საათის შემდეგ ჩემი ჟეოდები უკვე წესისა და რიგის მიხედვით დავალაგე, უტრეხტის სავარძელში ჩავეში, ხელები დავუშვი და სავარძელში ჩავესვენე. მოვუკიდე ჩემს გრძელ, მოგრეხილ ყალიონს, რომლის გამოძერწილი ტარი უდარდელად წამოწოლილ ნაიადას წარმოადგენდა, თავს ვიქცევდი იმით, რომ თვალს ვადევნებდი წვას, თანდათან ჩემს ნაიადას ნამდვილ ზანგის ქალად რომ აქცევდა. დროდადრო ყურს ვუგდებდი ხომ არ ისმოდა კიბეზე ფეხის ხმა. მაგრამ არა. სად უნდა ყოფილიყო ახლა ბიძაჩემი? წარმოვიდგინე, რომ იგი გარბოდა ალტონის გზის მშვენიერ ხეივანში, ხელებს იქნევდა, ჯოხს ურტყამდა კედელს, გაშმაგებული ბალახს ცელავდა, თავს აცლიდა ნარგავებს და ცალუღელა ყარყატებს აფრთხობდა.

როგორ დაბრუნდებოდა სახლში - გამარჯვებული თუ იმედგაცრუებული? ვინ ვის სძლევდა, პროფესორი საიდუმლოს, თუ პირიქით? ასე ვეკითხებოდი ჩემს თავს. უფიქრელად ავიღე ქაღალდის ფურცელი, რომელზეც ჩემ მიერ გამოყვანილი ასოთა წყება იყო ჩამწკრივებული. თავს ვეკითხებოდი:

- "რას ნიშნავს ყოველივე ეს?"

ვეცადე ასოები ისე დამელაგებინა, რომ სიტყვები გამოსულიყო. შეუძლებელი აღმოჩნდა! ვაერთებდი ორ-ორს, სამ-სამს, ხუთ-ხუთს, ექვს-ექვსს, მაგრამ ამოცანის ვერავითრ ამოხსნას ვერ ვხედავდი. მართალია, მეთოთხმეტე, მეხუთმეტე და მეთექვსმეტე ასოები ადგენდნენ ინგლისურ სიტყვას "rota". ოთხმოცდამეოთხე, ოთხმოცდამეხუთე და ოთხმოცდამეექვსე შეადგენდა სიტყვას "sir" და ბოლოს, თვითონ დოკუმენტის ტექსტში, მესამე პწკარში, შევნიშნე აგრეთვე ლათინური სიტყვები "mutabile" "ira", "nec", "atra".

"ეშმაკმა დალახვროს, - გავიფიქრე, - ეს ბოლო სიტყვები თითქოს ამართლებენ ბიძაჩემის მოსაზრებას დოკუმენტის ენის შესახებ და კიდევ, მეოთხე პწკარში, ვამჩნევს სიტყვას "tabiled", რომელიც ითარგმნება როგორც "წმინდა ტყე". მართალია, მესამე პწკარში იკითხება სიტყვა "mer", რომლის ფორმა წმინდა ებრაულია, ხოლო უკანასკნელ პწკარში - სიტყვები "mere" რომლებიც პირწმინდად ფრანგულია".

ყოველივე ამან თავბრუნ დამახვია! ოთხი სხვა და სხვა ენა ამ შეუსაბამო წინადადებაში! რა კავშირი შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთ სიტყვებს შორის: "ყინული, ბატონი, გაბრაზება, ულმობელი, წმინდა ტყე, ცვალებადი, დედა, თაღი ან ზღვა? ადვილად მხოლოდ პირველი და უკანასკნელი სიტყვის დაახლოება ხერხებოდა: საკვირველი არაფერი იქნებოდა, რომ ისლანდიაში დაწერილ დოკუმენტში ლაპარაკი ყოფილიყო "გაყინულ ზღვაზე", მაგრამ საქმე ისაა, რომ აქედან გამომდინარე, მთელი კრიპტოგრამა გაგეშიფრა.

ამგვარად, გადაულახავ სიძნელეს ვებრძოდი, ტვინი მიხურდა, თვალები ქაღალდის ფურცლისაკენ გამირბოდა: ასოცდათომეტივე ასო, თითქოს, ჩემს ირგვლივ დაფრინავდა, როგორც ის ვერცხლის წვეთები, ჰერში რომ დაჰქრიან ხოლმე ჩვენს ირგვლივ, როდესაც თავში სისხლი აგვივარდება.

როცა ჰალუცინაციაში ვიყავი; ვიგუდებოდი; ჰაერი მაკლდა, უნებლიედ ქაღალდის ფურცელი მარაოდ ვიხმარე, ხან ფურცლის პირით გვერდსა ვხედავდი, ხანაც მის მეორე, უკანა გვერდს.

როგორ გავვოცდი, როდესაც, უეცრად ქაღალდის ფურცლის მეორე გვერდზე მომეჩვენა, რომ დავინახე ადვილად ამოსაკითხი ლათინური სიტყვები, მათ შორის "Craterem" და "terrestre". .

გონებას ნათელი მოეფინა; მხოლოდ ამ ნიშნებმა ჩამახედვინა ჭეშმარიტებაში; მე აღმოვიჩინე შიფრის აგების წესი! ამ დოკუმენტის წასაკითხავდა ფურცლის შებრუნება არც კი იყო აუცილებელი! არა. იმ სახითაც, როგორითაც დოკუმენტი მიკარნახეს, ადვილად ხერხდებოდა მისი ამოკითხვა. პროფესორის ყველა მოსწრებულ კომბინაციას ხორცი ესხმებოდა. ლინდერბორკი მართალი იყო ასოების განლაგებაში, მართალი იყო იმაში, რაც დოკუმენტის ენას ეხებოდა! რაღაც "წვრილმანი" დარჩენოდა, რომ შეძლებოდა თავიდან ბოლომდე წაეკითხა ეს ლათინური წინადადება და ეს "წვრილმანი" კი ბედმა მე გამიმხილა!

გასაგებია როგორ ავღელდი! თვალს ბინდი გადამეკრა, ვეღარაფერს ვარჩევდი. მაგიდაზე გავშალე ქაღალდის ფურცელი. ახლა საკმარისი იყო, მისთვის ერთხელ გადამევლო თვალი, რომ საიდუმლოს მფლობელი გავმხდარიყავი.

როგორც იქნა, შევძელი მღელვარების დაოკება. თავი ვაიძულე ორჯერ შემომევლო ოთახი, რათა ძარღვები დამემშვიდებინა და კვლავ ფართო სავარძელში ჩავეშვი.

- გადავიკითხოთ, - წამოვიძახე და ღრმად ჩავისუნთქე.

მაგიდაზე დავიხარე; თანმიმდევრულად თითს ვადებდი თითოეულ ასოს და შეუჩერებლივ, ისე რომ ერთ წამსაც არ მიყოყმანია, ხმამაღლა წარმოვთქვი მთელი წინადადება. მაგრამ როგორმა გაოცებამ, როგორმა შიშმა შემიპრყო! ჯერ თითქოს რაღაც დამკრეს და ამ დარტყმამ გამაშეშა. როგორ! ის, რაც მე ახლა შევიტყვე, მოხდა?! ადამიანმა გაბედა ჩასვლა!..

- არა! - წამოვიძახე მე და წამოვხტი, - არა! ბიძაჩემმა ეს არ უნდა გაიგოს! იგი თვითონვე შეეცდება! მას ვერაფერი დააკავებს, ასეთ მამაც გეოლოგს! იგი მაინც გაემგზავრება, ყველაფერის მიუხედავად, არაფერს შეეპუება, მეც თან წამიყანს და იქიდან კი რაღას დავბრუნდები! არასოდეს! არასოდეს!

გადმოცემაც კი შეუძლებელია, როგორ ვიყავი აღელვებული.

- არა! არა! ეს არ მოხება, - ვთქვი მე მტკიცედ, - და რახან შემიძლია შევაფერხო ამგვარი აზრი ჩემი მტარვალის გონეაში გაელვება, ასეც უნდა მოვიქცე. ვინ იცის, ბიძაჩემმა შემთხვევით იქნებ მის გასაღებს მიაგნოს, მაშ მოვსპოთ დოკუმენტი.

ბუხარში ცეცხლი ჯერ კიდევ ენთო. ის იყო ხელი დავავლე არა მხოლოდ ქაღალდის ფურცელს, საკნუსემის პერტამენტსაც და ვაპირებდი ყველაფრის ცეცხლში ჩაყრას, ამ საშიში საიდუმლოს მოსპობას, რომ კაბინეტის კარი გაიღო და გამოჩნდა ბიძაჩემი.

მეხუთე თავი

სულზე მოვასწარი უიღბლო დოკუმენტის მაგიდაზე დადება.

პროფესორი ლიდენბროკი ღრმად ჩაფიქრებული ჩანდა. მთავარი ამოცანა წამითაც არ ასვენებდა. მან, რა თქმა უნდა, შეისწავლა, აწონ-დაწონა საქმე, დაძაბა სეირნობის დროს მთელი თავისი გონება და შინ დაბრუნდა იმისათვის, რომ რაღაც ახალი ხერხი გამოეყენებინა.

მართლაც, სავარძელში ჩაჯდა და კალმით ხელში შეუდგა რაღაც ფორმულის გამოყავნას, რომელიც ალგებრულ განტოლებას ჰგავდა.

თვალს ვადევნებდი ბიძაჩემის აცახცახებულ ხელს; არცერთი მოძრაობა არ გამომრჩენია. მოულოდნელად ხომ არ წააწყდებოდა საიდუმლოებას? ვკანკალებდი, მაგრამ ამაოდ, ვინაიდან ნამდვილი ხერხი, "ერთადერთი", უკვე გამონახული იყო და რომელიმე სხვისი ძიება თავისთავად ფუჭი იქნებოდა.

გრძელი სამი საათის განმავლობაში ბიძაჩემმა სიტყვის ამოუღებლივ იმუშავა, ისე რომ თავი არ აუწევია, წაშლიდა, ამოსავალ წერტილს დაუბრუნდეობდა, გადახაზავდა, მეათასედ თავიდან იწყებდა.

კარგად ვიცოდი, თუკი იგი მოახერხებდა ამ ასოთაგან შედგენილ ყველა შესაძლებელ სიტყვათა შედგენას, ბოლოს საძიებელ წინადადებას მაინც მიაგნებდა, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ მხოლოდ ოცი ასოსაგან შეიძლებოდა ორი კვინტილიონ, ოთხას ოცდათორმეტი კატრილიონ, ცხრაას ორი ტრილიონ, რვა მილიარდ, ას სამოცდათექვსმეტი მილიონ, ექვსას ორმოცი ათასი კომბინაციის შექმნა. ამ წინადადებაში კი ას ოცდათორმეტი ასო იყო და ეს ას ოცდათორმეტი ასო იძლეოდა, სულ ცოტა, ას ოცდაცამეტი ციფრისაგან შედგენილ სხვადასხვა წინადადებათა ისეთ რაოდენობას, რომლის გამოთვლა თითქმის შეუძლებელია და რომელთა წარმოდგენაც კი ჭირს.

ამოცანის ასეთი გმირული გადაწყვეტისგან დაზღვეული ვიყავი.

ამასობაში დრო გადიოდა, დაღამდა; ქუჩის ხმაური მიწყდა; ბიძაჩემი კვლავაც თავის საქმეში ჩაფლული, ვერაფერს და ვერავის ხედავდა, ყურადღება არ მიუქცევია თვით მრთასთვისც კი, რომელმაც კარები შემოაღო და იკითხა:

- ამ საღამოს თუ ივახშმებს ბატონი?

მართა ისე გაბრუნდა, პასუხი არ ღირსებია. მე ერთ ხანს ძილს გავუმკლავდი, მაგრამ ტახტზე მიყუჟულს მაინც ჩამეძინა. ბიძაჩემი ლინდენბროკი ანგარიშს განაგრძობდა და ისევ და ისევ შლიდა დაწერილს.

მეორე დღეს რომ გამომეღვიძა, დუღალავი მკვლევარი კლავინდებურად უჯდა თავის სამუშაოს. ჩასისხლიანებული თვალები, გაფითრებული სახე, მთრთოლვარე ხელით აწეწილი თმა, შეფაკლული ლოყები - ცხადად მოწმობდა იმას, თუ როგორ ჭიდილში, ჭკუისა და გონების როგორ დაძაბვაში გაუთევია ღამე მიუღწეველის მიღწევის ამაო ძიებაში.

ბიძაჩემი შემეცოდა. მიუხედავად იმისა, რომ გულში მაინც ვემდურებოდი, გარკვეულმა მღელვარებამ მომიცვა. საბრალო კაცი ისე დაეტყვევებინა ფიქრს, რომ ჩვეული გაბრაზებაც ავიწყდებოდა. ბიძაჩემის მთელი ძალ-ღონე ერთი მიმართულებით მიისწრაფოდა, ერთ წერტილში იყრიდა თავს და, რაკი გამოსავალს ვერ პოულობდა, პროფესორი გულს ასკდებოდა და შეიძლებოდა ამ ფიქრების წერა გამხდარიყო.

შემეძლო ხელის ერთი მოძრაობით, მხოლოდ ერთი სიტყვით გამეხსნა ის სალტე, ბიძაჩემს თავის ქალას რომ უჭერდა, შემეძლო, მაგრამ არ ვაკეთებდი. თუმცა კეთილი გული მქონდა. რატომ არ ვიღებდი ხმას, არაფრით ვეშველებოდი? იმიტომ, რომ თვითონ ბიძაჩემზე ვზრუნავდი.

"არა და არა, - ვიმეორებდი. - არა, არ ვეტყვი! მე ხომ მას ვიცნობ, იგი იქ წასვლას მოისურვებს, ვერაფერი ვერ შეაჩერებს. ვულკანივით იფეთქებს და ყველაფერს მოიმოქმედებს, რომ გააკეთოს ის, რაც სხვა გეოლოგს არ გაუკეთებია. საკუთარ სიცოცხლესაც საფრთხეში ჩაიგდებს. გავჩუმდები, შევინახავ ამ საიდუმლოს, რომელიც შემთხვევამ ხელში ჩამიგდო და რომლის გამხელა პროფესორ ლიდენბროკის მოკვლას უდრის! თუ შეძლებს, დაე, თვითონ ამოიცნოს, არ მინდა სასაყვედურო გამიხდეს, ჩემივე ხელით დაღუპვამდე მივიყვანო!"

ეს რომ გადავწყვიტე, გულზე ხელი დავიკრიბე და დავიწყე ლოდინი. მაგრამ ის ვერ გავითვალისწინე, რაც რამდენიმე საათის შემდეგ მოხდა.

როდესაც მართას ბაზარში წასასვლელად სახლიდან გასვლა დასჭირდა, კარები დაკეტილი დახვდა. კარებში დიდი გასაღები აღარ იყო. ვის შეეძლო მისი აღება? რა თქმა უნდა, ბიძაჩემს, როდესაც ქალაქიდან დაბრუნდა გუშინდელი გასეირნების შემდეგ.

განზრახ გააკეთა? თუ უნებლიედ? ხომ არ სურდა მას შიმშილით ვეწამებინეთ? ეს კი ნამდვილად უკვე მეტისმეტი იქნებოდა. როგორ! მეცა და მართაც ისეთი რამის მსხვერპლი უნდა გავმხდარიყავით, რაც სრულიად არ გვეხებოდა? ცხადია, ასე იყო. გავიხსენე სხვა შიშისმომგვრელი შემთხვევა. ამ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ბიძაჩემი თავის დიდ მინერალოგიურ კლასიფიკაციაზე მუშაობდა, უჭმელი დარჩა ორმოცდარვასაათის განმავლობაში და მთელი სახლი იძულებული იყო ამ მეცნიერულ დიეტას დამორჩილებოდა. მე კუჭის კრუნჩხვები დამემართა, რაც ჩემისთანა მადის მქონე ყმაწვილკაცისათვის არცთუ ისეთი სახუმარო ამბავია.

და აი, წარმოვიდგინე, რომ საუზმესაც ვერ ვიხილავდით წუხანდელი ვახშმისა არ იყოს, მაგრამ გადავწყვიტე, გმირობა გამომეჩინა და შიმშილის წინაშე უკან აღ დამეხია; მართა ამას მეტად სერიოზულად უდგებოდა და ეს კეთილი ქალი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. მე კი ის უფრო მადარდებდა, სახლიდან ვერ გამოვიდოდი, მგონი გაიგებთ ჩემი წუხილის მიზეზს.

ბიძაჩემი მუშაობას განაგრძობდა; მისი გონება კომბინაციათა იდიალურ სამყაროს არ შორდებოდა; იგი ამქვეყნიერებას გაერიდა და ჭეშმარიტი მიწიერ საჭიროებათა გარეშე ცხოვრობდა.

შუადღისას შიმშილმა სერიოიზულად შემომიტია. მართამ წინა დღეს თურმე ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე მთელი სურსათი გაიხმარა; სახლში სრულებით აღარაფერი იყო დარჩენილი. შიმშილს ვუძლებდი მხოლოდ იმიტომ, რომ თავშეკავება ღირსების საქმედ მიმაჩნდა.

ორმა საათმა დარეკა. მთელი ეს ამბავი უკვე სასაცილო და აუტანელი ხდებოდა. თვალები გამიფართოვდა. უკვე მეჩვენებოდა, რომ დოკუმენტის მნიშვნელობას ვაზვიადებდი. რომ ბიძაჩემი მას არ დაუჯერებდა; მაგრამ იგი ამაში უბრალო მისტიფიკაციას დაინახავდა, რომ უკიდურეს შემთხვევაში, თუკი იგი ამ ავანტიურის განხორციელებას ეცდებოდა, მას ძალით დააკავებდნენ; რომ ბოლოს და ბოლოს მას თვითონ შეეძლო "შიფრის" გასაღების აღმოჩენა და მაშინ ხომ შიმშილობა ტყუილუბრალოდ ჩაივლიდა.

ეს წუხელ ზიზღით უკუგდებული მოსაზრებები ახლა საუცხოოდ მომეჩვენა, ისიც კი უაზრობად ჩავთვალე, რომ ამდენ ხანს ვიცადე და გადავწყვიტე, ყველაფერი მეთქვა ბიძაჩემისათვის.

ის იყო შესაფერ მომენტს ვეძებდი, რომ პროფესორმა თავი აიღო, ქუდი დაიხურა, წამოდგა და კარში გასვლ დააპირა.

როგორ! სახლიდან გავიდეს და ჩვენ ისევ ჩაკეტილში დაგვტოვოს! არასოდეს!

- ბიძაჩემო!

თითქოს არც გაუგია.

- ბიძაჩემო ლიდენბროკ! - გავიმეორე უფრო ხმამაღლა.

- რა მოხდა? - იკითხა მან, როგორც უცებ გაღვიძებულმა ადამიანმა.

- გასაღებს რას უშვრებით?

- რომელ გასაღებს? კარებისას?

- არა, წამოვიძახე მე, - დოკუმენტების გასაღებს!

პროფესორმა სათვალეების ზემოდან გადმომხედა: უთუოდ რაღაც უჩვეულო შენიშნა ჩემს გამომეტყველებაში, სწრაფად მკლავში ჩამავლო ხელი და რახან ლაპარაკის თავი არ ჰქონდ, თვალებით დამეკითხა. მაგრამ, შეკითხვა ჯერ არასოდეს ყოფილა ასე აშკარად გამოხატული.

თავი დავუკანტურე.

ბიძაჩემმა თავი სიბრალულით გადაიქნია, თითქოს საქმე გიჟთან ჰქონოდეს.

დასტური უფრო მკაფიოდ გამოვხატე.

თვალები აენთო, მუქარის ნიშნად ხელი აღმართა.

ამგვარ პირობებში ყველაზე გულგრილი მაყურებელიც დაინტერესდებოდა ამ უსიტყვო საუბრით. მე ხმის ამოღებას ვერ ვბედავდი, ისე მეშინოდა ბიძაჩემს სიხარულისაგან არ დავეხრჩვე. იგი ისე დაჟინებით მომჩერებოდა, რომ პასუხის გაუცემლობა აღარ შეიძლებოდა.

- დიახ. ეს გასაღები!... შემთხვევით!...

- რას ამბობ? - წამოიძახა მან აუწერელი მღელვარებით.

- აი, - ვუთხარი და გავუწოდე ჩემი დაწერილი ფურცელი. - წაიკითხეთ.

- მაგრამ ეს ხომ არაფერს ნიშნავს! - მიპასუხა მან და ფურცელი დაჭმუჭნა.

- არაფერს ნიშნავს, თუ თავიდან წავიკითხეთ, მაგრამ თუ ბოლოდან...

წინადადება ჯერ დასრულებული არ მქონდა, როდესაც პროფესორმა წამოიყვირა, ყვირილი რას ჰქვია, ნამდვილად დაიბღავლა, ალბათ გონებაში რაღაცას მიხვდა და ფერი ეცვალა.

- ეჰეი, ჭკუამახვილო საკნუსემ! - შესძახა პროფესრომა. - მაშ, შენ ჯერ შებრუნებით დაგიწერია წინადადება?

ბიძაჩემი ეცა ქაღალდის ფურცელს, ამღვრეული თვალებით დააშტერდა და მღელვარე ხმით წაიკითხა მთლიანად ბოლო ასოდან პირველ ასომდე.

დოკუმენტში ეწერა შემდეგი:

"In Sneffels Yoculis craterem kem delibat umbra Scartaris julii intra calendas descende, audas viator, et terrestre centrum anttiges. kod teci. -Arne Saknussemm"

რაც შეიძლება ამ ოკრობოკრო ლათინურიდან შემდეგნაირად ითარგმნოს:

მამაცო მოგზაურო, ჩადი სნეფელსის იოკულის კრატერში, რომელსაც სკარტრისის ჩრდილი ადგება ივლისის კალენდების [1] წინ და მიაღწევ დედამიწის ცენტრს. მე ასე მოვიმოქმედე. არნე საკნუსემ.

ეს რომ ბიძაჩემმა წაიკითხა, ისე შეხტა, თითქოს მოულოდნელად ქილას მოჰკიდა ხელი. სახეზე გამბედაობა, სიხარული და რწმენა გამოეხატა.

---

1 კალენდები - ასე უწოდებდნენ რომაელები ყოველი თვის პირველ დღეებს.

ოთახში წინ და უკან დარბოდა: ორივე ხელს თავში იცემდა, სკამებს აქეთ-იქით ახეთქებდა; წიგნებს ერთმანეთში ურევდა, თავის ძვირფას ჟეოდებს ხელში ისე ათამაშებდა, რომ საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი; მუშტებს იქნევდა, გეგონება, ჰაერს ებრძვისო.

ბოლოს დაწყნარდა და ქანცგამოლეული ისევ თავის სავარძელში ჩაეშვა.

- რომელი საათია? - იკითხა რამდენიმე წამის დუმილის შემდეგ.

- სამი საათია, - ვუპასუხე.

- დახედე ერთი! რა მალე დამდგარა სადილობის დრო! შიმშილით ვკდები. აბა, სუფრას მოვუსხდეთ, შემდეგ კი...

- შემდეგ?

- შენ ჩემს ჩემოდანს ჩაალაგებ.

- კეთილი! - წამოვიძახე მე.

- და შენსასაც! - დააყოლა ულმობელმა პროფესორმა და სასადილო ოთახში შევიდა.

მეექვსე თავი

ამ სიტყვების გაგონებაზე გამაჟრჟოლა. მაგრამ თავს ვძლიე. გადავწყვიტე არაფერი შემტყობოდა. მხოლოდ მეცნიერულ არგუმენტებს შეეძლო პროფესორი ლიდენბროკის შეჩერება, ხოლო ამდაგვარი მოგზაურობის შესაძლებლობის წინააღმდეგ მრავალი სათანადო არგუმენტი მოიძებნებოდა. დედამიწის ცენტრისაკენ წაქსვლა! რა სიგიჟეა! ჩემი საბუთები შესაფერი დროისათვის მოვიტოვე, ახლა კი სადილის თადარიგს შევუდექი.

ზედმეტია ბიძაჩემის გაბრაზების აღწერა ცარიელი სუფრის დანახვაზე. ყველაფერი გაირკვა. მართას თავისუფლება დაუბრუნდა. იგი ბაზარში გავარდა და ისე მარჯვედ მოაგვარ საქმე, რომ ერთი საათის შემდეგ შიმშილი დავიოკეთ და შექმნილ ვითარებაში გარკვევის უნარი დამიბრუნდა.

სადილობის დროს ბიძაჩემი ისე გამხიარულდა, რომ მეცნიერისათვი ჩვეული უვნებელი ხუმრობაც დაიწყო. დესერტის შემდეგ ბიძაჩემმა მანიშნ, კაბინეტში გავყოლოდი.

დავემორჩილე. სამუშაო მაგიდას ერთ ბოლოში მიუჯდა, მე მეორეში.

- აქსელ, - თქვა მან საკმაოდ მშვიდი ხმით, - შენ ძალიან ყოჩაღი ბიჭი ხარ; დიდებული სამსახური გამიწიე, როდესაც უკვე ღონემიხდილი ამ მიმართულებით ძიების მიტოვებას

ვაპირებდი. ვინ იცის, გზა რანაირად ამებნეოდა! ამას არასოდეს დაგივიწყებ, ჩემო ბიჭო, და შენ შენი წილი შეგხვდება იმ დიდებისა, რომელსაც ჩვენ მოვიხვეჭთ.

"ჩანს, კარგ გუნებაზეა, - გავიფიქრე; დადგა დრო, შევეკამათო ამ დიდების თაობაზე".

- პირველად ყოვლისა, გირჩევ, საიდუმლო არ გასცე. გესმის? მეცნიერთა სამყაროში მე მოშურნე არ მაკლია, რომ გავამხილოთ, ყველა სიხარულით გამომყვება. მაგრამ ეს ამბავი ჩვენს დაბრუნებამდე არავინ უნდა გაიგოს.

- თქვენ გგონიათ, - ვუთხარი მე, - რომ გაბედულთა რიცხვი ესოდენ დიდია?

- ცხადია! აბა, ვინ დაიწყებს მერყეობას და ხელიდან გაუშვებს სახელის მოხვეჭის ამგვარ შესაძლებლობას, ეს დოკუმენტი რომ ცნობილი ყოფილიყო, გეოლოგთა მთელი არმია გაეშურებოდა არნე საკნუსემის ნაკვალევზე!

- სწორედ ამაში არა ვარ დარწმუნებული, ბიძაჩემო, რადგან სარწმუნოა თუ არა ეს დოკუმენტი, არავინ იცის.

- როგორ! ამ წიგნს რაღას უშვრები, რომელშიაც ის ხელნაწერი ვიპოვეთ!

- კეთილი! დავუშვათ, რომ ეს სტრიქონები არნე საკნუსემმა დაწერა, მაგრამ განა აქედან გამომდინარეობს, რომ მან მართლაც იმოგზაურა მიწის წიაღში? ხომ შეიძლება ეს პერგამენტი მისტიფიკაციას შეიცავდეს?

თითქმის ვინანე, რომ ეს უკანასკნელი, ოდნავ გებედული სიტყვა წამომცდა. პროფესორმა ხშირი წარბები შეიჭმუხნა და შემეშინდა, მთელი შემდგომი საუბარი ფუჭად ხომ არ ჩამივლის-მეთქი, მაგრამ საბედნიეროდ, ჩემმა მკაცრმა მოსაუბრემ ღიმილისმაგვარი რამ წარმოისახა ტუჩებზე და მიპასუხა:

- ამასაც ვნახავთ.

- ვნახავთ! - ვთქვი მე ოდნავ ნაწყენმა! - მაგრამ ნება მომეცით, მოვათავო ამ დოკუმენტთან დაკავშირებული შენიშვნები.

- თქვი, ჩემო ბიჭო, ნუ მომერიდები, სრულ თავისუფლებას გაძლევ, გამოთქვი შენი აზრი. შენ ახლა ჩემი ძმისწული კი აღარა ხარ, არამედ ჩემი კოლეგა. აბა, შეუდექ.

- თუ ასეა, ჯერ მინდა გკითხოთ, რა არის ეს იოკული, სნეფესი და სკარტარისი, რომელთა შესახებ არასოდეს არაფერი გამიგია?

- ამაზე ადვილი არაფერია. სწორედ რამდენიმე ხნის წინ ჩემმა მეგობარმა აუგუსტ პეტერმანმა ლაიფციგიდან ერთი რუკა გამომიგზავნა, სწორედ კარგ დროს მივიღე. აიღე მესამე ატლასი წიგნების დიდი კარადის მეორე განყოფილებაში, სერია d, თარო 4.

ავდექი და, ასეთი ზუსტი მითითების წყალობით, სწრაფად ვიპოვე საჭირო ატლასი. ბიძაჩემმა გადაშალა და მითხრა:

- აი, ისლანდიის ერთ-ერთი საუკეთესო რუკა, ჰენდერსონის მიერ შედგენილი. ვფიქობ, მისი დახმარებით ყველა სიძნელეს დავძლევთ.

რუკასთან დავიხარე.

- აი, ვულკანური წარმოშობის კუნძული, - თქვა პროფესორმა, - ყურადღება მიაქციე, რომ ყველა ეს ვულკანი იოკულის სახელს ატარებს. ეს სიტყვა ისლანდიურად "მყინვარს" ნიშნავს, ისლანდიის მაღალ განედებში, დედამიწის ზედაპირი ყინულითაა დაფარული და ვულკნის ამოფრქვევის დროს ლავის ყინულის ფენას ჰკვეთს. აქედან დამკვიდრდა იოკულის სახელწოდება კუნძულის ყველა ვულკანური მთის აღსანიშნავად.

- კეთილი, - ვუპასუხე მე, - მაგრამ რა არის სნეფელსი?

იმედი მქონდა, რომ ამ შეკითხვაზე მაინც არ მოიძებნებოდა პასუხი, მაგრამ შევცდი. ბიძაჩემმა განაგრძო:

ისლანდიის დასავლეთა ნაპირს გამოყევი, რეიკიავიკს, ამ ქვეყნის დედაქალაქს თუ ამჩნევ? კეთილი. აჰყევი ამ ზღვის მიერ გამოჭმული ნაპირი ურიცხვ ფიორდს და შეჩერდი განედის სამოცდამეხუთე გრადუსის ოდნავ ქვემოთ. რას ხედავ მანდ?

- რაღაც ნახევარკუნძულს, შემოღრღნილ ძვალს რომ ჰგავს და ვეებერთელა მუხლის თავივით რომ ბოლოვდება.

- შედარება ზუსტია, ჩემო ბიჭო; ახლა ეს მითხარი, ამ მუხლის თავზე ხომ არაფერს ამჩნევ?

- დიახ, თითქოს ზღვიდან ამოსული მთაა.

- კეთილი! სწორედ ეგ არის სნეფელსი.

- სნეფელსი?

- ნამდვილად. ეს მთა ხუთი ათასი ფუტის სიმაღლისაა, კუნძულზე ერთ-ერთი ყველაზე უფრო შესანიშნავია და, ეჭვს გარეშე, მთელს მსოფლიოში ყველაზე ცნობილი, თუკი მის კრატერს დედამიწის ცენტრისაკენ მივყავართ.

- მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია! - წამოვიძახე მე და მხრები ავიჩეჩე, რადგან ამგვარმა ვარაუდმა აღმაშფოთა.

- შეუძლებელიაო! - მკაცრად მიპასუხა პროფესორმა ლიდენბროკმა.

- ვითომ რატომ?

- იმიტომ რომ ეს კრატერი უთუოდ ლავითა და გავარვარ ებული ლოდებითა აამოვსებული... და ...

- მაგრამ თუ ჩამქრალია კარტერი?

- ჩამქრალი?

- დიახ. დედამიწის ზედაპირზე მოქმედი კრატერების რიცხვი ამჟამად დაახლოებით სამასს უდრის; ჩამქრალ ვულკანთა რაოდეობა კი გაცილებით მეტია, ხოლო სნეფელსი ამ უკანასკნელთ ეკუთვნის და, უძველესი დროიდან მისი მხოლოდ ერთი ამოფრქვევაა ცნობილი 1219 წელს; ამ დროიდან დაწყებული, მისი მოქმედება თანდათან მიწყნარდა და იგი მოქმედ ვულკანთა რიცხვს აღარ ეკუთვნის.

ამ საბუთების საწინააღმდეგოდ არავითარი პასუხი არ გამაჩნდა, ამიტომ, დოკუმენტის სხვა გაუგებარ ადგილებს მივადექი.

- რას ნიშნავს სიტყვა სკარტარისი და რა შუაშია ივლისის კალენდები? - შევეკითხე ლიდენბროკს.

ბიძაჩემი რამდენიმე წამით დაფიქრდა. ეს-ეს იყო იმედი დამესახა, მაგრამ მაშინვე გაქრა, რადგან ბიძაჩემმა შემდეგნაირად მიპასუხა:

- ის რასაც შენ გაუგებარს უწოდებ, ჩემთვის ნათელია. ეს ადასტურებს, რომ საკნუსემმა მოისურვა თავისი აღმოჩენის ზუსტად მითითება. სნეფელსი მრავალი კრატერისაგან შედგებოდა; ასე რომ, საჭირო იყო მათ შორის იმ კრატერის გამოყოფა, რომელსაც დედამიწის ცენტრისაკენ მივყავართ. როგორ მოიცა ისლანდიელი მეცნიერი? მან შენიშნა, რომ ივლისის კალენდების მოსახლეობისას, ესე - იგი ივნისის უკანასკნელ დღეებში, მწვერვალ სკარტარისის ჩრდილი ხსენებულ კრატეს მიადგება, და ეს გარემოება აღნიშნა თავის დოკუმენტში. განა შეეძლო მას უფრო ზუსტად მითითება? როდესაც სნეფელსის მწვერვალს მივაღწევთ, ჩვენთვის სრულიად უეჭველი გახდება, რომელ გზას უნდა დავადგეთ!

როგორც ჩანს, ბიძაჩემს ყველაფერის პასუხი მზად ჰქონდა. ცხადად დავინახე, რომ ძველი ხელნაწერის სიტყვების მნიშვნელობაზე იერიშის მიტანა ზედმეტი იყო. ასე რომ, ამის თაობაზე შეკთიხვები შევწყვიტე და, რახან აზრი უნდა შემეცვლევინებინა, მეცნიერულ შენიშვნებზე გადავედი, რომლებიც, ჩემი აზრით, ბევრად უფრო სერიოზული იყო.

- იძულებული ვარ, ვაღიარო, - ვთქვი მე, - რომ საკნუსემის წინადადება ნათელია და არავითარ ეჭს არ სტოვებს. იმასაც ვუშვებ, რომ დოკუმენტი სავსებით სარწმუნოდ გამოიყურება. ეს მეცნიერი ჩასულა სნეფელსის სიღრმეში; უნახავს ივლისის კალენდების დაწყებამდე როგორ მოეფინა სკარტარისის ჩრდილი კრატერის პირს; თავის დროის ლეგენდარული გადმოცემებიდან მას ისიც გაუგონია, რომ ეს კრატერი დედამიწის ცენტრში ჩადის; მაგრამ რაც შეეხება იმას, რომ მან თითქოს თვითონ ჩააღწია იქამდე, რომ ეს მოგზაურობა განახორციელა და იქიდან ცოცხალი დაბრუნდა, ამას კი ვერ დავიჯერებ, ვერა!

- ვითომ რატომაო? - იკითხა ბიძაჩემმა მეტად დამცინავი ტონით.

- მეცნიერების ყველა თეორია ხომ იმას ამტკიცებს, რომ ასეთი განზრახვა განუხორციელებელია!

- ყველა თეორია ამას ამბობს? - კეთილი გამომეტყველებით მიპასუხა პროფესორმა. - ო! როგორ გვიშლიან ხელს ეს უბადრუკი თეორიები!

ვხედავდი, რომ დამცინოდა, მაგრამ მაინც განვაგრძე.

- დიახ! ეჭვსგარეშეა და საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიცხე მატულობს დაახლოებით ერთი გრადუსით დედამიწის ქერქის სიღრმეში ყოველ სამოცდაათ ფუტზე ჩასვლისას; თუ მივიღებთ, რომ ტემპერატურა განუწყვეტლივ ამ შეფარდებით მატულობს, ხოლო დედამიწის რადიუსი დაახლოებით ათას ხუთას ლიეს შეადგენს, ცენტრში ტემპერატურა ორას ათას გრადუსს უნდა აღემატებოდეს, ასე რომ, დედამიწის შიგნით ნივთიერება გავარვარებული სითხისა და გაზის მდგომარეობაშია;' რადგან ლითონები, ოქრო, პლატინა, ყველაზე მაგარი ქანებიც კი ვერ უძლებენ ასეთ სიცხეს ასე რომ, უფლება მაქვს გკითხოთ, თუ არის შესაძლებელი ასეთ გარემოში შეჭრა.

- მაშ, აქსელ, შენ სიცხე გადარდებს?

- ცხადია, მხოლოდ ათი ლიეს სიღრმემდე რომ ჩავაღწიოთ, უკვე დედამიწის ქერქის ზღვრამდე მივალთ, რადგან იქ ტემპერატურა უკვე ათას სამას გრადუსს აღემატება.

- ხომ არ გეშინია, რომ დადნე?

- ამ საკითხის გადაწყეტა თქვენთვის მომინდვია, - მივუგე გაბრაზებულმა.

- აი, რა გადაწყვეტილებას ვღებულობ, - მედიდურად დაიწყო პროფესორმა ლიდენბროკმა, - საქმე ისაა, რომ არც შენ და არც არავინ იცის დანამდვილებით, თუ რა ხდება დედამიწის შიგნით, ვინაიდან დღესდღეობით ცნობილია სულ ბევრი, მისი რადიუსის მხოლოდ ერთი მეთორმეტეათასედი ნაწილი; მეცნიერება მნიშვნელოვნად წაიწევს წინ, თუკი თითოეულ თეორიას ახალ-ახალი თეორიები გააბათილებენ. განა ფურიემდე არ ეგონათ, რომ საპლანეტათშორისო სივრცის ტემპერატურა თანდათან კლებულობს და განა დღეს არ ვიცით, რომ ერთეულ სივრცეში ყველაზე დიდი სიცივე მინუს ორმოც ან ორმოცდაათ გრადუსზე ნაკლები არ არის? რატომ არ შეიძლება, რომ გარკვეულ სიღრმეზე იგივე ეხებოდეს დედამიწის შიგნითა სიცხეს, რატომ არ შეიძლება, რომ ადრე მიაღწიოს ზღვარს, ნაცვლად იმისა, რომ კიდევ მატულობდეს იქამდე, სადაც ყველაზე მყარი მინერალებიც კი დნებიან.

რახან ბიძაჩემმა ჰიპოთეზების ნიადაგზე გადაიტანა საკითხი, ველარაფერი ვუპასუხე.

- იმასაც გეტყვი, რომ ნამდვილმა მეცნიერებმა, მათ შორის პუასონმა, დაამტკიცეს, რომ დედამიწის შიგნით ორასი ათასი გრადუსის ტემპერატურა რომ არსებობდეს, დედამიწის ქერქი წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა გამდნარი ნივითიერებისაგან წარმოქმნილი გახურებული გზების წნევას და ისე აფეთქდებოდა როგორც ქვაბის კედლები ორთქლის დაწოლისაგან.

- ეს მხოლოდ პუასონის აზრია, ბიძაჩემო.

- დიახ, მაგრამ, ამავე დროს, სხვა გამოჩენილი გეოლოგებიც ფიქრობენ, რომ დედამიწის შიგნით არც გაზია, არც წყალი, არც ჩვეულებრივზე უფრო მძიმე ქანები, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, დედამიწას ორჯერ ნაკლები ან ორჯერ მეტი წონა ექნებოდა.

- თუ მოინდომე, ციფრების მეშვეობით, ყველაფრის დამტკიცება შეიძლება!

- ფაქტებიც იგივეს მოწმობენ, განა აშკარა არ არის, რომ ვულკანთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო სამყაროს არსებობის პირველი დღეებიდან დღემდე? და თუკი ცენტრალური სიცხე არსებობს, განა არ შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი თანდათან სუსტდება?

- ბიძაჩემო, თუ თქვენ ვარაუდების არეში შეხვედით, მე საკამათო აღარაფერი მაქვს.

- მე კი უნდა ვთქვა, რომ ჩემს შეხედულებას ძალზე კომპეტენტურ ადამიანთა აზრი უერთდება. თუ გახსოვს 1825 წელს ცნობილი ინგლისელი ქიმიკოსი ჰემფრი დევი რომ მეწვია?

- სრულიადაც არა, რადგან მე მხოლოდ ცხრამეტი წლის შემდეგ გავჩნდი ამქვეყნად.

- მაშ ასე, ჰემფრი დევიმ ჰამბურგში გავლისას მომინახულა. ჩვენ დიდხანს ვბჭობდით, სხვათა შორის, დედამიწის შიგნითა ბირთვის თხევადობის ჰიპოთეზაზე. ორივენი შევთანხმდით, რომ თხევადი ბირთვის არსებობა შეუძლებელია, ისეთი მიზეზების გამო, რომელზეც მეცნიერებას ვერასოდეს ვერ გაუცია პასუხი.

- რა მიზეზია? - ვკითხე ოდნავ გაკვირვებულმა.

- ის მიზეზია, რომ თხევადი გამლღვარი მასა, ისევე როგორც ოკეანე, დაემორჩილებოდა მთვარის მიზუდულობას და, მაშასადამე, დღეში ორჯერ მოხდებოდა შინაგანი მოქცევა, რომელიც ასწევდა დედამიწის ქერქს და პერიოდულად მიწისძვრებს გამოიწვევდა!

- მაგრამ ხომ აშკარაა, რომ დედამიწის გარსი გავარვარებული იყო და შეიძლება დაუშვათ, რომ ჯერ ქერქი გაცივდა, ხოლო შემდეგ სიცხემ ცენტრისაკენ გადაინაცვლა.

- შეცდომაა, - მიპასუხა ბიძაჩემმა, - დედამიწა მხოლოდ მისი ზედაპირის წვამ გააცეცხლა და არა სხვა რამემ. მისი ზედაპირი შედგებოდა კალიუმისა და ნატრიუმისაგან, რომელნიც იწვიან მხოლოდ ჰაერთან ან წყალთან კონტაქტში. ამ ლითონებს ცეცხლი მოეკიდათ, როდესაც ატმოსფერული ორთქლი წვიმის სახით დედამიწის ზედაპირზე დაეშვა; თანდათან, წყალი დედამიწის ქერქის ბზარებში ჩაიჟონა, დაიწყო შინაგანი ხანძრები და აფეთქებები, ამას მოჰყვა ამოფრქვევები, რამაც გამოიწვია მრავალი ვულკანის მოქმედება, სამყაროს არსებობის პირველ დღეებში.

- რა ჭკუამახვილური ჰიპოთეზაა! - წამოვიძახე უნებლიედ.

- ჰემფრი დევიმ მაშინვე დამიმტკიცა მისი სისწორე სრულიად მარტივი ცდის მეშვეობით. მან ხსენებული ლითონისაგან დაამზადა დედამიწის ბურთი. როდესაც მის ზედაირს ნამს დააპკურებდა, იგი იჟანგებოდა, ამოიბურცებოდა და პატარა მთას წარმოშობდა, რომლი მწვერვალზე ჩნდებოდა კრატერი, ხდებოდა ამოფრქვევა და მთელი ბურთი იმდენად ცხელდებოდა, რომ მისი ხელში დაჭერა შეუძლებელი იყო.

პროფესრის არგუმენტებმა ცოტა არ იყოს შეარყიეს ჩემი აზრი. იგი ყველფერს მისთვის ჩვეული გზნებითა და აღტყინებით ასაბუთებდა.

- ხომ ხედავ, აქსელ, - დაუმატა ბიძაჩემმა, - ცენტრალური ბირთვის აგებულებამ გეოლოგთა შორის სხვადასხვა ჰიპოთეზა წარმოშვა; გამლღვარი ბირთვის არსებობას ვერაფერი ვერ ამტკიცებს. ჩემი აზრით, იგი არც არსებობს, ვერც იარსებებდა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ამაში საკუთარი თვალით დავრწმუნდით და, არნე საკნუსემივით, გვედოცინება, თუ რომელ აზრს მივემხროთ ამ დიდ საკითხში.

- დიახ, - ვუპასუხე მე და ვიგრძენი, რომ ბიძაჩემის ენთუზიაზმი გადამედო, - დიახ, ვნახავთ, თუკი იქ რაიმეს დანახვა შეიძლება.

- რატომაც არა? განა განათების საკითხში არ შეგვიძლია ელექტრობის მოვნელებს დავეყრდნოთ, ანდა თვით ატმოსფეროს, რომელიც, დედამიწის სიღრმეში დიდი წნევის გავლენით, შესაძლოა, ლუმინისცენციური ხდება ცენტრთან მიახლოებისას?

- დიახ, - დავეთანხმე, - დიახ! ბოლოს და ბოლოს, ესეცაა შესაძლებელი.

- უეჭველად ასეა, - გამარჯვებულად მიპასუხა ბიძაჩემმა, მაგრამ ხმა, კრინტი, გესმის? არსად სიტყვა არ დასძრა, რომ ჩვენზე ადრე არავის მოუვიდეს აზრად დედამიწის ცენტრის აღმოჩენა.

მეშვიდე თავი

ამით დამთავრდა ეს ღირსახსოვარი საუბარი. ამ ლაპარაკისაგან სიცხემ ამიწია. ბიძაჩემის კაბინეტიდან გაბრუებული გამოვედი, სულის მოსათქმელად ჰამბურგის ქუჩების ჰერი არ მყოფნიდა, ამიტომ ელბის ნაპირებისაკენ გავემართე, და გავწიე ბორნისაკენ, რომელიც ქალაქ ჰამბურგს რკინიგზასთან აკავშირებს.

ნეტა ვირწმუნე ბიძაჩემისა თუ მის გავლენის ქვეშ მოვექეცი? ნუთუ სერიოზულად უნდა მოვკიდებოდი დედამიწის ცენტრისაკენ გამგზავრების გადაწყვეტილებას? შეშლილი

ადამიანის უგონო მოსაზრებები მოვისმინე, თუ გამოჩენილი ნიჭის მქონე ადამიანის მეცნიერული დასკვნები? სად თავდებოდა სიმართლე? სად იწყებოდა შეცდომა?

ერთიმეორის გამომრიცხველ ათას ჰიპოთეზას შორის ვმერყეობდი, თუმცა არც ერთი სარწმუნოდ არ მიმაჩნდა.

მაგრამ ის კი მახსოვდა, რომ ბიძაჩემმა შეძლო ჩემი დარწმუნება, თუმცა ჩემი ენთუზიაზმი უფრო ზომიერი ხდებოდა. მინდოდა მალე გავდგომოდი გზას, რომ მოფიქრების დროც არ დამრჩენოდა. დიახ, მხოლოდ იმის გამბედაობა მეყოფოდა, რომ ჩემოდანი ჩამელაგებინა.

იმაშიც უნდა გამოვტყდე, რომ ერთი საათის შემდეგ ამგვარმა აღგზნებამ გამიარა, დაჭიმული ძარღვები დამიმშვიდდა და დედამიწის ღრმა უფსკრულებიდან ისევ ზედაპირზე ამოვედი.

"რა სისულელეა! - წამოვიძახე, - ყოველივე ამას ხომ არავითარი აზრი არა აქვს! გონიერ ადამიანს განა შეიძლება ასეთი არასერიოზული წინადადებებით მიმართო? სინამდვილეში ხომ არაფერი არ მომხდარა, ცუდად მეძინა და ცუდი სიზმარი ვნახე".

ამასობაში ელბის ნაპირებს მივუყვებოდი. ქალაქს შემოვუარე, პორტი გამოვიარე და ალტონის გზამდე მივედი. წინათგრძნობას მივყავდი და გამიმართლა კიდეც - მალე ჩემი პატარა გრაუბენი დავინახე, იგი ნელი ნაბიჯით ჰამბურგში ბრუნდებოდ.

- გრაუბენ! - დავუძახე შორიდან.

ქალიშვილი შეჩერდა, ამ შარაგზაზე თავისი სახელის გაგონებამ, როგორც მომეჩვენა, ოდნავ დააბნია. ათიოდე ნაბიჯიც გადავდგი და მის გვერდით აღმოვჩნდი.

- აქსელ! - მითხრა გაოცებულმა, - რა კარგია, რომ ჩემს შესახვედრად წამოსულხარ!

მაგრამ, როდესაც უფრო ყურადღებით დამაცქერდა, გრაუბენის თვალებს არ გამოპარვია ჩემი სახის შეწუხებული გამომეტყველება.

- რა დაგემართა? - მკითხა და ხელი გამომიწოდა.

- აი, რა დამემართა, გრაუბენ! - წამოვიძახე.

და ორ წამში რამდენიმე სიტყვით მშვენიერ ფირლანდიელ ქალიშვილს საქმის ვითარება გავაცანი. ერთხანს სდუმდა. მე არ ვიცი, მასაც თუ ჩემსავით უძგერდა გული, მაგრამ ჩემს ხელში მისი ხელი არ ათრთოლებულა. ასიოდე ნაბიჯი უსიტყვოდ გავიარეთ.

- აქსელ! - მითხრა მან ბოლოს.

- ჩემო ძვირფასო გრაუბენ!

- რა მშვენიერი მოგზაურობა გელის!

შევცბუნდი.

- დიახ, აქსელ, მეცნიერის ძმისწულის საკადრისი მოგზაურობაა, კარგი, როდესაც მამაკაცს რომელიმე დიდი საქმე გამოარჩევს!

- როგორ! გრაუბენ, შენ არ მირჩევ, რომ უარი ვთქვა ექსპედიციაზე?

- არა, ძვირფასო აქსელ, მე ხალისით წამოგყვებოდით, ბიძაშენსაც და შენც, სუსტი გოგონა ზედმეტი ტვირთი რომ არ ყოფილიყო თქვენთვის.

- მართალს მეუბნები?

- მართალს ვამბობ.

ეჰეი, ქალებო, ქალიშვილებო, მუდამ გამოუცნობო ქალის გულო! თუ ყველაზე მორიდებული არსებები არა ხართ, ყველაზე გულადები ხდებით, თქვენს შემყურეს, გონება არაფერში გამოადგება! როგორ! ეს ბავშვი ამ ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად მაქეზებს, თვითონაც მზად არის გამოგვყვეს, ასეთი მოგზაურობისაკენ მიბიძგებს, თუმცა კი ვუყვარვარ!

დავიბენი და, რა დასამალია, შემრცხვა.

- გრაუბენ, - განვაგრძე, - ვნახოთ, ხვალაც თუ ასევე ილაპარაკებ.

- ხვალ, ძვირფასო აქსელ, ამასვე გეტყვი.

გრაუბენმა და მე ხელი ხელს ჩავკიდეთ და განვაგრძეთ გზა. მთელი დღის განცდებმა ძალღონე გამომილია.

"ბოლოს და ბოლოს, - გავიფიქრე მე, - ივლისის კალენდები ჯერ კიდევ შორსაა და, მანამ შეიძლება მრავალი ისეთი ამბავი მოხდეს, რაც ბიძაჩემს მიწისქვეშეთში მოგზაურობაზე ხელს ააღებინებს".

კონიგშტრასეს სახლთან დაღამებისას მივედით. მოველოდი, რომ სახლში სიმშვიდე დამიხვდებოდა. ბიძაჩემი ჩვეულებისამებრ დაწოლილი იქნებოდა, მართა კი ალბათ სასადილო ოთახშია და ცოცხით მტვერს აცლის ავეჯს.

მაგრამ პროფესორის სულწასულობა მხედველობიდან გამომრჩა. ახლა იგი ყვიროდა, მტვირთავ მუშებს შორის ტრიალებდა, რომელთაც რაღაც ბარდანები გაჰქონდათ დერეფანში; მოხუცმა მართამ არ იცოდა, რომელი საქმისათვის მიეხედა.

- მოდი, აქსელ, აჩქარდი, ბეჩავო! - რა წამს თვალი მომკრა, შორიდანვე დამიძახა ბიძაჩემმა, - შენი ჩემოდანი ხომ ჯერაც არა მზად, არც ჩემი ქაღალდებია წესრიგში მოყვანილი, სამგზავრო ჩანთის გასაღები ვერ მიპოვნია, გეტრები სადღაც გადაიკარგა.

გაოგნებული დავრჩი. ხმა ჩამიწყდა. ძლივს მოვახერხე რამდენიმე სიტყვის ამოლუღლუღება.

- ესე იგი მივემგზავრებით?

- დიახ, საცოდავო, აქ გამომწყვდეული ხარ, იქ კი გაინავარდებ!

- მივემგზავრებით? - გავიმეორე მისუსტებული ხმით.

- დიახ, ზეგ დილით, გათენებისას.

მეტის გაგონება მე აღარ შემეძლო და ჩემს პატრა ოთახს მივაშურე.

ეჭვი აღარ იყო, ბიძაჩემმა მთელი ნაშუადღევი მოგზაურობისათვის საჭირო ნივთებისა და ხელსაწყოების შეძენას მოახმარა, სახლის წინ ხეივანში დახვავებული იყო ბაწრის კიბეები, ჩირაღდნები, სამგზავრო მათარები, რკინის კავები, თოხები, რკინისწვეტიანი ნიჩბები, ყოველივე ის სულ ცოტა ათი ადამიანის ტვირთი მაინც იქნებოდა.

ტანჯვის ღამე გავატარე. მეორე დილას ადრიანად დამიძახს. გადაწყვეტილი მქონდა, კარი არ გამეღო, მაგრამ როგორ უნდა გამეწია წინააღმდეგობა ნაზი ხმისათვის, ასე რომ მომიხმობდა:

"ჩემო ძვირფასო აქსელ".

ოთახიდან გავედი, მეგონა, ჩემი დაბნეული სახე, სიმკრთალ, უძილობისაგან გაწითლებული თვალები გარკვეულ შთაბეჭდილებას მოახდენდა გრაუბენზე და აზრს შეუცვლიდა.

- ა! ჩემო ძვირფასო აქსელ! - მითხრა მან, - ვხედავ, რომ უკეთ გრძნობ თავს და რომ ღამემ დაგამშვიდა.

- დამამშვიდა! - წამოვიძახე და სარკეს ვეცი. მართლაც, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ არც ისე ცუდად გამოვიყურებოდი, როგორც მეგონა.

- აქსელ, - მითხრა გრაუბენმა, - დიდხანს ვესაუბრე ჩემს მზრუნველს. იგი გაბედული მეცნიერია, ვაჟკაცი, და ისიც უნდა გახსოვდეს, რომ თქვენ ძარღვებში ერთი სისხლი ჩქეფს. მან გამიზიარა თავისი გეგმები, იმედები, რატომ და რა გზით ფიქრობს მიზნის მიღწევას. არ მეპარება ეჭვი, რომ მიზანს მიაღწევს. ძვირფასო აქსელ, რა დიდბულია, ასე ერთგულად ემსახურო მეცნიერებას! რა დიდება ელის ბ-ნ ლიდენბროკს და მის თანამგზავრს. დაბრუნებისას, აქსელ, შენ კაცი იქნები, მისი თანასწორი, თავისუფლად შეგეძლება ლაპარაკი, მოქმედება, და ბოლოს...

ქალიშვილი გაწითლდა და სათქმელი არ დაასრულა. მისმა სიტყვებმა ხალისი შემმატეს. მაგრამ ჯერ კიდევ არ მინდოდა დამეჯერებინა ჩვენი გამგზავრება, გრაუბენი პროფესორის კაბინეტისაკენ გავიყოლე.

- მაშასადამე, ბიძაჩემო, - ვთქვი მე, - ნამდვილად გადავწყვიტეთ გამგზავრება?

- როგორ! ეჭვი გეპარება?

- არა, - ვთქვი, რათა მისთვის არ მეწყენინებინა. - მხოლოდ ის კი უნდა გკითხოთ, ასე რა გვაჩქარებს?

- დრო! დრო, რომელიც შეუმჩნევლად გარბის!

- ჯერ ხომ მხოლოდ 26 მაისია და ივნისის ბოლომდე ...

- როგორ, უვიცო, შენ გგონია, ისლანდიაში ჩასვლა ასე ადვილია? გიჟივით რომ არ გამქცეოდი, მიგიყვანდი ლიფენდერსა და კომპანიის კოპენჰაგენის ბიუროში. იქ ნახავდი, რომ კოპენჰაგენიდან რეიკიავიკში გემის მხოლოდ ერთი რეისია, ყოველი თვის 22 რიცხვში.

- მერე რა?

- მერე რა! თუ 22 ივნისამდე ვიცადეთ, მეტისმეტად გვიან ჩავალთ და ვეღარ ვნახავთ, როგორ მოეფინება სკარრტარისის ჩრდილი სნეფელსის კრატერს! ასე რომ საჭიროა, რაც შეიძლება სწრაფად ჩავიდეთ კოპენჰაგენში, რათა ადგილზე ვეძებოთ ისლანდიაში წასასვლელი გზა. ახლა კი წადი, ჩემოდანი ჩაალაგე!

მეტი რ გზა იყო. ისევ ავედი ჩემს ოთახში. გრაუბენი გამომყვა. ისე მშვიდად ალაგებდა პატარა ჩემოდანში მოგზაურობისათვის საჭირო ნივთებს, გეგონებოდათ ლიუბეკში ან ჰელჰოლანდში მივდიოდი გასასეირნებლად. მისი პატარა ხელები აუჩქარებლივ მოქმედებდნენ. გრაუბენი დინჯად საუბრობდა. იგი ჩვენს ექსპედიციას გონივრულად ასაბუთებდა და მაგულიანებდა. ზოგჯერ თითქმის მოთმინებიდან გამოვყვდი ამას, მაგრამ იგი ყურადღებას არ აქცევდ და მეთოდურად განაგრძობდა თავის მშვიდ საქმეს.

ბოლოს ჩემოდნის უკანასკნელი თასმაც შეიკრა. პირველ სართულში ჩავედი.

მთელი დღის განმავლობაში ვაჭრებს წამდაუწუმ მოჰქონდათ ხელსაწყოები, იარაღი, და ელექტრული აპარატები. მართას უკვე თავბრუ ეხვეოდა.

- ბატონი ხომ არ გაგიჟდა? - მკითხა მოხუცმა.

დასტურის ნიშნად თავი დავუქნიე.

- თქვენც თან მიყავხართ?

ისევ დავუდასტურე

- სად?

თითით დედამიწის ცენტრზე მივუთითე.

- სარდაფში? - წამოიყვირა მოხუცმა ქალმა.

- არა, - ვთქვი მე ბოლოს, - უფრო დაბლა!

დადგა საღამო. დროის მსვლელობას აღარ ვგრძნობდი.

- ხვალ დილამდე, - გამომემშვიდობა ბიძაჩემი, - ზუსტად ექვს საათზე გავდივართ.

ათ საათზე უგრძნობლად დავეგდე ლოგინ ზე.

ღამე ისევ შიშმა შემიპყრო.

სიზმარში უფსკრულებს ვხედავდი! ვბოდავდი, ვგრძნობდი, როგორ მეხვეოდა პროფესორის ძლიერი მკლავი, სადღაც ვეფლობოდი! უძირო უფსკრულებსი ვეცემოდი სივრცეში ვარდნილი სხეულის მზარდი სისწრაფით. მთელი ჩემი ცხოვრება დაუსრულებელ ვარნაც იქცა.

დაღლილობისა და მღელვარებისაგან ღონეგამოლეულს ხუთ საათზე გამომეღვიძა. სასადილო ოთახში ჩავედი. ბიძაჩემი მაგიდასთან იჯდა. ხარბად ჭამდა. ჟრუანტელმა დამიარა. მაგრამ გრაუბენი აქ იყო და ხმა არ ამომიღია.

ლუკმა ყელში არ გადამდიოდა.

ექვსის ნახევარზე ქუჩაში გაისმა ბორბლების ხმაური. ჩამოდგა ფართო ოთხთვალა, რომელსაც ალტონის რკინიგზამდე უნდა მივეყვანეთ. იგი მალე გაივსო ბიძაჩემის ბარგით.

- შენი ჩემოდანი? - მკითხა მან.

- მზად არის, - ვუპასუხე მე და ლამის სული წამივიდა.

- მაშ სწრაფად ჩამოიტნე, თორემ მატრებელზე დაგვაგვიანდება!

ბედის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებლად მეჩვენა. ავედი ჩემს ოთახში, ჩემოდანი კიბეზე დავაგორე და მეც სირბილით გამოვუდექი.

ამ დროს ბიძაჩემი საზეიმოდ გადასცემდა გრაუბენს თავისი სახლის გამგებლობას. ჩემი ლამაზი ფირლანდიელი ქალიშვილი ჩვეულებრივ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. მან აკოცა მეურვეს, მაგრამ ცრემლი ვეღარ შეიკავა, თავისი ტკბილი ტუჩებით ჩემს ლოყას რომ შეეხო.

- გრაუბენ!- წამოვიძახე მე.

- წადი, ჩემო ძვირფასო აქსელ, გაემგზავრე, - მითხრა ქალიშვილმა, - აქ სტოვებ შენს დანიშნულს, მაგრამ დაბრუნებისას მეუღლე დაგხვდება.

გულში ჩავიკარი გრაუბენი და ოთხთვლაში ჩავჯექი. კარის ზღურბლიდან მართა და ქალიშვილი უკანასკნელად დაგვემშვიდობნენ. შემდეგ მეეტლემ შეუტია და ცხენებმა ჭენებით გაგვაქროლეს ალტონის გზაზე.

მერვე თავი

ალტონიდან, ჰამბურგის ნამდვილი გარეუბნიდან, იწყება კილის რკინიგზა. ამ გზით ბელტის ნაპირამდე უნდა გვევლო. ოცი წუთიც არ გასულა, რომ ჰოლშტაინის ტერიტორიაზე შევედით.

შვიდის ნახევარზე ოთხთვალა სადგურის წინ გაჩერდა; ბიძაჩემის დიდძალი ბარგი, მისი მოზრდილი ფუთები გამოიღეს, გადაზიდეს, აწონეს, ეტიკეტები დააკრეს და საბარგო ვაგონსი ჩატვირთეს. შვიდ საათზე ჩვენ პირისპირ ვისხედით კუპეში. ორთქმავალმა დაიკივლა, ლოკომოტივი ადგილიდან დაიძრა და გავემგზავრეთ.

ჩემს ხვედრს თუ შევურიგდი? ჯერ არა, თუმცა დილის გრილმა ჰაერმა, სწრაფად მიმავალი მატარებლებიდან მიღებულმა ახალ-ახალმა შთაბეჭდილებებმა მთავარი საზრუნავი დამავიწყა.

რაც შეეხება პროფესორს, მისი ფიქრი, რა თქმა უნდა, წინ უსწრებდა ამ მეტისმეტად ნელ მოძრაობას. მარტონი ვიყავით ვაგონში, მაგრამ ხმა არ ამოგვიღია. ბიძაჩემი კიდევ ერთხელ დიდი ყურადღებით ამოწმებდა თავის ჯიბეებსა და საკვოიაჟს. მე კარგად ვხედავდი, რომ მას არაფერი გამორჩენოდა და ყველაფერი ჰქონდა, რაც მის განზრახვის განხორციელებას სჭირდებოდ.

სხვათა შორის, ბიძაჩემს თან მოჰქონდა საგულდაგულოდ დაკეცილი ქაღალდი, დანიის საკონსულოს ღერბითა და პროფესორის მეგობრის, ჰამბურგში დანიის კონსულის, ბ-ნ კრისტიენსენის ხელმოწერილი სარეკომენდაციო წერილი, რომელსაც საგრძნობლად უნდა გაეადვილებინა კოპენჰაგენში ისლანდიის გუბერნატორთა რეკომენდაციის მიღება.

შევნიშნე აგრეთვე საფულეს იდუმალ განყოფილებაში მოწიწებით შენახული განთქმული დოკუმენტი, რომელიც გულიანად დავწყევლე და კვლავ ჩვენ გასასვლელ გარემოს მივაპყარი თვალი ერთფეროვნად გადაშლილიყო ვრცელი შლამიანი და საკმაოდ ნაყოფიერი ველები. ეს მხარე სამრეწველო კომპანიებს ფრიად მოხერხებულად შეერჩიათ რკინიგზის გასაყვანად. სწორ ზედაპირზე ლიანდაგი კარგად იყო დაგებული.

ამ ერთფეროვნებამ არ დამღალა, რადგან გამგზავრებიდან სამი საათის შემდეგ მატარებელი გაჩერდა კილში, ზღვიდან ორი ნაბიჯის მანძილზე.

ბარგი კოპენჰაგენამდე იყო ჩაბარებული და მისი დარდი არ გვაწუხებდა, მაგრამ პროფესორმა მაინც ეჭვიანად თვალი გააყოლა ფუთებს, სანამ ისინი გემზე გადაჰქონდათ და ტრიუმში უშვებდნენ.

სიჩქარეში ბიძჩემმა ისე ჩინებულად გამოიანგარიშა რკინიგზიდან გემზე გადაჯდომის საათი, რომ ჩვენ მთელი დღე კილში გვიწევდა გაჩერება. ხომალდი "ელენორა" მხოლოდ ღამით მიემგზავრებოდა. ცხრა საათიანმა ლოდინმა აღაშფოთა ბიძაჩემი. ფიცხმა მოგზაურმა ჯანდაბაში გაგზავნა გემებისა და რკინიგზის ადმინისტრაცია და მასთან ერთად მთავრობა, რომელიც ასეთ უწესრიგობას ურიგდება. იძულებული გავხდი, მეც ავყოლოდი, როდესაც მან ამის თაობაზე "ელეონორას" კაპიტანს შეუტია. ბიძაჩემს უნდოდა კაპიტანი აეძულებინა დაუყოვნებლივ გასულიყო ზღვაში. კაპიტანმა მკვახე უარი უთხრა.

კილში, ისევე როგორც სხვაგან, დროა საჭირო იმისათვის, რომ დღე მიიწუროს. ვისეირნეთ ყურის ზურმუხტ ნაპიზე, რომლის სიღრმეში პატარა ქალაქი მოჩანდა, ვიარეთ ხშირ ტყეში, რომელიც ქალაქს გადახლართულ ტოტებში ჩამალული ბუდის იერს აძლევდა, დავტკბით ვილების ხილვით. ველა ვილას საკუთარი პატარა აბანო ჰქონდა ცივი აბაზანის მისაღებად: ვირბინეთ და ვიქაქანეთ და ამასობაში საღამოს ათი საათიც დადგა.

"ელეონორას" კვამლის ბოლქვები ჰაერში იშლებოდა, გემბანი ორთქლის მანქანის ბიძგებისაგან ირხეოდა. ჩვენს განკარგულებაში იყო გემის ერთადერთ კაიუტაში ერთიმეორეზე შედგმული ორი საწოლი.

თერთმეტის თხუთმეტ წუთზე დავიძარით. გემი სწრაფად აპობდა დიდი ბელტის მუქ ტალღებს.

ბნელი ღამე იყო; ძლიერი ქარი ქროდა და ქროდა და ზღვაც ღელავდა; სიბნელეში ნაპირზე რამდენიმე სინათლე გამოჩნდა; მოგვიანებით, ზუსტად არ ვიცი სად, ტალღებს ზემოთ აკიაფდა შუქურის სხივები; ამ პირველი გადასვლისა ესღა დამრჩა მეხსიერებაში.

დილის შვიდ საათზე პატარა ქალაქ კორსიორს მივადექით, ზელანდიის დასავლეთ ნაპირზე. აქ გემიდან ისევ მატარებელში გადავსხედით. გადავკვეთეთ ჰოლშტაინის მიდამებივით ბრტყელი მხარე.

კიდევ სამი საათის მოგზაურობა გვიწევდა, ვიდრე დანიის დედაქალაქამდე მივაღწევდით, ბიძაჩემს მთელი ღამე თვალი არ დაუხუჭავს. მოუთმენლობისაგან, მგონი, ვაგონს საკუთარი ფეხით აწვებოდა.

როგორც იქნა, ბიძაჩემმა ზღვის ზოლი შენიშნა.

- ზუნდი! - წამოიძახა მან.

ხელმარცხნივ მოჩანდა ვრცელი შენობა, რომელიც საავადმყოფოს ჰგავდა.

- ეს საგიჟეთია, - თქვა ერთმა ჩვენმა თანამგზავრმა.

"აი ის დაწესებულება, - გავიფიქრე მე, - სადაც ჩვენი დღენი უნდა დაგევსრულებინა. რარიგ დიდიც არ უნდა იყოს ეს საავადმყოფო, იგი მაინც პატარა იქნება, დაიტიოს პროფესორ ლიდენბროკის მთელი სიგიჟე!"

როგორც იქნა, დილის ორ საათზე, კპოენჰაგენში გადმოვედით; ბარგი ოთხთვალაზე დატვირთეს და ჩვენთან ერთად გაამგზავრეს ბრედ-ჰალეში სასტუმრო ფენიქსისაკენ". გზაში ნახევარ საათს მოვუნდით, რადგან სადგური ქალაქგარეთ მდებარეობს.

უცებ მოვემზადეთ. ბიძაჩემმა თან წამათრია. სასტუმროს კარისკაცი გერმანულად და ინგლისურად ლაპარაკობდა; მაგრამ პროფესორი, როგორც პოლიგლოტი, დანიურად შეეკითხა და კარისკაცმაც წმინდა დანიურით აუხსნა ჩრდილოეთის სიძველეთა მუზეუმის ადგილმდებარეობა.

ამ არაჩვეულებრივ საინტერესო დაწესებულებაში ისეთი შესანიშნავი ნივთები იყო დატეული, რომლებიც ქვეყნის ისტორიას აღადგენდნენ თქვენს თვალწინ, ძველი ქვის ხანის იარღით დაწყებული ფიალებით და სამკაულებით დამთავრებული. ამ მუზეუმის დირექტორი იყო ჰამბურგელი კონსულის მეგობარი პროფესორი ტომსონი.

ბიძაჩემს მასთან თბილი სარეკომენდაციო წერილი ჰქონდა. ჩვეულებრივ, მეცნიერები საკმაოდნ ცუდად ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ აქ საქმე სულ სხვანაირად წარიმართა. ბ-ი ტომსონი თავაზიანი ადამიანი აღმოჩნდა, იგი გულითადად შეხვდა პროფესორ ლიდენბროკს და მის ძმისწულსაც. ზედმეტიცაა იმის თქმა, რომ მუზეუმის დირექტორის წინაშე პროფესორ ლიდენბროკის საიდუმლო დაცული იქნა. ჩვენ ისე მივედით, თითქოს მხოლოდ ისლანდიის დათალიერება გვსურდა, როგოც რიგით ტურისტებს.

ბ-ნი ტომსონი თან გვყვებოდა და მასთან ერთად გემის ძებნაში მთელი სანაპირო მოვიარეთ.

იმედი მქონდა, რომ ტრანპორტის ვერც ერთ საშუალებას ვერ ვიშოვიდით; მაგრამ არ გამიმართლა. პატარა დანიური იალქნიანი კორვეტი "ვალკირია" 2 ივნისს უნდა გამგზავრებულიყო რეიკიავიკში. კაპიტანი, ბ-ნი ბიარნე, გემბანზე დაგხვდა. მომავალმა მგზავრმა ხელი ისე მოუჭირა, კინაღამ აღრძო. ამ პატიოსან ადამიანს ცოტა არ იყოს გაუკვირდა ასეთი მხურვალე მისალმება. მისთვის ისლანდიაში წასვლა სულ უბრალო ამბავი იყო, და, თანაც, მის ხელობას შეადგენდა. ბიძაჩემს კი ეს მოგზაურობა სიცოცხლის ფასად უღირდა.

ღირსეულმა კაპიტანმა ისარგებლა ამ ენთუზიაზმით, რათა ჩვენთვის მგზავრობის ორმაგი ფასი გადაეხდევინებინა. მაგრამ ეს გარემოება უკვე წვრილმანად ჩავთვალეთ.

- გემზე იყავით სამშაბათს, დილის შვიდ საათზე, - გვითხრა ბ-ნმა ბიარნმა და დოლარების კარგა დიდი თანხა ჯიბეში ჩაიდო.

ბ-ნ ტომსონს მადლობა გადავუხადეთ დახმარებისათვის და სასტუმრო "ფენიქსში" დავბრუნდით.

- საქმე კარგად მიდის! ძალიან კარგად! - იმეორებდა ბიძაჩემი. - რა საბედნიერო დამთხვევაა, რომ ეს გემი მზადაა გასასვლელად! ახლ ვისაუზმოთ და ქალაქის დასათვალიერებლად წავიდეთ.

გავედით კონგენს-ნიე-ტორვეს უსწორო ფორმის მოედანზე, სადაც სამხედრო საგუშაგოა, რომლის უქმად მდგარი ორი ზარბაზანი, აღარავის აღარ აშინებს. სულ ახლოს, ხუთ ნომერ სახლში, ფრანგული რესტორანი იყო, რომლის მზარეულმა ვენსანმა კარგად დაგვანაყრა და საუზმეში ზომიერი ფასი ოთს-ოთხი მარგა გამოგვართვა.

ბავშვივით გამახრა ქალაქში გავლამ, ბიძაჩემი ადვილად ამყვა; თუმცა, კაცმა რომ თქვას, არაფრისათვის არ მიუქცევია ყურადღება, არც მეფის საკმაოდ უმნიშვნელო სასახლისათვის, არც მუზეუმის წინ არხზე გადებული მეჩვიდმეტე საუკუნის ლამაზი ხიდისათვის, არც ტორვალდსენის საფლავზე აღმართული დიდი ძეგლისათვის, რომელსაც შემაძრწუნებელი ფერწერა ამკობს და ძეგლის შიგნით სკულპტორის ქანდაკებებია დაცული; არც როზენბორგის კოშკი - ბონბონიერი დაუნახავს, არც საკმაოდ ლამაზი პარკი, კოშკს რომ აკრავს, არც ბირჟის შესანიშნავი რენესანსული შენობა, არც მისი სამრეკლო, რომელსაც ბრინჯაოს ოთხი დრაკონის გადახლართული კუდები შეადგენენ, არც გალავნის გაყოლებით აგებული დიდი წისქვილები, რომელთა ფართო ფრთები იბერებოდ, როგორც ხომალდის აფრები ქარში.

რა კარგად ვისერნებდი ჩემს მშვენიერ გრაუბენთან ერთად ნავსადგურის მთვლემარე გემბანიან ხომალდებსა და ფრეგატების გაყოლებით, სრუტის ზურმუხტოვან დაჩრდილულ ნაპირებზე, სადაც ციტადელი იმლება, რომლის ზარბაზნებს ხახა ანწილსა და ტირიფის ტოტებს შორის გამოუშვერია თავისი შავი დინგები, მაგრამ, ვაგლახ, რომ ჩემი საბრალო გრაუბენი შორს იყო და არც იმედი მქონდა, რომ ოდესმე ვნახავდი.

თუკი ბიძაჩემს ეს მომაჯადოებელი ხედები არც შეუნიშნავს, სამაგიეროდ ძალზე გააოცა ერთმა სამრეკლომ ამაგერის კუნძულზე, კოპენჰაგენის სამხრეთ-დასავლეთის უბანში.

მან მიბრძანა იქითკენ წავსულიყავით; პატარა გემში ჩავსხედით და არხის გავლით, რამდენიმე წუთში დოკ-იადის ბაქანს მივადექით.

რამდენიმე ვიწრო ქუჩა გადავკვეთეთ, სადაც ყვითელ-ნაცრისფერი შარვლებიანი კატორღელები ზედამხედველთა მეთვალყურეობით მუშაობდნენ და ფორ-ფრესლერს-კრიკს მივადექით, ეს ეკლესია არაფრით არ გამოირჩეოდა. მაგრამ პროფესორის ყურადღება მიიპყრო ეკლესიის საკმაოდ მაღალმა სამრეკლომ; ბაქანიდან დაწყებული მთელ კოშკს სამრეკლომდე ცად აწვდილი ხვეული კიბე მიუყვებოდა.

- ავიდეთ, - მითხრა ბიძაჩემმა.

- კი, მაგრამ, თავბრუ რომ დაგვეხვეს? - მივუგე მე.

- მით უმეტეს, უნდა მიეჩვიო.

- მაგრამ...

- მოდი-მეთქი, დროს ნუ ვკარგავთ!

უნდა დავმორჩილებოდი. ქუჩის გადაღმა მხარს მცხოვრებმა დარაჯმა გასაღები ჩაგვაბარა და კიბეს შევუდექით.

ბიძაჩემი მსუბუქი ნაბიჯით წინ მიმიძღოდა. მე მივყვებოდი, არც მთლად უშიშრად, რადგან თავბრუ ადვილად მეხვეოდა. ვერც არწივის გამბედაობას დავიკვეხნიდი, ვერც მაგარ ძარღვებს.

სანამ გარს კედელი გვერტყა, ყველაფერი კარგად მიდიოდა; მაგრამ ას ორმოცდაათი საფეხურის შემდეგ სახეში ჰაერი მეცა; სამრეკლოს ბაქანს მივაღწიეთ. აქ იწყებოდა საჰაერო

კიბე, მსუბუქი მოაჯირით, ხოლო კიბის საფეხურები თანდათან ვიწროვდებოდნენ, კიბე თითქოს უსასრულობისაკენ მიისწრაფოდა.

- აქ რა ამიყვანს! - წამოვიძახე მე.

- ლჩარი ხომ არა ხარ? ამოდი! - ულმობელად მიპასუხა პროფესორმა.

იძულებული ვიყავი, ჩავჭიდებოდი მოაჯირს და გავყოლოდი. სუფთა ჰერი მაბრუებდა; ვგრძნობდი, ქარი როგორ არყევდა სამრეკლოს; ფეხები მეკეცებოდა; ჯერ მუხლებზე დავიწყე ფოფხვა, შემდეგ მივცოცავდი, სიმაღლის შიშით თვალები დახუჭე.

ბოლოს, ბიძაჩემმა საყელოში ჩამჭიდა ხელი და გუმბათთან ამათრია.

- უყურე, - მითხრა მან, - კარგად ჩაიხედე! უნდა ისწავლო უფსკრულში ცქერა.

თვალი გავახილე. კვამლიდან ბურუსში გაბრტყელებული, თითქოს რიღაცით გაჭეჭყილი სახლები შევნიშნე. ჩემ ზემოთ აქოჩრილი ღრუბლები დაცურავდნენ, მაგრამ ოპტიკური შეცდომის გამო, ისინი უძრავი მეჩვენებოდა, ხოლო სამრეკლო, გუმბათი, მე თვითონ ფანტასტიკური სისწრაფით მივქროდით. შორს, ერთის მხრივ, მოჩანდა ზურმუხტი ველები, მეორე მხრივ კი მზის სხივებით გაბრწყინებული ზღვა ელვარებდა. ელსინორის კონცხის გასწვრივ ზუნდი იშლებოდა. რამდენიმე თეთრი აფრა თოლიას ფრთასავით ზღვის ზედაპირზე ფარფატებდა. აღმოსავლეთით კი, ბურუსში შვეციის ოდნავ წაშლილი ნაპირები ისახებოდა. მთელი ეს სივრცე თვალწინ მიტრიალებდა.

მიუხედავად ამისა, უნდა ფეხზე ავმდგარიყავი, წელში გავმართულიყავი და მეცქირა. თავბრუსტრიალის პირველი გაკვეთილი მთელი საათის გაგრძელდა. როდესაც, დასასრულ, ნება მომეცა დაბლა ჩავსულიყავი და ქუჩის მყარ ფილაქანზე ფეხი დამედგა, მთელს სხეულში მტეხდა.

ხვალ თავიდან დაიწყებთ, - მითხრა ჩემმა მწვრთნელმა.

მართლაც ეს თავბრუდამხვევი ვარჯიში ხუთი დღის განმავლობაში მეორდებოდა. ძალაუნებურად, საგრძნობი წინსვლაც დამეტყო "ზევიდან ქვევით ცქერის" ხელოვნებაში.

მეცხრე თავი

გამგზავრების დღე დადგა. წინა დღით თავაზინმა ბ-ნმა ტომსონმა საგანგებო სარეკომენდაციო წერილები გადმოგვცა ისლანდიის გუბერნატორ გრაფ ტრამპისადმი, ეპისკოპოსის თანაშემწის ბ-ნ პიკტურსონისადმი და რეიკიავიკის მერის ბ-ნ ფინსენისადმი. ბიძაჩემმა მხურვალე ხელის ჩამორთმევით მადლობა გადაუხადა.

ორში, დილის ექვს საათზე, ჩვენი ძვირფასი ბარგი "ვალკირიის გემბანზე აიტანეს. კაპიტანმა მიგიჩინა საკმაოდ ვიწრო გაიუტები.

- ზურგის ქარი თუ გვიწყობს ხელს? - იკითხა ბიძაჩემმა.

- საუცხოო სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარია, - უპასუხა კაპიტნმა ბიარნემ, - ზუნდიდან ღია ზღვაში გავალთ და ყველა აფრას გავშლით.

რამდენიმე წუთის შემდეგ ორანმა გემი ნაპირს მოსწყდა და აფრაგაშლილი სრუტეში შევიდა. ერთი სააათის შემდეგ დანიის დედაქალაქი თითქოს შორეულ ტალღებში ჩაიძირა. "ვალკირია" გვერდს უვლიდა ელსინორის ნაპირს. ისე ვიყავი აღტაცებული, რომ მოველოდი ლეგენდარულ ტერასაზე ჰამლეტის აჩრდილის გამოჩენას.

"მშფოთვარე სულო, - ვფიქრობდი მე, - შენ უთუოდ გაგვამართლებდი! შესაძლოა, გამოგყვებოდი კიდეც, რათა დედამიწის ცენტრში გეძებნა შენი მარადიული კითხვის პასუხი!"

მაგრამ ძველ კედელზე არაფერი გამოჩენილა. თანაც ციხე-სიმაგრე დანიის გმირ უფლისწულზე ბევრად ახალგაზრდაა. იგი ახლა მდიდრულ საცხოვრებლად აქვს გამოყენებული ზუნდის სრუტეს მეკარეს; აქ ყოველწლიურად ყველა ქვეყნის თხუთმეტი ათასი გემი გაივლის ხოლმე.

კრონგბორგის ციხე მალე ბურუსში გაეხვია, ისევე როგორც შვეციის ნაპირზე აღმართული ჰელსინბორგის კოშკი, და კატეგატის ქარებმა ორანძიანი გემი ოდნავ დახრეს.

"ვალკირია" მოქნილი აფრიანი გემი იყო, მაგრამ ძნელია აფრიანი გემის იმედი გქონდეს. მას რეიკიავიკში გადაჰქონდა ნახშირი, საოჯახო ხელსაწყოები, თიხის ჭურჭელი, შალის ტანსაცმელი და ხორბალი. გემს მართავდა ეკიპაჟის ხუთი წევრი, ხუთივე დანიელი.

- რამდენ ხანს გასტანს მგზავრობა? - ჰკითხა ბიძაჩემმა კაპიტანს.

- ათიოდე დღეს, - უპასუხა ამ უკანასკნელმა, - თუ ფარიერის კუნძულებთან ძლიერმა ჩრდილო-დასავლეთის ქარმა არ შეგვიშალა ხელი.

- ხომ არ დაგვაგვიანდება?

- არა, ბატონო ლიდენბროკ, არხეინად იყავით, დროზე ჩავალთ.

საღამოს გემმა დანიის ჩრდილოეთ კიდეზე სკაგენის კონცხს შემოუარა, გვერდი აურა ნორვეგიის კიდეს და ჩრდილოეთის ზღვაში შევიდა.

ორი დღის შემდეგ შოტლანდიის ნაპირები ვიხილეთ პიტერჰედის განედზე. "ვალკირია" გაემართა ორკადებისა და ფარერის კუნძულებისაკენ, შოტლანდიის კუნძულებს შუა გავლით.

მალე ატლანტის ოკეანის ზვირთებმა ააქანავეს ჩვენი გემი.

"ვალკირია" იძულებული შეიქმნა ჩრდილოეთის ქარის საწინააღმდეგოდ ევლო, ეს სიძნელეც დასძლია, ფარერის კუნძულებამდე მიაღწია. რვაში კაპიტანმა იცნო ამ კუნძულთაგან ყველაზე აღმოსავლეთით მდებარე მიგანესი და, აქედან დაწყებული, იგი პირდაპირ პორტლენდის კონცხისკენ გაეშურა, რომელიც ისლანდიის სამხრეთ სანაპიროზე მდებარეობს.

ამ მოგზაურობის დროს ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა. საკმაოდ კარგად ავიტანე ზღვის ავადმყოფობა, ბიძაჩემს დიდად საწყენად დაურჩა, რომ მისდა სასირცხვილოდ, განუწყვეტლივ ავად იყო.

ამიტომ, მან ვერ შეძლო სუბარი კაპიტან ბიარნესთან ვერც სნეფელსის საკითხზე, ვერც მიმოსვლის საშუალებათა და ტვირთის გადაზიდვის თაობაზე; იძულებული შეიქმნა ეს ახსნა-განმარტებანი ადგილზე ჩასვლისთანავე გადაედო და მთელი დრო მწოლიარემ გაატარა თავის კაიუტაში, რომლის კედლებს რყევისაგან ჭრიალი გაჰქონდა. მე რომ მკითხოთ, ბიძაჩემზე ახი იყო რაც დაემართა.

თერთმეტში შორიდა გამოჩნდა პორტლენდის კონცხი. მზიანმა ამინდმა შესაძლებლობა მოგვცა კონცხზე აღმართული მირდალსიოკული გვენახა. კონცხი განმარტოებით აღმართული პიტალო, შიშველი კლდეა.

"ვალკირია" ნაპირიდან საკმაო მანძილს ინარჩუნებდა და ისე მიჰყვებოდა დასავლეთისაკენ, თან ვეშაპებისა და ზვიგენების მრავალრიცხოვანი ჯოგი მოგვყვებოდა. მალე გამოჩნდა უზარმაზარი გამონგრეული კლდე, რომელშიც აბობოქრებული ზღვის ნაკადი შეედინებოდა. უესტმენის პატარ-პატარა კუნძულები ისე აღმოცენდნენ ოკეანის სიღრმიდან, თითქოს ეს კლდეები ვიღაცას დაუთესიაო. აქედან, გემი კიდევ უფრო დაშორდა ნაპირს, რათა საკმაოდ შორი მანძილიდან მოევლო რეიკიანესის კონცხისთვის, ისლანდიის დასავლეთ კუთხეს რომ წარმოადგენს.

ზღვა ისე ღელავდა, რომ ბიძაჩემი გემბანზე ვერ ავიდა, რათა დამტკბარიყო ამ გაპარტახებული და სამხრეთ-დასავლეთის ქარებისაგან დალეწილი ნაპირის ცქერით.

ორმოცდარვა საათის შემდეგ, როდესაც თავი დავაღწიეთ ქარიშხლს, რომელმაც აიძულა გემი დაშვებული აფრებით ევლო, სკაგენის მისასვლელთან ტივტივა გამოჩნდა, რაც ზღვაში დიდ მანძIლზე შეჭრილ საშიშ წყალქვეშა კლდეებს მიანიშნებდა. გემზე ისლანდიელი ბოცმანი ამოვიდა და, სამი საათის შემდეგ, "ვალკირიამ" რეიკიავიკის მახლობლად ფაქსას ყურესი ჩაუშვა ღუზა.

პროფესორი, როგორც იქნა, თავისი კაიუტიდან გამოვიდა, ფერმკრთალი, გაბურძგნული, მაგრამ კვლავინდებურად აღტყინეული და დიდად კმაყოფილი, რასაც ადვილად ამოკითხავდით მის თვალებში.

ქალაქის მოსახლეობას თავი მოეყარა სანაპიროზე, რადგან ყველა დაინტერესებული იყო გემის ჩამოსვლით, რომელსაც ყველასთვის რამე უნდა ჩამოეტნა.

ბიძაჩემს, მისთვის მცურავ საპყრობილედ თუ საავადმყოფოდ ქცეულ კაიუტიდან თავის დაღწევა ეჩქარებოდა. მაგრამ ვიდრე გემბანს დასტოვებდა, მან გემის წინა ნაწილში მიმიყვანა და აქედან თითით მანახა ყურის ჩრდილოეთ ნაწილში აღმართული მაღალი მთის მარადიული თოვლით დაფარული ორად გახლეჩილი კონუსი.

- სენფელსი! - წამოიძახა მან, - სენფელსი!

შემდეგ, მანიშნა ჩუმად იყავიო და გადავიდან ნავში, რომელიც მას ელოდებოდა. ბიძაჩემს მეც გავყევი და მალე ფეხში შევდგით ისლანდიის მიწაზე.

ნავიდან გადმოსვლისთანავე დავინახეთ გენერლის ტანსაცმელში გამოწყობილი, წარმოსადეგი ადამიანი. ის უბრალო მოხელე როდი იყო, კუნძულის გუბერნატორი გახლდათ, თვითონ ბ-ნი ბარონი ტრამპი. პროფესორმა იცნო და გუბერნტორისათვის კოპენჰაგენიდან წამოღებული წერილები გადასცა. მათ დანიურად გააბეს საუბარი. მე განზე დავრჩი, გასაგებიცაა რატომ. ამ პირველივე საუბრიდან უკვე გამოირკვა, რომ ბარონი ტრამპი პროფესორ ლიდენბროკს მონა-მორჩილად ეგულებოდა.

ბიძაჩემი ძალიან თავაზინად მიიღო მერმა, ბ-ნმა ფინსენმა, რომელსაც გუბერნატორის მაგივრად სამხედრო ტანსაცმელი ამშვენებდა და გუბერნატორივით წყნარი და ასეთივე მშვიდობისმოყვარე ჩანდა.

რაც შეეხება ეპისკოპოსის თანაშემწეს ბ-ნ პიკატურსონს, იგი იმჟამად საეპისკოპოსო მოგზაურობაში იმყოფებოდა ჩრდილოეთის სამწყსოში და დროებით უარი უნდა გვეთქვა მის გაცნობაზე. მაგრამ ნამდვილად მომხიბლავი ადამიანი, რომლის დახმარება ჩვენთვის მეტად ძვირფასი იყო, აღმოჩნდა ბ-ნი ფრიდრიკსონი, რეიკიავიკის სკოლის ბუნებისმეტყველების მასწავლებელი. ეს თავმდაბალი მეცნიერი მხოლოდ ისლანდიურად და ლათინურად მეტყველებდა. მან დახმარება ჰორციუსის ენაზე შემომთავაზა და მე ვიგრძენი, რომ ჩვენ ერთმანეთს კარგად გავუგებდით. მართლაც, იგი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელთანაც ისლანდიაში ყოფნის დროს საუბარი შემეძლო.

ამ საუცხოო ადამიანის სახლი სამი ოთახისაგან შედგებოდა: და აქედან ორი ჩვენ დაგვითმო, სადაც მალე მოვეწყვეთ კიდევაც ჩვენი ბარგიანად, რომლის რაოდენობამ ცოტა არ იყოს გააკვირვა რეიკიავიკის მცხოვრებლები.

- მაშ, აქსელ, საქმე წინ მიდის და ყველაზე ძნელი უკვე გაკეთებულია, - მითხრა ბიძაჩემმა.

- როგორ თუ ყველაზე ძნელი?

- ცხადია, ჩვენ მხოლოდ ჩასვლაღა დაგვრჩა!

- თუ ასე მივუდექით, მართალი ბრძანდებით; მაგრამ ჩასვლის შემდეგ, ხომ ისევ ზევით უნდა ამოვიდეთ?

- ო! ეს სულაც არ მადარდებს! მაშ, დროს ნუ ვკარგავთ! - ისედაც ცოტა გვაქვს! წავალ ბიბლიოთეკაში. იქნებ საკნუსემის რომელიმე ხელნაწერი გააჩნიათ. სიამოვნებით გავეცნობოდი.

- ამასობაში, ქალაქს დავათვალიერებ. თქვენ არ გნებავთ ქალაქის ნახვა?

- ო! ნაკლებად მაინტერესებს. ისლანდიის მიწის ზედაპირი კი არ მაინტერესებს, არამედ მისი წიაღი.

სახლიდან გავედი და ალალბედზე გავემართე.

რეიკიავიკის ორად-ორ ქუჩაში დაკარგავა ადვილი როდია. გზის კითხვაც არ მომიხდა, თორემ ხელებით ლაპარაკით აბა რას გავხდებოდი.

ქალაქი მდებარეობს ორ ბორცვს შორის, საკმაოდ დაბალ და ჭაობიან ხევში. ერთი მხრივ მის საზღვარს ლავის ფართო ნაკადი, რომელიც საკმაოდ ციცაბო საფეხურებად ეშვება ზღვისაკენ. მეორე მხარეს იშლება ფაქსას ფართო ყურე, რომელსაც ჩრდილოეთიდან ზღუდავს სნეფელსის დიდი მყინვარი. ამჟამად ყურეში მხოლოდ "ვალკირია" იდგა.

ჩვეულებრივ, რეიდზე ინგლისსა და საფრანგეთის მრავალი მეთევზის ნავი დგას; მაგრამ ჩვენ იქ ყოფნაში ისინი თევზებს იჭერდნენ კუნძულის აღმოსავლეთ ნაპირზე.

რეიკიავიკის ყველაზე გრძელი ქუჩა პარალელურად მიჰყვება ნაპირს; აქ წითლად შეღებილ ძელურ ქოხებში ცხოვრობენ ვაჭრები და ნეგოციანტები; მეორე ქუჩა უფრო დასავლეთით მდებარე პატრა ტბისაკენ მიდის, აქაა ეპისკოპოსისა და იმ პირთა სახლები, რომელთაც ვაჭრობასთან არაერი აქვთ საერთო.

სწრაფად შემოვიარე ეს უხალისო და მოსაწყენი ქუჩები; ზოგჯერ შორიდან თვალს მოვკრავდი ხოლმე ფერგადასულ გაცვეთილ ხალიჩის მსგავს გაზონს, ბოსტანს, სადაც იმდენი კარტოფილი, კომბოსტო და სალათა მოდიოდა, ლილიპუტების სუფრას თუ ეყოფოდა. რამდენიმე უბადრუკი ლევკოიონის შევნიშნე, მზისკენ რომ მიიწევდა.

იმ მეორე არასავაჭრო ქუჩის დაახლოებით შუა ადგილას ვნახე თიხის კედელშემოვლებული ვრცელი სასაფლაო, რამდენიმე ნაბიჯი გავიარე და გუბერნატორის სახლს მივადექი: ჰამბურგის რატუშას სხვასთან შედარებით ქოხმახს ჰგავდა, მაგრამ ისლანდიელ მოქალაქეთა ერთი ციცქნა სახლების გვერდით სასახლედ გამოდგებოდა.

პატარა ტბას და ქალაქს შუა აღმართულიყო პროტესტანტულ გემოვნებაზე აგებული ეკლესია, გამომწვარი ქვისაგან ნაშენი, თვით ვულკანებს რომ ამოაქვს უსასყიდლოდ დედამიწის სიღრმიდან; დასავლეთის ძლიერი ქარების დროს წითელი კრამიტის სახურავი, უეჭველია, დაინგრეოდა და გაცამტვედებოდა მორწმუნეთა დასანახად.

ერთ მახლობელ მაღლობზე შენობა ეროვნული სკოლისა, სადაც, როგორც მოგვიანებით ჩვენი პატრონისაგან გავიგე, ასწავლიდნენ ებრაულს, ინგლისურს, ფრანგულს, და დანიურ, ოთხ ისეთ ენას, რომელთაგან ჩემდა სამარცხვინოდ არცერთი სიტყვაც კი არ გამეგებოდა. ამ პატარა კოლეჯის ორმოც მოსწავლეში უკანასკნელი ვიქნებოდი და ღირსი არ ვიყავი მათთან ერთად დამეძინა იმ ორგანყოფილებიან კარადებივით სენაკებში, სადაც უფრო ნაზი არსებები ალბათ პირველსავე ღამეს გაიგუდებოდნენ.

სამ საათში მხოლოდ ქალაქი კი არა, მთელი მისი გარეუბნებიც მოვიარე, საერთო უსიცოცხლო იერი ჰქონდა. ვერსად ვერ შეხვდებოდი ვერც ხეს, ვერც სხვა რაიმე მცენარეულობას. ყველგან წვეტიანი ვულკანური კლდეები მოჩანდა. ისლანდიელთა სახლები მიწისა და ტორფისაგანაა აგებული, კედლები შიგნითკენ დახრილი, უშუალოდ მიწაზე დადგმულ სახურავებსა ჰგვანან. ამ სახურავებზე საცხოვრებელი ბინიდან ამომავალი სითბოს წყალობით საკმაოდ კარგი ბალახი იზრდება, რომელსაც გულდასმით თიბავენ, თორემ შინაური ცხოველები საძოვრად მოადგებოდნენ ამ შინაურ საძოვრებს.

სეირნობის დროს ძალიან ცოტა ხალხი შემხვდა, როდესაც სავაჭრო ქუჩას დავუბრუნდი ვნახე, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ვირთევზას ახმობდა, ამარილებდა და ტვირთავდა, ეს თევზი აქაურების მთავარი საექსპორტო საქონელია. მამაკაცები ღონივრები, მაგრამ ტლანქები არიან, სევდიანი თვალები აქვთ. ისლანდიელები გერმანული რასის სკანდინავურ შტოს ეკუთვნიან, გადახიზნულნი არიან დედამიწის კიდეზე და თავს განდეგილებად გრძნობენ; ესკიმოსებად უნდა დაბადებულიყვნენ, რადგან ამ ადამიანებს მისჯილი აქვთ ცხოვრება პოლარული წრის საზღვართან. ამაოდ ვეცადე მათ სახეზე ღიმილი მენახა, თუ ღიმილად არ ჩავთვლით სახის ოდნავ შეცვლას.

ეცვათ მეზღვაურთა ყაიდაზე შეკერილი შავი შლის უხეში ბლუზი, სკანდინავურ ქვეყნებში მას "vadmel"-ს ეძახიან, და წითელარშინიანი შარვალი, ფეხზე ემოსათ გადაკეცილი ტყავის ნაჭერი, ეხურათ ფართოფარფლებიანი ქუდი.

ქალებს საკმაოდ სასიამოვნო, მაგრამ დაღვრემილი და მორჩილი უმეტყველო სახეები აქვთ; მათ აცვიათ კორსაჟი და მუქი "vadmel"-ის ტიპის კაბა: ქალიშვილებს თავზე ყავისფერი შალის პატარა ქუდი ჰხურავთ, თმები დაწნული აქვთ. მანდილოსნებს თავზე ფერადი მანდილი ახვევიათ და ზედ თეთრი ტილოს ჩიხტიკოპის მსგავსი თავსაბურავი ადევთ.

გასეირნების შემდეგ ბ-ნ ფრიდრიკსონის სახლში რომ დავბრუნდი, ბიძაჩემი უკვე შინ დამხვდა, სახლის პატრონს ესაუბრებოდ.

თავი მეათე

სადილი მზად იყო; პროფესორი ლიდენბროკი, გემით მოგზაურობის დროს უნებლიეთ შიმშილობის შემდეგ, ხარბად მიირთმევდა საჭმელს. სადილი უფრო დანიური ყაიდისა იყო, ვიდრე ისლანდიური, ჩვენი მასპინძელი კი უფრო ისლანდიელი იყო, ვიდრე დანიელი და ძველებური ადათით მეტად სტუმართმოყვარე გახლდათ. ამიტომ თავს შინაურულად ვგრძნობდით.

ისლანდიელების ენაზე საუბრობდნენ. ბიძაჩემი გერმანულს გაურევდა ხოლმე, ხოლო ბ-ნი ფრიდრიკსონი ლათინურს, რათა მეც შემძლებოდა მათი ლაპარაკის გაგება. საუბარი, როგორც მეცნიერებს შეჰფერის, სამეცნიერო საკითხებს ეხებოდა, მაგრამ პროფესორი ლიდენბროკი ზედმიწევნით თავშეუკავებელი იყო და ყოველწამს თვალით მანიშნებდა, რომ ხმა არ ამომეღო იმის თაობაზე, რაც ჩვენს მომავალ გეგმებს შეეხებოდა.

პირველად ყოვლისა, ბ-ნმა ფრიდრიკსონმა ჰკითხა ბიძაჩემს ბიბლიოთეკაში რამე საინტერესოს თუ წააწყდითო.

- თქვენი ბიბლიოთეკა! - წამოიძახა პროფესორმა, - დაფლეთილი წიგნებისა და თითქმის ცარიელი თაროების მეტი იქ ვერაფერი ვერა ვნახე.

- როგორ! - გაუკვირდა ბ-ნ ფრიდრიკსონს, - ჩვენ რვა ათასი ტომი გვაქვს, რომელთაგან მრავალი ძვირფასი და იშვიათი ეგზემპლარია ძველ სკანდინავურ ენაზე დაწერილი. შრომებით თუ ახალი წიგნებით კოპენჰაგენი ყოველ წელს გვამარაგებს.

- მაგრამ სად არის ეს რვა ათასი ტომი? მე რომ მკითხოთ....

- ო! ბატონო ლიდენბროკ, ეს წიგნები მთელ ჩვენს ქვეყანაში ტრიალებს. ჩვენს ძველ ყინულოვან კუნძულზე სწავლა უყვართ! ვერც ერთ ფერმერს, ვერც ერთ მეთევზეს ვერ ნახავთ, კითხვა რომ არ იცოდეს და არ კითხულობდეს. ჩვენ ვფიქრობთ, წიგნის დანიშნულება ის კი არ არის, რკინის კარში გამოკეტილი იყოს და ობდებოდეს ცნობისმოყვარე თვალთაგან შორს, ისინი მკითხველთა თითებმა უნდა ფურცლონ და ცვითონ. ამიტომაა, რომ ეს ტომები ხელიდან ხელში გადადის, მათ ფურცლავენ, კითხულობენ ერთხელ ან მრავალჯერ და ეს წიგნები ხშირად თაროს უბრუნდებიან მხოლოდ ერთი ან ორი წლის შემდეგ.

- ამასობაში კი, - უპასუხა ბიძაჩემმა წყრომით, - უცხოელები...

- რას იზამ! უცხოელებს შინ საკუთარი ბიბლიოთეკები აქვთ და, უწინარეს ყოვლისა კი, საჭიროა, რომ ჩვენი გლეხები განათლდნენ. აკი მოგახსენეთ, ისლანდიელებს შესისხლხორცებული აქვთ სწავლისადმი სიყვარული, ამიტომაც არის, რომ 1816 წელს ჩვენ დავაარსეთ ლიტერატურული საზოგადოება, რომლის საქმიანობა კარგად წარიმართა; უცხოელი მეცნიერები მის წევრობას საპატიოდ თვლიან; საზოგადოება ბეჭდავს ჩვენი თანამემამულეებისათვის განკუთვნილ წიგნებს და ქვეყანას ნამდვილ სამსახურს უწევს. თუ თქვენ გსურთ, ჩვენი ერთ-ერთი წევრ-კორესპოდენტი გახდეთ, ბატონ ლიდენბროკ, უდიდეს სიამოვნებას მოგვანიჭებთ.

ბიძაჩემი, უკვე ასიოდე სამეცნიერო საზოგადოების წევრი, ხალისით დათანხმდა, რამაც ბ-ნ ფრიდრიკსონს გულია აუჩუყა.

- ახლა კი, - განაგრძო მან, - კეთილი ინებეთ და დამისახელეთ ის წიგნები, რომელთა ნახვის იმედი გქონდათ ჩვენს ბიბლიოთეკაში და მე, შესაძლოა, შევძლო რაიმე ცნობა მოგაწოდოთ.

ბიძაჩემს შევხედე. პასუხის გაცემამდე შეყოყმანდა. ეს ხომ უშუალოდ მის გეგმებს ეხებოდა. მაგრამ დაფიქრდა და უთხრა:

- ბატონო ფრიდრიკსონ, მე მინდოდა გამეგო, ძველ ნაშრომთა შორის ხომ არა გაქვთ არნე საკნუსემის ნაწერები?

- არნე საკნუსემი? - მიუგო რეიკიავიკელმა მასწავლებელმა. - თქვენ გულისხმობთ მეთექვსმეტე საუკუნის მეცნიერს, რომელიც დიდი ბუნებისმეტყველი, დიდი ალქიმიკოსი და მოგზაური იყო?

- სწორედ მას ვგულისხმობ.

- ისლანდიის მწერლობისა და მეცნიერების მშვენებას?

- როგორც თქვენ ბრძანებთ.

- საქვეყნოდ ცნობილ ადამიანს?

- სავსებით გეთანხმებით.

- რომლის გამბედაობა მის გენიას უდრიდა?

- როგორც ვეხედავ, თქვენ მას კარგად იცნობთ.

ბიძაჩემის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ამის გამგონე, ლამის თვალებით ჭამდა ბ-ნ ფრიდრიკსონს.

- მაშ, - იკითხა მან, - მისი შრომები?

- ა! მისი შრომები ჩვენ არა გვაქვს.

- როგორ! ისლანდიაში?

- ისინი არც ისლანდიაში და არც სხვაგან არ მოიპოვება.

- ვითომ რატომ?

- იმიტომ, რომ არნე სკნუსემს მკრეხელობისათვის დევნიდნენ და 1573 წელს მისი შრომები კოპენჰაგენში ჯალათის ხელით დაწვეს.

- ძალიან კარგი! საუცხოოა! - წამოიძახა ბიძაჩემმა, რითაც ბუნებისმეტყველების მასწავლებლის აღშფოთება გამოიწვია.

- რაო? - გაუკვირდა ფრიდრიკსონს.

- დიახ! ყველაფერი ცხადი ხდება, ყოველივე ნათელია და ახლა მესმის, რატომ იყო იძულებული კანონის გარეშე დაყენებული საკნ უსემი, თავის გენიალური აღმოჩენები დაემალა და გაუგებარ კრაიპტოგრამაში დაეფარა თავისი საიდუმლო...

- რომელი საიდუმლო? - მკვირცხლად იკითხა ბ-ნმა ფრიდრიკსონმა.

- საიდუმლო, რომელიც.... რომელზეც... - წაიბუტბუტა ბიძაჩემმა.

- რომელიმე დოკუმენტი ხომ არა გაქვთ ხელთ - განაგრძო დაკითხვა ჩვენმა მასპინძელმა.

- არა... ეს მხოლოდ ვარაუდია.

- კეთილი, - უპასუხა ბ-ნ მა ფრიდრიკსონმა. იგი იმდენად თავაზიანი გამოდგა, თანამოსაუბრეს დაბნეულობა რომ შეამჩნია, აღარ ჩასციებია, - იმედი მაქვს, განაგრძო მან, - რომ თქვენ ისე არ დასტოვებთ ჩვენს კუნძულს, რომ მის მინერალოგიურ სიმდიდრეს არ გაეცნოთ?

- უთუოდ, - უპასუხა ბიძაჩემმა, - მაგრამ ცოტა დამიგვიანდა: სხვა მეცნიერებს ხომ უკვე გამოუვლიათ აქეთ?

- დიახ. ბატონო ლიდენბროკ; მეფის ბრძანებით შესრულებულმა ოლაფსენის და პოვლსენის შრომებმა, ტროილის გამოკვლევებმა, გემარისა და რობერის სამეცნიერო მისიებმა ფრანგულ კორვეტ "მ ა ძ ი ე ბ ე ლ ე ლ ზ ე "[1] და, უკანასკნელ დროს, ფრეგატ "დ ე დ ო ფ ა ლ ჰ ო რ ტ ე ნ ზ ი ა ზ ე" მოგზაურ მეცნიერთა დაკვირვებებმა ძალიან შეუწყვეს ხელი ისლანდიის შესწავლას, მაგრმ დამერწმუნეთ, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

- ასე ფიქრობთ? - ვითომ გულუბრყვილოდ იკითხა ბიძაჩემმა და შეეცადა აციმციმებული თვალები მოერიდებინა.

- დიახ. ჯერ კიდევ რამდენიმე ნაკლებად ცნობილი მთა, მყინვარი და ვულკანია შესწავლილი! და, შორს რომ არ ვეძებოთ, გახედეთ ამ მთას, ჰორიზონტზე რომ მოჩანს. ეს სნეფელსია.

---

1 1835 წელს ადმირალმა დიუპერმა გაგზავნა მ ა ძ ი ე ბ ე ლ ი უკვალოდ დაკარგული ბლოსველის გემის "ლ ი ლ ე ლ ი ქ ა ლ ი ს" ექსპედიციის კვალის აღმოსაჩენად. (ავტორის შენიშვნა).

- ა! - თქვა ბიძაჩემმა, - სნეფელსი.

- დიახ, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ვულკანი, რომლის კრატერში იშვიათად თუ ჩადიან ხოლმე.

- ჩამქრალია?

- უკვე ხუთასი წელია, რაც ჩაქრა.

- კეთილი! - უპასუხა ბიძაჩემმა და სწრაფად ფეხი ფეხზე გადაიდო, მოუთმენლობისაგან რომ არ ამხტარიყო, - მე მსურს ჩემი გეოლოგიური ძიებანი დავიწყო ამ სეფელ... ფესელით.... თუ როგორ ბძანეთ?

- სნეფელსით, -თავაზიანად გაუსწორა ბ-მა ფრიდრიკსონმა.

ლათინურად საუბრობდნენ. ასე რომ, ყველაფერი გავიგე. ბიძაჩემის შემყურე ძლივს ვიკავებდი თავს. იგი სიხარულის დაფარვას ცდილობდა და უმანკო გამომეტყველებას იღებდა, ბებერი ეშმაკივით იმანჭებოდა.

- დიახ, - თქვა მან, - თქვენი სიტყვები ჩემთვის გადამწყვეტია! ჩვენ შევეცდებით ავიდეთ ამ სნეფელსზე და, შესაძლოა, მისი კრატერიც შევისწავლოთ!

- ძალიან ვნანობ, - უპასუხა ბ-ნმა ფრიდრიკსონმა, - რომ საქმეების გამო აქედან ფეხს ვერ მოვიცვლი; სიამოვნებით გამოგყვებოდით, რაც სასარგებლოც იქნებოდ ჩემთვის.

- ო! არა, არა, - მკვირცხლად უპასუხა ბიძაჩემმა, - არავისი შეწუხება არ გვინდა, ბ-ნო ფრიდრიკსონ; გულითად მადლობას გიხდით. თქვენისთანა მეცნიერის დასწრება ძალზე სასარგებლო იქნებოდა, მაგრამ თქვენი საქმიანობა...

ვფიქრობ, რომ ჩვენი მასპინძელი უმანკო ისლანდიური სულის გამო ვერ მიხვდა ბიძაჩემის ოინებს.

- სავსებით მხარს გიჭერთ, ბატონო ლიდენბროკ, იმაში, რომ ამ ვულკანით იწყებთ. მანდ მრავალ საინტერესო დაკვირვებას ჩაატარებთ. მაგრამ ეს მიბრძანეთ, როგორ ფიქრობთი სნეფელსის ნახევარკუნძულამდე მისვლას?

- ზღვით, ყურეს გადავჭრით. ეს ყველაზე მოკლე გზა არის.

- უთუოდ; მაგრამ შეუძლებელია ამ გზას დაადგეთ.

- რატომ?

- იმიტომ რომ რეიკიავიკში არც ერთი ნავი არა გვაქვს.

- ეშმაკმა დალახვროს!

- ხმელეთით მოგიხდებათ წასვლა, ნაპირის გასწვრივ. უფრო გრძელი გზა იქნება, მაგრამ უფრო საინტერესო.

- ყაბულსა ვარ, ვეცდები, გამყოლი ვიშოვო.

- ერთი თქვენთვის შესაფერი ადამიანი შემიძლია შემოგთავაზოთ.

- სანდო კაცია, ჭკვიანი?

- დიახ, ნახევარკუნძულის მცხოვერბია. სუსხურზე მონადირეა, ძალიან მოხერხებული კაცია, თქვენ მისი კმაყოფილი დარჩებით დანიურს თავისუფლად ლაპარაკობს.

- როდის შემიძლია ვნახო?

- თუ ინებებთ, ხვალვე.

- რატომ დღეს არა?

- საქმე ისაა, რომ იგი მხოლოდ ხვალ ჩამოდის.

- მაშ ხვალამდის, - ამოიოხრა ბიძაჩემმა.

ამ მნიშვნელოვანი საუბრის დასრულების შემდეგ, გერმანელმა პროფესორმა ისლანდიელ მასწავლებელს მხურალე მადლობა გადაუხადა. სუფრასთან ამ საუბრიდან ბიძაჩემმა მნიშვნელოვანი ცნობები მიიღო, სხვათა შორის საკნუსემის ამბავი და მისი საიდუმლო დოკუმენტის არსებობის მიზეზი გაიგო. გაიგო ისიც, რომ მასპინძელი პროფესორ ლიდენბროკს არ გაჰყვებოდა ექსპედიციში და რომ ხვალიდან გამყოლი მის განკარგულებასი იქნებოდ.

მეთერთმეტე თავი

საღამოთი ცოტა ხანს რეიკიავიკის სანაპიროზე გავისეირნე, ადრე დავბრუნდი, უხეში ფიცრის საწოლზე დავწექი და მალე ღრმა ძილით ჩამეძინა.

როცა გამომეღვიძა, მეზობელი ოთახიდან ბიძაჩემის ცოცხალი ლაპარაკი შემომესმა. ამშინვე ავდექი და მასთან გავედი.

იგი დანიურად ესაუბრებოდა მკვირივი აღნაგობის მაღალ კაცს. ეს ადამიანი იშვიათი ღონის პატრონი უნდა ყოფილიყო. უხეშ და საკმაოდ გულუბრყვილო სახეზე მეოცნების თვალებში ჭკუა გამოსჭვიოდა. მის ათლეტურ მხრებს გრძელი თმა ეცემოდა, ინგლისშიც რომ წითურად გასაღდებოდა. ამ ადგილობრივ მაცხოვრებელს მოქმნილი მოძრაობა ჰქონდა, ოღონდ ხელები კი მეტწილად უძრავად ეჭირა, თითქოს ჟესტების ენა ეზიზღებაო. მასში ყოველივე ამჟღავნებდა სრულიად მშვიდ, არა სუსტს, არამედ დინჯ ტემპერამენტს. იგრძნობოდა, რომ არავის არაფერსა სთხოვდა და რომ, ამქვეყნად ვერაფერი გააკვირვებდა და არც რაიმე შეაშფოთებდა ამ ქვეყნისადმი მის ფილოსოფიურ დამოკიდებულებას.

ამ ხასიათის თავისურებურება ჩემთვის გასაგები შეიქმნა იმის მიხედვით, თუ როგორ უსენდა ისლანდიელი მისი თანამოსაუბრის აღტაცებულ ქაქანს. ხელები გულზე დაეკრიფა და უძრავად და შეუშფოთველად მისჩერებოდა ბიძაჩემის ხელების ქნევას, მხოლოდ თავს იქნევდა უარყოფის ნიშნად, ოდნავ დაბლა დაიხრებოდა დასტურის აღსანიშნავად, ისე რომ მისი გრძელი თმა თითქმის არც ირხეოდა, ისე ძუნწად ჰქონდა გამოზომილი ყოველი მოძრაობა.

ცხადია, ამ ადამიანის დანახვაზე ვერაფრით ვერ მივხვდებოდი, რომ იგი მონადირეა; დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ იგი ფრინველს დააფრთხობდა, მაგრამ როგორ დაიჭერდა?

ყოველივე ცხადი გახდა, როდესაც ბ-ნმა ფრიდრიკსონმა მითხრა, რომ ეს მშვიდი ადამიანი მხოლოდ სუსხურზე მონადირეა, იმ ფრინველზე, რომლის ბუმბული კუნძულის ყველაზე დიდ სიმდიდრეს, შეადგენს. ამ ბუმბულს სუსხურის გერმა ჰქვია და მის შეგროვებას ბევრი მოძრობა არ სჭირდება.

ზაფხულის პირველ დღეებში, დედალი სუსხური მიეშურებ ფიორდებისაკენ, [1] რომებითაც დაკბილულია კუნძულის მთელი ნაპირი და აქ ბუდეს იკეთებს. როდესაც ბუდე მზადაა, სუსხური მუცლიდან ბუმბულს იძრობს და ბუდეში აფენს. მაშინ მონადირე, ან უკეთ რომ ვთქვათ, ბუმბულით მოვაჭრე ბუდეს ძარცვავს, დედალი სუსხური კი იძულებულია თავიდან შეუდგეს მუშაობას. ასე გრძელდება მანმდე, სანამ სუსხურს ცოტა ბუმბული მაინც რჩება. როდესაც დედალი სუსხური სავსებით გაშიშვლდება, ახლა მამალი ფრინველის ჯერი დგება. მაგრამ, ვინაიდან მამლის მაგარსა და უხეშ ბუმბულს არავითარი სავაჭრო ღირებულება არა აქვს, მონადირე აღარ ჰპარავს ბარტყების საგებს და, ამრიგად, ბუდეს ეღირსება ხოლმე დამთავრება, დედალი სუსხური კვერცხს სდებს, ბარტყებს ჩეკავს, მომდევნო წელს, ბუმბულის შეგროვება თავიდან იწყება.

რადგან სუსხური ბუდეს მაღალ კლდეებზე კი არ იკეთებს, არამედ ზღვის პირას

---

1 სკანდინავიის ქვეყნებში ვიწრო ყურეებს ჰქვია (ავტორის შენიშვნა).

უფრო ადვილად მისადგომსა და დამრეც კლდეებს ეტანება, ისლანდიელ მონადირეს შეუძლია აუჩქარებლად იმოქმედოს. იგი იმ ფერმერს მოგაგონებთ, რომელსაც არც თესვა სჭირდება, არც მოსავლის მკა, მხოლოდ მის აღებაზე ზრუნავს.

ამ დინჯ, ფლეგმატუ და უტყვ ადამიანს, ჰანს ბიელკე ერქვ სახელად, იგი ჩვენი მომავალი გამყოლი გახლდათ, ბ-ნ ფრიდრიკსონის რეკომენდაციით მოსულიყო. მისი ქცევა მკვეთრად განირჩეოდა ბიძაჩემის მანერებისაგან. მიუხედავად ამისა მათ ადვილად მონახეს საერთო ენა: არც ერთს, არც მეორეს ფასი არ ადარდებდა; ერთი თანახმა იყო იმაზე, რასაც შესთავაზებდნენ, მეორე მზად იყო, მიეცა იმდენი რამდენსაც მოსთხოვდნენ. მორიგება ჯერ არასდროს ყოფილა ასე ადვილი.

თანახმად შეთანხმებისა, ჰანსი კისრულობდა, გამოგვყოლოდა სოფელ სტაპიმდე, ეს სოფელი სნეფელსის ნახევარკუნძულზე, ვულკანის ძირას მდებარეობს. ხმელეთით

დაახლოებით ოცდაორი მილი უნდა გაგვევლო. ბიძაჩემის აზრით, გზას ორ დღეს მოვუნდებოდით.

მაგრამ, როდესაც შეიტყო, ლაპარაკია დანიურ მილზე, რომელიც ოცდაოთხ ათას ფუტს შეიცავს, ვარაუდი შეიცვალა. უგზოობაც გაითვალისწინა და დაასკვნა, ამ გზას შვიდსა ან რვა დღეში გავივლითო.

ბიძაჩემის განკარგულებაში ოთხი ცხენი უნდა ყოფილიყო: ორი ჩვენთვის, ორიც - ჩვენი ბარგისთვის. ჰანსი, ჩვეულებისამებრ, ფეხით ივლიდა. იგი ზედმიზევნით იცნობდა სანაპიროს ამ ნაწილს და დაგვპირდა ყველაზე მოკლე გზით გატარებთო.

ჰანსთან შეთანხმების ვადა სტაპიში ჩასვლისას არ იწურებოდა; იგი ბიძაჩემთან დარჩებოდა ყველა სამეცნიერო ექსკურსიების განმავლობაში და კვირაში სამ რიქსდალს მიიღებდა გასამრჯელოდ. ოღონდ საგანგებოდ აღინიშნა, რომ ეს თანხა გამყოლს გადაეცემა ყოველ შაბათ საღამოს, ეს მისი გარიგების აუცილებელი პირობა იყო.

გასვლა 16 ივნისს დაინიშნა. ბიძაჩემს უნდოდა ბე მიეცა, მაგრამ მონადირემ უარი განაცხადა.

- Efter, თქვა მან.

- მერეო, - განმიმარტა პროფესორმა.

შეთანხმების შემდეგ ჰანსი ოთახიდან გავიდა.

- ჩინებული კაცია, მაგრამ მას აზრდაც არ მოსდის, თუ რა დიდებულ როლს უმზადებს მომავალი, - წამოიძახა ბიძაჩემმა.

- მაშასადამე, იგი გამოგყვება...

- დიახ, აქსელ, დედამიწის ცენტრამდე.

წასვლამდე კიდევ ორმოცდარვა საათი გვრჩებოდა; მწყინდა, რომ იძულებული ვიყავი, ეს დრო მომზადებისათვის გამომეყენებინა: მთელი ჩემი ძალ-ღონე იმას მოვახმარეთ, რომ თითოეული საგანი, რაც შეიძლება, უფრო მოხერხებულად ჩაგველაგებინა, ხელსაწყოებს ერთი ადგილი მივუჩინეთ, იარაღს მეორე, ინსტრუმენტები ერთ ფუთში შევახვიეთ, სურსათი - მეორეში. ყველა ნივთი ოთხ ნაწილად დავაჯგუფეთ.

ხელსწყოებში შედიოდა:

1. ას ორმოცდაათ გრადუსად დაყოფილი ეიგელის თერმომეტრი რაც, ჩემი აზრით, ან ზედმეტი ან არა საკმარისი იყო. ზედმეტი იმ შემთხვევაში - თუკი გზადაგზა სიცხე ისე მოიმატებდა, რომ მაინც მოვიხარშებოდით. არასკმარისი - თუ წყაროების ან რომელიმე გამლღვარი მასალის ტემპერატურის გაზომვა დაგვჭირდებოდა.

2. ატმოსფერული წნევის გასაზომი მანომეტრი, რომელსაც ოკეანის დონეზე უფრო დიდი წნევის ჩვენებაც შეეძლო. ჩვეულებრივი ბარომეტრი არ იკმარ ებოდა, ვინაიდან ატმოსფერული წნევა, უთუოდ, პროპორციულად მოიმატებდა რამდენადაც უფრო ღრმად ჩავალთ დედამიწის ზედაპირიდან ქვევით.

3. ჰამბურგის დროსთან ზუსტად შედარებული ბუასონ-უმცროსის ჟენევის ქრონომეტრი.

4. ორი კომპასი დახრის და გადახრის განსაზვრისათვის.

5. ღმის ჭოგრი.

6. რუმკორფის ორი აპარატი, სანდო და მსუბუქი, პორტატული ელექტრონის ლამპარით.

იარაღი - "პარდლე მორ და კ-ს" სისტემის ორი კარაბინისა და კოლტის ორი რევოლვერი. რა საჭირო იყო იარაღი? იმედი მქონდა, რომ არც ველურებს და არც გარეულ მხეცებს არ შევხვდებოდით, მაგრამ ბიძაჩემი, როგორც ჩანს, იარაღსაც და ინსტრუმენტებს ძალიან უფრთხილდებოდა, განსაკუთრებით კი პიროქსილინის საკმაო მარაგს. სინოტივისა რომ არ ეშინოდა და რომლის აფეთქების ძალა გაცილებით აღემატებოდა ჩვეულებრივი დენთის ძალას.

ორი თოხი, ორი წერა ქვი, ბაწრის კიბე სამასი ფუტის სიგრძისა, სამი რკინის წვეტიანი ჯოხი, ერთი ცული, ჩაქუჩი, თორმეტი რკინის სოლი, ხრახნები, და გრძელი კვანძებიანი თოკები. ყოველივე ეს მოზრდილ ფუთად იყო შეკრული.

და ბოლოს, სურსათის ფუთა, თუმცა დიდი არ იყო, მამშვიდებდა, რადგან ვიცოდი, ხორცის კონცენტრატისა და ხმელი ნამცხვრის მარაგი ექვსი თვე გვეყოფოდა. წყალი არ მიგვქონდა, სასმელად მხოლოდ ოფიის არაყი მოვიმარაგეთ. მათარები წავიღეთ, რადგან ბიძაჩემს წყაროების იმედი ჰქონდა; ჩემი ეჭვი იმის თაობაზე, ვნახავდით თუ არა წყაროებს, გამოდგებოდა თუ არა სასმელად, ან რა ტემპერატურაზე ექნებოდა, უპასუხოდ დარჩა.

საგზაო ნივთების სიის სიზუსტისათვის აღვნიშნავ სამგზავრო აფთიაქს, რომელშიც შედიოდა ბრტყელწვერა მაკრატელი, არტაშანი, უხეში ქსოვილის ზონარი, ბანდი და კომპრესი, სალბუნი, ტაშტი სისხლის გამოსაშვებად და სხვა საშინელი საგნები; გარდა ამისა, შუშებში იყო დექსტრინი, სამკურნალო სპირტი, თხევადი ტყვიის აცეტატი, ეთერი, ძმარი და ნიშადური, დაბოლოს რუმკორფის აპარატებისათვის საჭირო ნივთიერებანი.

ბიძაჩემს არ დავიწყებია თუთუნის, თოფის წამლისა და აბედის მარაგი, ხოლო წელზე შემორტყმული ჰქონდა ტყავის ქამარი, რომელშიც სკმაოდ ჰქონდა შენახული ოქროს, ვერცხლის და ქაღალდის ფული. ინსტრუმენტების ფუთაში ინახებოდა ექვსი წყვილი გამძლე რეზინის ძირიანი წყალგაუმტარი ფეხსაცმელი.

- ამ ტანსაცმელით, ფეხსაცმელით, და აღჭურვილობით, შორეულმა მოგზაურობამ არ უნდა შეგვაშინოს, - მითხრა ბიძაჩემმა.

თოთხმეტში მთელი დღე მოვუნდებით ამ ნაირ-ნაირი ნივთიერების ჩალაგებას. საღამოთი ბარონ ტრამპთან ვისადილეთ, რეიკიავიკის მერისა და ისლანდიის გამოჩენილი ექიმის, დოქტორ ჰიალტალენის საზოგადოებაში. ბ-ნი ფრიდრიკსონი არ იყო თანამოსუფრეთა შორის; მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ მას და გუბერნატორს უთანხმოება ჰქონოდათ ერთი ადმინისტრაციული საკითხის გამო და ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ. ისე რომ, ვერაფერი ვერ გავიგე, რაზე საუბრობდნენ მთელი ამ ნახევარი ოფიციალური სადილის განმავლობაში, გარდა იმის, რომ ბიძაჩემი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა.

მეორე დღეს, თხუთმეტში, მოსამზადებელი სამუშაოები დავამთავრეთ. მასპინძლებმა ჰენდერსონის რუკაზე გაცილებით უფრო სრულყოფილი ისლანდიის რუკა გადასცა პროფესორს, რითაც დიდად ასიამოვნა. ეს იყო ბ-ნ ოლაფ ნიკოლა ოლსენას რუკა. 1.480 000 მასშტაბისა, რომელიც ისლანდიის ლიტერატურულმა საზოგადოებამ გამაოქვეყნა ბ-ნ შველ ფრიზაკის გეოდეზიური ნაშრომებისა და ბ-ნი ბიორან გულაუგსონის ტოპოგრაფიული გადაღების მიხედვით. მინერალოგიისათვის ეს რუკა ძვირფას დოკუმენტს წარმოადგენდა.

ბოლოს საღამომ ჩაიარა მეგობრულ საუბარში ბ-ნ ფრიდრიკსონთან, რომლის მიმართ ნამდვილად სიმპათიას ვგრძნობდი; ამ საუბრის შემდეგ საკმაოდ მოუსვენრად მეძინა.

დილის ხუთ საათზე ჩემს ფანჯრებთან ოთხი ცხენის თქარათქური და ჭიხვინი გაისმა. გამომეღვიძა, სწრაფად ჩავიცვი და ქუჩაში გავედი. მდუმარე ჰანსი აუჩქარებლად, მაგრამ იშვიათი სიმარჯვით ტვირთავდა ცხენებს. ბიძაჩემი მეტს ხმაურობდ, ვიდრე საქმეს აკეთებდა და გამყოლი ნაკლებად აქცევდა ყურადღებას მის რჩევა-დარიგებას.

ექვს საათზე სამზადისი დამთავრდა. ბ-ნმა ფრიდრიკსონმა ხელი ჩამოგვართვა. ბიძაჩემმა ისლანდიურად გულითადი მადლობა გადაუხადა სტუმართმოყვარეობისათვის. მე - კი, რამდენადაც შემეძლო გამართული ლათინურით გამოვემშვიდობე; შემდეგ ცხენებზე შევსხედით, და ბ-ნმა ფრიდრიკსონმა, უკანასკნელ გამოსამშვიდობებელ სიტყვასთან ერთად, მომმართა ლექსით, რომელიც ვირგილიუსმა თითქოს საგანგებოდ ჩვენთვის, გამგზავრების წინ ჩაფიქრებული მგზავრებისათვის შეთხზა: "Et quacumque viam dederit fortuna sequamur!"

მეთორმეტე თავი

ღრუბლიანი, მაგრამ მყარი ამინდი იდგა. არც დამქანცავი სიცხე, არც წვიმა, არ გვაშინებდა. სწორედ სატურისტო დარი გახლდათ.

უცნობ მხრეში ცხენით მგზავრობის სიამოვნებამ კარგ გუნებაზე დამაყენა. ლაღად ამოვისუნთქე, შვება ვიგრძენი. ამ მოგზაურობაში მონაწილეობას თანდათან შევეგუე.

"ბოლოს და ბოლოს, - ვეუბნებოდი ჩემს თავს, - ისეთი რა მელის? საინტერესო მხარეში მოგზაურობა, საქვეყნოდ ცნობილ მთაზე ასვლა, ყველაზე უარეს შემთხვეაში - იქნებ ჩამქრალს კრატერში ჩასვლაც მომიხდეს! ცხადია, რომ საკნუსემს სხვა არაფერი გაუკეთებია. დედამიწის ცენტრამდე, ცხადია, არავითარი ხვრელი არ მიდის. უაზრობაა, სისულელეა და ნაღდად მოჭორილი ამბავი; ყოველივე ამაზე ფიქრიც კი ზედმეტია! ახლა ისღა დამრჩენია, ექსპედიციის დადებითი მხარეებით ვისიამოვნო.

ამ ფიქრებში რეიკიავიკს გავცილდით კიდეც. წინ, სწრაფი, თანაბარი, გამოზომილი ნაბიჯით ჰანსი მიგვიძღოდა. მას ბარგით დატვირთული ორი ცხენი მიყვებოდა, ისე რომ მათ არც გეზის მიცემა და არც შოლტის შემოკვრა სჭირდებოდათ. უკან მე და ბიძაჩემი პატარა,მ მაგრამ ღონიერ ცხენებზე ამხედრებულები, არც ისე ურიგოდ გამოვიყურებოდით.

ისლანდია ევროპის ერთ-ერთი დიდი კუნძულია. მისი ზედაპირი ათას ოთხასი კვადრატული მილია, მაგრამ მოსახლეობა მხოლოდ სამოც ათას მცხოვრებს შეადგენს. გეოგრაფებმ იგი ოთხ რაიონად დაყვეს; და ჩვენ თითქმის ირიბად უნდა გადაგვეკვეთა ის მხარე, რომელსაც "სამხრეთ-დასავლეთის ქარები" ჰქვია: "Sud-vestr Fjordungr "

რეიკიავიკს გავცდით თუ არა, ჰანსი ზღვის ნაპირს გაჰყვა. გადავიარეთ გაყვითლებული მწირი საძოვრები, გაჭირვებით რომ ასწრებენ ამწვანებას; ყვითელი ფერი ჭარბობდა, აღმოსავლეთით ჰორიზონტზე ნისშლი ჩანდა ტრაქიტური ბორცვები; დროდადრო შორეულ მწვერლთა კალთებზე აკიაფდებოდნენ ხოლმე თოვლის ლაქები. ზოგიერთი პიკი მაღლა ცაში აჭრილი რუხ ღრუბლებში იმალებოდა, კვეთდა მრუმე ღრუბლების ფენას და კვლავ ჩნდებოდა მათ ზევით, როგორც ცაში ამოტივტივებული რიფი.

ხშირად ამ შიშველ, გაპარტახეულ კლდეთა წყება ზღვისკენ მიიჭრებოდა და მეტად შეავიწროებდა ხოლმე საძოვრების ზოლს, თუმცა, გასასვლელად საკმარისი ადგილი მაინც რჩებოდ. თანაც ჩვენი ცხენები ინსტინქტურად არჩევდნენ გზას ისე, რომ ნაბიჯსაც არასოდეს უკლებდნენ. ბიძაჩემს იმის საშუალებაც კი არ მიეცა, რომ ცხენი წაექეზებინა, შეეძახნა მისთვის, ან მათრახი ეხმარა და ამით მოუთმენლობა გამოემჟღავნებინა. ღიმილს ვერ ვიკავებდი, როდესაც ვხედავდი პატარა ცხენზე ამხედრებულ ახმახ ბიძაჩემს, გრძელ ფეხებს რომ თითქოს მიწაზე მიათრევდა. იგი ექვსფეხა კენტავრსა ჰგავდა.

- რა პირუტყვია, სათნო ცხოველი! - ამბობდა იგი. - ხედავ აქსელ, რომ ჭკუით ისლანდიელ ცხენს არცერთი ცხენი ჯობია. მას ვერაფერი შეაჩერებს; ვერც თოვლი, ვერც ქარბუქი, ვერც კლდე და მყინვარი. იგი მხნეა, დინჯი, საიმედო, ფეხი არასოდეს დაუსხლტება ზედმეტ ნაბიჯსაც კი არ გადადგამს. მდინარე ან ფიორდი თუ დაგვხვდა, ნახავ როგორ თამამად, უყოყმანოდ, ამფიბიასავით გადაეშვება წყალში და გაღმა ნაპირზე ამოვა! ოღონდ ნუ ააჩქარებ, თავის ნებაზე იაროს და ამრიგად გვატარებს დღეში ათ ლიეს.

- ჩვენ კი გვატარებს, - მაგრამ გამყოლი? - მივუგე მე.

- გამყოლი სრულიადაც არ მადარდებს. აქაური ადამიანები ისე არხეინად დადიან, რომ ვერც კი ამჩნევენ. ეს კაცი ისე გამოზომილად აბიჯებს, რომ არც უნდა იღლებოდეს, თანაც თუ საჭირო გახდა. ცხენს დავუთმობ. თუ ცოტა არ ვიმოძრავე, მალე სახსერები გამიშეშდება. ხელებს კი არ უშავთ რა, მაგრამ ფეხებზეც უნდა ვიზრუნოთ.

ამასობაში სწრაფად მივიწევდით წინ. ეს მხრე თითქმი უკაცრიელი იყო. აქა-იქ რომელიმე განცალკევებული ფერმა, ხის, მიწის და ლავის ნამსხვრევებისაგან ნაშენი მარტოხელა ბოერი[1] გამოჩნდებოდა ხოლმე. გზის პირას გლახასავით აყუდებული ეს გაპარტახებული ქოხები თითქოს მოწყალებას სთხოვდნენ გამვლელს. ამ მხარეში გზა კი არა, ბილიკიც არსად ჩანდა. იშვიათ მგზავრთა ნაკვალევი მწირ მცენარეულობას სულმთლად წაეშალა.

თუ დედაქალაქიდან ორი ნაბიჯის დაშორებით მდებარე პროვინციის ეს ნაწილი ისლანდიის დასახლებულსა და დამუშავებულ ნაწილს ეკუთვნოდა, მაშ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ამ უდაბნოზე უფრო უდბური მხარეები? უკვე ნახევარი მილი გავიარეთ, მაგრამ არავინ შეგხვედრია: არც ჩალის ქოხის კარში გამომდგარი ფერმერი, არც მარტოხელა მწყემსი, მასზე უფრო გაველურებული ფარა რომ ეძოვებინოს. ვნახეთ მხოლოდ რამდენიმე უპატრონოდ გაშვებული ძროხა და ცხვარი.

როგორ გამოიყურება ეს აფორიაქებული, ვულკანების ამოფრქვევებისა და _____

1 ისლანდიელი გლეხის სახლი.

მიწისქვეშა მოძრაობათა შედეგად წარმოშობილი მხარეები?

მათ უფრო მოგვიანებით გავეცნობით; ახლა კი დავხედე რა ოლსენის რუკას, დავინახე, რომ შეიძლებოდა მათთვის გვერდი აგვევლო, დაკლაკნილ ნაპირს რომ გავყოლოდით. მართლაც, დიდი პლუტონური მოძრაობანი უმთავრესად კუნძულის შიგა ნაწილში ხდებოდა, სადაც ერთიმეორეზე ჰორიზონტალურად დახვევებული კლდეები მდებარეობს. მათ სკანდინავიურად ტრაპებს უწოდებენ და ტრაქიტის, ბაზალტის და ტუფის განფენებმა, ვულკანური ქანების ამოფრქვევამ, ლავისა და გამლღვარი პორფირის ნაკადებმა, ეს არა ამქვეყნიურად საშინელი მხარე წარმოშვეს - მაშინ ეჭვადაც არ მომდიოდა, თუ რა სანახაობა გველოდა სნეფელსის ნახევარკუნძულზე, სადაც ბობოქარი ბუნება ბუმბერაზულ ქაოსს ქმნის.

რეიკიავიკიდან ორი საათის შემდეგ პატარა ქალაქ გუფუნს მივაღწიეთ, რომელსაც, "Aoalkirkja"-ს, ანუ "მთავარ ეკლესიას" უწოდებენ. აქ არაფერი იყო ღირსშესანიშნავი. იდგა რამდენიმე სახლი, ასეთ სურათს გერმანიის პატარა სოფელში თუ შეხვდები.

ჰანსმა იქ ნახევარ საათს შეგვაჩერა და ჩვენთან ერთად უბრალო საუზმეს შეექცა. ბიძაჩემის შეკითხვაზე, გზის ხასიათს რომ ეხებოდა, ჰოსა ან არას პასუხობდა. როდესაც ბიძაჩემმა ჰკითხა, ღამეს სად გავათევთო, გარდარშიო, უპაუხა.

გარდარის ადგილმდებარეობის გასაგებად რუკას დავხედე. ამ სახელწოდების პატარა ქალაქი ვნახე ჰვალფიორდის ნაპირას, რეიკიავიკიდან ოთხი მილის დაშორებით. როდესაც ბიძაჩემს დავანახე, უცებ იყვირა:

- მხოლოდ ოთხი მილი! - ოცდაორიდან მხოლოდ ოთხი მილი! ეს ხომ მხოლოდ გასეირნებაა!

ბიძაჩემმა რაღაც უთხრა გამყოლს, მაგრამ მან არაფერი უპასუხა, ცხენებს წინ გაუძღვ და გზას გაუდგა.

სამი საათის შემდეგ, როდესაც გადავიარეთ ფერდაკარგული საძოვრები, იძულებული გავხდით შემოგვევლო კოლაფიორდისთვის, რადგან ეს გზა უფრო იოლი და უფორ მოკლე იყო, ვიდრე ამ ყურის გადალახვა. მალე ჩვენ შევედით "pingstaoer"-ში, ე.ი. კომუნალური მართვის ცენტრში, რომელსაც ეიულბერგს უწოდებენ. ისლანდიის ეკლესიების ზრიანი საათის შესაძენად სახსრები რომ ჰქონოდათ, სამრეკლოზე ამ დროს თორმეტი საათი უნდა დაერეკათ, მაგრამ, მათი მრევლისა არ იყოს, საათი არ ჰქონდათ და უამისოდაც კარგად სძელებდნენ.

აქ ცხენებმა წყალი დალიეს, შემდეგ გაჰყვნენ ბორცვთა წყებასა და ზღვას შორის მოქცეულ სანაპირო ზოლს და ბრანტარის "მთავარ ეკლესიამდე" მიგვიყვანეს, ხოლო კიდევ ერთი მილის შემდეგ საურბოერის "Annexia"-მდე, დამატებით ეკლესიამდე. ჰვალფიორდის სამხრეთ ნაპირზე რომ მდებარეობს.

საღამოს ოთხი საათი იყო; ოთხი მილი გვქონდა გავლილი.

ამ ადგილას ფიორდის სიგანე სულ ცოტა ნახევარ მილს მაინც შეადგენდა; ტალღები ხმაურით ეხეთქებოდნენ წვეტიან კლდეებზე; ყურე შეჭრილი იყო სამი ათასი ფუტის სიმაღლე ციცაბო კედლად აღმართულ კლდეებს შორის, რომლებიც მოწითალო ტუფის შრეებით გაყოფილ ყავისფერ ქანებისაგან შედგებოდა. რარიგ ჭკვიანიც არ უნდა ყოფილიყვნენ ჩვენი ცხენები, ამ პირუტყვების ზურგზე ზღვის ნამდვილი სრუტის გადალახვა მაინცდამაინც არ მახარებდა.

"თუ ცხენები მართლაც გონიერები არიან, - გავიფიქრე მე, - ისინი სრუტეზე გადაცურვას არ ეცდებიან. ყოველ შემთხვევაში, ვეცდები, მათზე მეტი ჭკუა გამოვიჩინო".

მაგრამ ბიძაჩემს მოცდა არ უნდოდა. მან ცხენი ნაპირისაკენ გააჭენა. ცხენმა წყალი დაყნოსა და გაჩერდა. ბიძაჩემმა, რომელსაც საკუთარი ინსტინქტი ამოქმედებდა, კიდევ უფრო შეუთია; ცხოველმა თავი აიქნია და კვლავ უარით უპასუხა. ამას მოჰყვა წყევლა-კრულვა და მათრახის შემოკვრა, ამის საპასუხოდ ცხოველმა ტლინკები ჰყარა და მხედრის ჩამოგდება სცადა. ბოლოს პატარა ცხენი ჩაიკეცა, ფეხებს შორის გაუსხლტა პროფესორს და როდოსის კოლოსივით ორ ქვაზე შემდგარი დასტოვა.

- წყეულო ცხოველო! - წამოიძახა უეცრად ჩამოქვეითებულმა მხედარმა, რომელსაც რცხვენოდა კავალერიის იმ ოფიცერივით, ქვეით ჯარში რომ გადაიყვანეს.

- Färja, - უთხრა გამყოლმა და ხელით მხერზე შეეხო.

- რა არის? ბორანი?

- Der, - უპასუხა ჰანსმა და ტივისკენ მიუთითა.

- დიახ, - წამოვიძახე, - აქ ბორანი ყოფილა.

- ადრე უნდა გეთქვათ! მაშ, გზას გავუდგეთ!

- Tidvatten - განაგრძო გამყოლმა.

- რაო, რას ამბობს?

- ზღვის მოქცევაა, - მითარგმნა ბიჩაძემმა დანიური სიტყვა.

- უთუოდ ზღვის მოქცევას უნდა დაველოდოთ?

- Färbida? - ჰკითხა ბიძაჩემმა.

- Ja უპასუხა ჰანსმა.

ბიძაჩემმა ფეხი დაჰკრა მიწას, მაგრამ ცხენები უკვე ბორანისაკენ გაეშურნენ.

მშვენივრად მივხვდი, რომ საჭირო იყო ცდა, სანამ ზღვა უმაღლეს დონემდე აიწევდა, მიქცევა-მოქცევას ძალა აღარ ექნებოდა და ბორანს საფრთხე აღარ ელოდა; ვერც ყურის სიღრმეში შეეთრია და ვერც ღია ოკეანესი გაეტაცებინა.

ეს ხელსაყრელი წამი მხოლოდ საღამოს ექვს საათზე დადგა; ბიძაჩემი, მე, გამყოლი, ორი მებორნე და ოთხი ცხენი უბადრუკსა და ამასთანავე საკმაოდ დანჯღრეულ ბორანზე ავედით. ელბის ორთქლის ბორნებს მიჩვეულს, მეზღვაურთა ნიჩბები საცოდავ იარაღად მომეჩვენა. ფიორდის გადალახვას ერთ საათზე მეტხანს მოვუნდებით; ბოლოს, როგორც იქნა, სამშვიდობოს გავედით.

ნახევარი საათის შემდეგ გარდარის "Aoalkirkja"- ს მივადექით.

მეცამეტე თავი

ალბათ, ღამე იყო, მაგრამ სამოცდამეხუთე პარალელზე პოლარულ მხრეთა ნათელი ღამე ვერ გამაკვირვებდა; ისლანდიაში, ივნის-ივლისის თვეებში მზე არ ჩადის.

მიუხედავად ამისა, ტემპერატურამ მაინც დაიწია. მციოდა, უფრო კი მშიოდა. კიდევ კარგი "Þoër"-ი გამოჩნდა, სადაც გულთბილად მიგვიღეს.

გლეხის სახლი იყო, მაგრამ სტუმართმოყვარეობით მეფის სასახლეს გაუტოლდებოდა. ჩვენს დანახვაზე სახლის პატრონმა ხელი გამოგვიწოდა და, ზედმეტი პატიჟის გარეშე, გვანიშნა, მივყოლოდით.

მართლაც რომ უნდა მივყოლოდით, თორემ მის მხარდამხარ სიარული შეუძლებელი იყო. გრძელი, ვიწრო, ბნელი დერეფანი ცუდად გათელილი მორებისაგან აგებულ საცხოვრებელ სახლში შედიოდა. ყველა ოთახს ერთმანეთთან აკავშირებდა. სულ ოთხი ოთხი იყო: სამზარეულო, საქსოვი სახელოსნო, "Þadstofa" - ოჯახის საწოლი ოთახი, და ყველაზე კარგი ოთახი - სტუმრებისათვის. ბიძაჩემმა, რომლის სიმაღლე სახლის აშენებისას არ გაუთვალისწინებიათ, რამდენჯერმე აჰკრა თავი ჭერს.

შეგვიყვანეს თიხის იატაკიან მოზრდილ დარბაზში; ოთახი ერთადერთი ფანჯრით ნათდებოდა, რომელშიაც მინები გამჭირვალე ცხვრის ბუშტის აპკისაგან იყო გაკეთებული. ქვეშაგებად ხმელი ნამჯა ჩაეყარათ, ისლანდიური წარწერებით შემკულ ორ წითლად შეღებილ ხის ჩარჩოში. ასეთ კომფორტს არ მოველოდი, ოღონდ ამ სახლში გაბატონებული ხმელი თევზის, დამარილებული ხორცისა და მაწვნის მძიმე სუნი დიდი არაფერი სასიამოვნო იყო.

ის იყო სამგზავრო საჭურველი შევიხსენი, რომ მასპინძელმა მიგვიწვია სამზარეულოში. ყველაზე დიდ ყინვაშიც კი მარტო ამ ოთახში ინთებოდა ცეცხლი.

ბიძაჩემს პატიჟი არ დასჭირვებია, მეც მაშინვე მივყევი მას.

კერა ძველებური ყაიდისა იყო; შუა ოთახში იდო, კვამლი ჭერში დატანებულ ნახვრეტში გადიოდა. ეს სამზარეულო სასადილო ოთახის მაგივრობასაც სწევდა.

როდესაც შევედით, პატრონი, თითქოს ჯერაც არ ვენახეთ, მოგვესალმა სიტყვით "Saellvertu", რაც ნიშნავს "ბედნიერად ბრძანდებოდეთო" და მოგვიახლოვდა, რათა ლოყაზე ეკოცნა.

ცოლმაც იგივე გაიმეორა და კოცნაც მოაყოლა; შემდეგ ცოლ-ქმარმა მარჯვენა ხელი გულზე დაიდეს და მდაბალი სალამი მოგვცეს.

აქვე მინდა დავურთო, რომ ეს ისლანდიელი ქალი ცხრამეტი ბავშვის დედა იყო. მთელი ეს ჯარი დიდიან-პატარიანად ტრიალებდა და ირეოდა კვამლისა და ბუღისაგან ჩამობნელებულ ოთახში და ხან ერთის, ხან მეორის პატარა ქერა მეოცნებე სახე გამოჩნდებოდა ხოლმე სიბნელეში. გეგონებოდა, პირდაუბანელ ანგელოზთა გუნდიაო.

ბიძაჩემი და მე თავაზიანად მივეგებეთ მთელ ამ გუნდს. სამი თუ ოთხი ბალღი მხრებზე შემოგვაჯდა, ზოგი მუხლებზე შეგვაცოცდა, დანარჩენები ფეხებთან მოკალათდნენ, ვინც ლაპარაკი იცოდა თავაზიანი კილოთი იმეორებდა სიტყვას "Saellvertu", ვინც ჯერ ვერ ლაპარაკობდა, ცდილობდა, ხმამაღლა ეყვირა.

ეს კონცერტი შეწყვიტა ვახშამზე მიწვევამ. ამ დროს ჩვენი გამყოლი შემოვიდა. ცხენების კვებაზე მას უკვე ეზრუნა, მოსართავები შეეხსნა და სამოვრად გაეშვა. საცოდავი ცხოველები კლდეებზე გაზრდილი იშვიათი ხავსითა და ნაკლებად ნოყიერი ფუკუსით უნდა დაკმაყოფილიყვნენ, დილით კი მორჩილად შებმულიყვნენ უღელში.

- Saellvertu- თქვა ჰანსმა.

შემდეგ მშვიდად, თანაბრად და აუჩქარებლად დაკოცნა ჯერ სახლის პატრონი, მერე დიასახლისი და ცხრამეტივე ბავშვი.

ეს ცერემონიალი რომ დასრულდა, მაგიდას მივუსხედით, სულ ოცდაოთხნი ვიყავით და ნამდვილად ერთიმეორეს ვასხედით. ყველაზე დიდ განცხრომაში ის იყო, ვისაც მხოლოდ ორი ბალღი ეჯდა მუხლებზე.

მაგრამ წვნიანის გამოჩენისთანავე ამ პატარა სამყაროში სიჩუმე ჩამოვარდა, რაც ესოდენ უჩვეულოა ისლანდიელი ბავშვისათვის. მასპინძელმა მოგვართვა საკმაოდ გემრიელი ისლანდიური წვნიანი ხავსის ლიქენით. შემდეგ კარგა ბლომად გამხმარი თევზი ერბოში, რომელიც ოციოდე წლის წინათ დამარილებულა და ამიტომ ისლანდიური გემოვნებით ბევრად სჯობია ახალ კარაქს. ამასთან კიდევ იყო "Styr"- ი, მაწვნის მსგავსი საჭმელი, რომელსაც თან ახლდა ნამცხვარი და ღვიის საწებელი, სასმელად წყალგარეული დო მოგვართვეს, რომელსაც ამ მხარეში "blanda"-ს უწოდებენ. კარგი იყო თუ არა ეს უცხო კერძები, ვერაფერს ვიტყვი. მშიოდა და, დესერტად წიწბურას სქელი ფაფაც დავაყოლე.

ვახშმის შემდეგ ბავშვები გაქრნენ; უფროსები გარს შემოერტყნენ ტორფით, მანანის ბუჩქის ფიჩხით, ძროხის ნეხვით და გამხმარი თევზის ძვლებით აგიზგიზებულ კერას; გავთბით და ყველამ ჯგუფ-ჯგუფად თავ-თავის ოთახებს მივაშურეთ. დიასახლისმა ადათის მიხედვით შემოგვთავაზა ჩვენთვის წინდები და შარვალი გაეხადა, მაგრამ ჩვენ უაღრესად თავაზიანად უარი ვუთხართით. მასაც აღარ დაუჟინია და მე, როგორც იქნა, ჩალის საწოლზე მოვიკალათე.

მეორე დილას, ხუთ საათზე, ისლანდიელ გლეხს გამოვეთხოვეთ; ბიძაჩ ემმა ძალისძალად ააღებინა სათანადო გასამრჯელო და ჰანსმა გამგზავრების ნიშანი მოგვცა.

გარდარიდან ასი ნაბიჯის დაშორებით, გარემო შეიცვალა; ნიადაგი ჭაობიანი გახდა და სიარულიც გაჭირდა. მარჯვნივ ციხე-კოშკებივით შორ მანძილზე გადაჭიმულიყო მთების გროვა, ამ ქედს მივყვებოდით. ხშირად გზაზე ნაკადულები გვეღობებოდნენ და მაშინ ფონზე გავდიოდით, ისე რომ ბარგი მაინცდამაინც არ გვისველდებოდა.

უდაბნო თანდათან უფრო ხრიოკი ხდებოდ; თუმცა, ზოგჯერ შორს გაიელვებდა ხოლმე მიმავალი ადამიანის ჩრდილი. გზის მოსახვევში ერთ-ერთ ამ ჩრდილთაგანის მოულოდნელად მოახლოებისას ზიზღი შემიპყრობდა, როდესაც თვალს მოვკრავდი გასიებულ, მბზინავ მელოტ თავებს; ძონძებიდან გამოჩენილ შემზარავ ჭრილობებს.

საცოდავი არსება მოახლოებისა და მოწყალების თხოვნის მაგიერ გაგვირბოდა, მაგრამ ჰანსი ჩვეულებრივ "Saellvertu"-თი მისალმებას მაინც ასწრებდა და გვიხსნიდა:

- Spetelsk.

- კეთროვანი! - იმეორებდა ბიძაჩემი.

მარტო ეს სიტყვა იწვევდა ზიზღს. ეს საშინელი სენი ფრიად გავრცელებულია ისლანდიაში; იგი გადამდები არ არის, მაგრამ მემკვიდრეობით გადადის და ამიტომ ამ საცოდავებს ეკრძალებათ დაქორწინება.

ეს აჩრდილები, ცხადია, გარემოს ვერ გაამხიარულებდნენ, პირიქით, მიდამო კიდევ უფრო მოსაწყენი ხდებოდა; ბალახის უკანასკნელი ღეროც კი გაჰქრა. აქა-იქ ჯუჯა არყის ხეებისა თუ გვხდებოდა ბუჩქებად რომ ეფინა ნიადაგს. არც ერთი ცხოველი, გარდა რამდენიმე ცხენისა, რომელიც პატრონს ვეღარ გამოუკვებია და ასე უპატრონოდ დაეხეტებოდა მოწყენილ ველებზე. ზოგჯერ შევარდენი ზანტად გაიქროლებდა მრუმე ღრუბლებში და გაეშურებოდა სამხრეთისაკენ; ამ ველურმა ბუნებამ ჩემზეც იმოქმედა. მოგონებებმა შორს გამიტაცეს, მშობლიურ ქვეყანაში.

მალე მოგვიხდა რამდენიმე მცირე ფიორდის გადალახვა და, ბოლოს, ნამდვილ უბეს მივადექით. თანაბარმა მოქცევამ შესაძლებლობა მოგვცა ლოდინის გარეშე გადავსულიყავით და მიგვეღწია სოფელ ალფტანამდე, რომელიც აქედან ერთი მილის მანძილზეა.

საღამოს გადავლახეთ კალმახითა და ქარიყლაპია თევზებით სავსე ორი მდინარე, ალფა და ჰეტა და იძულებული გავხდით, ღამე მიტოვებულ ქოხში დაგვესადგურებინა, რომელიც სკანდინავიური მითოლოგიის ყველა სახლის ანგელოზს გამოადგებოდა ადგილსამყოფელად. ამჯერად კი იქ ბინა დაედო სიცივის ბოროტ გენიას და კარგადაც გვაწვალა მთელი ღამის განმავლობაში. მეორე დღეს განსაკუთრებული არაფერი შეგვემთხვევია. ისევე ისეთივე ჭაობიანი ნიადაგი, იგივე ერთფეროვნება, იგივე უღიმღამო მიდამო. საღამოს ამ დღეისთვის განზრახული მანძილის ნახევარი გავიარეთ და კროსოლბნის "annexia"-ში დავიძინეთ.

19 ივნისს, დაახლოებით ერთი მილის მანძილზე, ფეხქვეშ გაშიშვლებული ლავის ნიადაგს ვგრძნობდით, რომელსაც მკვიდრნი "hraun"-ს უწოდებენ; ლავის დანაოჭებული ზედაპირი ხან გრძელ ბაგირებს ჰგავდა და ხან დახვეულ თოკის ხვეულებს, ლავა ფართო ნაკადებით ჩამოღვრილა მეზობელი, ჩამქრალი ვულკანიდან, გაცივებულა, მაგრამ მათ წარსულ მძვინვარებას ლავის ეს ნაკადები მოწმობენ. ლავის ფენის ქვეშიდან ამოხეთქილი ცხელი წყაროების ორთქლი ამოდიოდ.

დრო არ იყო, ამ მოვლენებს დავკვირვებოდით; რადგან წინ დიდი სავალი გვქონდა. მალე ცხენების ფეხქვეშ კვლავ აიზილ ჭაობიანი ნიადაგი; აქა-იქ მათ პატარ-პატარა ტბები ენაცვლებოდა. გზა დასავლეთისაკენ გვედო. მართლაც, გარს შემოვუარეთ ფაქსას ყურეს და ჩვენგან სულ რაღაც ხუთ მილზე ღრუბლებში აღიმართა ცად აწვდილი სნეფელსის ორთავა მწვერვალი.

ცხენები ხალისიანდ მიაბიჯებდნენ; გზის სიძნელე არ აფერხებდათ. მე კი უკვე დაღლილობას ვგრძნობდი; ბიძაჩემი ისევე მტკიცედ და წელში გამართულად იჯდა ცხენზე,

როგორც პირველ დღეს; აღტაცებით შევცქეროდი მასა და მონადირესაც, რომელსაც ექსპედიცია უბრალო გასეირნებად მიაჩნდათ.

შაბათს, 20 ივნისს, საღამოს ექვს საათზე, ზღვის პირას მდებარე სოფელ ბუდირს მივაღწიეთ და გამყოლმა კუთვნილი გასამრჯელო მოითხოვა. ბიძაჩემმა გაუსწორა ანგარიში. აქ მასპინძლობ თვით ჰანსის ოჯახმა შემოგვთავაზა - მისმა ბიძებმა და ბიძაშვილებმა გულღიად მიგვიღეს და სიამოვნებით ვისარგებლებდი ღირსეული ადამიანების სიკეთით, სულს მოვითქვამდი მათთან, მაგრამ, ბიძაჩემს დასვენებას სულაც არ სჭირდებოდა და საპირისპირო განზრახვა ჰქონდა. ასე რომ, მეორე დღეს იძულებული შევიქენით, კვლავ შევმჯდარიყავით ჩვენს ერთგულ ცხენებზე.

ზედაპირს მთების სიახლოვე ეტყობოდა, ალაგ-ალაგ ნიადაგიდან ბებერი მუხის ფესვებივით ჩანდა გრანიტის საფუძველი. გარს ვუვლიდით ვულკანის ვეება ძირს. პროფესორი ამ მთას თვალს არ აშორებდა: გამომწვევად უცქერდა და ხელს უღერებდა, თითქოს შეჯიბრებაში იწვევდა და ამბობდა: "აი გოლიათი, რომელიც უნდა დავიპყრო!" როგორც იქნა, ოთხი საათის სიარულის შემდეგ, ცხენები შეჩერდნენ სტაპის მღვდლის სახლის კარებთან.

მეთოთხმეტე თავი

დაბა სტაპიში ლავური ველის შუაგულში ოცდაათიოდე ქოხი იდგა.

ქოხებს ვულკანისაგან არეკლილი მზის სხივები ანათებდა. დაბა პატარა ფიორდის სიღრმეში იშლებოდა, რომელიც ძალზე უცნაური იერის ბაზალტურ კედლებს შუა მოქცეულიყო.

ცნობილია, რომ ბაზალტი ვულკანური წარმოშობის მძიმე ქანია. ისლანდიური ბაზალტი გვაოცებს თავისი სწორი ფორმით და განფენილობით. გეგონება, გეომეტრიულად სწორი ფორმების შესაქმნელად ბუნებას ადამიანივით სამკუთხედი, ფარგალი და შვეული უხმარიაო. თუკი სხვაგან, სხვა ადგილას, გრანიტის ქაოტური დახვავების შესაქმნელად უწესრიგო ფორმებს იყენებენ, - ოდნავ დამჩნეულ კონუსებს, არასრულყოფილ პირამიდებს, ხაზინების უცნაურ თანმიმდევრობას, აქ თითქოს წესრიგის მაგალითის მიცემა სურსო წინ უსწრებს უძველესი დროის არქიტექტორებს, ქმნის მკაცრ წესრიგს, რომლის მსგავსი არასოდეს არ ყოფილა არც ბაბილონის და არც საბერძნეთის საოცარ ნაგებობებში.

ადრეც მსმენია ისლანდიაში "ზუმბერაზების ჯებირის" და ჰებრიდის ერთ-ერთ კუნძულზე ფინგალის მღვიმის შესახებ, მაგრამ ბაზალტური ნაგებობანი ჯერ არასოდეს მენახა.

სტაპიში კი ამ მოვლენის სილამაზე სავსებით ჩანდა.

ფიორდის კედელი, ისევე როგორც ნახევარკუნძულის მთელი სანაპირო შედგებოდა ოცდაათი ფუტის სიმაღლის სწორსა და იშვიათად პროპორციულ სვეტების რიგისაგან, რომლებსაც ჰორიზონტალურ კოჭებზე შემდგარი თაღის ზედა ნაწილი ეყრდნობოდა. ზღვის დონის ქვემოთ, ნახევართაღედის გაკრვეულ ინტერვალებში, ამ ბუნებრივი სადინარის ქვეშ ჩანდა შესანიშნავი მოხაზულობის ოჟივალური ხვრელები, რომელშიც ზათქით შეედინებოდნენ ოკეანის აქაფებული ტალღებიი. ნაპირზე ეყარა გამძვინვარებული ოკეანის მიერ ჩამოხეთქილი ნამსხვრევები, გეგონება, დანგრეული ანტიკური ტაძრის მარდ ახალგაზრდა რუინებია, რომლებსაც განვლილმა საუკუნეებმა ვერაფერი დააკლეს.

ასეთი გახლდათ დედამიწზე ჩვენი მოგზურობის უკანასკნელი ეტაპი. ჰანსმა აქამდე ისე წესიერად და გონივრულად გვატარა, რომ შემდგომი გზა აღარ მაწუხებდა, რადგან მერეც ხომ ჰანსი უნდა გამოგვყოლოდა.

როდესაც პასტორის სახლის ჭიშკარს მივადექით, დავინახეთ უბრალო დაბალი ქოხი, რომელიც მეზობელი ქოხებისაგან არც სილამაზითა და არც სხვაფრივ განირჩეოდა, ხოლო

იქვე მდგომ კაცს, ხელში ჩაქუჩი ეჭირა, მკერდზე ტყავის წინსაფარი ჰქონდა და ცხენს ჭედავდა.

- Saellvertu , - მიმართა მას მონადირემ.

- God dag , - უპასუხა მჭედელმა სუფთა დანიურით.

- Kyrkoherde, - მიუბრუნდა ჰანსი ბიძაჩემს.

- აქსელ, ეს ღირსეული ადამიანი ამ მრევლის პატორი ყოფილა. - ამიხსნა ბიძაჩემმა.

ამასობაში გამყოლმა "Kyrkoherde"-ს ჩვენი ვინაობა გააცნო, მღვდელმა მუშაობა შეწყვიტა და ერთი ისეთი წამოიძახა, როგორც ალბათ დალალებს სჩვევიათ. ამ ძახილზე ქოხიდან გამოვიდა ტანწერწეტა მეგერა, ექვსი ფუტის სიმაღლისა თუ არ იყო, არც ბევრი აკლდა.

შევშინდი, ისლანდიურად არ დავეკოცნეთ; მაგრამ ტყუილად; დიდი თავაზიანობა არ გამოჩენია, ისე შეგვიყვანა თავის სახლში.

პასტორის სახლის სასტუმრო ოთახი ყველაზე ცუდ, ვიწრო, ჭუჭყიან და აყროლებულ ოთახად მომეჩვენა. ამით უნდა დავკმაყოფილებულიყავით. პასტორს, როგორც ჩანს, ძველებური სტუმართმოყვარეობისა აღარაფერი ეცხო. დღის ბოლომდე დავრწმუნდი, რომ ის გახლდათ მჭედელი, მებადური, მონადირე, ხურო და არა ღვთის მსახური. ერთი კია, სამუშაო დღე იყო. მღვდლობას ალბათ კვირა დღეობით მისდევდა.

არ მინდა რაიმე ცუდი ვთქვა ამ საწყალ მღვდლებზე, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, ძალიან საცოდავები არიან; დანიის მთავრობისგან ისინი უმნიშვნელო გასამრჯელოს ღებულობენ, ამას ემატება საეკლესიო გადასახადის მეოთხედი, რაც ერთად აღებული, სამოც მარკასაც კი არ უდრის. ცხადია, თავის შესანახად შრომა აუცილებელია და რახან თევზაობაც, ნადირობაც, ცხენების ჭედვაც უხდებათ, ბოლოს და ბოლოს, მონადირეთა, მეთევზეთა და ფიზიკურად მომუშავე სხვა ადამიანების მანერებს, კილოსა და ჩვეულებებს ითვისებენ. იმავე საღამოს შევნიშნე, რომ სიფხიზლე ჩვენი მასპინძელის დადებით თვისებათა რიცხვს არ მიეკუთვნებოდა.

ბიძაჩემმა მაშინვე დაინახა, თუ რა ჯურის ადამიანებთან ჰქონდა საქმე: მხნე და ღირსეული მეცნიერის ნაცვლად, მის წინ ხეპრე და უხეში გლეხი იდგა, ასე რომ, გადაწყვიტა, რაც შეიძლება ადრე შესდგომოდა ექსპედიციას და მალე გასცლოდა ამ ნაკლებად სტუმართმოყვარე კერას. დაღლილობას აღარ დასდევდა, რამდენიმე დღის მთაში გატარება ამჯობინა.

ასე რომ სტაპიში ჩვენი ჩასვლის მეორე დღესვე დაიწყო გამგზავრების სამზადისი. ჰანსმა ცხენების ნაცვლად სამი ისლანდიელი დაიქირავა, რათა კრატერის ფსკერამდე ეზიდათ ჩვენი ბარგი; კრატერის ფსკერიდან მზიდავები უკან უნდა გამობრუნებულიყვნენ და მარტონი დავეტოებინეთ.

ამის გამო ბიძაჩემი იძულებული შეიქნა, მონადირისათვის ეთქვა, რომ განზრახული აქვს ვულკანი შეისწავლოს უკანასკნელ მიჯნამდე.

ჰანსმა საპასუხოდ მხოლოდ თავი დახარა. აქეთ თუ იქით წასვლა, კუნძულის შიგნით ჩაღწევა თუ მის ზედაპირზე სიარული, მისთვის სულერთი იყო, არავითარ განსხვავებას არა ხედავდა. რაც შემეხება მე, ამ მომენტამდე მოგზაურობის შთაბეჭდილებამ მომავალი დამავიწყა, მაგრამ ახლა კი ვიგრძენი, რამდენად მეუფლებოდა მღელვარება, მაგრამ რა გაეწყობოდა? პროფესორ ლიდენბროკისათვის წინააღმდეგობის გაწევა რომ მდომებოდა, ჰამბურგში უნდა გამეწია და არა სნეფელსის ძირას.

სხვათა შორის, ძალიან მაწუხებდა ერთი ფიქრი, ჩემზე უფრო ნაკლებ მგრძნობიარე ძარღვების მქონე ადამიანსაც კი რომ შეზარავდა.

"მაშასადამე, - ვეუბნებოდი ჩემს თავს, - სნეფელსზე ავალთ. ეგრე იყოს. მის კრატერს ვეწვევით. კეთილი და პატიოსანი. სხვებიც ჩასულან და ამას არავინ მოუკლავს. მაგრამ ამბავი ამით არ დამთავრდება. თუ ამ წყეულმა საკნუსემმა სიმართლე თქვა და გამოჩნდა გზა, რომელიც დედამიწის სიღრმეში ჩადის, ხომ დავიკარგეთ ვულკანის მიწისქვეშა გვირაბებში. ხომ არ ვიცით, სნეფელსი ჩამქრალია თუ არა! რა იმედია, რომ ახალი

ამოფრქვევა არ მოხდება? განა იქიდან, რომ ამ ურჩხულს 1229 წლიდან სძინავს, გამომდინარეობს, რომ მას გაღვიძება არ შეუძლია? და თუკი გაიღვიძებს, მაშინ რა მოგველის?"

ეს ამბავი ღირდა დაფიქრებად და მეც გასაქანს არ მაძლევდა. ვიძინებდი თუ არა, ამოფრქვევა მესიზმრებოდა. ამოფრქვევაში მოვყევი და სულაც არ მსურდა წინდასავით დავეფერფლე გავარვარებულ ლავას.

ბოლოს ვეღარ გავუძელი, გადავწყვიტე, რაც შეიძლება უფრო მოხერხებულად გამეზიარებინა ჩემი მოსაზრებანი ბიძაჩემისათვის და ეს მოგზაურობა მიუღწეველ განზრახვად დაემსახა.

მივედი კიდევაც. ჩემი შიში გავუზიარე და უკან დავიხიე, რათა მეცლია აღშფოთების გამოთქმა.

- მეც მიფიქრია ამის შესახებ, - უბრალოდ მიპასუხა ბიძაჩემმა.

რას ნიშნავდა ეს სიტყვები? ნუთუ იგი გონს მოეგო? თავის განზრახვაზე ხელის აღებას ხომ არ აპირებდა? ეს იმდენად კარგად მომეჩვენა, რომ ვერც დავიჯერე.

რამდენიმე წამის განმავლობაში ვდუმდი. რაიმეს კითხვას ვერ ვბედავდი. მერე ბიძაჩემმა განაგრძო;

- მე მიფიქრია, ამაზე. სტაპიში ჩვენი ჩამოსვლის შემდეგ დავუფიქრდი იმ რთულ საკითხს, შენ რომ ახლა შემომთავაზე, რადგან წინდაუხედავად ხომ არ უნდა ვიმოქმედოთ.

- ცხადია, რომ არა, - დავეთანხმე.

- ექვსასი წელია, რაც სნეფელსი დადუმებულია, მაგრამ ყოველ წამს შეუძლია ხმა ამოიღოს, ხოლო ამოფრქვევას ყოველთვის წინ უსწრებს სავსებით შესწავლილი მოვლენები. ადგილობრივ მოსახლეობას გამოვკითხე, ნიადაგი შევისწავლე და ახლა შემიძლია დაბეჯითებით გითხრა, აქსელ, რომ ამოფრქვევა არ მოხდება.

ამ მტკიცებამ გამაოცა და ვერაფერი ვუპასუხე.

- ეჭვი შეგაქვს ჩემს სიტყვებში? - მკითხა ბიძაჩემმა, - მაშ, გამომყევი.

უნებლიეთ დავემორჩილე. როდესაც პასტორის სახლიდან გავედით, პროფესორი დაადგა სწორ გზას, რომელიც, ბაზალტური კედლის ხვრელის გავლით, შორდებოდა ზღვას. მალე გაშლილ ველზე გავედით, თუკი ასე შეიძლება ეწოდოს ვულკანის ამონაფრქვევთა გროვას. მიდამო თითქოს ქვეს დაეტანა უშველებელი ლოდების, ტრაპების, ბაზალტის, გრანიტისა და სხვა პიროქსენული ქანების ნიაღვარს.

აქა-იქ ვხედავდი, ჰაერში აჭრილ თეთრ ორთქლს, ისლანდიურად "reykir"-ს რომ უწოდებენ, თერმალური წყაროებიდან ამოდიოდა და მისი სიძლიერე ნიადაგის ვულკანურ მოქმედებაზე მიუთითებდა. მე მეგონა, რომ ეს ჩემი შიშის დასტური იყო. ამიტომაც თავზარი დამეცა, როდესაც ბიძაჩემმა მითხრა:

- ამ ორთქლს ხომ ხედავ, აქსელ; ჰოდა ეს იმას ადასტურებს, რომ ვულკანის მრისხანებისა არ უნდა შეგვეშინდეს!

- როგორ? - წამოვიძახე გაკვირვებულმა.

- კარგად დაიმახსოვრე, - განაგრძო პროფესორმა, - ამოფრქვევის მოახლოებისას ორთქლის აქტიურობა ორკეცდება, ხოლო ამოფრქვევისას სავსებით ქრებიან, რადგან ორთქლი წნევას კარგავს და ნაცვლად იმისა, რომ დედამიწის ბზარებიდან ამოვიდეს, კრატერში ეშვება. ამგვარად ორთქლი თავის ჩვეულებრივ მდგომარეობას ინარჩუნებს. თუკი მისი ენერგია არ იზრდება და თუკი ამ დაკვირვებას იმასაც დავუმატებთ, რომ ქარისა და წვიმის ნაცვლად მშვიდი ამინდი არ დამდგარა, შეგიძლია ამტკიცო, რომ ახლო მომავალში ამოფრქვევა არ იქნება მოსალოდნელი.

- მაგრამ...

- კმარა. მეცნიერებამ თავისი თქვა, ისღა დაგვრჩენია, დავდუმდეთ.

ყურებჩამოშვებული დავბრუნდი მღვდლის სახლში. ბიძაჩემმა მეცნიერული არგუმენტებით მომსპო. მაგრამ მე კიდევ ერთი რამის იმედი მქონდა: როდესაც კრატერის

ფსკერს მივაღწევდი, იქ გვირაბი არ აღმოჩნდებოდა და ამიტომაც უფრო ღრმად ჩასვლას ვეღარ შევძლებდით, რაც არ უნდა ეთქვა მთელი ქვეყნის ყველა საკნუსემს.

მომდევნო ღამეს საშინელმა სიზმრებმა არ მომასვენეს. ვულკანის შუაგულში მეგონა თავი. ვგრძნობდი, როგორ ამომტყორცნა ვულკანმა დედამიწის სიღრმიდან პლანეტარულ სივრცეში ამოფრქვევულ ლავასთან ერთად.

მეორე დღეს, 23 ივნისს, სანოვაგით, ინსტრუმენტებითა და ხელსაწყოებით დატვირთული ჰანსი და მისი მეგობრები დილიდანვე მზად იყვნენ გასამგზავრებლად. ორი რკინისწვეტიანი ჯოხი, ორი თოფი, ორი წამლის ჩასაყრელი ბიძაჩემისა და ჩემთვის იყო განკუთვნილი, წინდახედულ ჰანსს ჩვენი წყლით სავსე ტიკიც მოემარაგებინა, რაც ჩვენს მათარებთან ერტად, რვა დღის განმავლობაში გვეყოფოდა.

დილის ცხრა საათი იყო. პასტორი და მისი ტანწერწეტა მეგერა კარის წინ გველოდებოდნენ. ალბათ სურდათ, გემოგვთხოვებოდნენ შორეულ გზაზე მიმავალ მგზავრებს, მაგრამ ეს გამოთხოვება უეცრად საჯაყო ანგარიშის წარდგენით დამთავრდა, ამ ანგარიშში ყველაფერი იყო აღნუსხული, პასტორის სახლის მყრალი ჰაერიც კი არ გამორჩენიათ, ღირსეული მასპინძლები, შვეიცარული სასტუმროს პატრონებივით, ყველაფერში ქირას მოითხოვდნენ და მეტად ძვირად აფასებდნენ თავიანთ ყალბ სტუმართმოყვარეობას.

ბიძაჩემს ვაჭრობა არ დაუწყია, ისე გადაუხადა მოთხოვნილი საფასური. ადამიანი, რომელიც დედამიწის ცენტრისაკენ მიემგზავრება, რამდენიმე რიქსდალზე არ დავობს.

როდესაც ანგარიში გავუსწორდით, ჰანსმა გამგზავრების ნიშანი მოგვცა და რამდენიმე წუთში სტაპი დავტოვეთ.

მეთხუთმეტე თავი

სნეფელსის სიმაღლე ხუთი ათასი ფუტია. მისი ორთავე მწვერვალი ტრაქიტის მწვერვალების წყების ბოლოშია აღმართული. ეს ტრაქიტული ზოლი განცალკევებულია კუნძულის ოროგრაფიული სისტემიდან. იმ ადგილიდან, საიდანაც დავიწყეთ მოგზაურობა, ცის ფონზე არ ჩანდა სნეფელსის ორი პიკის მოყვანილობა. მხოლოდ გოლიათის შუბლზე ჩამოფხატული თოვლის უშველებელ ქუდსა ვხედავდი.

ერთიმეორეს მიყოლებით მივიწევდით, წინ მონადირე მიგვიძღოდა; იგი მიდიოდა ვიწრო ბილიკზე, რომელზედაც ორი ადამიანი ერთდროულად ვერ გაივლიდა. ისე რომ, საუბარი თითქმის შეუძლებელი იყო.

გავცდით თუ არა სტაპის ფიორდის ბაზალტურ კედელს, ჩვენს თვალწინ გადაიშალა ტორფის ჭაობი, რომელიც, ნახევარკუნძულის ადრინდელი მცენარეულობის გადმონაშთია. ჯერ კიდევ გამოუყენებელი სათბობით ისლანდიის მთელს მოსახლეობას ერთ საუკუნეს ეყოფოდა გასათბობად: ამ ვრცლად გაშლილი ჭაობის სისქე, ხევების სიღრმიდან რომ გაგეზომა, სამოცდაათ ფუტს აღწევდა და შეიცავდა ნაშთთა ერთიმეორეზე მოქცეულ ფენებს, რომლებსაც ერთიმეორისაგან ყოფდა მინქაფური ტურფის შრეები.

ათასი ფიქრი მაწუხებდა, მაგრამ როგორც პროფესორ ლიდენბორკის ღირსეული წმისწული, ინტერესით ვაკვირდებოდი ამ ვრცელ საბუნებისმეტყველო კაბინეტში თავმოყრილ ღირშესანიშნავ მინერალოგიურ კოლექციას; ამავე დროს, ჩემს თვალწინ ისახებოდა ისლანდიის მთელი გეოლოგიური ისტორია.

ამ მეტად საინტერესო კუნძულმა, ალბათ დიდი ხანი არ არის, რაც ოკეანის სიღრმიდან ამოიწია. შესაძლაო, რომ ეს მოსაზრება ამჟამადაც გრძელდება შეუმჩნევლად. თუკი ასეა, მისი წარმოშობა შეიძლება მხოლოდ მიწისქვეშა ცეცხლის მოქმედებით აეხსნათ, და მაშინ ჰემფრი დევის თეორია, საკნუსემის საბუთი, ბიძაჩემის მტკიცება, ყოველივე გაცამტვერდებოდა. ამ ჰიპოთეზამ მიკარნახა, ყურადღებით დამეთვალიერებინა ქანები და მალე ჩემთვის ცხადი გახდა ამ კუნძულის ფორმირების თანმიმდევრული მოვლენები.

ისლანდია სავსებით მოკლებულია დანალექ ქანებს და მხოლოდ ვულკანური ტუფისაგან შედგება. ვულკანების გაჩენამდე, კუნძული ერთიანი ტრაქიტური მასივისაგან შედგებოდა, რომელიც დედამიწის შუაგულში მოქმედმა ძალებმა ნელ-ნელა ამოაზევეს ოკეანის ზედაპირზე. ვულკანები ჯერ არ აფრქვევდნენ გავარვარებულ ლავას.

მოგვიანებით კუნძული სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით დიაგონალურად გაიბზარა და ამ ფართო ბზარიდან გადმოიღვარა მთელი ტრაქიტურა ლავა. მაგრამ ის ამონთხევა თანდათან ხდებოდა; დედამიწის წიაღიდან ამონთხეული გამლღვარი მასა ფართო განფენებად მოეფინა დედამიწის ზედაპირს. ამ ხანებში წარმოიშვა მინდვრის შპატი, სიენიტი და პორფირი.

ამ ამოფრქვევის შედეგად კუნძულის სისქე მნიშვნელოვნად გაიზარდა და, ამრიგად, მისი წინააღმდეგობის ძალამაც მოიმატა. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა დიდძალი გამლღვარი მასალის როგორი მასა დაგროვდა დედამიწის წიაღში, ხოლო ტრაქტიტური ქერქის გაცივების შედეგად ყველა ბზარი დაიხშო, ასე რომ დადგა მომენტი, როდესაც ამ გაზების წნევა ისე გაიზარდა და წუთით ისეთ დონეს მიაღწია, რომ ასწიეს ეს მძიმე ქერქი და იქ, სადაც ქერქი გაიბზარა, წარმოიშვა ვულკანი.

ამ ამონთხევას მოჰყვა ვულკანური მოვლენები. ახლად წარმოშობილი ხვრელებიდან ამოვიდა ჯერ ბაზალტური ლავა, რის შესანიშნავი მაგალითი იყო ის გზა, რომელზეც ჩვენ მივაბიჯებდით გაცივების პროცესში ექვსკუთხა პრიზმებად გადაქცეულლ მუქი რუხი ფერის კლდეებზე. შორს მოჩანდა მრავალი წაკვეთილი კონუსი, რომლებიც წინათ ცეცხლს აფრქვევდა.

შემდეგ, როდესაც ბაზალტური ამონთხევა დასრულდა, ვულკანმა, რომლის ძალას ჩამქრალი კრატერების ძალა მიემატა, ამოაფრქვია ლავის ფერფლი და წადის ნაკადი, რომელიც გაჩეჩილი თმებივით გაშლილიყო ფერდობების კალთებზე.

ასეთი თანმიმდევრობით ვითარდებოდა მოვლენები, რომელბმაც შექმნეს ისლანდიის თანამედროვე სახე. ყველა ეს მოვლენა შინაგანი ცეცხლის მოქმედებას გულისხმობდა და უაზრობა იყო იმის დაშვება, რომ დედამიწის წიაღი გავარვარებულ გამლღვარ მდგომარეობაში არ იმყოფება. დედამიწის ცენტრში ჩასვლის განზრახვა ხომ ნამდვილად სიგიჟე იყო! ამ ფიქრებში ვიყავი, როდესაც სნეფელსის იერშის შევუდექით, მაგრამ გულს არ ვიტეხდი, იმის იმედი მაინც მქონდა, რომ ჩვენს მოგზაურობას ბოლომდე ვერ განვახორციელებდით.

გზა სულ უფრო ძნელი ხდებოდა; კლდის ნამსხვრევები გვეცლებოდა ფეხქვეშ და დიდი გულისყური და მთელი ყურადღების დაძაბვა იყო საჭირო, რომ ხიფათი აგვეცდინა თავიდან და არ დავშავებულიყავით.

ჰანსი მშვიდად მიიწევდა წინ, გეგონება, ვაკეზე მიაბიჯებსო. ზოგჯერ დიდი კლდეები ფარავდნენ მას ჩვენგან და მხოლოდ სტვენით გვანიშნებდა, რა მიმართულებით უნდა წავსულიყავით. იგი ხშირად ჩერდებოდა, ხელში აიღებდა ხოლმე კლდის ნამსხვრევს და ისე დასდებდა, რომ გზა სწორედ გაგვეკვლია. ამდაგვარად ქმნიდა ორიენტირებას უკან დასაბრუნებელი გზისათვის. მომდევნო ამბებმა აზრი დაუკარგეს ამ ღონისძიებას.

სამი საათის დამქანცავი სიარულის შემდეგ მხოლოდ მთის ძირამდე მივედით. აქ ჰანსმა გვანიშნა გავჩერებულიყავით და ყველამ ხელდახელ ვისაუზმეთ. ბიძაჩემი ორმაგ ლუკმებს ყლაპავდა, დრო რომ არ დაეკარგა. მაგრამ, ვინაიდან ეს შეჩერება დასანაყრებლად და შესასვენებლად იყო განკუთვნილი, იგი იძულებული იყო მოეცადა, სანამ გამყოლი ერთი საათის შემდეგ გასვლის ნიშნის მიცემას მოისურვებდა. სამ სიტყვაძუნწ ისლანდიელს თავის ამხანაგივით ხმა არ ამოუღიათ და ზომიერად წაიხემსეს.

ახლა სნეფელსის ფერდობს შევუდექით. მთაში გავრცელებული ოპტიკური ილუზიის წყალობით, სნეფელსის თოვლით დაფარული მწვერვალი ძალზედ ახლოს მეჩვენებოდა, სინამდვილეში კი, ვიდრე მივაღწევდით, კიდევ ბევრ საათს უნდა გაევლო! როგორ დავიქანცეთ! ქვები, რომლებსაც ერთმანეთთან არაფერი აკავშირებდა, ფეხქვეშ გვეცლებოდა და ზვავის სისწრაფით ქვევით მიგორავდა.

ზოგან ფერდობი სულ ცოტა ოცდათექვსმეტი გრადუსით იყო დახრილი. სვლა მეტად ჭირდა, ასე რომ იძულებული ვიყავით დიდი გაჭირვებით ქვის ლოდებისთვის გარს შემოგვევლო და დასახმარებლად ჯოხი მოგვეშველებინა ერთმანეთისათვის.

ბიძაჩემი თვალს არ მაშორებდა და რაც შეიძლება ახლოს მიმყვებოდა; ბევრჯერ მისი მკლავი საიმედო დასაყრდენად გამომადგა. თვითონ კი წონასწორობის დაცვის თანდაყოლილი გრძნობა ჰქონდა, არ მერყეობდა და ფეხი არ ეშლებოდა. ისლანდიელები თუმცა კარგა დატვირთულები იყვნენ, მთიელებისათვის ჩვეული სიმარჯვით მიცოცავდნენ.

სნეფელსის მწვერვალის შემყურეს შეუძლებლად მეჩვენებოდა ამ მხრიდან მასზე ასვლა, თუკი ფერდობის ზემოთკენ არ გაივაკებდა და ნაკლებად დაქანებული არ გახდებოდა. საბედნიეროდ, ერთი საათის დამქანცავი ასვლის შემდეგ თოვლით დაფარული ფერდობის შუაგულში კიბის მსგავსად დაწყობილ ქვებს წავაწყდით. კიბემ, რა თქმა უნდა ასვლა შეგვიმსუბუქა. კიბე წარმოშვა ამოფრქვევის დროს გადმოყრილი ქვების ნაკადმა, რომელსაც ისლანდიურად "Stina"-ს უწოდებენ. ეს ნაკადი, მთის ფერდობზე ბუნებრივ ზღუდეს რომ არ გაეჩერებინა გზაში, ზღვაში დაეშვებოდა და ახლა კუნძულებს წარმოშობდა.

ამ სახით კი იგი ძალზე გამოგვადგა. ფერდობი სულ უფრო ციცაბო ხდებოდა, მაგრამ ქვის საფეხურები გვიადვილედა სიარულს ძალიან სწრაფად მივდიოდით, ერთი წუთით სულის მოსათქმელად დავყოვნდი და თანამგზავრებმა იმდენად გამისწრეს, თვალი ძლივს მივაწვდინე

საღამოს შვიდ საათზე უკვე გავიარეთ კიბის ორი ათასი საფეხური და ქარაფზე შევდექით. ქარაფს კრატერის საკუთრივ კონუსი ეყრდნობოდა.

ქვემოთ, სამი ათას ორასი ფუტის სიმაღლეზე, ზღვა იშლებოდა. გავცდით მარადიული თოვლის საზღვარს, რომელიც ისლანდიაში ტენიანი ჰავის გამო საკმაოდ დაბლა მდებარეობს. სუსხი იდგა. ძლიერი ქარი უბერავდა. პროფესორი მიხვდა ქანცგამოლეულს ფეხები აღარ მემორჩილებოდნენ და, თავისი მოუთმენლობის მიუხედავად, გაჩერება გადაწყვიტა, ანიშნა მონადირეს, მაგრამ მან თავი გაიქნია და თქვა:

- Ofvanför.

- თურმე, უფრო მაღლა უნდა ავიდეთ, - მითხრა ბიძაჩემმა; შემდეგ ჰკითხა ჰანსს, რატომო.

- Mistour, - უპასუხა გამყოლმა.

- Ja, mistour, - კვერი დაუკრა საკმაოდ შეშინებულმა მეორე ისლანდიელმა.

- რას ნიშნავს ეს სიტყვა? - ვკითხე შემკრთალმა.

- შეხედე, - მითხრა ბიძაჩემმა.

დაბლობს გადავხედე. ქვიშისა და მტვრის კორიანტელი უშველებელ სვეტად ცაში ავარდნილიყო და ქარბორბალასავით ბრუნავდა. ქარი მას მოერეკებოდა სნეფელსის ფერდობისაკენ, რომელზედაც ჩვენ ჩამოვდიოდით, აბუქებული მტვრის ფარდა მზეს ეფარებოდა და სნეფელსის მწვერვალს ჩრდილს ფენდა. ამ სმერჩს რომ აქეთ გადმოენაცვლა, ჩვენც ჩაგვითრევდა თავის ორმოტრიალში და მოგვსპობდა. ასეთი მოვლენა საკმაოდ ხშირად იცის, როდესაც ქარი მყინვარებიდა უბერავს, მას ისლანდიურად "Mistoru"-ს ეძახიან.

- Hastigt, hastigt! - წამოიძახა ჩვენმა გამყოლმა.

დანიური არ ვიცოდი, მაგრამ მივხვდი, რომ რაც შეიძლებოდა სწრაფად უნდა გავყოლოდით ჰანსს. იგი უკვე კრატერის კონუსს უვლიდა, მაგრამ ცერად, ისეთნაირად, რომ აღმართი შეემსუბუქებინა. მალე სმერჩი მთას ეკვეთა და დაიშალა. ამ დარტყმამ მიდამო შეაზანზარა. ატაცებული ქვები წვიმასავით წამოვიდა, როგორც ვულკანის ამოფრქვევის დროს. საბედნიეროდ, ჩვენ, მწვერვალს მოფარებულნი, მის მოპირდაპირე ფერდობზე ვიყავით, ყოველგვარ ხიფათს მოცილებულნი. გამყოლის სიფრთხილემ დაღუპვისაგან გვიხსნა, თორემ ნაკუწ-ნაკუწად დაგლეჯილი, მტვრად ქცეული ჩვენი სხეულები მეტეორივით შორს იქნებოდ გატყორცნილი.

ჰანსი თვლიდა, რომ კონუსის ფერდობზე ღამის გათევა საშიში იყო, ამიტომ არ შევჩერებულვართ. დარჩენილ ათას ხუთასი ფუტის გავლას ხუთ საათამდე მოვანდომეთ; მიხვეულ-მოხვეულად ცერად მივდიოდით, შეღმართზე ციცაბოს გვერდზე ვუვლიდით და ამიტომ სავალი სამ ლიეიმდე გაგვიგრძელდა. ძალღონე გამოგველია, სიცივითაც მაკანკალებდა, შიმშილისაგან სული მიმდიოდა. საკმაოდ გაიშვიათებული ჰაერი აღარ მყოფნიდა. ბოლოს, როგორც იქნა, საღამოს თერთმეტ საათზე უკვე სრულიად ბნელოდა, სნეფლსის მწვერვალს, რომ მივაღწიეთ, და, ვიდრე კრატერის შიგნით თავს შევაფარებდით, მოვასწარი და თვალი შევავლე "შუაღამის მზეს", რომელიც თვის მკრთალ სხივებს ჰფენდ ჩვენ ფერხთით ჩაძინებულ კუნძულს.

მეთექვსმეტე თავი

სწრაფად ვივახშმეთ და ჩვენი პატარა რაზმი ვაი-ვაგლახით ღამის სათევად მოეწყო. ხმელზე ვიწექით, თავშესაფარი ნაკლებად გამძლე, მდგომარეობა ძალზე სავალალო იყო. ზღვის დონიდან ხუთი ათასი ფუტის სიმაღლეზე ვიყავით, მიუხედავად ყოველივე ამისა, ამ ღამეს განსაკუთრებით მშვიდად მეძინა. დიდი ხანია, ასე კარგად არ მძინებია, სიზმარიც კი არ მინახავს.

მეორე დილას, გთოშილებმა გავიღვიძეთ, მზე კაშკაშებდა, მაგრამ კარგა მაგრა ყინავდა. ქვის საწოლიდან წამოვდექი და გარეთ გავედი, რათა დავმტკბარიყავი ჩემ თვალწინ გადაშლილი მშვენიერი სანახაობით.

სნეფელსის ორთავა მწვერვალის სამხრეთის პიკზე ვიყავი. აქედან კუნძულის დიდი ნაწილი მოჩანდა. ოპტიკური შეცდომის გამო, რომელიც დამახასიათებელია ყველა მაღალი ადგილისათვის, მე მეჩვენებოდა, თითქოს კუნძულის ნაპირი უფრო ამაღლებულია, ხოლო მისი ცენტრალური ნაწილი ჩაღრმავებული. გეგონებოდა, ჩემ ფეხთით ჰელბესმერის ერთ-ერთ ტოპოგრაფიული რუკაა გადაშლილიო. ყველგან ვხედავდი ღრმა ხეობებს, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით კვეთდნენ კუნძულს. უფსკრულები ჭებად მეჩვენებოდა, მდინარეები ნაკადულებად, ტბები საგუბრებად. უთვალავი მწვერვალი ჩანდა, ზოგიერთს თავზე კვამლის ბოლქვები ასდიოდა. თოვლით დაფარული ურიცხვი მთაგრეხილების აზვირთებული მწვერვალები მღელვარე ზღვის ზედაპირს მაგონებდნენ. დასავლეთისაკენ ქოჩორა ღრუბლებით დაფარული მწვერვალების გაგრძელებაზე უკიდეგანო ოკეანე იყო გაშლილი და თვალი ძლივს არჩევდა, სად თავდებოდა ხმელეთი და იწყებოდა ზღვა.

მე გამიტაცა მაღალი მწვერვალების მომაჯადოებელმა სანახაობამ, აღტაცებული გავცქეროდი მთებს, მაგრამ ახლა უკვე თავბრუ აღარ მესხმოდა, რადგან ბოლოს და ბოლოს შევეჩვიე ამ დიდებულ სანახაობას. გაბრუებული ვჭვრეტდი მზის სხივებმოფრქვეულ სივრცეს. დავივიწყე, ვინ ვიყავი, სად ვიყავი და ახლა სკანდინავური მითოლოგიის მკვიდრთა ელფებისა და სილფების სამყაროში გადავიხიზნე. სიმაღლის მშვენიერებით დამთვრალი, უფსკრულებზე აღარ ვფიქრობდი, სადაც მალე ბედს უნდა წავეყვანე. ამ დროს პროფესორი და ჰანსი მწვერვალზე ამოვიდნენ. სინამდვილეს დავუბრუნდი.

ბიძაჩემმა დასავლეთისაკენ გაიხედა და ხელით მაჩვენა ნისლში გახვეული ნაკვთები ხმელეთისა, რომელიც ზღვის ტალღებს ზემოთ მოჩანდა, - გრენლანდია, - თქვა მან.

- გრენლანდია? - წამოვიძახე მე.

- დიახ, ჩვენ ოცდახუთმეტი ლიეთი ვართ მისგან დაშორებული და ყინულის დნობისას გრენლანდიიდან მოწყვეტილ ყინულებზე მსხდომი თეთრი დათვები მოაღწევენ ხოლმე ისლანდიამდე. მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ სნეფელსის მწვერვალზე ვართ და აი მისი ორი პიკი, ერთი სამხრეთით, მეორე - ჩრდილოეთით. ჰანსი გვეტყვის, თუ რას უწოდებენ ისლანდიელები იმ პიკს, რომელზეც ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით.

მონადირემ უპასუხა:

- Scartaris.

ბიძაჩემმა გამარჯვებულად შემომხედა.

- კრატერისაკენ! - თქვა მან.

სნეფელსის კრატერი წარმოადგენდა გადმოპირქვავებულ კონუსს, რომლის ყელის დიამეტრი დაახლოებით ნახევარი ლიე იყო. მისი სიღრმე დაახლოებით ორი ათასი ფუტი მეჩვენებოდა. ადვილი წარმოსადგენია, რა ხდებოდა ამ ჭურჭელში, როდესაც იგი ქუხილითა და ცეცხლით ივსებოდ. ძაბრის ფსკერის წრეხაზის სიგრძე ხუთას ფუტზე მეტი არ იქნებოდა, ამრიგად, მისი დამრეცი ფერდობებით ადვილად ჩავაღწევდით კრატერის ძირამდე. ჩემდა უნებურად ეს კრატერი ფართოლულიან მუშკეტს შევადარე და ამ შედარებამ შიში მომგვარა.

"მუშკეტში ჩასვლა, - გავიფიქრე მე - როდესაც იგი, შესაძლოა უკვე ჩახმახზეა შეყენებული და ყოველ წუთს გასროლაა მოსალოდნელი. ეს ხომ სიგიჟეა".

მაგრამ უკან დასახევი გზა აღარა მქონდა. ჰანსი კვლავინდებურად უდრტვინველად წინ გაგვიძღვა. მე უსიტყვოდ მივყევი.

ჩასვლის გასაადვილებლად ჰანსი კრატერის შიგა ზედაპირზს მიჰყვებოდა, თითქოს წაგრძელებული ელიფსების გაყოლებით მიდიოდა. გზას ვიკვლევდით მერყევ ლოდებს შორის. სულ მცირე შეხებისად ეს ლოდები ხრიალით მიგორავდნენ უფსკრულის ძირამდე, მათი დაცემის შემდეგ საოცრად ჟღერადი ექოს გუგუნი გაისმოდა.

კრატერის შიგნით ზოგან მყინვარები გვხვდებოდა და მაშინ ჰანსი ძალზე ფრთხილად მიიწევდა წინ, რკინისწვეტიანი ჯოხით ფრთხილად მოსინჯავდა ხოლმე გზას, ნაპრალი ხომ არ არისო. სახიფათო ადგილას საჭირო გახდა თოკით გადავბმულიყავით. ერთ-ერთს უეცრად ფეხი რომ დასხლტომოდა, თანამგზავრი დახმარებას აღმოუჩენდა. ასეთი წინდახედულება საჭირო იყო, მაგრამ ხიფათს არ გამორიცხავდა.

მიუხედავად გამყოლისათვის დაღმართზე ჩასვლასთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი სიძნელეებისა, გზა უხიფათოდ გავიარეთ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ თოკების შეკვრა ერთ ისლანდიელს ხელიდან გაუვარდა და უმოკლესი გზით უფსკრულის ძირისაკენ დაეშვა.

შუადღისას დათქმულ ადგილას მივაღწიეთ. თავი ავწიე და დავინახე კონუსის ზედა ყელი, რომელშიც, როგორც ჩარჩოში, ჩასმული იყო საოცრად მცირე, მაგრამ თითქმის სრულყოფილი ცის უსასრულო სივრცეში ჩაკარგული წრის მოყვანილობის ცა. წერტილად ჩანდა სკარტარისის პიკი.

კრატერის სიღრმეში სამი ღია ხორხი მოჩანდა. სნეფელსის ამოფრქვევის დროს ამ ხვრელების მეშვეობით ცენტრალური კერა ხან ლავასა და ორთქლს ამოანთხევდა. თითოეული ხორხის დიამეტრი დაახლოებით ასი ფუტი იქნებოდა. სამივეს ისე დაეღო ხახა, მე გამბედაობა მეყო, შიგ ჩამეხედა. პროფესორმა ლიდენბროკმა კი სწრაფად შეისწავლა მათი განლაგება; იგი მძიმედ სუნთქავდა; ხან ერთში, ხან მეორეში იხედებოდა. ხელებს იქნევდა და გაუგებრად ლუღლუღებდა. ჰანსი და მისი თანამგზავრნი ლავის ნამტვრევებზე ისხდნენ და ისე მშვიდად უცქერდნენ, თითქოს ბიძაჩემი გიჟი ყოფილიყო.

უცებ ბიძაჩემმ წამოიყვირა. ვიფიქრე, ფეხი დაუსხლტა და უფსკრულში გადაიჩეხა-მეთქი, მაგრამ დავინახე კრატერის ცენტრში აღმართული პლუტონის ქანდაკების კვარცხლბეკად განკუთვნილი გრანიტის კლდის წინ იდგა ფეხებგაჩაჩხული და ხელებგაშლილი გაოცებული ადამიანის პოზაში, მაგრამ გაოცება მალე გიჟურმა სიხარულმა შესცვალა.

- აქსელ! აქსელ! მოდი, მოდი აქ! - ყვიროდა ის.

მივირბინე. არც ჰანსი, არც ისლანდიელები ადგილიდან არ დაძრულან.

- დახედე, - მაჩვენა პროფესრომა.

თუ სიხარული არ გამიზიარებია, განცვიფრებული მაინც ვიყავი, როდესაც კლდის დასავლეთ მხარეზე, დროისაგან ნახევრად წაშლილი, რუსული ნიშნებით გამოყვანილი ათასჯერ წყეული სახელი ამოვიკითხე:

- არენ სკანუსემი! - წამოიძახა ბიძაჩემმა. - კვლავ გეეჭვება?

არაფერი ვუპასუხე და მდუმარედ მივუბრუნდი ლავის მერხს, რომელზეც მანამდე ვიჯექი. ეს სიცხადე ლოდად დამაწვა.

ყველაფერი ცხადი შეიქმნა, მაგრამ სწორედ არ ვიცი, რამდენხანს ვიყავი ასე ფიქრებში წასული, მხოლოს ის ვიცი, თავი რომ ავწიე, კრატერის სიღრმეში მხოლოდ ბიძაჩემი და ჰანსი დავინახე. ისლანდიელები დაეთხოვათ და ახლა სტაპისაკენ მიმავალ სნეფელსის ფერდობებს მიჰყვებოდნენ.

ჰანსს მშვიდად ეძინა კლდის ძირას, ლავის ღარში, სადაც მას თავისთვის იმპროვიზირებული საწოლი მოეწყო; ბიძაჩემი კრატერის სიღრმეში ბრდღვნიდა, როგორც მონადირის მიერ ფუღუროში გამოჭერილი დათვი. ადგომის არც სურვილი და არც ძალა მქონდა. გამყოლს მივბაძე მშფოთვარე ძილს მივნებდი, თან მეგონა, რომ მთის წიაღში გუგუნი მესმის, და მიწის ძვრას ვგრძნობ.

ასე გავატარე პირველი ღამე კრატერის ფსკერზე.

მეორე დღეს მოღრუბლული, მრუმე, მძიმე ცა დააწვა კონუსის მწვერვალს.

ეს შევნიშნე არა იმიტომ, რომ უფსკრულში სიბნელე ჩამოწვა, არამედ იმ სიბრაზის გამო, ბიძაჩემს რომ მოერია.

სიბრაზის მიზეზს მივხვდი და გულში ისევ ჩამესახა იმედის ნატამალი და აი, რატომ.

ჩვენს ქვემოთ სამი გზა იშლებოდა. საკნუსემი ერთ-ერთ მათგანს გაჰყვა. ისლანდიელი მეცნიერის სიტყვით, ეს გზა უნდა გამოგვეცნო იმ ნიშნით, რომელიც კრიპტოგრამაში იყო ნახსენები: სკარტარისის ჩრდილი მის ნაპირს ადგებოდა ივნისის თვის უკანასკნელ დღეებში.

მართლაც, ეს წვეტიანი პიკი შეიძლებოდა ჩაგვეთვალა მზის საათის უშველებელ ისრად, რომლის ჩრდილი ერთ გარკვეულ დღეს დედამიწის ცენტრისაკენ მიმავალ გზაზე მიგვითითებდა.

ხოლო რახან მზე არ გამოჩნდებოდა, არც ჩრდილი იქნებოდა. მაშასადამე, გზასაც ვერაფერი ვერ მიგვითითებდა. 25 ივნისი იყო. ექვსი დღის განმავლობაში ღრუბლიანი ამინდი რომ მდგარიყო, დაკვირვება შემდეგი წლისათვის უნდა გადაგვეტანა.

პროფესორ ლიდენბროკის უილაჯო სიბრაზის აღწერა არ ძალმიძს. დღემ გაიარა და კრატერის ფსკერზე არავითარი ჩრდილი არ გამოჩენილა. ჰანსს ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია; თუმცა, კი უნდა შეკითხებოდა თავისთავს, ნეტა რას ველოდებოდით, მაგრამ ეტყობა, მას არც არაფერი უკვირდა, არც რამ კითხვები აწუხებდა! ბიძაჩემი არც ერთხელ არ დამლაპარაკებია. იგი თვალის მოუცილებლად ცას შესცქეროდა და მისი მზერა ცის უსასრულო დანისლულ შორეთში იკარგებოდა.

26 ივნისს არაფერი შეცვლილა. მთელი დღე თოვლჭყაპი მოდიოდა. ჰანსმა ლავის ნატეხებისაგან ქოხი ააგო.

კონსუსი ფერდობზე მჩქეფარე ქვებზე ათას ნაკადებად დაშლილი ჩანჩქერის ყურებით ვერთობოდი. ამ ჩანჩქერების გადაყრუებული შხუილი მართობდა.

ბიძაჩემი თავს ვეღარ ერეოდა. ასეთ გარემოებაში მეტი მოთმინების მქონე გაღიზიანდებოდა. ეს ხომ ნავსადგურიდან გაუსვლელად მარცხის განცდას ჰგავდა.

მაგრამ ზეცის წყალობით დიდ გასაჭირს დიდი სიხარული მოჰყვება ხოლმე და სასოწარკვეთილებამდე მისულ პროფესორ ლიდენბროკსაც მისი სურვილების ახდენა ელოდა.

მეორე დღეს ცა ისევ ღრუბლებით იყო დაფარული; მაგრამ კვირას, 28 ივნისს, თვის დასასრულამდე ორი დღით ადრე, მთვარის გამოცვლამ ამინდიც შეცვალა. მზის სხივებმა უხვად შემოანათეს კრატერში. თითოეულ ბორცვს, კლდეს, ქვას, შვერილს შუქის თავისი წილი ხვდა და ყოველ ამ საგანს საკუთარი ჩრდილი მოჰფინა. სკარტარისის ჩრდილიც მკაფიოდ აისახა კრატერის ფერდობზე და შეუმჩნევლად იძვროდა ბრწყინვალე მნათობის მოძრაობას აყოლილი.

ბიძაჩემიც ამ ჩრდილს მიჰყვებოდა.

შუადღისას, როდესაც საგნებს ყველაზე მოკლე ჩრდილი ეცემა, სკარტარისის ჩრდილი ოდნავ შეეხო ცენტრალური ხორხის კიდეს.

- აქ არის! - წამოიძახა პროფესორმა, - აქ არის გზა დედამიწის ცენტრისაკენ! - დაურთო მან დანიურად.

ჰანსს შევხედე.

- Forüt, - მშვიდად თქვა გამყოლმა.

- წინ! - გაიმეორა ბიძაჩემა.

ნაშუადღევის პირველი საათი და ცამეტი წუთი იყო.

მეჩვიდმეტე თავი

ნამდვილი მოგზაურობა ახლა იწყებოდა. მანამდე სიძნელეებს დაღლილობა სჭარბობდა; ახლა კი თითოეულ ფეხის გადადგმაზე სიძნელეს სიძნელე მოჰყვებოდა.

ჯერ არ ჩამეხედა ამ უძირო ჭაში, სადაც უნდა ჩავსულიყავით. ეს წუთიც დადგა. ჯერ კიდევ შემეძლო ან მონაწილეობა მიმეღო ან მოგზაურობაში, ან უარი მეთქვა ბედის ცდაზე. მაგრამ მონადირის წინაშე შემრცხვა და უკან აღარ დავიხიე. ჰანსი ისე მშვიდად, გულგრილად და უდრტვინველად ხვდებოდა მოსალოდნელ ხიფათს, რომ შემრცხვა და გავწითლდი იმის გაფიქრებაზე, მასზე მხდალი არ აღმოვჩნდე-მეთქი. მარტო რომ ვყოფილიყავი, რაიმე დამაჯერებელ საბუთებს გამოვძებნიდი, მაგრამ გამყოლისა მომერიდა და ხმა არ ამომიღია, მხოლოდ ლამაზი ფირლანდიელი ქალიშვილი გამახსენდა ცენტრალურ ხორხს მივუახლოვდი.

უკვე ვთქვი, რომ მისი დიამეტრი ას ფუტს შეადგენდა, ხოლო წრეხაზი - სამას ფუტს. დავიხარე ხორხის პირთან აღმართულ ლოდზე და ჩავიხედე. თმა ყალყზე დამიდგა. ჩემს წინ სიცარიელე ჩანდა და ამ სიცარიელის შიშმა ერთიანად შემიპყრო. ვიგრძენი, თუ როგორ გადაინაცვლა ჩემში სიმძიმის ცენტრმა და მთვრალივით თავბრუ დამესხა. უფსკრული მიზიდავდა და არაფერია უფრო მიმზიდველი, ვიდრე ეს ძახილი. ის იყო უნდა ჩავვარდნილიყავი, რომ ვიღაცამ ხელი ჩამჭიდა. ჰანსის ხელი იყო, ნამდვილად საკმარისი არ ყოფილა კოპენჰაგენის ფრელსერს-კირკეს "უფსკრულის გაკვეთილები".

თუმცა მხოლოდ თვალიი მოვავლე ამ ჭას, მაინც მოვასწარი ციცაბო კედლებზე მრავალი შვერილი დამენახა, რა თქმა უნდა, ეს ჩასვლას გაგვიადვილებდა, კიბედ გამოგვადგებოდა, მოაჯირიღა აკლდა. კრატერის პირზე კლდეზე გამობმული თოკი საკმარისი იქნებოდა ჩვენ დასაკავებლად, მაგრამ როგორ უნდა მოგვეხსნა იგი, როდესაც თოკს ბოლომდე ჩავყვებოდით?

ამ სიძნელის თავიდან ასაცილებლად ბიძაჩემმა სრულიად მარტივ ხერხს მიმართა. გაშალა ცერის სისქის ოთხასი ფუტის სიგრძის თოკი. ჯერ მისი ერთი ბოლო ჩაუშვა, გადასდო ლავის ნარევზე და მეორე ბოლოც ხორხში ჩააგდო. ამგვარად თითოეული ჩვენთაგანი ხელს ჩაავლებდა კლდის ნაშვერზე გამოდებულ ორად მოკეცილ თოკს; როდესაც ორასი ფუტით ჩავიდოდით, თოკის ერთ ბოლოს ხელს გავუშვებდით, ხოლო მეორე ბოლოს მოვქაჩავდით და კლდის ნაშვერიდან ჩამოვაგდებდით, მერე კვლავ გავიმეორებდით ამ ილეთს და ასე ad infinitum.

- ახლა კი, - თქვა ბიძაჩემმა, როდესაც იგი ამ სამზადისს მორჩა, - ბარგს მივხედოთ; ჩვენ მათ სამ შეკვრად გავყოფთ და თითოეული ჩვენთაგანი ერთ-ერთს აიკიდებს ზურგზე; მე ვგულისხმობ ადვილად მტვრევად ნივთებს.

ცხადია, პროფესორი მტვრევად ნივთებში ჩვენ თავს არ გულისხმობდა.

- ჰანსი, - განაგრძო მან, - წაიღებს ინსტრუმენტებს და მესამედ ნაწილს სანოვაგისას, შენ, აქსელ, მესმედს და იარაღს, მე კი დანარჩენ სანოვაგეს და ხელსაწყოებს.

- კი მაგრამ, - მივუგე მე, - ტანსაცმელს, ბაწრებსა და ამდენ კიბეებს ვინღა ჩაიტანს?

- ისინი თვითონ ჩავლენ.

- როგორ? - ვკითხე მე.

- ახლა ნახავ.

ბიძაჩემს ბევრი არ დაუყოვნებია. ჰანსს მაგრად შეაკვრევინა არამტვრევადი ნივთები და პირდაპირ უფსკრულში გადააგდებინა.

გავიგონე, როგორი შხუილით მიაპობდ ჰაერს ჩვენი ბარგიბარხანა. უფსკრულის პირზე დახრილი ბიძაჩემი კმაყოფილებით თვალს ადევნებდა ამ ბარგის ფრენას და მხოლოდ მასინ გასწორდა წელში, როდესაც ფუთა მხედველობიდან დაეკარგა.

- კეთილი, - თქვა მან. - ახლა ჩვენი ჯერია.

ჭკუათმყოფელი ადამიანი ტანში ჟრუანტელის გარეშე ამ სიტყვებს ვერ მოისმენდა.

პროფესორმა ხელსაწყოების ფუთა მოიკიდა ზურგზე. ჰანსმა - ინსტრუმენტებისა, მე - იარაღისა. ჩასვლა შემდეგი თანმიმდევრობით დავიწყეთ: ჯერ ჰანსი, მერე ბიძაჩ ემი და ბოლოს მე. ჩუმად მივდიოდით სიჩუმეს მხოლოდ უფსკრულში დაგორებული კლდის ნამსხვრევები არღვევდა.

ხელაღებით დავეშვი, მივსრიალებდი, თან გაფაციცებით ცალ ხელს ვუჭერდი ორმაგ თოკს, მეორეთი რკინისწვეტიან ჯოხს; ერთადერთი აზრი დამეუფლა: მეშინოდა, დასაყრდენი წერტილი არ გამომცლოდა ფეხქვეშ. თოკი მეტად წვრილი მეჩვენებოდა, გაუძლებდა თუ არა სამი ადამიანის წონას? ამიტომ არ ვენდობოდი და რაც შემეძლო, ნაკლებად ვიყენებდი. წონასწორობის სასწაულებს ვიჩენდი და ჯამბაზივით ვცდილობდი ფეხით ჩავჭიდებოდი კლდის შვერილებს.

როდესაც ასეთი საფეხური ჰანსს ფეხქვეშ ეცლებოდა, იგი მშვიდად ამბობდა:

- Gif akt!

- ფრთხილად! - იმეორებდა ბიძაჩემი.

ნახევარი საათის შემდეგ მივაღწიეთ კლდეს, რომელიც მყარად ჩაჭედილიყო უფსკრულის კედელში.

ჰანსმა თავის ერთი ბოლოთი ბაწარი მოქაჩა; მეორე ბოლო ჰაერში ავარდა, მოაწყდა ზედა კლდეს და ძირს დაეცა, თან გამოიყოლა ქვისა და ლავის ნამსხვრევების წვიმა, უკეთ, სეტყვა.

გადავიხარე კლდიდან, რომელზეც ვიდექი და ხვრელის ფსკერი ვერ დავინახე. იგი ჯერ შორს იყო.

თოკი ხელმეორედ გავჭიმეთ და ნახევარი საათის შემდეგ ორასი ფუტით კიდევ უფრო დაბლა დავეშვით.

არ ვიცი, შეეცდებოდა თუ არა რომელიმე თავზეხელაღებული გეოლოგი ამ ჩასვლის დროს, მის გარშემო მყოფი ქანების ბუნების შესწავლას, მაგრამ მე ამის დარდი არა მქონდა; და არ ვიცი, იყო ეს მიოცენი თუ ეოცენი, ანდა ცარცული, იურული, ტრიასული, ჰერმული, კარბონული, დევონური, თუ სილურული თუ სხვა რომელიმე ქანი, სულ არ მენაღვლებოდა. მაგრამ პროფესორი აკვირდებოდა და ზოგი რამ ჩაინიშნა კიდეც, რადგან ერთ-ერთ გაჩერებაზე, მითხრა:

- რაც უფრო წინ ვიწევით, მით უფრო მტკიცდება ჩემი რწმენა. ამ ვულკანური ქანების განლაგება სავსებით ადასტურებს დევის თეორიას. ჩვენ პირველად ქანების შუაგულში ვართ, ქანებისა, რომლებშიც ჰაერისა და წყლის გავარვარებულ ლითონებზე ქიმიურ ზემოქმედების შედეგად ლითონები დაიშალნენ და აალდნენ. მე სავსებით უკუვაგდებ ცენტრალური სიცხის თეორიას. თუმცა, ყოველივე ამაში ჩვენ კიდევ დავრწმუნდებით.

ისევ იგივე დასკვნა! ალბათ გამიგებთ. მე არ მეხალისებოდა დისკუსის დაწყება. ჩემი დუმილი დასტურად ჩათვალა და განვაგრძეთ ჩასვლა.

სამი საათის შემდეგაც არ გამოჩენილა უფსკრულის ფსკერი. როდესაც თავი ავწიე, დავინხე დავიწროებული ყელი. ოდნავ დახრილი კედლები ქვევით უერთდებოდნენ ერთმანეთს, თანდათან ბნელდებოდა.

ჩასვლას განვაგრძობდით; მეჩვენებოდა, თითქოს კედლებიდან მოწყვეტილი ქვები უფრო ყრუ ხმაურით ინთქმებოდნენ და უფრო სწრაფად ეცემოდნენ უფსკრულის ფსკერზე.

რადგან ზუსტად დავიხსომე რამდენჯერ გამოვიყენეთ თოკი, ახლა შემეძლო ზუსტად გავლილი მანძილის და გასული დროის გამოანგარიშება.

უკვე თოთხმეტჯერ ჩამოვედით კიბით, თითოეულ ჩამოსვლას ნახევარ საათს ვანდომებდით. ასე რომ შვიდი საათისათვის უნდა მიემატებინა სამნახევარი საათი, რომელიც დასვენებას მოუნდა, ამგვარად ათ საათნახევარი ჩავდიოდით. პირველ საათზე გამოვედით. ახლა თორმეტი საათი უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება ჩვენ მიერ ჩაღწეულ სიღრმეს, არც მისი გამოთვლა იყო ძნელი. ორასი ფუტის სიგრძის თოკის ეს ილეთი თოთხმეტჯერ გავიმეორეთ, რაც ორი ათას რვაას ფუტს შეადგენდა.

ამ დროს გაისმა ჰანსის ხმა:

- Halt, - თქვა მან.

მაშინვე შევჩერდი, თორემ ის იყო ბიძაჩემის თავზე უნდა დამებიჯებინა.

- მივედით, - მითხრა პროფესორმა.

- სად? - ვკითხე მე. ჩავცურდი და გვერდზე ამოვუდექი .

- შვეული ჭის ფსკერზე.

- მაშ სხვა გასასვლელი არ არის?

- გვირაბს ვამჩნევ, მარჯვნივ იხრება. ამას ხვალ ვნახავთ. ჯერ ვივახშმოთ, შემდეგ დავიძინოთ.

ჯერ სავსებით არ ბნელოდა. გავხსენით სანოვაგის ჩანთა, დავნაყრდით და თითოეული ჩვენთაგანი შეძლებისდაგვარად უკეთ მოეწყო ქვის და ლავის ნამსხვრევების საწოლზე.

პირაღმა ვიწექი, ავიხედე და თვალი ბრჭყვიალა წერტილს მივაპყარი, სამი ათასი ფუტის სიმაღლიდან ბუმბერაზ ჭოგრსა ჰგავდა.

ეს იყო ციმციმს უნარმოკლებული ვარსკვლავი, - ჩემი ვარაუდით, ბეტა პატარა დათვის თანავარსკვლავედში.

მერე ღრმად ჩამეძინა.

მეთვრამეტე თავი

დილის რვა საათზე გარიჟრაჟის სხივმა გამოგვაღვიძა. ლავური კედლების ათასი წახნაგის ანარეკლი ნაპერწკალთა წვიმას გვაფრქვევდა.

შუქი საკმაოდ ძლიერი იყო ირგვლივ მდებარე ნივთების დასანახავად.

- ახლა, რაღას იტყვი, აქსელ? - წამოიძახა ბიძაჩემმა ხელების ფშვნეტით, - ჩვენს სახლში, კონიგშტრასზე ოდესმე თუ გაგიტარებია უფრო მშვიდი ღამე? არც ორთვალების ხმაური, არც ვაჭრების ყვირილი, არც მეზღვაურთა ბღავილი!

- რა თქმა უნდა, ჩვენ მეტად მშვიდად ვართ ამ ჭის ფსკერზე, მაგრამ თვით ეს სიმშვიდე რაღაც სახიფათოა.

- მაშ, - წამოიძახა ბიძაჩემმა, - შენ თუ ახლა შეშინდი, მერე რაღას იზამ? ჩვენ ხომ ჯერ ერტი მტკაველიც არ ჩავსულვართ დედამიწის წიაღში?

- რას ბრძანებთ?

- მე იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ მხოლოდ კუნძულის ზედაპირამდე მივაღწიეთ! ეს გრძელი ვერტიკალური ხვრელი, რომელიც სნეფელსის კრატერს უერთდება, დაახლოებით ზღვის დონემდე ჩადის.

- დარწმუნებული ხართ, რომ ასეა?

- სავსებით. ბარომეტრს დახედე.

მართლაც, ვერცხლისწყალი, მის შემდეგ რაც იგი თანდათან ზემოთ იწევდა ჩვენი ჩასვლის მიხედვით, მეცხრე დიუმზე გაჩერებულიყო.

- ხომ ხედავ, - განაგრძო პროფესორმა, - ჩვენ ჯერ კიდევ ატმოსფერული წნევის დონეზე ვართ. მე მოთმინება არ მყოფნის, რომ ბარომეტრი მანომეტრით შევცვალო.

მართლაც, ეს ბარომეტრი გამოუსადეგარი გახდებოდა, როდესაც ჰაერის წონა აიწევდა ოკეანის წნევასთან შედარებით.

- კი მაგრამ, განა არ უნდა გვეშინოდეს წნევის თანდათან მომატების, სუნთქვა ხომ ძლიერ გაჭირდება?

- არა. ჩვენ ნელ-ნელა ჩავეშვებით და ჩვენი ფილტვები უფრო მკვრივ ატმოსფეროში სუნთქვას შეეჩვევა. აერონავტებს, რომლებიც ატმოსფეროს ზედა ფენებში ადიან, ბოლოს ჰაერი აღარ ჰყოფნით, ხოლო ჩვენ კი, შესაძლოა, ზედმეტი მოგვივიდეს. მაგრმ ასე ემჯობინება. ერთ წუთსაც ნუ დავკარგავთ! სად არის ფუთა, რომელიც ჩვენზე ადრე ჩამოვუშვით?

გამახსენდა, რომ გუშინ საღამოს იგი ამაოდ ვეძებეთ. ბიძაჩემი ჰანსს შეეკითხა. მან ყურადღებით მოავლო ირგვლივ მონადირის თვალი და უპასუხა:

- Der hippe!

- ზემოთ.

მართლაც, ის ჩვენს ზემოთ ასიოდე ფუტის სიმაღლეზე კლდეს მოსდებოდა. მოქნილი ისლანდიელი კატასავით სწრაფად აცოცდა და, რამდენიმე წუთში, ფუთა ჩვენ გვერდით აღმოჩნდა.

- ახლა კი, - თქვა ბიძაჩემმა, - ვისუზმოთ, მაგრამ ისე დავნაყრდეთ, შორ გზაზე დამდგარ ადამიანებს რომ შეეფერებათ.

ორცხობილასა და გამხმარ ხორცს რამდენიმე ყლუპი ღვიის არაყგარეული წყალი დავაყოლეთ.

საუზმის შემდეგ ბიძაჩემმა ჯიბიდან ამოიღო უბის წიგნაკი, სადაც თავის დაკვირვებებს ინიშნავდა; დახედა ხელსაწყოებს და შემდეგი მონაცემები ჩაიწერა:

ორშაბათი, 1 ივლისი

ქრონომეტრი: დილის 8 ს. 17. წ.
ბარომეტრი: 29 დიუმი 7 ხაზი
თერმომეტრი: 6°
მიმართულება ა. - ს. - ა.

უკანასკნელი დაკვირვება ბნელ დერეფანს ეხებოდა და ბუსოლის მონაცემებს აღნიშნავდა.

- ახლა კი, აქსელ, - იმედიანად წამოიძახა პროფესორმა, - ჩვენ ნამდვილად ჩავეშვებით დედამიწის წიაღში. აი, ამ წუთიდან იწყება ჩვენი მოგზაურობა.

ამ სიტყვების შემდეგ ბიძაჩემმა ხელში აიღო კისერზე ჩამოკიდებული რუმკორფის აპარატი, ხოლო მეორე ხელით ელექტრონის ნათურა ჩართო. დერეფნის წყვდიადი საკმაოდ ძლიერმა შუქმა გაფანტა.

ჰანსს მოჰქონდა მეორე აპარატი, რომელიც აგრეთვე ჩართეს: ამგვარი გონებამახვილური ხერხით საშუალება გვეძლეოდა, დიდი ხნის განმავლობაში გვევლო და ხელოვნური განათება გვეხმარა, - ყველაზე აალებად გაზების გარემოცვაშიაც კი.

- გზას გავუდგეთ! - ბრძანა ბიძაჩემმა.

ყველამ ჩვენ ჩვენი ფუთა მოვიკიდეთ, ჰანსმა ხელის კვრით წინ გაიგდო თოკებისა და ტანსაცმელების შეკვრა, მე მესამე მივდიოდი და ასეთი თანმიმდევრობით შევედით დერეფანში.

იმ მომენტში, როდესაც ამ ბნელ გვირაბს უნდა ჩავენთქეთ, თავი მაღლა ავწიე და, უშველებელი ჭოგრით უკანასკნელად შევხედე იმ ისლანდიის ზეცას, "რომელიც აღარასოდეს აღარ უნდა მენახა".

უკანასკნელი ამონთხევის დროს, 1229 წელს, ლავამ ამ გვირაბით გაიკვლია გზა, გვირაბის კედლები მიეგლითა და სქელი ბრჭყვიალა ბათქაშით დაფარა, რომელიც ახლა ელექტრონის შუქზე ბრწყინავდა და ასჯერ აძლიერებდა სინათლეს.

გზის მთელი სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ მეტისმეტად სწრაფად არ გვესრიალა დაახლოებით ორმოცდახუთი გრადუსით დაქანებულ გვირაბში; საბედნიეროდ, ზოგიერთი უსწორობა საფეხურების მაგივრობას გვიწევდა და ისღა დაგვრჩენოდა, რომ თავქვე გვევლო და გრძელ თოკზე გამობმული ჩვენი ბარგი თანდათან ჩაგვეშვა.

ის, რაც ჩვენ ფეხქვეშ საფეხეურებად ეწყო, სხვაგან სტალაქტიტებად ეკიდა. ალაგ-ალაგ ფოროვანი ლავის სიცარიელეში ბრჭყვიალა კრატერები ელავდნენ. შუშის გამჭირვალე წვეთებით მორთული კვარცის შავი კრისტალები ჭაღებივით ეკიდა და მიახლოებისას ელვარებდა. გეგონებოდათ, უფსკრულის სულები აჩირაღდნებდნენ თავიანთ სასხლეს დედამიწის სტუმრების შესახვედრად.

- მშვენიერია! - უნებლიედ წამოვიძახე. - რა სანახაობაა, ბიძაჩემო! თქვენ თუ სტკბებით ლავის ამ ელვარებით მოწითალო ყავისფერიდან - კაშკაშა ყვითელ ფერებში რომ გადადიან! ეს კრისტალები ხომ მანათობელი ბურთებივით ელავენ!

- ყოველივე ეს შენც ხომ გხიბლავს, აქსელ! - მიპასუხა ბიძაჩემმა. შენც ხომ მშვენივრად გეჩვენება, ჩემო ბიჭო! იმედი მაქვს, კიდევ სხვა მრავალ უკეთეს სანახაობას იხილავ! მაშინ წინ! წინ! გავწიოთ!

უფრო ზუსტი იქნებოდა, მას რომ ეთქვა, "დავგორდეთო", რადგან ჩვენ ძალდაუტანებლად მივყვებოდით დაქანებულ ფერდობებს. ეს იყო ვირგილიუსის facilis descensus Averni[1] ბუსოლი, რომელსაც მე ხშირ-ხშირად ვუყურებდი, უცვლელად ზუსტად სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებას აჩვენებდა. ლავის გაქვავებული ნაკადი განუხრელად სწორ ხაზს მიჰყვებოდა.

ამსობაში სითბო მაინცდამაინც შესამჩნევად არ მატულობდა. ეს კი დევის თეორიებს ადასტურებდა და ხშირ-ხშირად გაკვირვებით ვუყურებდი თერმომეტრს. გზის დასაწყისიდან ორი საათის შემდეგ იგი მხოლოდ 10° უჩვენებდა, ე.ი. მხოლოდ 4° -ით მეტს! ეს უფლებას მაძლევდა, მეფიქრა, რომ ჩვენ "ვეშვებოდით" უფრო ჰორიზონტალურად, ვიდრე ვერტიკალურად. ჩვენი ადგილმდებარეობის ზუსტი სიღრმის გაგება ადვილი იყო. პროფესორი ზუსტად ანგარიშობდა გზის გადახრისა და დაქანების კუთხეებს, მაგრამ თავისთვის ინახავდა ამ დაკვირვებების შედეგს.

საღამოს, საათის რვაზე, ბიძაჩემმა გაჩერება გვანიშნა. ჰანსი მაშინვე დაჯდა. ნათურები ლავის შვერილზე ჩამოვკიდეთ. გამოქვაბულში ჰაერი საკმაო რაოდენობით იყო. უფრო მეტიც, ჩვენამდე ნიავიც კი აღწევდა. რომელ ატმოსფერულ მოძრაობას უნდა მივაწეროთ ეს? ამ კითხვაზე პასუხი არ მიძებნია, შიმშილისა და დაღლილობისაგან ვეღარ ვაზროვნებდი. შვიდი საათი სულმოუთქმელად ვეშვებოდით დაბლა, შეუძლებელი იყო არ დაქანცულიყავი. ქანცგაწყვეტილს სიტყვა "სდექ" ალერსივით ჩამწვდა. ჰანსმა ქვაზე გაშალა ცოტაოდენი სანოვაგე და ყველანი მადიანად შევექეცით. ერთი რამ კი მადარდებდა; ჩვენი წყლის მარაგი ნახევრამდე იყო დასული. ბიძაჩემი მიწისქვეშა

წყაროებიდან ვარუდობდა წყლით მომარაგებას, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი წყარო არ შეგხვედრია. თავი ვერ შევიკავე და ამის თაობაზე ჩამოვაგდე ლაპარაკი.

- შენ გიკვირს, რომ წყარო არსად ჩანს? - იკითხა პროფესორმა.

---

1 "მსუბუქი ჩასასვლელი ავერნში" (ანუ ქვესკნელში) (ლათ.)

- რა თქმა უნდა, მეტიც, ფრიად მაწუხებს. ჩვენ მხოლოდ ხუთი დღის წყლის მარაგი დაგვრჩა.

- არხეინად იყავი, აქსელ, გპირდები, რომ წყალს მოვნახავ და თანაც გაცილებით იმაზე მეტს, ვიდრე გვჭირდება.

- ეს როდის?

- როდესაც ჩვენ ამ ლავის ნაკადის ფარგლებს გავცდებით. როგორ გინდა, რომ წყარომ ამ სისქე ფენაში გაიკვლიოს გზა?

- იქნებ ეს ნაკადი დიდ სიღრმეზე ჩადის. ასე მეჩვენება, რომ ვერტიკალური მიმართულებით ჯერ დიდი გზა არ გაგვივლია.

- რატომ ფიქრობ ასე?

- საქმე ისაა, რომ დედამიწის ქერქში ღრმად ვყოფილიყავით ჩასული, სითბო მოიმატებდა.

- ეს შენი თეორიის მიხედვით, - მიპასუხა ბიძაჩემმა. - თერმომეტრი რას უჩვენებს?

- თხუთმეტ გრადუსამდე ძლივს აიწია, გზის დასაწყისიდან მხოლოდ ცხრა გრადუსით მოიმატა.

- ახლა დასკვნა შენ თვითონ გამოიტანე.

- აი, ჩემი დასკვნა. ყველაზე ზუსტი დაკვირვებების მიხედვით, ტემპერატურის ზრდა დედამიწის წიაღში ყოველ ას ფუტზე ჩასვლისას ერთ გრადუსს უდრის. მაგრამ ზოგიერთ ადგილობრივ პირობას შეუძლია შეცვალოს ეს ციფრი. ასე, მაგალითად, ციმბირში, იაკუტსკში შენიშნეს, რომ ერთი გრადუსით ტემპერატურის აწევა ხდება ყოველ ოცდამეთექვსმეტე ფუტზე. რა თქმა უნდა, ეს განსხვავება დამოკიდებულია ქანების სითბოს გამტარიანობაზე. იმასაც დავუმატებდი, რომ ჩამქრალი ვულკანის მახლობლადაც კი გნეისში შემჩნეულია, რომ ტემპერატურის ზრდა მხოლოდ ერთ გრადუსს უდრის ას ოცდახუთ ფუტზე. ავიღოთ ეს უკანასკნელი ჰიპოთეზა, მივიღოთ, როგორც ყველაზე ხელსაყრელი და ამის კვალობაზე ვიანგარიშოთ.

- იანგარიშე, ჩემო ბიჭო.

- ადვილი საქმეა, - ვთქვი და უბის წიგნაკში ციფრები ჩამოვწერე. - ცხრაჯერ ოცდახუთი ფუტი იქნებ ათას ას ოცდახუთი ფუტის სიღრმე.

- ზედმიწევნით ზუსტია.

- მერე?

- მერე და, ჩემი დაკვირვებით, ჩვენ ჩავსულვართ ათას ფუტამდე ზღვის დონეზე დაბლა.

- განა ეს შესაძლებელია?

- დიახ, თუ არადა, ეს ციფრები ხომ არ ტყუიან!

პროფესორის გამოანგარიშება ზუსტი იყო. ჩვენ უკვე ექვსი ათასი ფუტით გავცდით ყველაზე დიდ სიღრმეებს, რომელშიც ადამიანი როდესმე ჩასულა, ასეთებია კიც-ბალის მაღაროები ტიროლში და ვიურტემბერგისა ბოჰემიაში.

ტემპერატურა კი, რომელიც ამ ადგილას ოთხმოცდაერთი გრადუსი უნდა ყოფილიყო, ძლივს აღწევდა თხუთმეტ გრადუსს. ეს გარემოება მეტად დამაფიქრებელი იყო.

მეცხრამეტე თავი

მეორე დღეს, სამშაბათს, დილის 6 საათზე ისევ გზას გავუდექით.

კვლავინდებურად ლავის გვირაბს მივყვებოდით, რომელიც დამრეცად ეშვებოდა მცირედ დაქანებული ფიცარნაგებივით, დღემდე რომ კიბის მაგივრობას სწევენ ძველ სახლებში. ასე ვიარეთ პირველის ჩვიდმეტ წუთამდე, სანამ ადრე დაწინაურებულ ჰანსს წამოვეწიეთ.

- აჰა! - წამოიძახა ბიძაჩემმა, - გვირაბის ბოლოს მივსულვართ.

ირგვლივ მივიხედ-მოვიხედე. გზაჯვარედინთან ვიდექით. აქედან გზა ორად იყოფოდა, ორივე ბნელი და ვიწრო იყო. რომელს გავყოლოდით? ძნელი გადასაწყვეტი იყო.

ბიძაჩემი ეჭვობდა, მაგრამ ამ ეჭვის გამჟღავნება არც ჩემთან და არც გამყოლთან არ უნდოდ. მან აღმოსავლეთის გვირაბი გვიჩვენა და სამივენი მაშინვე შიგ შევედით.

გზის გასაყართან ბიძაჩემის ეჭვი და ყოყმანი შეიძლება უსასრულოდ გაგრძელებულიყო, რადგან ვერავითარი ნიშანი ვერ აღმოვაჩინეთ იმისა, თუ რომელი გზა აგვერჩია; ასე რომ, ეს საკითხი საალალბედოდ უნდა გადაგვეწყვიტა.

ეს ახლი გვირაბი ოდნავ იყო დაქანებული და ხან ვიწროვდებოდა, ხან ფართოვდებოდა. ასე რომ, ჩვენს წინაშე იშლებოდ გოთური ტაძრის ისრული თაღებით დამშვენებული მცირე თაღები. შუა საუკუნეების ოსტატებს შეეძლოთ აქ რელიგიური არქიტექტურის ყველა ფორმების შესწავლ, რომლებსაც ისრული თაღი უდევს საფუძვლად. კიდევ ერთი მილი რომ გავიარეთ, ახლა მასივში შეჭრილ მსხვილ სვეტებზე დაყრდნობილ რომანული სტილის დაბალ თაღებქვეშ მოგვიხდა თავის დახრა. ალაგ-ალაგ სვეტებს თახვების ნაგებობის მსგავსი დაბალი დერეფანი ცვლიდა. და ამ ვიწრო დერეფნებში ხოხვით გვიხდებოდა გაძრომა.

სითბო არ მატულობდა და გასაძლისი იყო. ძალაუნებურად ვფიქრობდი, როგორი მაღალი ტემპერატურა იქნებოდა მაშინ, როდესაც სნეფლსის მიერ ამონთხეული ლავები ამ გზით მიისწრაფოდა. წარმოვიდგინე ცეცხლოვანი ნიაღვარი, ამ ახალ მშვიდ გვირაბში რომ თარეშობდა, იმსხვრევოდა და ამ სვეტებისაგან დავიწროებულ ადგილებში გახურებული ორთქლი გუბდებოდა.

"ნეტავ, ამ ბებერ ვულკანს წარსული არ გაახსენდეს", - ვფიქრობდი მე.

ეს ფიქრები ბიძაჩემისათვის არ გამიზიარებია; იგი ვერც გაიგებდა, რადგან მისი ერთადერთი მიზანი წინსვლა იყო. იგი მიისწრაფოდა, სიარულისას ფეხი უცდებოდა, ბორძიკობდა, მაგრამ ისეთი დაჯერებული იყო, ისეთი შთაგონება ჰქონდა, რომ შეგშურდებოდა მისი რწმენისა.

საღამოს ექვსი საათისათვის ცოტა დავიღალეთ და ორი ლიეთი წავიწიეთ სამხრეთით, მაგრამ მხოლოდ მეოთხედი მილით ჩავედით სიღრმეში.

ბიძაჩემმა დასვენების ნიშანი მოგვცა. საუზმის დროს ბევრი არ გვისაუბრია და არხეინად ჩაგვეძინა.

ღამის სათევად დიდი მომზადება არ დაგვჭირვებია. საბანში მთლიანად გავეხვიეთ. არც სიცივისა, არც არასასურველი სტუმრობისა არ გვეშინოდა. მოგზაურები, რომლებიც იჭრებიან აფრიკის უდაბნოთა შუაგულში, ან ახალი ქვეყნის უღრან ტყეებში, იძულებულნი არიან, ძილის დროს ერთმანეთს უდარაჯონ, ჩვენ კი სულ მარტონი ვიყავით და არც არაფერი გვაშინებდა: არც ველური ადამიანები, არც მხეცები.

დილით დასვენებულებს კარგ გუნებაზე გაგვეღვიძა. ისევ გზას გავუდექით. დღესაც გუშინდელივით. ლავის ნაკადში გაკაფულ გზას მივყვებოდით. შეუძლებელი იყო ჩვენ ქვეშ მდებარე ქანების ბუნების დადგენა, რადგან ერთსა და იმავე ფენაში გვიხდებოდა მოძრაობა. გვირაბი, ნაცვლად იმისა, რომ დედამიწის სიღრმეში ჩასულიყო, თითქმის ჰორიზონტალური ხდებოდა. მე ისიც კი მომეჩვენა, რომ იგი დედამიწის ზედაპირისაკენ ადიოდა. დილის ათი საათისათვის ეს იმდენად აშკარა გახდა, რომ სიარულიც კი გამიძნელდა და თანამგზავრებს ჩამოვრჩი.

- რაო, აქსელ? - მოუთმენლად მკითხა პროფესორმა.

- რა და, აღარ შემიძლია, - ვუპასუხე მე.

- როგორ? ასეთ ადვილ გზაზე სამსაათიანი გასეირნების შემდეგ?

- ადვილი კი შეიძლება იყოს ეს გზა, მაგრამ ნამვილად დამქანცავია.

- როგორ? ჩვენ ხომ მხოლოდ დაღმართში გვიხდება სიარული.

- აღმართში! თუ საწყენად არ მიიღებთ!

- აღმართში? - მკითხა ბიძაჩემმა და მხრები აიჩეჩა.

- ცხადია. უკვე ნახევარი საათია, რაც გზის დაქანება შეიცვალა და თუ ასე განვაგრძეთ, უეჭველად ისლანდიის მიწაზე მივაღწევთ. პროფესორმა უნდობლად გაიქნია თავი, და მაგრძნობინა, რომ არაფრის, გაგონება არ სურდა. შევეცადე, საუბარი გამეახლებინა. მაგრამ პასუხი არ მაღირსა და გასლვის ნიშანი მოგცა. ახლა კი ნათლად დავინახე, რომ უგუნებოდ იყო და მხოლოდ იმიტომ არ იღებდა ხმას.

მე კვლავ ვაჟკაცურად ავიკიდე ჩემი ტვირთი და სწრაფად მივყევი ჰანსს, რომელსაც წინ ბიძაჩემი მიუძღოდა. ვცდილობდი, არ ჩამოვრჩენილიყავი. ჩემი უმთავრესი საზრუნავი

ახლა ის იყო, მხედველებიდან არ დამეკარგა თანამგზავრები. ჟრუანტელი მივლიდა იმის გაფიქრებაზეც, რომ შეიძლებოდა ამ ლაბირინითის სიღრმეში დავკარგულიყავი.

თანაც, რახან აღმავალი გზა უფრო ძნელდებოდა, სანუგეშო ის მქონდა, რომ დედამიწის ზედაპირს ვუახლოვდებოდით. თითოეული ნაბიჯის გადადგმაზე მახარებდა ფიქრი, რომ კვლავ ვიხილავდი ჩემს პატარა გრაუბენს.

შუადღისას გვირაბის კედლის აგებულება შეიცვალა. ეს შევნიშნე იმით, რომ კედლებისაგან არეკლილი ელექტრონის შუქი შესუსტდა. ლავური განფენის ნაცვლად ახლა თაღები მასივი შედგებოდა დაქანებული და, ხშირად, ვერტიკალურად განლაგებული დანალექი ქანების შრეებისაგან. ჩვენ სილურიული პერიოდის ქანებში ვიყავით.

- აშკარაა, - წამოვიძახე მე, რომ ეს ფიქალი, ეს კირქვა და ეს ქვიშაქვა პალეოზოური ერის წარმოშობისაა... ჩვენ ზურგი შევაქციეთ გრანიტულ მასივს და ჰამბურგელ მაცხოვრებლებსა ვგავართ, რომლებიც ლუბეკში მისასვლელად ჰანოვერის გზას ადგებიან!

უკეთესი იქნებოდა ეს დაკვირვებები ჩემთვის შემომენახა, მაგრამ გეოლოგის ტემპერამენტმა სიფრთხილეს სძლია და ბიძაჩემმა გაიგონა ეს ჩემი წამოძახილი.

- რა დაგემართა? - მკითხა მან.

- დახედეთ! - ვუპასუხე მე და ვაჩვენე შრეებრივი ქვიშაქვისა და კირქვის ქანები, რომლებშიც შიფერის ფიქალის პირველი ნიშნებიც შეიმჩნეოდა.

- მერე და, რა?

- ჩვენ იმ პერიოდამდე მივაღწიეთ, როდესაც წარმოიშვა პირველი მცენარეები და პირველი ცხოველები!

- ასე გგონია?

- კი მაგრამ, დახედეთ, დააკვირდით, შეისწავლეთ!

ვაიძულე პროფესორი, გვირაბის კედლები გაენათებინა და მის გაკვირვებულ წამოძახილს ველოდი. მაგრამ მას ხმა არ ამოუღია და გზა განაგრძო.

მიხვდა თუ თავმოყვარეობამ სძლია და როგორც ბიძასა და მეცნიერს არ უინდოდა აღიარება იმისა, რომ იგი შეცდა, როდესაც აღმოსავლეთის გვირაბი აირჩია? ან იქნება უნდოდა ბოლომდე შეესწავლა ეს გვირაბი? აშკარა იყო, რომ დავტოვეთ ლავების გზა და რომ ამ გზას არ შეეძლო მივეყვანეთ სნეფელსის კერამდე.

მაგრამ მაინც ვეჭვობდი და ჩემს თავს ვეკითხებოდი, ხომ არ მივანიჭე მე მეტისმეტი მნიშვნელობა ქანების ამგვარ შეცვლას. მე თვითონ ხომ არ ვცდები? მართალია თუ გავიარეთ გრანიტული მასივი, და ახლ ზედ განლაგებული დანალექ ქანებში ვართ?

"თუ მართალი ვარ, - ვფიქრობდი მე, - უნდა ვიპოვო ორგანული სიცოცხლის რაიმე ნასახი და მაშინ ხომ იძულებული იქნებიან, აშკარა ფაქტს დაუჯერონ. მაშ, ვეძებოთ!"

ასი ნაბიჯიც არ გამევლო, ჩემი მოსაზრების სისწორეში რომ დავრწმუნდი. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან, სილურულ ეპოქაში, ზღვებში ათას ხუთასზე მეტი სახეობის მცენარე და ცხოველი ბინადრობდა. ლავების მაგარ ნიადაგს შეჩვეული ფეხი უცებ ჩამეფლო, წავაწყდი რბილ მტვერს, რომელიც მცენარეთა და ნიჟარათა ნარჩენებისაგან შედგებოდ. კედლებზე გარკვევით ჩანდა ფუკუსებისა და ლიკოპოდიების ანაბეჭდები. პროფესორ ლიდენბროკს მათი ცნობა არ შეეშლებოდა, მაგრამ იგი, უთუოდ, თვალს ხუჭავდა და მტკიცე ნაბიჯით გზას განაგრძობდა.

მისი სიჯიუტე უკვე ყოველგვარ საზღვარს ცილდებოდა. თავი ვეღარ შევიკავე. ავიღე მშვენივრად შენახული ნიჟარა, რომელიც ეკუთვნოდა ახლანდელი ცხრაფეხას მსგავს ცხოველს, ბიძაჩემს დავეწიე და ვუთხარი:

- დახედეთ!

- მერე რა, - მშვიდად მიპასუხა პროფესორმა, - ეს არის გამქრალი სახის კიბოსებრის - ტრილობიტის ნიჟარა და სხვა არაფერი.

- მაგრამ აქედან იმას არ დაასკვნით, რომ...

- იმას, რასაც შენ თვითონ დაასკვნი? კი. დიახ, ჩვენ უკან დავტოვეთ გრანიტის მასივი და ლავის ნაკადი. მე შესაძლოა შევცდი; მაგრამ ჩემს შეცდომაში მხოლოდ მაშინ დავრწმუნდები, როდესაც ამ გვირაბის ბოლოს მივაღწევ.

- თქვენ მართალი ხართ, სწორედ იქცევით, ბიძაჩემო, და სავსებით დაგეთანხმებოდით, სხვა უფრო საშიში უბედურება რომ არ გვემუქრებოდეს.

- რა უბედურება?

- წყლის უქონლობა.

- მერე რა, ჩვენ წყალს მომჭირნედ ვიხმართ, აქსელ.

თავი მეოცე

მართლაც, საჭირო გახდა წყლის მომჭირნეობა. ჩვენი მარაგი სამ დღეზე მეტს არ გაგვწვდებოდა. ამაში იმავე საღამოს, ვახშმობისას, დავრწმუნდი. გარდამავალი ეპოქის ქანებში წყაროს პოვნის იმედიც არა გვქონდა.

მთელი მომდევნო დღის განმავლობაში გვირაბის უსასრულო თაღებს მივყვებოდი. თითქმის ხმაამოუღებლივ მივდიოდით. ჰანსის დუმილი ჩვენს გადაგვედო.

შეღმართი თითქმის არ იგრძნობოდა, პირიქით, ზოგჯერ გვეჩვენებოდა, რომ შეუმჩნეველ დაღმართზე ვეშვებოდით. პროფესორი იხტიბარს არ იტეხდა, თუმცა ქანების ბუნება არ იცვლებოდა და გარდამავალი პერიოდის არსებობა სულ უფრო მეტად მტკიცდებოდა.

ელექტრონის შუქზე გვირაბის კედლებსა და სახურავში ელვარებდა ფიქლის, კირქვისა და ძველი წითელი ქვიშაქვის ფენები. გეგონებოდა დევონშირში ვართ, იმ მხარის რომელიმე ღია თხრილში, რომლის სახელი დაერქვა ამ ასაკის გვირაბის ქანებს. კედლები თითქოს მოპირკეთებული იყო დევონური პერიოდის შესანიშნავი ნაირნაირი მარმარილოთი, ზოგი აგატივით მუქი, ნაცრისფერი და თეთრი ძარღვებით დასერილი, ზოგი ვარდისფერი, ზოგი წითელწინწკლებიანი ყვითელი; მოშორებით, მუქი ფერების მარმარილოში უფრო კაშკაშა და ფერადი კირქვის ჩანართები ჩანდა.

ამ მარმარილოში უმარტივეს ცხოველთა მრავალი ანაბეჭდი ჩანდა. გუშინდელს აქეთ ანაბეჭდების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მარტივი ტრილობიტების ნაცვლად, უფრო განვითარებულ ცხოველთა ანაბეჭდები გამოჩნდა. სხვათა შორის იყო განოიდური თევზები და ის ზაუროპტერისები რომელთა აგებულებაში პალეონოლოგის თვალმა ქვეწარმავალთა პირველი ფორმები გაარჩია. დევონური ზღვები დასახლებული იყო ამ ცხოველთა მრავალი სახეობებით, მათი მილიარდობით ანაბეჭდი და განამარხებული ნაშთი დაცულია დევონური პერიოდის ქანებში.

აშკარა ხდებოდა, რომ ჩვენ მივყვებოდით ცხოველთა სამყაროს განვითარების კიბეს - ყველაზე დაბალი საფეხურიდან უმაღლეს საფეხურამდე, რომელზეც ადამიანი დგას. მაგრამ პროფესორი ლინდენბროკი არაფარს ამას ყუარდღებას არ აქცევდა.

იგი ან იმას ელოდა, რომ მის ფეხქვეშ ვერტიკალური ჭა გაიხსნებოდა და მას გზის გაგრძელებისა და დაბლა ჩასვლის შესაძლებლობა მიეცემოდა, ან, რომ რაიმე დაბრკოლება შეხვდებოდა, და გზის გაგრძელებას შეუშლიდა. მაგრამ საღამო დადგა და არც ერთი მოლოდინი არ გამართლდა.

პარასკევს, მთელი ღამის წყურვილით წამების შემდეგ ჩვენმა პატარა რაზმმა ისევ განაგრძო მიხვეულ-მოხვეულ ხაროებში ხეტიალი.

ათი საათის სიარულის შემდეგ შევნიშნე, რომ ნათურების შუქი ისე ძლიერად აღარ აირეკლებოდა კედლებიდან. მარმარილო, ფიქალი, კირქვა და ქვიშაქვა მუქმა და არაბრჭყვიალა ქანებმა შესხვალა. ზოგგან გვირაბი ძალიან ვიწროვდებოდა, გვირაბის მარცხენა კედელს მივყვებოდით და ხელს ვაყოლებდი. როდესაც ხელი მოვაშორე, დავინახე, რომ ხელი გაშავებული მქონდა. უფრო ახლო დავხედე. ხელი ნახშირით მქონდა მოსვრილი.

- ქვანახშირის მაღარო! - წამოვიძახე მე.

- ქვანახშირის მაღარო მაღაროელების გარეშე, - მიპასუხა ბიძაჩემმა.

- ვინ იცის?

- მე კი ვიცი, - ცივად მიპასუხა პროფესორმა, - და დარწმუნებული ვარ, რომ ეს გვირაბი ადამიანის ხელით არ არის გაჭრილი, თუმცა ნაკლებად მაღელვებს, ბუნების ქმნილება იყო ეს თუ არა. ვახშმობის დრო დადგა. ვივაშმოთ!

ჰანსმა ვახშამი გააწყო. ცოტა რამ შევჭამე და ჩემი წილი რამდენიმე წვეთი წყალი დავლიე.

სამი კაცის წყურვილის მოსაკლავად მხოლოდ ჩვენი გამყოლის ნახევრად ცარიელი მათარაღა დაგვრჩა.

ვახშმის შემდეგ ჩემი ორივე თანამგზავრი თავის საბნებზე გაიჭიმა და ძილში ჰპოვა დაღლილობის წამალი. მე კი ვერ დავიძინე და დილამდე საათებს ვითვლიდი.

შაბათს, ექვს საათზე, კვლავ გზას გავუდექით. ოცი წუთის შემდეგ მივაღწიეთ ვრცელ მღივმეს; მაშინ დავიჯერე, რომ ადამიანის ხელს არ შეეძლო ნახშირის ამ "მაღაროს" ამოთხრა; მაშინ მისი თაღები გამგრებული იქნებოდა, ეს თაღი კი მხოლოდ სასწაულით არ იქცეოდა. ეს თავისებური მღვიმის მაგვარი ღრუ ასი ფუტის სიგანისა იყო. სიმაღლე კი ას ორმოცდაათამდე ექნებოდა. მიწისძვრამ გაბზარა ნიადაგი. დედამიწის მასივი მძლავრმა დაწოლამ გათიშა, დააშორა ერთმანეთს ორივე მხარეს მდებარე ქანები და ეს ვრცელი ღრუ გააჩინა, რომელშიც ახლ დედამიწის მკვიდრნი პირველად მიაბიჯებდნენ.

ამ ბნელ კედლებზე ქვანახშირის პიეროდის მთელი ისტორია იყო აღბეჭდილი და გეოლოგს ადვილად შეეძლო მისი სხვადასხვა ფაზების ამოკითხვა.

ქვანახშირის შრეებს ზევიდან ქვიშა-ქვის და მკვდარი თიხის ფენები ეფარა და თითქოს გაეჭყლიტა ისინი. იმ ასაკში, რომელიც წინ უსწრებდა პალეოზურ ერას, ტროპიკული სიცხისა და მუდმივი ტენიანობის წყალობით, დედამიწის ზედაპირს ფარავდა უხვი მცენარეულობა დ ორთქლით მდიდარი ატმოსფერო, რომელიც არ ატარებდა მზის სხივებს.

ამ გარემობის გათვალისწინებით მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მაღალი ტემპერატურის მიზეზი სულ სხვაა. იქნებ დღის მნათობიც იმ ეპოქაში ჯერ არ იყო მზად თავისი ბრწყინვალე როლის შესასრულებლად. ჯერ არ არსებობდა კლიმატური სარტყლები და პაპანაქება სიცხე დედამიწის მთელ ზედაპირს აცხუნებდა თანაბრად ეკვატორსა და პოლუსებზე. საიდან იყო ეს სიცხე? დედამიწის შიგნიდან.

პროფესორ ლიდენბროკის თეორიების მიუხედავად, სფეროიდის შიგნით ძლიერი და მუდმივი ცეცხლი მძვინვარებდა, მისი მოქმედება დედამიწის ქერქის სულ ზედა შრეებამდე იგრძნობოდა. მზის ცხოველმყოფელ სხივებს მოკლებული მცენარეები არც ყვავილებს ისხმადნენ და არც სურნელება ჰქონდათ, მაგრამ მათი ფესვები ძალას იკრებდნენ პირველყოფილ მცხუნვარე ნიადაგიდან.

ხეები ცოტა იყო, მხოლოდ ბალახოვან მცენარეების, გვიმრების, ლიკოპოდიუმების, სიგილარიების, ასტეროფილიტების, მცირერიცხოვანი ოჯახები ათასი გვარებით იყო წარმოდგენილი.

სწორედ ამ უხვ მცენარეულობას უნდა უმადლოდეს ქვანახშირი თავის წარმოშობას. წყალს ჩაჰქონდა მცენარეები და ერთად უყრიდა თავს. წყალში მოქცეულმა მცენარეებმა თანდათან მნიშვნელოვანი საბადოები წარმოშვეს. დედამიწის მაშინ ჯერ კიდევ ელსტიური ქერქი ემორჩილებოდა წყლის გარსის დაწოლას, რომელიც მას ჰფარავდა. ამ დაწოლის შედეგად ქერქი დაიბზარა და ამოქმედდა ბუნებრივი ქიმია; ზღვების ფსკერზე მცენრეულობის მასა ჯერ ტორფადაც იქცა; შემდეგ, ნაპრალებიდან ამოსული გაზებისა და დუღილის ზეგავლენით, მოხდა ორგანული ნაშთების სრული მინერალიზაცია.

ასე წარმოიშვა ქვანახშირის ეს მძლავრი ფენები, რომელიც გადაჭარბებული ექსპლუატაციის შედეგად უნდა გამოილიოს სამიოდე საუკუნის განმავლობაში, თუ ინდუსტრიულად განვითარებულმა ერებმა დროზე ყურადღება არ მიაქციეს და საჭირო ზომებს არ მიმართეს.

ასე ვფიქრობდი, როდესაც ვათვალიერებდი დედამიწის წიაღის ამ უბანში დახვავებულ ქვანახშირის დოვლათს. ამ სიმდიდრეს, რასაკვირველია, არასოდეს არავინ არ მიაგნებს და არ დაამუშავებს. ამ სიშორეზე გადაკარგულ საბადოთა ექსპლუატაცია მეტად ძნელი და მძიმე საქმეა. ანდა რა საჭიროა, როდესაც ქვანახშირი ჯერ კიდევ ბევრ ადგილას, და თანაც თითქმის დედამიწის ზედაპირზე, მოიპოვება, ასე რომ, ეს ხელუხლებელი ფენები ასევე უკლებლად დარჩება, სანამ დედამიწა იარსებებს.

ამასობაში კი შეუჩერებლად გზას განვაგრძობდით და ჩემს თანამგზავრებში მარტო მე გამიტაცა გეოლოგიურმა დაკვირვებებმა, ისე, რომ არც დროს და არც მანძილს აღარ ვამჩნევდი. ტემპერატურა დაახლოებით ისეთივე დონეზე იყო, რაც ლავისა და ფიქალებში გავლის დროს. ოღონდ მკაფიოდ ნახშირწყალბადის სუნს ვგრძნობდი. მაშინვე მივხვდი, რომ გვირაბში დიდი რაოდენობით დაგროვებულა საშიში აირი, რომელსაც მეშახტეები მაღაროს გაზს უწოდებენ და რომლის აფეთქებას ასე ხშირად საშინელი კატასტროფები გამოუწვევია.

საბედნიეროდ, გზას გვინათებდა რუმკორფის მეტად გონებამახვილური აპარატი, თორემ ჩირაღდნები რომ გვეხმარა, გვირაბის საშინელი აფეთქება ბოლოს მოგვიღებდა.

ქვანახშირის საბადოში მოგზაურობამ საღამომდე გასტანა. ბიძაჩემი თავს ძლივს იკავებდა ისე მობეზრდა ასე უცვლელად ჰორიზონტალური გზით სიარული. ისე ბნელოდ, რომ შუქი ოც ნაბიჯზე ძლივს წვდებოდა, გვირაბის სიგრძის განსაზღვრა შეუძლებელი გახდა და უსასრულო მეჩვენებოდა, მაგრამ მოულოდნელად ექვს საათზე ჩვენს წინაშე კედელი აღიმართა. გზა არსად ჩანდა, არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, არც მაღლა, არც დაბლა, გასასვლელი არ იყო. ჩვენ ჩიხში მოვემწყვდიეთ.

- ჰოდა, ასე სჯობს! - წამოიძახა ბიძაჩემმა, - ახლა, როგორც უნდა მოვიქცე, ის მაინც ვიცი. ჩვენ საკნუსემის გზას ავცდით და ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ უკან დავბრუნდეთ, ღამე შევისვენოთ და, დიდი-დიდი სამ დღეში ისევ იმ ადგილს მივაღწიოთ, სადაც გვირაბი ორად იყოფა.

- დიახ, - ვთქვი მე, - თუკი ძალ-ღონე გვეყო!

- რატომ არ უნდა გვეყოს?

- იმიტომ რომ, ხვალ წყალი გამოგველევა.

- კი მაგრამ, ვაჟკაცობაც დაგველევა? - თქვა პროფესორმა და მკაცრად შემომხედა.

სიტყვის შებრუნება ვერ გავბედე.

ოცდამეერთე თავი

მეორე დღეს დილაადრიანად გავუდექით გზას. უნდა გვეჩქარა. გზაჯვარედინამდე ხუთი დღის სავალი იყო.

უკანა გზაზე განცდილი ტანჯვის აღწერას არ გამოვუდგები. ბიძაჩემი ბრაზობდა. გულს აწყდებოდა, მაგრამ მეტი რა ჩარა იყო, ყვლაფერს უძლებდა, ჩუმი და უწყინარი ჰანსი გულმშვიდად შეეგუა გარემოებას: მე კი, უნდა გამოვტყდე, ვწუწუნებდი, სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი. ბედის უკუღმართობამ სულ დამაძაბუნა.

ადრევე ვახსენე, რომ უკვე მოგზაურობის პირველივე დღის ბოლოს სასმელად მხოლოდ ღვიის არაყიღა გვქონდა: მაგრამ ეს ჯოჯოხეთური სასმელი ყელსა მწვავდა და მისი დანახვაც კი მეზიზღებოდა. სიცხისაგან სული მეხუთებოდა. დაღლილობისაგან ღონე მელეოდა. გული მიღონდებოდა და ლამის არის წავქცეულიყავ. სულის მოსათქმელად გაჩერება მოგვიხდა, ბიძაჩემი და ისლანდიელი, რამდენადაც შეეძლოთ, მამხნევებდნენ, უკვე ვხედავდი, რომ თვითონ ბიძაჩემიც ქანცგაწყვეტილი წყურვილს ვეღარ იოკებდა.

როგორც იქნა, სამშაბათს, 8 ივლისს, ფოფხვით, ხოხვით, მუხლებზე ჩოჩვით მისიკვდილებულმა მივაღწიეთ გვირაბების გასაყარს. უგრძნობლად დავეგდე მიწაზე. დილი ათი საათი იყო.

ჰანსი და ბიძაჩემი კედელს მიეყრდნენ, სცადეს ცოტაოდენი ბისკვიტი მაინც ეჭმიათ, მაგრამ დახეთქილი ტუჩებიდან მხოლოდ ხანგრძლივი კვნესა აღმომხდა. მერე, არაქათგამოცლილს ჩამეძინა.

ცოტა ხნის შემდეგ ბიძაჩემი მომიახლოვდა, გულთან მიმიზიდა და გულწრფელი სიბრალულით ჩამჩურჩულა:

- საბრალო ბავშვო!

ამ სიტყვებმა გული ამიჩუყეს, რადგან პროფესორის ალერსს მიჩვეული არ ვიყავი. მივწვდი მის ხელებს და გულში ჩავიკარი. წინააღმდეგობა არ გაუწევია. თვალზე ცრემლი მოადგა და თანაგრძნობით დამაცქერდა.

მერე მოიხსნა მხარეზე გადაკიდებული მათარა და ტუჩებთან მომიახლოვა, დალიეო, მითხრა.

ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა.

მომეჩვენა? ხომ არ შეიშალა ბიძაჩემი. უხმოდ შევცქეროდი. არაფერი მესმოდა.

- დალიე, - გამიმეორა მან.

მათარა ტუჩებზე მომადო და მთელი შიგ დარჩენილი წყალი პირში ჩამასხა.

ო! რა სიამოვნებაა! ერთმა ყლუპმა წყალმა ცეცხლმოკიდებული პირი გამისველა. ერთდაერთმა ყლუპმა მომასულიერა და უკვე მისიკვდილებულს სიცოცხლე დამიბრუნა.

ხელები გულზე მივიკარი და ამით მადლობა გადავუხადე ბიძაჩემს.

- დიახ, - თქვა მან, - წყლის ერთი ყლუპი! უკანასკნელი! ხომ გესმის? უკანასკნელი ყლუპი! სათუთად შემოვინახე ჩემი მათარის ფსკერზე. ოცჯერ, ასჯერ შევებრძოლე საშინელ ცდუნებას, წყურვილი დავიოკე, გავუძელი. შენთვის დავზოგე, აქსელ.

- ბიძაჩემო! - ვბუტბუტებდი და ცხარე ცრემლი მდიოდა.

- საბრალო ბავშვო, ვიცოდი, რომ ვეღარ გაუძლებდი, გზაჯვარედინთან ღონე გამოლეული დავარდებოდი, ამიტომ წყლის უკანასკნელი წვეთები შენს მოსასულიერებლად შევინახე.

- გმადლობთ! გმადლობთ! - ვიმეორებდი ოდნავ წყურვილდაოკებული. მაინც ცოტაოდენი ძალღონე მოვიკრიბე. გამშრალი. ხორხის დაჭიმული კუნთები მომეშვა, ანთებული ტუჩები ოდნავ დამიამდა და შევძელი ხმის ამოღება.

- წყალი გაგვითავ და, - ვუთხარი თანამგზავრებს, - ახლა ხომ ხედავთ, მეტი გზა არა გვაქვს, ერთი გამოსავალიღა დაგვრჩენია; უკან უნდა დავბრუნდეთ.

ბიძაჩემმა თავი დახარა; თვალს ვერ მისწორებდა, განზე გაურბოდა.

- უნდა დავბრუდნეთ! - წამოვიძახე მე, - და კვლავ სნეფელსის გზას დავადგეთ. ღმერთმა ძალა შეგვმატოს და კრატერის მწერვალს მივაღწიოთ!

- დავბრუნდეთ? - გაიმეორა ბიძაჩემმა თითქოს თავის თავს ეკითხებოდა.

- დიახ ზედმეტ წუთსაც ნუ დავკარგავთ, ახლავე დავბრუნდეთ.

საკმაოდ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.

- ასე რომ, აქსელ, - განაგრძო პროფესორმა უცნაური კილოთი, - წყლის ამ რამდენიმე წვეთმაც არ დაგიბრუნა მხნეობა და ენერგია.

- მხნეობა!

- ისევ ისე დაცემულსა და დავარდნილს ვხედავ, გული გაგიტეხია, ისევ უიმედოდ ლაპარაკობ!

რა შემართების კაცთან მქონდა საქმე! ეს მამაცი ადამიანი კიდევ გეგმებს აწყობდა!

- როგორ! თქვენ არა გსურთ რომ...

- ამ ექსპედიციაზე უარი ვთქვა, იმ დრო, როდესაც ყოველივე იმის მომასწავებელია, რომ იგი შეიძლება წარმატებით დამთავრდეს! არასოდეს!

- მაშ იმ აზრს უნდა შევეგუოთ, რომ დავიღუპებით?

- არა, აქსელ, არა! წადი, დაბრუნდი, მე არ მინდა შენი სიკვდილი! ჰანსი გაგაცილებს. მარტო დამტოვე!

- თქვენ მიგატოვოთ!

- დამტოვე, გეუბნები! მე წამოვიწყე ეს მოგზაურობა; მევე მივიყვან ბოლომდე, ანდა ცოცხალი არ დავბრუნდები. წადი, აქსელ, წადი!

ბიძაჩემი აღგზნებული ლაპარაკობდა. მისი გული, წამით გამლღვარი, ისევ გაქვავდა. ხმაში ისევ მუქარა დაეტყო. რისხვამ ძალა შეჰმატა და დაუძლეველის დაძლევა მოინდომა. მისი მიტოვება არ მინდოდა, მაგრამ თავდაცვის ინსტიქტი აქედან გაქცევას მიკარნახებ და.

გამყოლი მისთვის ჩვეული გულგრილობით ადევნებდა თვალს ამ სცენას, თუმცა კარგად ესმოდა, რა ხდებოდა მის ორ თანამგზავრს შორის. ჩვენი ჟესტები საკმაოდ მჭერმეტყველი იყო და მისთვის ცხადი გახდა, რომ ორივენი სხვადასხვა გზაზე ვკამათობდით და თითოეული ჩვენგანი ცდილობდა მეორის დაყოლიებას, მაგრამ ჰანსს თითქოს არც აინტერესებდა საკითხი, რომლის გადაწყვეტაზე მისი ბედიც ეკიდა. იგი მხოლოდ თავის ბატონის განკარგულებას ელოდა, რათა გზა განეგრძო, ან აქ დარჩენილიყო.

როგორ, რა სიტყვებით შევასმინო, რომ ჩემი ღაღადი, კვნესა, მაინც მივიდეს ამ გულცივი ადამიანის შეგნებამდე. ხიფათს, როგორც ჩანს, თვით გამყოლიც ხვდებოდა, მაგრამ საჭირო იყო სავსებით შეეგნო ჩვენი უბედურება, და მაშინ იქნებ ორივენი ერთად შევძლებდით პროფესორის სიჯიუტის დაძლევას და თუ საჭირო გახდებოდა, ვაიძულებდით კიდევაც სნეფელსის მწვერვალებზე დაბრუნებას.

მივუახლოვდი ჰანსს, ხელზე ხელი დავადე. - არ განძრეულა, კრატერის გზა ვაჩვენე. - კვლავ უძრავად იჯდა. მას შეეძლო სახეზე მთელი ჩემი ტანჯვა-წამება ამოეკითხა, მაგრამ ისლანდიელმა გაიქინა თავი და მშვიდად მიმითითა ბიძაჩემზე:

- Master, - თქვა მან.

- პატრონი, - წამოვიძახე მე, - გადარეულია. არა, იგი შენი სიცოცხლის ბატონ-პატრონი არ არის! უნდა გავიქცეთ! ძალათი თან წავიყვანოთ! გეყურება? გესმის ჩემი?

მკლავში ჩავავლე ხელი. დავეჭიდე. მინდოდა ძალათი ფეხზე წამომეყენებინა, შევებრძოლე, მაგრამ ბიძაჩემი ჩაერია.

- წყნარად, აქსელ, - მითხრა. - ამ უდრეკ ადამიანთან ვერაფერს გახდები. ასე რომ, მისმინე, ერთი რამ მინდა შემოგთავაზო.

ხელები გულზე დავიკრიბე და თვალებში ჩავაჩერდი.

- მხოლოდ წყლის უქონლობა აბრკოლებს ჩემი გეგმების განხორციელებას. აღმოსავლეთის გვირაბში ლავის, ფიქალისა და ქვანახშირის ფენებში ერთი წვეთი წყალიც კი არ შეგვხვედრია. შეიძლება დასავლეთის გვირაბებში ბედმა უფრო გაგვიღიმოს.

უნდობლობის ნიშნად თავი გავიქნიე.

- ბოლომდე მომისმინე, - განაგრძო პროფესორმა და ხმას აუმაღლა, - სანამ შენ აქ უძრავად იწექი, მე ამ გვირაბის განლაგებ ას გავეცანი. იგი პირდაპირ დედამიწის სიღრმეში მიდის. რამდენიმე საათში გრანიტის მასივისაკენ გაგვიყვანს. იქ კი ბევრი წყარო შეგვხვდება. ასეთია ამ ქანების ნება და ინსტინქტიც ამ ჩემს რწმენას ადასტურებს. აი, რა მინდა შემოგთავაზო; როდესაც კოლუმბმა თავის ეკიპაჟს სთხოვა, სამი დღე ეცლიათ ახალი ქვეყნის აღმოსაჩენად, ეკიპაჟმა შეიწყნარა მისი თხოვნა, და მან ახალი ქვეყანა აღმოაჩინა. მე კი, ამ მიწისქვეშეთის კოლუმბი, მხოლოდ ერთ დღეს გთხოვ. თუ ამ ხნის განმავლობაში წყალი არ შეგხვდება, გეფიცები, დედამიწის ზედაპირზე დავბრუნდებით.

სასოწარკვეთილი ვიყავი, მაგრამ ამ სიტყვებმა მაინც ამაღელვა, განსაკუთრებით იმან, რომ ბიძაჩემი საკუთარ თავს ძალას ატანდა და ასე იძულებით მელაპარაკებოდა.

- კეთილი! - წამოვიძახე მე. - დე ასე იყოს, როგორც თქვენ გსურთ! ღმერთმა ხელი მოგიმართოთ და სამაგიერო მოგიზღოთ თქვენი ზეადამიანური ენერგიისათვის. ბედის საცდელად რამდენიმე საათიღა დაგვრჩა. გზას გავუდგეთ!

ოცდამეორე თავი

ახლა უკვე მეორე გვირაბით განვაგრძეთ ჩასვლა. ჰანსი, ჩვეულებისამებრ, წინ მიდიოდა. ასი ნაბიჯიც არ გადაგვედგა, რომ პროფესორმა ნათურა კედლის გასწვრივ გაატარა და წამოიძახა:

- აქ პირველყოფილი ფორმაციაა! ჩვენ სწორ გზას ვადგავართ! წინ! წინ!

როდესაც, სამყაროს არსებობის პირველ დღეებში, დედამიწა თანდათან ცივდებოდა, ქანებ ის მოცულობის შემცირების შედეგად მის ქერქში ნაპრალები და სიღრუვეები გაჩნდა. გამჭორლი გვირაბი, რომელსაც ჩვენ ახლა მივყვებით, წარმოადგენდა ასეთ ნაპრალს, რომლიდანაც ოდესღაც ლავა იღვრებოდა. ათასი მსგავსი ნაპრალი, ნაბზარი და მათი განშტოებანი დედამიწის ქერქში გაუვალ ლაბირინთს აჩენდა.

რაც უფრო ღრმად ჩავდიოდით, მით უფრო ნათლად ჩანდა პირვანდელი ფორმაციის შემადგენელი ფენების ცვლა. გეოლოგიურ მეცნიერებას ეს პირვანდელი ფორმაცია მიაჩნდა დედამიწის კრისტალური ქერქის საფუძვლად. ამ ქანების რიცხვს ეკუთვნის: ფიქალები, გნეისები, ქარსიანი ფიქალები, რომლებიც ამ გრანიტის ქანების მყარ საფუძველზეა განლაგებული.

მინერალოგისტი ჯერ არასოდეს მოხვედრილა ასეთ ხელსაყრელ პირობებში, რომ ბუნება ადგილზევე შეესწავლა. ჩვენ უშუალოდ, საკუთარი თვალით ვხედავდით და ვსწავლობდით, საკუთარი ხელით ვეხებოდით იმას, რისი სიღრმიდან ამოტანა არ ძალუძს ისეთ უხეშ იარღს, როგორიც ბურღია. ათასნაირ ელფერად შეღებილ მწვანე ფიქლის შრეებს სპილენძის და მანგანუმის ძარღვები კვეთდნენ, ალაგ-ალაგ ოქრო და პლატინა იყო ჩართული.

ვფიქრობდი დედამიწის წიაღში ჩამარხულ ამ საუნჯეზე, ხარბი ადამიანები რომ ვერასოდეს დაეუფლებიან! დედამიწის წარმოშობის პირველ დღეებში ეს განძი ისეთ სიღრმეში შთაინთქა, რომ ვერც ნიჩაბი, ვერც თოხი მას ვერასოდეს ვერ ამოთხრის და ვერ ამოიტანს ამ სამარიდან.

ფიქალს მოჰყვა შრეებრივი გნეისები, იშვიათად პარალელურად განალგებული დაფურცლული მინერალები, შემდეგ ქარსიანი ფიქალი, რომელშიც ყურადღებას იქცევდა ბრჭყვიალა ქარსის დიდი ფურცლები.

ჩვენი აპარატების შუქი, მინერალების წახნაგებში ათასნაირად გარდატეხილი, ბრწყინავდა და ელვარებდა, გეგონებოდა უწმინდესი და უბრწყინვალესი ბრილიანტის შუაგულში მოვხვდითო.

ექვსი საათისათვის სინათლის ამ ნაკადმა საგრძნობლად იკლო. და თითქმის შეწყდა: გვირაბში გაშიშვლებულ ქანებს უფრო კრისტალური სტრუქტურა დაეტყო, გამუქდა ქარსი, მინდვის შპატი და კვარცი უფრო მკვრივად შეზრდილი ჩანდა და გამოჩნდა ის უმკვრივესი ქანი, რომელსაც აწევს დედამიწის ქერქის ოთხივე ფორმაცია, ჩვენ გრანიტის უშველებელ ციხეში მომწყვდეულები აღმოვჩნდით.

საღამოს რვა საათი იყო. წყალი ისევ არსად არ ჩანდა. სასტიკად ვიტანჯებოდი. ბიძაჩემი წინ მიდიოდა. მას გაჩერება არ სურდა. დაძაბული იყო, რომ წყაროს ხმაურისათვის ყური მოეკრა. მაგრამ ამაოდ!

ფეხებს ძლივს მივათრევდი. თავს ვიკავებდი, რომ ტანჯვა არ გამემხილა და ბიძაჩემისათვის დასვენება არ მომეთხოვა. ეს ხომ გულს გაუხეთქავდა, დღე უკვე ილეოდა. უკანასკნელი დღე მას რომ ეკუთვნოდა.

ბოლოს ძალ-ღონე გამომელია. მიწაზე დავეცი და ვიყვირე:

- მიშველეთ! ვკვდები!

ბიძაჩემი მაშინვე ჩემთან გაჩნდა, ხელები გულზე დაიკრიბა და დამაცქერდა; შემდეგ ოდნავ გასაგონად ეს აღმოხდა:

- ყველაფერი დამთავრდა! - და ხელი ჩაიქნია.

მე თვალები დავხუჭე.

როდესაც თვალები გავახილე, დავინახე, რომ ჩემი ორივე თანამგზავრი საბნებში გახვეულები უძრავად იწვნენ. ნუთუ სძინავთ? მე უკვე თვალის დახუჭვაც არ შემეძლო.

განსაკუთრებით მტანჯავდა აზრი იმისა, რომ გამოსავალი არსაიდან ჩანდა. ყურებში ჩამესმოდა ბიძაჩემის უკანასკნელი სიტყვები "ყველაფერი დამთავრდა!" ასეთ დასუსტებულს დედამიწის ზედაპირზე ასვლაც ხომ არ შემეძლო!

დედამიწის ქერქის სისქე ლიე-ნახევარი იყო! მეჩვენებოდ, რომ ეს მასა მთელი თავისი სიმძიმით მხრებზე მაწვა და ვგრძნობდი, რომ მალე გამსრესდა. ამაოდ ვიკრეფდი ძალ-ღონეს, გრანიტის საწოლზე გადავბრუნებულიყავი.

რამდენიმე საათმა განვლო. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო. არავითარი ხმაური არ აღწევდა ამ თითქმის ხუთი მილის სისქის კედლებში.

ძილ-ღვიძილში ვიყავი, ჩავთვლიმე კიდევაც და უცებ თითქოს რაღაც ხმაური მომესმა. გვირაბში ბნელოდა, მაგრამ მთელი ყურადღებით მიმოვიხედე და მომეჩვენა, თითქოს დავინახე ისლანდიელმა ხელში ნათურა აიღო და გაუჩინარდა.

რატომ მიდის? ხომ არ გვტოვებს? ბიძაჩემს ეძინა. მინდოდა მეყვირა. მაგრამ ხმა ვერ გასცდა ჩემს გამშრალ ტუჩებს. უკუნი გამეფდა და უკანასკნელი ჩამი-ჩუმიც მიწყდა.

- ჰანსი გვტოვებს! - წამოვიძახე მე, - ჰანს! ჰანს!

ამ სიტყვებს გუნებაში ვიძახდი. რადგან ხმის ამოღება არ შემეძლო. როდესაც შიშის პირველმა წამმა განვლო, შემრცხვა ჩემი ეჭვებისა იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც მანამდე არაფერი აუგი არ უკადრებია და არც გაპარვა შეეძლო. თანაც გვირაბს ზემოთ ხომ არ აჰყოლია, პირიქით, ჩადიოდა. ბორიტ განზრახვა რომ ჰქონოდა, ზევითკენ წავიდოდა. ეს გავიფიქრე და ცოტა არ იყოს დავწყნარდი, სხვა აზრმა გამიელვა. ჰანსი გონიერი ადამიანია, მხოლოდ სერიოზულ საბაბს შეეძლო აეძულებინა დასვენებაზე უარი ეთქვა. წყაროს საძებნელად ხომ არ წასულა? ღამის წყვდიადში რაიმე შარი-შური ხომ არ მოესმა, რომელსაც ჩემამდე არ მოუღწევია?

ოცდამესამე თავი

თითქმის ერთ საათზე მეტხანს ჩემს აღგზნებულ ტვინში ათასი აზრი ტრიალებდა. ათასი მიზეზი გამოვნახე, რომელსაც შეეძლო აემოქმედებინა ჩვენი თვინიერი მონადირე. ათასი აბდა-უბდა დახვავდა ჩემს თავში. მეგონა, ჭკუაზე ვიშლები-მეთქი!

ბოლოს, გვირაბის წყვდიადში ნაბიჯების ხმა გაისმა. კედელზე სუსტი შუქი აკიაფდა და გვირაბში შემოანათა ჰანსი გამოჩნდა.

იგი ბიძაჩემს მიუახლოვდა, ბეჭზე ხელი დაადო და ფრთხილად გააღვიძა. ბიძაჩემი წამოდგა.

- რაშია საქმე? - იკითხა მან.

- Vatten, - უპასუხა მონადირემ.

ალბათ ძლიერი განცდების გავლენით ყველა პოლიგლოტი ხდება. დანიურად არც ერთი სიტყვა არ ვიცოდი, მაგრამ გამყოლის ამ სიტყვის შინაარსს მივხვდი.

- წყალი! წყალი! - დავიყვირე მე, ტაში შემოვკარი და გიჟივით დავიწყე ხელების ქნევა.

- წყალი! - გაიმეორა ბიძაჩემმა. - Hvar? - ჰკითხა მან ისლანდიელს.

- Nedat! - უპასუხა ჰანსმა.

"სად?" - "ქვემოთ!" ახლა ყველაფერი მესმოდა. მონადირეს ხელებში ჩავეჭიდე და მაგრად მოვუჭირე. მან კი წყანარად შემომხედა.

გამგზავრების სამზადისმა დიდხანს არ გასტანა და მალე უკვე გვირაბს მივყვებოდი, რომლის დაქანება თითო ტუაზზე ორ ფუტს აღწევდა.

დაახლოებით ათასი ტუაზი გავიარეთ და ორი ათასი ფუტით დაბლა დავეშვით.

იმავე წუთს გარკვევით შემომესმა გრანიტის კედლების მიღმა რაღაც უშვეულო ხმაური, ყურუ გრვინვა. შორეული ქუხილი. უკვე ნახევარი საათია, რაც მივდიოდით და დაპირებული წყარო არ შეგვხვედრია. ისევ საგონებელში ჩავვარდი. მაგრამ ბიძაჩემმა ამიხსნა ამ ხმაურის მიზეზი.

- ჰანსი არ შემცდარა, - მითხრა მან, - ის, რაც შენ ახლა გესმის, ნაკადის გრგვინვაა.

- ნაკადის? - წამოვიძახე გაკვირვებულმა!

- ეჭვს გარეშეა. ჩვენს გვერდით, ამ კედლებს იქით მიწისქვეშა მდინარე მიედინება!

დაიმედებულებმა ნაბიჯს მოვუმატეთ, დაღლილობას აღარა ვგრძნობდი. ამ მოდუდუნე წყლის ხმაური უკვე მაგრილებდა. ეს ხმა საგრძნობლად მატულობდა. ნაკადი, რომელიც კარგა ხანს ჩვენს ზემოთ მიედინებოდა, ახლა მარცხენა კედელს იქით ახმაურდა, რახრახითა და გრიალით მისჩქეფდა. ხშირ-ხშირად ხელს ვუსვამდი კლდეს იმ იმედით, იქნებ ნესტი ან ტენიანობა დასტყობოდ, მაგრამ ამაოდ.

კიდევ ნახევარმა საათმა განვლო. კიდევ ნახევარი ლიე გავიარეთ.

მაშინ აშკარა გახდა, რომ ღამეული გასეირნების მცირე დროში მონადირე ამ ადგილზე უფორ შორს ვერ წავიდოდა. იგი მიჰყვებოდა მთიელთა ალღოს; ჰიდროსკოპთა ინსტინქტებმა მიიყვანა იქამდე, სადაც კლდის მიღმა "იგრძნო" ეს ნაკადი, მაგრამ თვითონ არ ენახა ეს ძვირფასი სითხე და არც თვითონ მოუკლავს წყურვილი. მალე ისიც ცხადი გახდა, რომ თუ სიარულს განვაგრძობდით, დავშორდებოდით ნაკადს, რომლის ხმაური თანდათან სუსტდებოდა.

უკან გამოვბრუნდით, ჰანსი ზუსტად იმ ადგილას გაჩერდა, სადაც ნაკადის ხმაური ყველაზე მკაფიოდ ისმოდა.

კედლის ძირას ჩამოვჯექი; მის იქით, ორიოდე ფუტის დაშორებით, ნაკადული მირაკრაკებდა, რასაც გრანიტის კედელი გვაშორებდა.

ამაოდ ვფიქრობდი, როგორ მივწვდომოდი ამ წყალს, ან რა ღონე მეხმარა მისი მოპოვებისათვის. და ისევ სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი.

ჰანსმა შემხედა. თითქოს იღიმებოდა.

ადგა და ნათურას დაავლო ხელი. მე გავყევი. იგი კედლისაკენ გაემართა. თვალი გავაყოლე, ყური მიადო მშრალ ქვას და ნელნელა კედელს გააყოლა. თან ყურადღებით უსმენდა. მივხვდი, რომ ეძებდა იმ ადგილს, სადაც ნაკადულის ხმაური ყველაზე მკაფიოდ ისმოდა. ამ წერტილს მარცხენა კედელში მიაგნო, ნიადაგიდან სამი ფუტის სიმაღლეზე.

როგორ ვღელავდი! გაფიქრებასაც კი ვერ ვბედავდი, თუ რის გაკეთებას აპირებდა მონადირე! მალა ამასაც მივხვდი და ხოტბა შევასხი, მერე, როდესაც წერაქვს დაავლო ხელი და კლდეს შეერკინა, მოვეფერე კიდეც.

- გადავრჩით! წამოვიძახე მე.

- დიახ, - გაშმაგებით იმეორებდა ბიძაჩემი, - ჰანსი მართალია! ყოჩაღ მონადირე! ჩვენ ხომ ამას ვერ მოვიფიქრებდით!

დარწმუნებული ვარ, ვერ მოვიფიქრებდით! ეს ხერხი, თუმცა მეტად მარტივი იყო, მაგრამ ჩვენ აზრადაც არ მოგვივიდოდა. დედამიწის ამ სიღრმეზე წერაქვის დარტყმა მეტად საშიში იყო. შეიძლებოდა კლდე ჩამონგრეულიყო და შიგ მოვყოლოდით, გამონგრეულ კლდეში ნიაღვარი შემოვარდნილიყო და დავეხრჩეთ. ყველა ეს ხიფათი მოჩვენებითი როდი იყო, მაგრამ მაშინ ვერც ჩამონგრევისა, ვერც წყალდიდობ ის შიში ჩვენ ვერ გაგვაჩერებდა. იმდენად გვწყუროდა, რომ წყრუვილის მოსაკლავად ოკეანის ქვეშაც დავიწყებდით თხრას.

ჰანსი შეუდგა სამუშაოს, რომელსაც ვერც ბიძაჩემი და ვერც მე ვერ მოვერეოდით. მოუთმენლობა და აჩქარება ხელს შეგვიშლიდა და უწესრიგო დარტყმისაგან კლდე ნამსხვრევებად იქცეოდა. გამყოლი კი, პირიქით, მშვიდად, ზომიერად, ნელ-ნელა თხრიდა, აუჩქარებლად და თანაბრად ურტყამდა წერაქვს და ექვსი დიუმის სიფართე ხვრელი გამოთხრა. მესმოდა, როგორ მატულობდა ნაკადის ხმაური და მეგონა, რომ ტუჩებზე მაცოცხლებელი სითხის სიგრილეს ვგრძნობდი.

მალე წერაქვი ორი ფუტით ჩავიდა გრანიტის კედელში. ჰანსი უკვე ერთი საათის განმავლობაში თხრიდა. მოთმინება აღარ მყოფნიდა. ბიძაჩემს უფრო გადამწყვეტი ხერხების გამოყენება უნდოდა, ძლივს დავაკავე. წერაქვის აღებას აპირებდა, როდესაც უცებ შხუილი გაისმა. კლდიდან წყლის ნაკადმა გადმოხეთქა და მოპირდაპირ კედელს მიენარცხა.

ნაკადმა კინაღამ წააქცია ჰანსი. მან ტკივილისაგან შეჰყვირა. ხელი შევუშვირე ნაკადს, მეც ხმამაღლა ვიყვირე. მდუღარე წყალი მოდიოდა.

- ასგრადუსიანი წყალია! - წამოვიძახე მე.

- გაცივდება, - მიპასუხა ბიძაჩემმა.

გვირაბი ჯერ ორთქლით გაივსო, მერე წყალმა სადინარი იპოვა და ნელ-ნელა ნაკადულივით არაკრაკდა. მალე რამდენიმე წვეთი მოვსვ ით.

რა ნეტრება იყო! რა შეუდარებელი სიამოვნება! რა წყალია? საიდან მოდის? ამას არავინ კითხულობდა, ანდა რა მნიშვნელობა ჰქონდა. მთავარია, რომ წყალია, თუმცა ჯერ კიდევ ცხელი იყო, მაგრამ სიცოცხლეს გვიბრუნებდა, სიცოცხლეს, რომელიც უკვე ხელიდან გვეცლებოდა. შეუჩერებლივ, სულმოუთქმენლად ვსვამდი, ისე რომ გემოც არ გამიგია.

გული რომ ვიჯერე, მხოლოდ მაშინღა წამოვიძხე:

- ეს ხომ რკინიანი წყალია!

- კუჭს უხდება, - მომიგო ბიძაჩემმა, - მაღალი მინერალიზაცია აქვს. ამ წყალში იმდენი რკინაა, რომ არც სპაში და არც ტეპლიცში სააგარაკოდ წასვლა აღარ დაგვჭირდება!

- რა გემრიელია!

- ცხადია, ეს ხომ მიწისქვეშა, ორი ლიეს სიღრმეში აღებული წყალია! ცოტა მელნის გემო აქვს. მაგრამ არც ისე უსიამოვნოა. შესანიშნავი წყარო აღმოგვიჩინა ჰანსმა. ამიტომაც გთავაზობთ ამ ჩვენს მხსნელ ნაკადულს ჰანსისისახელი დავარქვათ.

- კეთილი! - წამოვიძახე მე.

- და მაშინვე დამტკიცდა სახელწოდბა "ჰანს-ბახი"[1].

ჰანსმა ფასი არ დაიდო, წყლის სმით გული რომ იჯერა, წყნარად უკან დაიხია და კუთხეში მიჯდა.

- ახლა კი, - ვთქვი მე, - ეს წყალი ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

- რატომ? - იკითხა ბიძაჩემმა, - ამ წყაროს რა გამოლევს?

- სულ ერთია, მაინც გავავსოთ ტიკიც და მათარებიც, შემდეგ კი ნახვრეტის ამოქოლვა ვცადოთ.

ჩემს რჩევას დაუჯერეს.

ჰანსი ცდილობდა გრანიტის ნამსხვრევებითა და ძენძით ამოექოლა ნახვრეტი, მაგრამ ეს არც ისეთი ადვილი აღმოჩნდა. ხელები ეწვოდა და არაფერი გამოსდიოდა; წყალი ძალიან დიდი წნევით მოდიოდა და ნახვრეტის დაცობა ვერ ხერხდებოდა.

- როგორც ჩანს, წნევის მიხედვით, ამ ნაკადის სათავე ძალიან დიდ სიმაღლეზე მდებარეობს.

- ეს კი უეჭველად ასეა, - თქვა ბიძაჩემმა, - თუ ამ წყაროს სათავე ოცდათორმეტი ათას ფუტ სიმაღლეზე მდებარეობს, მაშინ წყლის წნევა ათას ატმოსფეროს უდრის, მაგრამ ერთი აზრი დამებადა.

- რა აზრი?

- მაინცდამაინც რატომ ვცდილობთ ამ ნახვრეტის ამოვსებას?

- იმიტომ, რომ ...

და გამიძნელდა რაიმე მიზეზის მონახვა.

- როდესაც მათარები დაიცლება, შევძლებთ თუ არა კვლავ შევსებას?

- ცხადია, არა.

- მაშ წყალმა თავისუფლად იდინოს. იგი ბუნებრივად ჩაედინება, თან გაგვაგრილებს და თანაც გზას გაგვიკვლევს!

- ნამდვილად კარგი აზრია! - თუ ეს ნაკადული თანამგზავრად გვეყოლა, უფრო ადვილად ავისრულებთ საწადელს.

- მაშ შენც ამ აზრისკენ იხრები, ჩემო ბიჭო, - გაიღიმა პროფესორმა.

- კი არ ვიხრები, უკვე ვიზიარებ.

- ნუ ვიჩქარებთ! იმით დავიწყოთ, რომ რამდენიმე საათი შევისვენოთ.

მე სრულიად დამავიწყდა, რომ ღამე იყო. ეს გარემოება ქრონომეტრმა შემახსენა. მალე დავნაყრდით, წყლის სმით გული ვიჯერეთ და ღრმად ჩაგვეძინა.

ოცდამეოთხე თავი

მეორე დღეს უკვე დავიწყებული გვქონდა გამოვლილი ტანჯვა, გავიღვიძე და, პირველ ყოვლისა, გამიკვირდა, რომ აღარ მწყუროდა და ამის მიზეზი ვიკითხე. პასუხი ნაკადულმა გამცა. ჩემ ფერხთით რომ მიედინებოდა.

ვისაუზმეთ და საუცხოო რკინოვანი წყალი დავლიეთ. კარგ გუნებაზე დავდექი და მზად ვიყავი, გზა გამეგრძელებინა. რატომ არ უნდა მიაღწიოს თავის მიზანს _____

1 Hans-bach - ჰანსის წყარო(გერმ.)

რწმენით აღსავსე ისეთმა ადამიანმა, როგორიც ბიძაჩემი იყო, რომელსაც ჰანსივით გონიერი გამყოლი ჰყავდა და ჩემსავით თავზე ხელაღებული ძმისწული. აი, რა მშვენიერი აზრები მიტრიალებდა თავში! სნეფელსის მწვერვალზე დაბრუნება რომ შემოეთავაზებინათ, აღვშფოთდებოდი და უარს ვეტყოდი.

საბედნიეროდ, ამჯერად მხოლოდ ჩასვლაზე იყო ლაპარაკი.

- გზას გავუდგეთ! - წამოვიძახე მე და ჩემი ხალისიანი მოწოდებით დედამიწის უძველესი ექო გამოვაღვიძე.

ხუთშაბათს დილის რვა საათზე გზა განვაგრძეთ. გრანიტის მიხვეულ-მოხვეული გვირაბი ათასნაირად იკლაკნებოდა, მოულოდნელად განზე უხვევდა და ჩიხში ემწყვდეოდა, ლაბირინთივით არეულად იქსაქსებოდა, მაგრამ ძირითადად მაინც სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულება ეჭირა. ბიძაჩემი ყურადღებით თვალს ადევნებდა თავის კომპასს, რათა განვლილი გზა სუსტად აღენუსხა.

გვირაბი თითქმის ჰორიზონტალური იყო, ერთ ტუაზე სულ ბევრი ორი დუიმით იყო დახრილი. ნაკადული რაკრაკით მოედინებოდა იქვე ჩვენ ფეხქვეშ, და მისი ღიღინი თან სდევდა ჩვენ ყოველ ნაბიჯს. ეს ნაკადული ზღაპრულ ფერიასავით გზას გვიჩვენებდა და წინ მიგვიძღოდა დედამიწის ქვეშეთში და ყველაფერს ზღაპრული, იმედიანი ელფერი ეძლეოდა.

რაც შეეხება ბიძაჩემს, იგი როგორც "ვერტიკალური მიმართულების" თაყვანისმცემელი სწორ გზას წყევლიდა. გზა უსასრულოდ გრძელდებოდა და ნაცვლად იმისა, რომ დედამიწის რადიუსის გასწვრივ ჩასულიყო, იგი, მისივე თქმით, ჰიპოტენუზას მიჰყვებოდა. ჩვენთვის სხვა გამოსავალი არ იყო. რადგან ოდნავ მაინც ვუახლოვდებოდით დედამიწის ცენტრს, ჩივილის უფლება არ გვქონდა.

დრო და დრო გვირაბი უფრო ციცაბო ხდებოდა. ნაკადული შხულით მიედინებოდა, ჩვენც მივყვებოდით და მასთან ერთად უფრო ღრმად ჩავდიოდით.

ორი დღე თითქმის უმეტესად ჰორიზონტალურად მივდიოდით.

პრასკევ საღამოს, 10 ივლისს, ჩვენი ვარაუდით, უნდა მიგვეღწია რეიკიავიკიდან ოცდაათ ლიეზე სამხრეთ-აღმოსავლეთით და ორ ნახევარ ლიე სიღრმეზე.

მაგრამ აქ ჩვენ წინ გამოჩნდა შემზარავი უფსკრული. ბიძაჩემმა ციცაბო დაქანების დანახვაზე ტაში შემოჰკრა.

- აი, რა გზით მივაღწევთ მიზანს, - წამოიძახა მან, - და თანაც ადვილად, რადგან კლდის შვერილები ნამდვილ კიბეს ჰქმნის.

ჰანსმა თოკები ისე ჩაუშვა, რომ ხიფათს მოვრიდებოდით და ჩასვლა დავიწყეთ. არ ვიტყვი, რომ სახიფათო იყო, რადგან უკვე შევეჩვიე ამგვარ ილეთებს.

ეს ჭა მასივში გაჭრილ ვიწრო ნაპრალს ქმნიდა, რომელსაც "შესხლეტვას" უწოდებენ. იგი ალბათ დედამიწის გაცივებისაგან შეკუმშვის დროს წარმოიშვა. თუ ამ ბზარის გაყოლებით ამოინთხა ოდესღაც სნეფელსის მიერ ამოფრქვევული მასალა, გაუგებარი იყო, რატომ არავითარი კვალი არ დაამჩნია ნაპრალის კედლებს. ჩვენ თითქოს ადამიანის ხელით აგებულ, ხრახნის მსგავსი კიბით ჩავდიოდით.

ყოველ თხუთმეტ წუთში ერთხელ აუცილებლად უნდა დაგვესვენა, ძალის მოსაკრეფად. ჩამოვჯდებოდით ხოლმე რომელიმე შვერილზე, ვსაუბრობდით. წავიხემსებდით და ნაკადულის წყლით პირს გავისველებდით. ამ ნაპრალში ჰანს-ბახის დინება ვიწრო ჩანჩქერად იქცა. მაგრამ რაღა თქმა უნდა, თავის თავად ცხადია, სასმელად მაინც გვყოფნიდა, თანაც, როდესაც გზა ნაკლებად დაქანებული იყო, ნაკადული მშვიდად მოედინებოდა. და მაშინ იგი ჩემს სულსწრაფსა და ფიცხ ბიძას მაგონებდა, ხოლმე მცირედ დაქანებულ ადგილებში ისლანდიელ მონადირესავით მშვიდი და წყნარი იყო.

6 და 7 ივლისს ჩვენ ამ ნაპრალის სპირალს გავყევით და დედამიწის ქერქში კიდევ ორი ლიეს სიღრმეზე ჩავედით, და, ამგვარად, დაახლოებით ხუთი ლიეთი ზღვის დონეზე დაბლა აღმოვჩნდით. მაგრამ რვაში, შუადღისას, ნაპრალმა მიმართულება იცვალა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და დაქანებაც შემცირდა, დაახლოებით ორმოცდახუთ გრადუსს შეადგენდა.

გზა გაადვილდა და ძალიან ერთფეროვანი შეიქმნა. ასეც უნდა ყოფილიყო. აქ ხომ მრავალფეროვან პეიზაჟებს ვერ შევხვდებოდით. ბოლოს, 15 ივლისს, ოთხშაბათს, ჩვენ უკვე შვიდი ლიეთ ჩავედით მიწისქვეშ და სნეფელსს დაახლოებით ორმოცდაათი ლიეთი დავშორდით. თუმცა ოდნავ დაღლილები ვიყავით, მაინც ყველანი კარგად ვგრძნობდით თავს და საგზაო აფთიაქისათვის ხელი არ გვეხლო.

ბიძაჩემი ყოველ საათს კომპასის, ქრონომეტრის, მანომეტრისა და თერმომეტრის მონაცემებს ინიშნავდა, იმ მონაცემებს, რომლის გამოქვეყნებასაც შემდეგში თავისი მოგზაურობის მეცნიერულ ნაშრომში აპირებდა. ამრიგად, მას ყოველთვის შეეძლო ჩვენი ადგილმდებარეობის განსაზღვრა. როდესაც მან მითხრა, რომ ჩვენ ჰორიზონტალურად ორმოცდაათი ლიე გავიარეთ, თავი ვერ შევიკავე წამოძახილისაგან.

- რა დაგემართა - მკითხა პროფესორმა.

- არაფერი, მხოლოდ ერთი რამ გავიფიქრე.

- რა, ჩემო ბიჭო?

- რომ თუ თქვენი ანგარიში სწორია, ჩვენ უკვე ისლანდიის ქვეშ აღარა ვართ.

- რატომ გგონია?

- ამის შემოწმება სულ ადვილი საქმეა.

რუკაზე ფარგლით მანძილი გამოვზომე.

- არ შევმცდარვარ, - ვთქვი მე, - ჩვენ გავცდით პორტლენდის კონცხს და სამხრეთ-აღმოსავლეთით გავლილმა ამ ორმოცდაათმა ლიემ შუა ზღვაში გაგვიყვანა.

- შუა ზღვის ქვეშ. - გაიმეორა ბიძაჩემმა და ხელები მოსრისა.

- ამრიგად, - წამოვიძახე მე, - ჩვენ ზემოთ ოკეანეა გადაშლილი!

- ფრიად ბუნებრივი ამბავია! ნიუკასტილის ქვანახშირის საბადოები ხომ შორს წყალქვეშაა შეჭრილი!

შესაძლოა, რომ პროფესროს ეს გარემოება მეტად უბრალოდ მიაჩნდა, მე კი აღარ მასვენებდა იმის ფიქრი, რომ ჩვენ წყლის ქვეშ დავსეირნობდით. თუმცა, კაცი რომ დაუფიქრდეს, სულ ერთი იყო, რა იყო ჩვენს ზემოთ - ცად აღმართული ისლანდიის მთებით, თუ მოთარეშე ატლანტიკის ზვირთები, ოღონდ გრანიტის თარებს გაეძლო. მე სწრაფად შევეჩვიე ამ აზრს, რადგან გვირაბი ხან პირდაპირ მიდიოდა, ხან დაიკლაკნებოდა, ხან უცებ მოუხვევდა და ხან ციცაბოზე ეშვებოდა, მაგრამ მაინც სულ მუდამ სამხრეთ-აღმოსავლეთით მიემართებოდა, სულ უფრო და უფრო ღრმად ჩადიოდა და მალე დიდ სიღრმეზე ჩაგვიყვანა.

ოთხი დღის შემდეგ, შაბათს, 18 ივლისს, საღამოთი, ჩვენ მივადექით საკმაოდ ვრცელ გამოქვაბულს; ბიძაჩემმა გადაუხადა ჰანსს კვირაში სამი რიქსდალი და გადავწყვიტეთ მეორე დღეს დაგვესვენა.

ოცდამეხუთე თავი

კვირას, დილით რომ გამომეღვიძა, დარწმუნებული ვიყავი, გზას უნდა გავდგომოდით. თუმცა ქვესკნელში, სადღაც გადაკარგულში ვიყავი, მაგრამ ეს აზრი მაინც სიამოვნებას მგვრიდა. თანაც უკვე შევეგუეთ მიწისქვეშელობას, ტროგლოდიტებივით ვცხოვრობდით.

მე არ ვფიქრობდი მიზეზე, ვარსკვლავებზე, მთვარეზე, არ მაგონდებოდა არც ხეები, არც სახლები, არც ქალაქები, არ მახსოვსდა ყველა ის მიწიერი სიკეთე, რომელიც ცისქვეშეთის მცხოვრებლებისათვის აუცილებელი გახდა. მიწისქვეშა სამყაროს მკვიდრებს ყველა ეს ძვირფასი მონაპოვარი ახლა სასაცილოდაც არ გვყოფნიდა.

გამოქვაბული ფართო დარბაზს ჰგავდა. მის გრანიტულ ნიადაგზე მშვიდად მიედინებოდა ჩვენი ერთგული ნაკადული. სათავიდან ასეთ მანძილზე წყლის ტემპერატურა გარემოს ტემპერატურას გაუთანაბრდა და კარგი დასალევი გახდა.

საუზმის შემდეგ პროფესორმა რამდენიმე საათი ყოველდღიური ჩანაწერების წესრიგში მოყვანას დაუთმო.

- ჯერ, - თქვა მან, - ზუსტად უნდა დავადგინო ჩვენი ადგილმდებარეობა; მინდა დაბრუნებისას ჩვენი მოგზაურობის რუკის შედგენა შევძლო, დედამიწის ვერტიკალური ჭრილი ვაჩვენო. ყოველივე ეს ექსპედიციის სახეს გამოავლენს.

- ძალზე საინტერესოა, ბიძაჩემო, მაგრამ თქვენი დაკვირვებები საკმაოდ ზუსტი თუ იქნება?

- დიახ. მე დაწვრილებით გავზომე კუთხეები და დაღმართები და დარწმუნებული ვარ, რომ არ შევმცდარვრ, ჯერ განვსაზღვროთ, სად ვიმყოფებით. კომპასი აიღე და დახედე, რა მიმართულებას უჩვენებს ისარი.

დავხედე, ხელსაწყოს ყურადღებით დავაკვირდი და ვუპასუხე:

- აღმოსავლეთი-მეოთხედი-სამხრეთ-აღმოსავლეთი.

- კეთილი! - თქვა პროფესორმა, თან ეს მონაცემები ჩაინიშნა და რაღაც სწრაფად გამოიანგარიშა. - აქედან ის დასკვნა გამოვიტანე, გამგზავრების ადგილიდან ჩვენ ოთხმოცდახუთი ლიე გაგვივლია.

- ამრიგად, ჩვენ ატლანტის ქვეშ ვმოგზაურობთ?

- დიახ.

- შესაძლოა, ამ წუთში, იქ ჩვენ თავზე ქარიშხალი მძვინვარებს და ხომალდები ტალღებს ებრძვიან.

- შესაძლოა.

- და ვეშაპები კუდს ურტყამენ ჩვენი ციხის კედლებს.

- არხეინად იყავი, აქსელ, ისინი ამ კედლებს ვერ შეარხევენ. მაგრამ ჩვენ გამოანგარიშებას მივხედეოთ, ჩვენ ვიმყოფებით სამხრეთ-აღმოსავლეთით, სნეფელსის ძირიდან ოთხმოცდახუთი ლიეს დაშორებით და, ადრინდელი ჩანაწერების თანახმად თექვსმეტი ლიეს სიღრმეზე ჩავედით.

- თექვსმეტი ლიე! - წამოვიძახე მე.

- უეჭველად.

- ეს ხომ, მეცნიერთა აზრით, დედამიწის ქერქის ქვედა ზღვარია.

- არ უარვყოფ.

- და აქ, ტემპერატურის ზრდის კანონის თანხმად, ათას ხუთასი გრადუსი სიცხე უნდა იყოს.

- უნდა იყოს, ჩემო ბიჭო.

- და მთელი ეს მყარი გრანიტი უსათუოდ უნდა გამლღვარიყო.

- ხომ ხედავ, არაფერია ამის მსგავსი და რომ ფაქტები, ჩვეულებისამებრ, თეორიებს უარყოფენ.

- იძულებული ვარ, ვაღიარო, რომ ასეა, მაგრამ მაინც მიკვირს.

- რას გვიჩვენებს თერმომეტრი?

- ოცდაშვიდ გრადუსსა და ექვს მეათედს.

- ასე რომ, მეცნიერთა თეორიის დასაბუთებისათვის კიდევ ათას ოთხას სამოცდათოთხმეტი გრადუსი და ოთხი მეათედი გვაკლია. აქედან ტემპერატურის პროპორციული ზრდის იდეა მცდარია. ამრიგად, ჰემფრი დევი არ შემცდარა, არც მე შევმცდარვარ, რომ მას დავუჯერე. ამაზე რაღას მეტყვი?

- ვერაფერს.

სინამდვილეში, ბევრი რამ მქონდა სათქმელი. გადაჭრით არ ვიზიარებდი დევის თეორიას, მე მუდამ ცენტრალური სითბოს თეორიისა მწამდა. თუმცა მის გამოვლინებას ვერ ვხედავდი. მე უფრო იმ აზრს ვემხრობოდი, რომ ჩამქრალი ვულკანის ყელი ცეცხლგამძლე ლავითაა დაფარული, რაც საშუალებას არ აძლევდა ტემპერატურას, მისი კედლების მიღმა გავრცელებულიყო.

მაგრამ ახალი არგუმენტების ძებნას არ შევუდექი და ამით, არსებული მდგომარეობა ვაღიარე.

- ბიძაჩემო, - განვაგრძე მე, - თქვენი გამოანგარიშება ზუსტად მივიჩნიე, მაგრამ ნება მომეცით, აქედან ზოგიერთი დასკვნა გამოვიტანო.

- გამოიტანე, გეთაყვა.

- იმ წერტილში, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, ისლანდიის განედზე, დედამიწის რადიუსის სიგრძე ხომ დაახლოებით ათას ხუთას ოთხმოცდასამ ლიეს უდრის?

- ათას ხუთას ოთხმოცდასამ ლიესა და ერთ მესამედს.

- დავამრგვალოთ და ათას ექვსასი ლიე ვივარაუდოთ. გასასვლელ ათას ექვსასი ლიედან, ჩვენ მხოლოდ თორმეტი გავიარეთ?

- ნამდვილად ასეა.

- ხოლო დიაგონალურად კი - ოთხმოცდახუთი ლიე?

- ზუსტად ასეა.

- დაახლოებით ოც დღეში გავიარეთ?

- კი ოც დღეში.

- თექვსმეტი ლიე კი დედამიწის რადიუსის მესამედს შეადგენს. ასე თუ ვიარეთ, დედამიწის ცენტრამდე ჩასვლას ორი ათას დღეს მოვანდომებთ, ანუ დაახლოებით ხუთ წელიწად ნახევარს!

პროფესორმა არაფერი მიპასუხა.

- ახლა იმასაც თუ ვიანგარიშებთ, რომ თუ ვერტიკალურად თექვსმეტი ლიეს სიღრმეზე ჩასასვლელად ჰორიზონტალურად ოთხმოცი ლიეს გავლა დაგვჭირდება, ეს შეადგენს, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით სიარულისას, რვა ათას ლიეს და დედამიწის წრეხაზის რომელიმე პუნქტიდან გასულები, ჩვენ უმალ დედამიწის ზედაპირის სხვა პუნქტში ამოვალთ, ვიდრე დედამიწის ცენტრს მივაღწევთ.

- ეშმაკმა წაიღოს შენი ანგარიში! - იყვირა გაბრზებულმა ბიძაჩემმა. - ჯანდაბას შენი ჰიპოთეზები! რას ეყრდნობიან ისინი? ვინ გითხრა, რომ ამ გვირაბს პირდაპირ ჩვენს მიზანთან არ მივყავართ? ესეც რომ არ იყოს, სხვისი მაგალითი ხომ გვაქვს? სხვამ უკვე გააკეთა ის, რასაც მე ახლა ვაკეთებ და იქ, სადაც მან გაიმარჯვა, მეც გავიმარჯვებ.

- იმედი მაქვს; მაგრამ ხომ შემიძლია...

- შენ შეგიძლია გაჩუმდე, აქსელ, როდესაც ასეთი აბდაუბდის თქმას დააპირებს.

დავინახე, რომ ბიძაჩემი ბუზღუნა პროფესორი ალაპარაკდა, მივიღე რა ეს მხედველობაში, ენას კბილი დავაჭირე.

- ახლა კი, - განაგრძო მან, - მანომეტრს დახედე. რას გვიჩვენებს?

- საკმაოდ დიდ წნევას,

- კეთილი, როგორც ხედავ, როდესაც თანდათან დაბლა ჩავდივართ, ნელ-ნელა ვეგუებით უფრო მკვრივ ატმოსფეროს და სრულებით არ გვაწუხებს.

- არ მაწუხებს, თუ ყურების ტკივილს არ ჩავთვლით.

- ეს არაფერია, სუნთქვას მოუხშირე, ფილტვებში ჰაერის ცვლა უფრო სწრაფად მოხდება და მორჩებ ა.

- ბატონი ბრძანდებით. - ვუპასუხე და მტკიცედ გადავწყვიტე, სიტყვა აღარ შევუბრუნო ბიძაჩემს. - სასიამოვნოც კი არის ამ მკვირვ ატმოსფეროში ყოფნა. თქვენ თუ შენიშნეთ, რა ძლიერად ვრცელდება ხმა?

- ცხადია. აქ ყრუც კი შესანიშნავად გაიგონებდა.

- მაგრამ ჰაერის სიმკვირვე, უთუოდ, კიდევ უფრო მოიმატებს?

- დიახ, კანონის თანახმად, რომელიც ჯერ საკმაოდ შესწავლილი არ არის, რაც უფრო ღრმად ჩავდივართ, მიზიდულობის ძალა კლებულობს. ხომ მოგეხსენება, ყველაზე ძლიერ იგი თავს იჩენს დედამიწის ზედაპირზე, ხოლო დედამიწის ცენტრში ნივთებს წონა აღარ ექნებათ.

- ეს ვიცი; მაგრამ, ეს მიბრძანეთ, ჰაერი ბოლოს და ბოლოს წყლის სიმკვრივის ხომ არ გახდება?

- რა თქმა უნდა, შვიდას ათი ატმოსფეროს წნევის შემთხვევაში.

- ამ ზღვარზე დაბლა?

- უფრო დაბლა კიდევ უფრო მკვრივი გახდება.

- მაშინ როგორ უნდა განვაგრძოთ ჩასვლა?

- ჯიბეებში ქვებს ჩავიწყობთ.

- ღმერთმანი, ბიძაჩემო, თქვენ ყველაფრის პასუხი გაქვთ.

ჰიპოთეზების სფეროში უფრო შორს წასვლა ვეღარ გავბედე, რადგან კვლავ რაიმე შეუსაბამობას წავაწყდებოდი და პროფესორს მოთმინებიდან გამოვიყვანდი.

ერთი რამ კი აშკარა იყო, რომ ჰაერი რამდენიმე ათასი ატმოსფეროს წნევის პირობებში ბოლოს და ბოლოს მყარ მდგომარეობაში გადავიდოდა და იმასაც თუ დავუშვებთ, რომ ჩვენი სხეული ამ წნევას გაუძლებდა, მაინც იძულებული გავხდებოდით გავჩერებულიყავით, მაგრამ ეს საბუთი აღარ მომიყვანია. ბიძაჩემი ისევ თავის გაუთავებელ საკნუსემს მომიყვანდა საბუთად, რაც მე მაინცდამაინც სარწმუნო წყაროდ არ მიმაჩნდა. ისლანდიელი მეცნიერის მოგზაურობა ნამდვილ ამბადაც რომ მივიჩნიოთ, სხვა მცირე მეტად მრტივი შენიშვნაც მქონდა.

მეთექვსმეტე საუკუნეში ჯერ არც ბარომეტრი და არც მანომეტრი არ იყო გამოგონებული, მაშ როგორ დაადგინა საკნუსემმა რომ დედამიწის ცენტრს მიაღწია?

მაგრამ ეს მოსაზრება, ჩემთვის შემოვინახე და მომდევნო ამბებს დაველოდე.

დღის დანარჩენი დრო ანგარიშსა და საუბარს მოვანდომეთ, მე ყველაფერში პროფესორ ლიდენბროკს ვეთანხმებოდი და მშურდა ჰანსის სრული გულგრილობისა, რომელის შედეგებსა და მიზეზებს არ დაეძებდა და ბრმად მიჰყვებოდა თავის ბედს.

ოცდამეექვსე თავი

უნდა ვაღიარო, რომ ჯერჯერობით ყველაფერი კარგად წარიმართება და ჩივილი არ მშვენოდა. თუკი დაბრკოლებ ათა "საშუალო რაოდენობა" არ გაიზრდებოდ, უთუოდ მიზანს მივაღწევდით. და მაშინ დიდება გველოდა! იქამდე მივედი, რომ ლიდენბროკივით დავიწყე მსჯელობა. საკვირველია, მაგრამ ა მის მიზეზი ის უცნაური გარემოცვა ხომ არ იყო, რომელშიც ვცხოვრობდი? ალბათ ასე იყო.

რამდენიმე დღის განმავლობაში, უფრო დაქანებულმა ციცაბო გზამ ღრმად ჩაგვიყვანა დედამიწის წიაღში. ზოგჯერ დედამიწის ცენტრს დღეში ერთი ან ერთ-ნახევარი ლიეთი ვუახლოვდებოდით. საშიშ ადგილებში გვიხდებოდა ჩასვლა და მაშინ ჰანსის სიმარჯვე და სიდინჯე გვეშველებოდა. ეს თავდაჭერილი ისლანდიელი რომ არა, სიძნელეებს ვერ გვუძლებდით.

ჰანსი დღითი-დღე უფრო სიტყვაძუნწობდა. მისი მდუმარება, მგონი, ჩვენც გადაგვედო. ოთხ კედელს შუა გამომწყვდეული ადამიანი ბოლოს კარგავს აზრებისა და სიტყვების დაკავშირების უნარს. საკანში მარტოდმარტო ჩაკეტილ ტუსაღს აზროვნება

უჩლუნგდება და შეიძლება შეიშალოს კიდეც.

ჩვენი უკანასკნელი საუბრის შემდეგ ორმა კვირამ გაიარა. ამ ხნის განმავლობაში ისეთი არაფერი მომხდარა, რომ ხსენებად ღირდეს. მეხსიერებაში მხოლოდ ერთი შემთხვევა ჩამრჩა და არც არასოდეს დამავიწყდება.

თანდათან სულ უფრო და უფრო სიღრმეში მივიწევდით და 7 აგვისტოს უკვე ოცდაათი ლიეს სიღრმეზე ვიყავით, ესე იგი ოცდაათი ლიეს სისქის დედამიწის ქერქი გვეხურა. ჩვენს ზემოთ იყო კლდეები, ოკეანე, კონტინენტები და ქალაქები. ისლანდიიდან ორასი ლიეთი მაინც უნდა ვყოფილიყავით დაშორებული.

ამ დღეს სულ მცირედ დახრილ გვირაბში მოგვიხდა სიარული.

წინ მივდიოდი. რუმკორფის აპარატი მეჭირა და გრანიტის ქარებს ვაკვირდებოდი. ასეთივე აპარატი მოჰქონდა ბიძაჩემსაც.

უცებ უკან მივიხედე და დავინახე, რომ მარტო ვარ.

- არაფერია, სწრაფად მივლია და ჰანსისა და ბიძაჩემისათვის გამისწრია-მეთქი, ვიფიქრე. აღმართი დიდი არ იყო და უკან დავბრუნდი.

თხუთმეტი წუთი ვიარე. აქეთ-იქით მიმოვიხედე. არავინ ჩანდა. დავიძახე. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ჩემივე ხმა გადაიკარგა მის მიერ უეცრად გაღვიძებულ გამოქვაბულთა ექოში.

შევწუხდი. ჟრუანტელმა დამიარა.

- მშვიდად, - ხმამაღლა ვუთხარი ჩემს თავს, - დარწმუნებული ვარ, რომ თანამგზავრებს მივაგნებ. ორი გზა ხომ არ არის! მე ხომ წინ ვიყავი, ამიტომ უკან უნდა დავბრუნდე.

კიდევ ნახევარი საათი ვიარე. ყურს ვუგდებდი, ხომ არავინ მეძახის, ამ მკვრივ ატმოსფეროში ხმა ხომ შორიდანაც მოაღწევდ ჩემამდე. ვრცელ გვირაბში საოცარი სიჩუმე იდგა.

შევდექი. ჩემი მარტოობისა არა მჯეროდა. თანახმა ვიყავი, რომ გზას ავცდი, მაგრამ რომ დავიკარგე და განწირული ვარ - ამისა კი არა მჯეროდა. გზააბნეულს იპოვნიან ხოლმე.

"ვინაიდან მხოლოდ ერთი გზაა, - ვიმეორებ ჩემთვის, - და ვინაიდან ისინი ამ გზას ადგანან, აუცილებლად უნდა დავეწიო. ამისათვის მხოლოდ უფრო მაღლა ასვლაა საჭირო. იქნებ ვერ დამინახეს, ან იქნებ დაავიწყდათ, რომ წინ მივდივარ და უკან დაბრუნება გადაწყვიტეს. ჰოდა, ამ შემთხვევაშიც ნაბიჯს უნდა მოვუმატო, უსათუოდ დავეწევი, უსათუოდ გავაგნებ!"

ამ უკანასკნელ სიტყვებს ვიმეორებდი ადამიანივით, რომელიც სულაც არაა ადარწმუნებული მათ სისწორეში. თანაც ამ სრულიად მარტივი ამბების გარკვევას, ერთმანეთთან დაკავშირებას, გარემოების შეგნებასა და აზრთა ჩამოყალიბებას კარგა დიდხანს მოვუნდი. ერთმა რამემ დამაეჭვა. განა, მართლა წინ ვიყავი?! მახსოვს ჰანსი უკან მომდევდა. ბიძაჩემს გაუსწრო, ერთი წუთით შეჩერდა კიდეც, ბარგი გაისწორა. ეტყობა მაშინ დავცილდი მათ, ალბათ ბიძაჩემმაც გამისწრო.

"თანაც, - გავიფიქრე, - ამ ლაბირინთში გაგნება არ გამიჭირდება. ერთი ძაფი მაქვს, რომელიც არ შეიძლება გაწყდეს. ეს ჩემი ერთგული ნაკადულია. ისღა დამრჩენია მის დინებას ავყვე ზევით და უსათუოდ ვიპოვი ჩემს თანამგზავრებს".

ჩემმა მიგნებამ გამამხნევა, გადავწყვიტე დრო აღარ დამეკარგა და გზას გავდგომოდი.

როგორ დავლოცე მაშინ ბიძაჩემის წინდახედულება, მონადირეს გრანიტის კედელში გაკეთებული ხვრელი რომ არ ამოავსებინა!

ეს სიკეთის მომტანი წყარო, ჯერ რომ გზაში წყურვილს გვიკლავდა, ახლა წინ უნდა გამძღოლოდა და გზა გაეკვლია დედამიწის ქერქის ლაბირინთებში.

სანამ გზას დავადგებოდი, ვიფიქრე, მოდი ერთი პირს დავიბან, უფრო გავმხნევდები-მეთქი.

დავიხარე და თქვენს მტერს მე რომ ელდა მეცა. სადღა იყო ნაკადული! გრანიტი, მხოლოდ მშრალი გრანიტი!

ოცდამეშვიდე თავი

სასო წარმეკვეთა, ადამიანის ენა ვერ გადმოსცემს ჩემს განცდებს. ცოცხლად დავიმარხე. შიმშილით და წყურვილით გატანჯულს სიკვდილი მელოდა.

ხელებით უნებლიეთ ნიადაგს შევეხე. როგორი მშრალი მომეჩვენა ეს კლდე!

როგორ ავცდი ნაკადულს? სად დამეკარგა? იგი გაქრა. ახლაღა მივხვდი რად არ ისმოდა ჩამიჩუმი, როცა სულგანაბული ყურს ვუგდებდი, ეგებ თანამგზავრთა ძახილი გავიგონო-მეთქი. პირველი გაუფრთხილებელი ნაბიჯი რომ გადავდგი ამ საშიშ გზაზე, ეტყობა, ვერ შევნიშნე, სად გაქრა ნაკადული. აშკარაა, გვირაბი ორად გაიყო და ჰანს-ბახი მეორე გვირაბს გაჰყვა, ჩემს თანამგზავრებთნ ერთად, უცნობი სიღრმისაკენ.

როგორ დავბრუნდე? არავითარი ნაკვალევი. გრანიტს ჩემი ნაფეხურებიც არ დამჩნევია. თავს ვიმტვრევდი. რა მეღონა? არაფერი გამოდიოდა. ერთი სიტყვით, დავიღუპე!

დიახ! დავიღუპე ქვესკნელში. დედამიწის ქერქის ოცდაათი ლიე საშინელ ტვირთად მაწვა მხრებზე. ასე მეგონა, გამსრესდა.

ვცადე მიწიერ საგნებზე მეფიქრა, გაჭირვებით ვაიძულე თავი, და გავიხსენე ჰამბურგი, სახლი კონიგშტრასზე, ჩემი საბრალო გრაუბენი. ჩემ წინ გაიარა მთელმა სამყარომ, რომელიც მე მივატოვე და დავიკარგე სადღაც მიწისქვეშეთში. მოგონება მოგონებას სცვლიდა. თვალწინ დამიდგა ჩვენი მოგზაურობა, ზღვაზე გადასვლა, ისლანდია, ბ-ნი ფრიდრიკსონი, სნეფელსი! დარწმუნებული ვიყავი, ამ მდგომარეობაში იმედის ნატამალის შენარჩუნებაც სიგიჟეს ნიშნავდა. აჯობებდა იმედგადაწყვეტილს მევიშვიშა ან გულხელი დამეკრიფა და დავლოდებოდი აღსასრულს.

რა ადამიანურ ძალას შეეძლო ჩემი დაბრუნება ზედაპირზე? ან თავზე ჩამოწოლილ ამ ბუმბერზ გრანიტის თაღების გახსნა? ვის შეეძლო ჩემი სწორ გზაზე დაყენება და თანამგზავრებთან მიყვანა?

- ო, ბიძაჩემო! - წამოვიძახე სასოწარკვეთილმა.

მხოლოდ ეს ერთადერთი სასაყვედურო სიტყვა აღმომხდა, რადგან ვიცოდი, რომ ის უბედური ადამიანიც, უთუოდ, იტანჯებოდ და დამეძებდა.

ბოლოს, როდესაც მივხვდი, რომ ძეხორციელი არ იყო ჩემი მშველელი და ვერც თვითონ ვიღონებდი რამეს თავის გადასარჩენად, შველა ზეცას შევსთხოვე. გამახსენდა ბავშვობა, უდედობა, მე ხომ დედა ბალღობაში დავკარგე. ვევედრებოდი ღმერთს და ჩემი ნაგვიანები ვედრებისა თვითონვე არა მჯეროდა.

მაგრამ ლოცვა-ვედრებამ გამომაფხიზლა. სააქაოსკენ მომაბრუნა. დავფიქრდი.

საჭმელი სამ დღეს მეყოფოდა, მათრაც წყლით მქონდა სავსე. ოთხი-ხუთი დღე გავძლებდი. მერე კი მომეღებოდა ბოლო, მაგრამ ახლა სად წავსულიყავ - ქვევით თუ ზევით?

რა თქმა უნდა, ზევითკენ ასვლა, მხოლოდ ასვლაა საჭირო!

ამრიგად, მე იქამდე უნდა ავსულიყავი, სადაც ნაკადულს დავშორდი, საბედისწერო გზაჯვარედინამდე. მერე კი, რახან ნაკადულს ვიპოვიდი, სნეფლსის მწვერვალზე ასვლას ხომ მაინც შევძლებდი. ყოველივე ეს ადრე როგორ ვერ მოვიფიქრე. თავის დახსნის შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, გამოჩნდა, - გადარჩენის იმედი დაისახა. ახლა ყველაზე სასწრაფო იყო ჰანს-ბახის დინების აღმოჩენა! ავდექი, რკინისწვეტიანი ჯოხი მოვიმარჯვე და გვირაბის საკმაოდ ციცაბო აღმართს შევუდექი. აღარ ვმერყეობდი. მივდიოდი იმედით სავსე, როგორც ადამიანი, რომელსაც სხვა არჩევანი არა აქვს.

მთელი ნახევარი საათი არავითარი დაბრკოლება არ შემხვედრია. ვცდილობდი, გამომეცნო გვირაბის მოყვანილობა, კლდეთა თავისებურება, ფენების განლაგება, მაგრამ არც ერთი დამახასიათებელი ნიშანი არ მახსოვდა. სულ მალე ისიც შევიტყვე, რომ გვირაბი გზაჯვარედინამდე ვერ მიმიყვანდა. გასავალი არ ჰქონდა. ყრუ კლდის კედელს მივაწყდი და გრანიტის ნიადაგზე დავემხე.

სიტყვით აუწერელმა შიშმა ამიტნ, ღრმა სასოწარკვეთილებამ შემიპყრო. განადგურებული ვიყავი. ჩემი უკანასკნელი იმედი გრანიტის ამ კედელთან დაიმსხვრა.

ათასნაირ მიხვეულ-მოხვეულ, ათასგვარად დაქსაქსულ ლაბირინთში გადავიკარგე. ვხედავდი, აქედან თავის დაღწევის სასუალება არ ჩანდა. უიმედო იყო ყოველი ცდა გადარჩენისა და, ყველაზე უცნაური ის არის, რომ უცებ წარმოვიდგინე, თუ როდესმე აქ, დედამიწის ზედაპირიდან ოცდაათი ლიეს სიღრმეში ჩემს ეულ ჩონჩხს წააწყდებიან, თავსამტვრევი გაუჩნდებათ!

მინდოდა ხმამაღლა მელაპარაკა, საკუთარი ხმა მაინც გამეგონა, მაგრამ პირგამშრალი მხოლოდ ვლუღლუღებდი და მძიმედ ვქლოშინებდი.

ამ ვაებაში ვიყავი, რომ ახალი სადარდელიც დამემატა. ხელიდან ნათურა გამივარდა და დაზინდა. შეკეთება არ შემეძლო. შუქმა იკლო, შესუსტდა და სადც იყო სულ გაქრებოდა.

ვუყურებდი, როგორ ბჟუტავდა ჩემი ნათურა. ჩაბნელებულ კედლებზე ლანდები ამოძრავდნენ. თვალის მოხუჭვას ვეღარ ვბედავდი - ამ სწრაფმავალი შუქის სულ უმცირესი ნატამალის დაკარგვისა მეშინოდა! ყოველ წამს მეჩვენებოდა, რომ შუქი გაქრა და წყვდიადმა მომიცვა.

და მართლაც ნათურა ერთი აციმციმდა და ჩაქრა. ციმციმს თვალი გავაყოლე. თან ვფიქრობდი, უკანასკნელად ვიხილე სინათლე-მეთქი. უცებ უსასრულო წყვდიადში ჩავიძირე.

საზარლად დავიყვირე. იქ, დედამიწაზე, უკუნეთ ღამეშიც სინათლის ნიშან-წყალი ბოლომდე არ ისპობა. ნამდვილდ თვალთ დამიბნელდა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

თავგზა დამებნა, წამოვდექი და ხელის ცეცებით შევეცადე გზის გაგნებას. საალალბედოდ გავეშურე მღვიმის აბნეულ მკვიდრივით. ვყვიროდი, ვღრიალებდი, მოვთქვამდი, ვტიროდი და ქვევითკენ ჩავრბოდი, სადღაც მივისწრაფოდი, ვიღაცას ვეძახდი, ვუახლოვდებოდი, კლდის შვერილებს ვეხეთქებოდი, ვეცემოდი და ისევ ვდგებოდი, სისხლი თავპირიდან თქრიალით ჩამომდიოდა, ვილოკავდი და ველოდი, რომელიმე კედელს შევასკდებოდი და თავს მივახლიდი და ყველაფერი ამით დამთავრდებოდა.

სად მიმიყვანა ამ გიჟურმა სრბოლამ, ვერასოდეს ვერ გავიგებ. დიდხანს ვაწყდებოდი აქეთ-იქით, ბოლოს ძალაგამოლეული, ქანცგადაწყვეტილი მკვდარივით უგონოდ დავეგდე გრანიტის ერთ კედელთან და არსებობის ყოველგვარი შეგრძნება დავკარგე!

ოცდამერვე თავი

როდესაც გონს მოვეგე, ვიგრძენი, ცრემლებისაგან სახე მთლად დამსველებოდა. რამდენ ხანს ვიყავი ასე უგრძნობლად, არ ვიცი. სულ დავკარგე დროსი შეგრძნება. მარტო ვიყავი, ეულად, მიუსაფრად, ისე უსასოოდ, როგორც არავინ არასოდეს.

ბევრი სისხლი დავკარგე. თითქმის ვიცლებოდი. როგორ ვინანე, რომ ისევ ცოცხალი ვიყავი "და რომ კიდევ მელოდა სიკვდილი". აღარაფერზე არ მინდოდა ფიქრი. ყოველგვარ აზრებს გავურბოდი. ტკივილმა, ბოღმამ მომსპო და გამათავა. მისიკვდილებული ვეგდე და სულსა ვღაფავდი.

უკვე ვგრძნობდი, რომ ისევ მიღონდებოდა გული. აღსასრული მიახლოვდებოდა. ამ დროს ყურში ჩამწვდა ძლიერი გრუხუნი. იგი ქუხილს ჰგავდა. ისიც გავიგონე, როგორ თანდათან ჩაიკარგა ეს ხმა უფსკრულის სიღრმეში.

საიდან მოვიდა ეს ხმა? უთუოდ დედამიწის წიაღში რაიმე ჩაიქცა ან გაზი აფეთქდა, ან სხვა რომელიმე ძლიერი კატასტროფა მოხდა.

ისევ მივუგდე ყური. ველოდი, ხომ არ გამეორდებოდა. მეოთხედმა საათმა განვლო. გვირაბში ისეთი სამარისებური სიჩუე იდგა, საკუთარი გულის ძგერაც კი აღარ მესმოდა.

უცებ ჩემს ყურს, ალალბედზე კედელზედ რომ მქონდა მიდებული, თითქოს ბუნდოვნად ჩასწვდა გაუგებარი, მიუწვდომელი და შორეული სიტყვები. შევკრთი.

"ჰალუცინაციაა!~ - გავიფიქრე. მაგრამ არა. როდესაც უფრო დავიძაბე და სმენად ვიქეცი, ნამდვილად გავიგონე ჩურჩული. მაგრმ დასუსტებული ვიყავი და ვერაფერი ვერ გავარჩიე. ნამდვილად ლაპარაკობდნენ. ამაში დარწმუნებული ვიყავი.

წამით შევშინდი, ეს ჩემი საკუთარი ხმა ხომ არ არის-მეთქი, ექოს მიერ მოტანილი, იქნებ ჩემდაუნებლიეთ წამოვიყვირე. გავინაბე. პირი მოვკუმე და კვლავ მივადე ყური კედელს.

"კი, ნამდვილად ადამიანის ხმაა! ლაპარაკობენ! ადამიანები ლაპარაკობენ!"

რამდენიმე ნაბიჯით კედლის გასწვრივ გავცოცდი და უფრო გარკვევით გავიგონე ბუნდოვანი, უცნაური, გაუგებარი სიტყვები. ისინი ჩემამდე ისე აღწევდნენ, თითქოს ვიღაცა ხმადაბლა ოდნავ გასაგებად ჩურჩულებსო. მრავალჯერ გულდაწყვეტით გაიმეორეს სიტყვა "förlorad"[1]

რას ნიშნავდა იგი? ვინ წარმოთქვამდა მას? ცხადია, ბიძაჩემი ან ჰანსი, მაგრამ მე თუ მათი ნათქვამი მესმოდა, მათაც შეეძლოთ ჩემი ხმის გაგონება.

- მიშველეთ! - ვიყვირე მე, რაც ძალა და ღონე მქონდ, - მიშველეთ!

ყური დავუგდე. პასუხად ველოდი რიმე სიტყვას, წამოძახილს, ოხვრას, არფერი მომესმა, რამდენიმე წუთმა გაიარა. ჩემს თავში ათასი აზრი ტრიალებდა. გავიფიქრე, რომ ჩემი დასუსტებული ხმა თანამგზავრებამდე ვერ აღწევს.

"ნამდვილად ისინი არიან, - ვიმეორებდი. - სხვა ვინ უნდა იყოს აქა, მიწის ქვეშ ოცდაათი ლიეს სიღრმეზე!~

ისევ ყური კედელს მივადე და, მე ისეთი მათემატიკური წერტილი ვიპოვე, სადაც ხმები თითქოს ინტენსიურობის უმაღლეს ხარისხს აღწევდნენ. სიტყვა "förlorad"-მა ისევ მოაღწია ჩემამდე. შემდეგ კი გრგვინვასავით გაისმა ხმა.

"არ, - ვთქვი მე, - ეს ხმები კედლის იქიდან კი არ აღწევს ჩემამდე, გრანიტის კედელში უფრო ძლიერი ხმაც ვერ შემოაღწევდა, ეს ხმა ამავე გვირაბიდან მოდის! აქ, უთუოდ, რაღაც სრულიად თავისებური აკუსტიკური მოვლენაა!"

ისევ სმენად ვიქეც და ამჯერად, დიახ, ამჯერად, უკვე ნამდვილად და გარკვევით გავიგონე ჩემი სახელი ბიძაჩემმა წარმოთქვა. გამყოლს ესაუბრებოდა და დანიური სიტყვა "förlorad" უთხრა. მაშინ ყველაფერს მივხვდი. ჩემი ხმა რომ მიმეწვდინა, მე უნდა მელაპარაკა ზედა კედელთან, რომელიც ხმას ისევე ატარებდა, როგორც ელექტრონს მავთული.

დროის დაკარგვა აღარ შეიძლებოდა. ჩემი თანამგზავრები რამდენიმე ნაბიჯითაც რომ დამშორებოდნენ, ეს აკუსტიკური მოვლენა დაირღვეოდა. კედელს მივუახლოვდი და რაც შეიძლებოდა გარკვევით დავიძახე:

- ბიძია ლიდენბროკ!

აღელვებული ვუცდიდი პასუხს. ბგერას მაინცდამაინც დიდი სისწრაფე არა აქვს. ჰაერის ფენის სიმკვირვე მხოლოდ აძლიერებს ხმას, სიჩქარეს არ ზრდის. რამდენიმე წამი საუკუნედ გაგრძელდა, ვიდრე ჩემს ყურამდე მოაღწია სიტყვებმა:

- აქსელ, აქსელ! შენა ხარ?

. . . . . .

- დიახ! დიახ! - უვპასუხე მე.

. . . . . .

- ჩემო ბიჭო, სადა ხარ?

. . . . . .

- გადაკარგული ვარ, უღრმეს წყვდიადში!

. . . . . .

- ნათურა რა უყავი?

. . . . . .

- ჩამიქრა.

. . . . . .

- ნაკადული?

. . . . . .

- გაქრა.

. . . . . .

- აქსელ, ჩემო საბრალო აქსელ, გამხნევდი!

. . . . . .

- ცოტა ხანს მაცალეთ, მე ქანცგაწყვეტილი ვარ! ძალა არა მყოფნის

---

1 დაიღუპა

საპასუხოდ. თქვენ მელაპარაკეთ!

. . . . . .

- მხნედ იყავ, - განაგრძო ბიძაჩემმა, - ნუ ილაპარაკებ, მე მომისმინე. ჩვენ გეძებეთ გვირაბის აღმა და დაღმა. ვერაფრით ვერ გიპოვეთ. ა! როგორ გამოგიტირე, ჩემო ბიჭუნა! და ბოლოს, ვიფიქრეთ, რომ შენ ჰანს-ბახის გზას მიყვები, ქვემოთ დავეშვით და თან თოფს ვისროდით. ჩვენ ხმები აღწევენ ერთმანეთს, მაგრამ ეს მხოლოდ აკუსტიკური ეფექტის წყალობით ხდება და ჯერჯერობით ერთმანეთს ვერ შევხვდებით. იმედი არ დაკარგო, აქსელ! ერთიმეორისათვის ხმის მიწოდებაც ხომ დიდი საქმეა!

რაღაც უნდა გვეღონა, ბუნდოვანი იმედი ჩამესახა. პირველად ყოვლისა, ერთ რამის გაგება იყო საჭირო.

ტუჩები კედელს მივუახლოვე და დავიძახე:

- ბიძაჩემო!

- რაო, შვილო? - მომესმა რამდენიმე წამის შემდეგ პასუხი.

. . . . . .

- უნდა გაგვიგოთ, რა მანძილი გვაშორებ ს.

. . . . . .

- ადვილი საქმეა!

. . . . . .

- ქრონომეტრი თანა გაქვთ?

. . . . . .

- დიახ.

. . . . . .

- მაშ აიღეთ. ჩემი სახელი წარმოთქვით და თან ზუსტად ჩაინიშნეთ ის წამი, როდესაც დაიწყებთ სიტყვას. როგორც კი იგი ჩემამდე მოაღწევს, მაშინვე გავიმეორებ და თქვენ ისევ ზუსტად აღნიშნავთ იმ მომენტს, როდესაც ჩემი პასუხი თქვენამდე მოაღწევს.

. . . . . .

- კეთილი, ჩემს შეკითხვას და შენს პასუხს შორის განვლილი დროის ნახევარი გაგვაგებინებს, რამდენ წამში აღწევს შენამდე ხმა.

. . . . . .

- ასეა, ბიძაჩემო.

. . . . . .

- მზადა ხარ?

. . . . . .

- დიახ.

. . . . . .

- მაშ, ყურადღებით იყავი, მე ახლა ვიტყვი შენს სახელს.

. . . . . .

კედელს ყური მივადე და როგორც კი სიტყვამ "აქსელ" ჩემამდე მოაღწია, მაშინვე ვუპასუხე "აქსელ" და დაველოდე.

. . . . . .

- ორმოცი წამი, - თქვა ბიძაჩემმა. ორ სიტყვას შორის ორმოცმა წამმა განვლო; ასე რომ ბგერა ჩემამდე ოც წამში აღწევს, ხოლო წამში ათას ოცი ფუტის სიჩქარით მოძრაობს. ჩვენს

შორის მანძილი ოცი ათას ოთხასი ფუტი, ანუ ერთი ნახევარი და ერთი მერვედი ლიე ყოფილა.

. . . . . .

- ერთ ნახევარი ლიე! - გავიმეორე ჩურჩულით.

. . . . . .

- ეჰ! ამის გადალახვა არც თუ ისე ძნელია, აქსელ!

. . . . . .

- მაგრამ ასვლაა საჭირო თუ ჩასვლა?

- ჩასვლა, და აირ რატომ: ჩვენ ფართო მოედნამდე მივედით, სადაც თვს იყრის მრავალი გვირაბი. ის გვირაბი, რომელშიც შენ მოხვდი, უთუოდ ამ ადგილს უერთდება, რადგნ როგორც ჩანს, ყველა ეს ნაპრალი სხივებად იშლება იმ ვრცელი გამოქვაბულიდან, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით. ასე რომ, ადექი და გზა განაგრძე, იარე, თუ საჭიროა იცოცე, ციცაბო ფერდობებზე ჩასრიალდი და გზის ბოლოს ჩვენ დაგხვდებით. აბა ყოჩაღად, ჩემო ბიჭუნა, გზას გაუდექი!

. . . . . .

ამ სიტყვებმა ძალა შემმატეს.

- მშვიდობით, ბიძაჩემო, - წამოვიძახე მე, - მოვდივარ. აქედან რომ წამოვალ, ჩვენ ერთმანეთის ხმას ვეღარ გავიგონებთ, ისე რომ მშვიდობით!

. . . . . .

- ნახვამდის, აქსელ! ნახვამდის!

. . . . . .

მხოლოდ ეს სიტყვები ჩამესმა.

დედამიწის სიღრმეში გამართულმა ამ საოცარმა საუბარმა გადარჩენის იმედი ჩამისახა. ღმერთს მადლობა შევწირე, რომ არ გამწირა.

აკუსტიკის ეს მეტად საკვირველი მოვლენა ადვილად აიხსნება ფიზიკის კანონებით. იგი გვირაბის განლაგებასა და ქანების გამტარიანობაზეა დამოკიდებული. ბგერების ჰაერის გარეშე შუალედურ სივრცეებში გავრცელების მრავალი მაგალითი არსებობს. გამახსენდა, რომ ეს მოვლენა მრავალ ადგილას უნახავთ, სხვათა შორის, ლონდონის წმინდა პავლეს ტაძრის შიდა დერეფანში და განსაკუთრებით კი სიცილიის საოცარ მღვიმეებში, სირაკუზას მახლობლად მდებარე ქვასატეხებში, რომელთა შორის ყველაზე საკვირველი ცნობილია "დიონისოს ყურის" სახელით.

ყოველივე ეს გავიხსენე და აშკარად დავრწმუნდი, რომ, რახან ბიძაჩემის ხმამ ჩემამდე მოაღწია, ჩვენ შორის არავითარი დაბრკოლება არ არსებობდა. ბგერის გზს გავყვებოდი და, ცხადია, იმ ადგილამდე მივაღწევდი, თუკი ძალ-ღონე არ მიმტყუნებდა. წამოვდექი და დავიძარი. უფრო მივხოხავდი, ვიდრე მივდიოდი. დაქანაება საკმაოდ ციცაბო იყო და დაღმართზე თავს ვერ ვიკავებდი.

მალე ჩასვლის სისწრაფემ იმატა და კისრისტეხით თავქვე მივგორავდი. შეჩერება აღარ შემეძლო, - ძალა აღარ მყოფნიდა.

უცებ ფეხქვეშ მიწა გამომეცალა. ვიგრძენი, რომ მივქრივარ დაქანებულ ჭასავით შვეული გვირაბის გასწვრივ და ოღროჩოღროებს ვეხეთქები. თავით წვეტიან კლდეს მივეხეთქე და გონება დავკარგე.

ოცდამეცხრე თავი

გონს რომ მოვედი, ისე აღარ ბნელოდა. რბილ საბნებზე ვიწექი. ბიძაჩემი თავს მადგა. სიცოცხლის ნიშანკვალი ამოეკითხა. ამოვიოხრე, ხელი მტაცა, ხოლო როცა შევხედე, სიხარულით წამოიძახა:

- ცოცხალია! ცოცხალი!

- დიახ, - ვუპასუხე მე მისუსტებული ხმით.

- ჩემო ბიჭუნა, - მითხრა ბიძაჩემმა და გულზე მიმიკრა, - ცოცხალი ხარ, გადარჩი.

ისეთი ლმობიერი კილოთი მითხრა, რომ გული ამიჩუყდა. კიდევ უფრო მომილბო გული იმ მზრუნველობამ, რომელსაც ჩემდამი იჩენდა. რა განსაცდელის გამოვლა დამჭირდა, რომ პროფესორის ეს ალერსი დამემსახურებინა!

ჰანსიც მომიახლოვდა, ჩემი ხელი ბიძაჩემის ხელში დაინახა და იმის მტკიცებას ვბედავ, რომ მის თვალებში კმაყოფილებამ გაიელვა.

- God dag, - მითხრა.

- გამარჯობა, ჰანს, გამარჯობა, - ჩურჩულით ვუთხარი, ახლა კი, ბიძაჩემო, მითხარით, სადა ვართ?

- ხვალ, აქსელ, ხვალ; დღეს ჯერ კიდევ ძალიან სუსტად ხარ; თავი შეგიხვიეთ, ჯერ შეხსნა არ ივარგებს, ახლა დაიძინე, ხვალ ყველაფერს გაიგებ.

- ის მაინც მითხარით, რომელი საათია, რა დღე და რიცხვია? - ვთქვი მე.

- საღამოს თერთმეტი საათია; დღეს კვირაა, 9 აგვისტო და მე გიკრძალავ სხვა რაიმეს კითხვას ამა თვის 10 რიცხვამდე.

მართლაც ძალიან დასუსტებული ვიყავი და თვალები უნებლიეთ დამეხუჭწა. საჭირო იყო ძილით გული მეჯერებინა და ძილში ის აზრი ჩამყვა, რომ ჩემმა მარტოობამ ოთხი გრძელი დღე გასტანა.

მეორე დღეს გავიღვიძე და გარშემო მიმოვიხედე. რბილად ვიწექი. ყველა საბანი ჩემთვის დაეგოთ. ფრიად მომხიბლავი გახლდათ ჩვენი ბინა. ჭერს სტალაქტიდები ამშვენებდა, ქვემოთ წვრილი ქვიშა ეყარა. ნახევრდ ბნელოდა. არც ერთი ჩირაღდანი, არც ერთი ნათურა არ ენთო, მაგრამ ჭუჭრუტანიდან უცნაური სუსტი შუქი შემოდიოდა. ისეთი ხმაური იდგა, თითქოს გარეთ ქარი წიოდა ან ტალღები ეხეთქებოდა ნაპირს.

თავს ვეკითხებოდი, გავიღვიძე და გამოვფხიზლდი თუ ჯერ ძილში ვარ და სიზმარს ვხედავ, ან იქნებ დაცემისაგან შერყეული ტვინი მღალატობს და რაღაც ხმები მელანდება-მეთქი. მაგრამ თვალებიც და ყურებიც ხომ არ მიმტყუნებდნენ?

- ეს მზის სხივია, - გავიფიქრე მე, - რომელმაც კლდის ნაპრალში შემოაღწია. ეს კი ნამდვილად ზვირთების ხმაა! ესეც ქარის ქროლა! ვცდები, თU ჩვენ დედამიწის ზედაპირზე დავბრუნდით? ბიძაჩემმა ხელი აიღო თავის ექსპედიციაზე თუ ბედნიერ დასასრულამდე მიიყვანა?

ამ ფიქრებში რომ ვიყავი, პროფესორი შემოვიდა.

- გამარჯობა, აქსელ! - მხიარულად მომესალმა. - ვისთანაც გინდა სანაძლეოს დავდებ, რომ შენ კარგადა ხარ!

- დიახ, - მივუგე და წამოვჯექი.

- ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან მშვიდად გეძინა. მე და ჰანსი რიგრიგობით თავზე გადექით და ვხედავდით თანდათანობით როგორ დაგეტყო უკეთესობა და მომჯობინდი.

- მართალია, გამოვჯობინდი! - ვთქვი მე, - საუზმეს რომ მომართმევთ და გეახლებით, მაშინ უფრო დარწმუნდებით ამაში.

- უნდა ჭამო, ჩემო ბიჭუნა! სიცხემ უკვე გაგიარა. ჰანსმა ჭრილობები რაღაც ისლანდიური საიდუმლო მალამოთი დაგიზილა, და შესანიშნავად მოგიშუშდა. ყოჩაღია ჩვენი მონადირე!

ბიძაჩემმა საუბარში რაღაც საჭმელი მომიმზადა და გამაფრთხილა, ცოტა ჭამეო. მე ხარბად დავაცხრი. თან ბიძაჩემს შეკითხვები მივაყარე. მან ამომწურავი პასუხი გამცა. აი რა გამოირკვა: შვეულ ჭაში ისე ჩავვარდნილვარ, პირდაპირ ფსკერზე მომიდენია ზღართანი. ჩამოშვავებული ქვების ნაზვავზე ვუპოვივართ. ეტყობა, კლდე ჩამოწყვეტილა და ქვაღორღის მთელი შვავი წამოუღია. მეც ზედ მიყოლივარ, თორემ ამ უშველებელ ქვებს ქვეშ რომ მოვყოლოდი, რაღა გადამარჩენდა. ისე კი ამ საშინელმა სატრანსპორტო საშუალებამ პირდაპირ ბიძაჩემის ხელში ჩამაგდო, მართალია გულწასული და გასისხლიანებული.

- მართლაც, საკვირველია, - მითხრა ბიძაჩემმა, - ცოცხალი როგორ გადარჩი. ყველაფერს გაფიცებ, აწი ნუღარ დავშორდებით, თორემ შეიძლება ისე დავცილდეთ, ერთმანეთს ვერასოდეს ვეღარც მივაგნოთ.

"ნუღარ დავშორდებითო!~ - მაშასადამე, ჯერ არ დამთავრებულა? გაკვირვებისაგან თვალები ისე გამიფართოვდა, რომ ბიძაჩემმა მაშინვე მკითხა:

- რა დაგემართა, აქსელ?

- ერთი რამ უნდა გკითხოთ. თქვენ ამბობთ, რომ მე უკვე გამოვჯანმრთელდი?

- უთუოდ.

- ხელ-ფეხი უვნებელი მაქვს?

- ცხადია.

- თავი?

- ცოტა დაგიშავდა, მაგრამ ეგ არაფერია, მშვენივრდ გაბია მხრებზე.

- მე კი ვშიშობ, ტვინი ხომ არ შემერყა.

- შეგერყაო?

- დიახ, განა დედამიწის ზედაპირზე არ დავბრუნებულვართ?

- რა თქმა უნდა, არა!

- მაშ ალბათ გავგიჟდი და იმიტომ ვხედავ დღის სინათლეს, მესმის ქარის ქროლვა და ზღვის მოქცევის ხმა!

- მხოლოდ ეგაა?

- იქნებ ამიხსნათ, რა ხდება?

- ვერაფერსაც ვერ აგიხსნი, რადგან ამის ახსნა შეუძლებელია, მაგრამ შენ თვითონ ნახავ და გაიგებ, რომ გეოლოგიურ მეცნიერებას ჯერ არ უთქვამს საბოლოო სიტყვა.

- მაშ გავიდეთ, - წამოვიძახე მე და უეცრად წამოვდექი.

- არა, აქსელ, არა! ჰაერზე ყოფნამ შეიძლება გაწყინოს.

- ჰაერზეო?

- დიახ! საკმაოდ ძლიერი ქარია. არ მინდა, რომ შენ ასე წინდაუხედავად მოიქცე.

- გარწმუნებთ, შესანიშნავად ვგრძნობდ თავს.

- ცოტა მოითმინე, ჩემო ბიჭუნა. ავადმყოფობამ რომ შემოგიბრუნოს, მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, დროს კი ვერ დავკარგავთ, რადგან მგზავრობამ შეიძლება ბევრი დრო წაიღოს.

- მგზავრობამ?

- დიახ, დღეს დაისვენე, ხვალ კი ჩავსხდებით და გავცურავთ.

- ჩავსხდებით? გავცურავთ?

ამ სიტყვებზე წამოვხტი.

როგორ თუ ჩავსხდებით! სად გავცურავთ? ჩვენ წინ მდინარე, ტბა ან ზღვაა? ნავსადგურში გემი ხომ არ გველოდება?

ჩემს ცნობისმოყვარეობას საზღვარი არ ჰქონდა. ბიძაჩემი ამაოდ ეცადა არ გავეშვი, მაგრამ როდესაც ნახა, მოუთმენლობა მეტ ზიანს მომაყენებდა, ვიდრე ჩემი სურვილის დაკმაყოფილება, დამთანხმდა.

სწრაფად ტანთ ჩავიცვი. საბანი მოვიხურე და მღვიმიდან გავედი.

ოცდამეათე თავი

ჯერ ვერაფერი ვერ დავინახე. სინათლეს გადაჩვეული თვალები უმალვე დამეხუჭა. როდესაც გახელა შევძელი, უფრო გოცებული დავრჩი, ვიდრე აღფრთოვანებული.

-ზღვა! - წამოვიძახე მე.

- დიახ, - მიპასუხა ბიძაჩემმა, - ლიდენბროკის ზღვა, და, იმდეი მაქვს, არც ერთი მოგზაური არ შემომედავება აღმოჩენის პირველობასა და ჩემის სახელის დარქმევის უფლებაში!

ჩვენ წინ შორეულ ჰორიზონტამდე წყლის სივრცე იყო გადაშლილი. ნაპირზე წვრილი სილა და პატარა ნიჟარები ეყარა. ტალღა ტალღას ეხეთქებოდა. ყრუ გუგუნი იდგა, ქარი ნანაობდა და წყლის შხეფები სახეზე მეცემოდა. წყლის კიდიდან დაახლოებით ასი ტუაზის დაშორებით დამრეც ქვიშიან ნაპირზე დახვავებულიყო ვეება კლდეები. ისინი თანდათან მაღლდებოდნენ და სადღაც თვალიმიუწვდომ სიმაღლეში იკარგებოდნენ. კლდები ნაპირის გაყოლებით ქმნიდნენ მაღალ ზვირთცემისაგან გაღრღნილ კონცხების წყებას. კონცხი კონცხს ეკვროდა და თვალსაწიერამდე გრძელდებოდა.

ნამდვილი ოკეანე იყო, მაგრამ უკაცრიელი და საშინელი ველური.

თვალი შორს წვდებოდა ზღვის შორეთებს, რადგან უცხო რამ შუქი ანათებდა. ეს არ იყო არც მზის სინათლის კაშკაშა სხივები, არც ღამის მნათობის მკრთალი და ბუნდოვანი სითბოსმოკლებული შუქის ანარეკლი. ამ უცხო სინათლის ძალა, მისი ციმციმი, ნათელი და მშრალი სითეთრე, დაბალი ტემპერატურა, ბრწყინვა, მთვარისას რომ აღემატება., მის ელექტრულ წარმოშობას ამჟღავნებდა. ეს იყო რაღაც ჩრდილოეთის ციალი, უწყვეტი კოსმიური ფენომენი, რომელიც ავსებდა ამ მღვიმეს, იჭრებოდა ამ უშველებელ ოკეანეს რომ იტევდა ისეთ ვრცელი მღვიმის ყველა კუნჭულში.

ჩემ ზევით აღმართული გუმბათი, თუ გნებავთ ზეცა, ღრუბლებით იყო დაფარული. მოძრავი და ცვალებადი ორთქლი კონდენსაციის შედეგად გაჩენილი ღრუბლები რამდენიმე დღეში, უთუოდ, კოკისპირულ წვიმად იქცეოდა. მე ვთვლიდი, რომ ასეთი დიდი ატმოსფერული წნევის პირობებში წყლის აორთქლება შეუძლებელი იყო. თუმცა კი, რაღაც ჩემთვის უცნობი ფიზიკური მიზეზით, ჰაერში სქელი ღრუბლები გროვდებოდა. მაგრამ ჯერ "კარგი ამინდი" იდგა. ძალიან მაღალ ღრუბლებზე ელექტრონის ტალღების შუქი საოცრად ციმციმებდა. ღრუბლების უფრო დაბალ ფენებზე ჩრდილები ისახებოდ და ხშირად, ღრუბელთა ორ ფენას შორის უჩვეულო ბრწყინვალე სხივი გამოკრთებოდა. მაგრამ ეს არ იყო მზის სხივი, მის სინათლეს სითბო აკლდა და ნაღვლიან, მეტად მელანქოლიურ განწყობილებას ჰქმნიდა. ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცის ნაცვლად ამ ღრუბლების ზემოთ ვგრძნობდი გრანიტის თაღს, რომელიც მთელი თავისი სიმძიმით მაწვებოდა. რარიგ ვრცელიც არ უნდა ყოფილიყო ეს დედამიწის შიგა სივრცე, იგი არ იკმარებდა ჩვენი პლანეტის ყველაზე უმნ იშვნელო თანამგზავრის გასასეირნებლად.

უცებ გამახსენდა ინგლისელი კაპიტნის თეორია. კაპიტანი დედამიწს ამსგავსებდა დიდსა და ღრუ სფეროს, რომლის შიგნით ჰაერი ანათებს თვისივე წნევის ზეგავლენით, მაშინ როდესაც ორი მნათობი, პლუტონი და პროზერპინი, ხაზვენ მათთვის განკუთვნილ საიდუმლო ორბიტებს. ნუთუ იგი მართალი იყო?

ჩვენ ნამდვილად ამ უშველებელი ღრმულის ტყვეები ვიყავით. შეუძლებელია მისი სიგანის განსაზღვრა, რადგან ნაპირი სადღაც უსასრულოდ შორს იკარგებოდა, არც მისი სიგრძის ვარაუდი ხერხდებოდა, რადგან თვალი დანისლულ ჰორიზონტს აწყდებოდა. რაც შეეხება სიმაღლეს, ის უთუოდ რამდენიმე ლიეს აღემატებოდა. თვალი ვერ ამჩნევდა, სად ეყრდნობოდა გუმბათი გრანტის საყრდენებს, მაგრამ ატმოსფეროში ჩამოკიდებული ზოგიერთი ღრუბლის სიმაღლე ორი ათასი ტაუზი უნდა გვევარაუდა. დედამიწაზე აორთქლება ნაკლებ სიმაღლეს აღწევს, რაც უთუოდ ჰაერის მნიშვნ ელოვან სიმკვრივეს უნდა მივაწეროთ.

სიტყვა "მღვიმე", ცხადია, არ შეესაბამება და არც ივარგებს ამ ვრცელი ღრმულის აღსაწერად. მაგრამ ადამიანთა ენა არ არის საკმარისი მისთვის, ვინც დედამიწის უძირო უფრსკრულებსი ფეხის შედგმას გაბედავს.

გარდა ამისა, მე არ ვიცოდი, რომელი გეოლოგიური მოვლენით უნდა ამეხსნა მსგავსი ღრმულის არსებობა.

ნუთუ იგი დედამიწის გაცივების შედეგად წარმოიშვა? მოგზაურთა გადმოცემით, ვიცოდი ზოგიერთი ცნობილი მღიმის არსებობა, მაგრამ ასეთი ზომის მღვიმის არსებობა არც გამიგია.

თუ გუაჩარას მღვიმემ კოლუმბიაში, რომელიც ბ-მა, ფონ ჰუმბოლდტმა ორი ათას ხუთასი ფუტის სიღრმემდე შეისწავლა, არ გაუმხილა მეცნიერს თავისი სიღრმის საიდუმლო, იგი ჩანს ამაზე ბევრად შორს არ მიდიოდა. მართალია, მამონტის უშველებელი გამოქვაბული, კენტუკიში, ბუმბ ერაზული მოცულობისაა, რადგან მისი თაღი ხუთასი ფუტის სიმაღლეზეა აღმართული. უძირო ტბის ზედაპირიდან მოგზაურებმა იგი დაათვალიერეს ათ ლიეზე მეტ მანძილზე და ბოილომდე კი არ მისულან. მაგრამ ეს ღრმულები არარად ჩანდნენ ამ საკვირველებასთან. თვალწინ მედგა დანისლული ზეცა, ელექტრონის გაბნეული შუქი და უკიდეგანო გაშლილი ვრცელი ზღვა. ჩემი წარმოდგენა უძლური იყო ამ უკიდეგანო სივრცის წინაშე.

განაბული შევცქეროდი ამ სასწაულს. გრძნოების გადმოსაცემად სიტყვები არ მყოფნიდა. მეგონა, რომელიმე შორეულ პლანეტაზე, ურანზე ან ნეპტუნზე ვარ ისეთი მოვლენების მომსწრე, რომელიც შეუცნობელი ჩემი მიწიერი ბუნებისათვის. ახალი მოვლენების გადმოსაცემად ახალი სიტყვები იყო საჭირო, მე კი ასეთები არ გამაჩნია და არც გონება მთავაზობდა. აღტაცებული ვუყურებდი, ვფიქრობდი, ვტკბებოდი და ჩემს გაოცებას ოდნავი შიშიც ერთვოდა.

სანახაობის მოულოდნელობამ გამახალისა, ლოყები შემიფაკლდა. განცვიფრება წამლად შემერგო და ამ ახალმა სამკურნალო საშუალებამ ნამდვილად მიშველა. ზედ დაერთო ძალიან მკვრივი, გრილი ჰაერის მაცოცხლებელი ძალა, ჩემს ფილტვებს რომ ჟანგბადს უხვად აწვდიდა.

ადვილად წარმოიდგენთ, რომ ვიწრო გვირაბში ორმოცდაშვიდდღიანი პატიმრობის შემდეგ, უსასრულო სიტკბოება იყო ნოტიო, მარილიანი ზღვის ქარის ჩასუნთქვა.

სულაც არ ვინანე, რომ ბნელი მღვიმიდან გარეთ გამოვედი. ბიძაჩემს, რომელიც უკვე შეთვისებოდა ამ სასწაულებს, არაფერი არ უკვირდა.

- ძალა თუ შეგწევს, იქნებ გავისეირნოთ? - შემომთავაზა მან.

- ძალიან კარგი იქნება. - ვუპასუხე მე.

- დამეყრდენ, აქსელ, და ნაპირს გავუყვეთ.

სიამოვნებით დავეთანხმე ბიძაჩემს და ოკეანის ნაპირს გავყევით. დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მარცხენა ნაპირის გაყოლებით ციხე-კოშკებივით აღმართული ბუმბერაზი კლდეები. ქარაფებზე ურიცხვი ჩანჩქერი მოედინებოდა, მათი ჩუხჩუხი და შრიალი ათასხმად ამღერებულ, გადმოფენილ მანდილებს მოგაგონებდათ. კლდეებზე მოწანწკარე ნაკადულებს ორთქლის ოხშივარი ასდიოდათ.

ამ ნაკადულთა შორის ვიცანი ჩვენი ერთგული თანამგზავრი ჰანს-ბახი. იგი ისე მშვიდად ერთვოდა ზღვას, თითქოს სამყაროს დასაბამიდან სხვა არფერი უკეთებიაო.

- მწყინს რომ მეგზურს ვკარგავთ! - ამოვიოხრე მე.

- ეს იქნება თუ სხვა, რა მნიშვნელობა აქვს?

ასეთი პასუხი ცოტა არ იყოს უმადურობად მომეჩვენა.

ამ დროს ჩემი ყურადღება მოულოდნელმა სანახაობამ მიიპყრო. ხუთას ნაბიჯზე, მაღალი კონცხის იქით, მაღალი ხშირი ტყე დავინახე. სშუალო სიმაღლის თანაბარ, ქოლგისებურ ხეებს მკაფიოდ გამოსახული გეომეტრიული მოხაზულობა ჰქონდათ. ნიავი არ იძროდა, ფოთოლიც არ ირხეოდა. ხეები უძრავად იდგნენ. ტყე გარინდულიყო.

ნაბიჯს მოვუმატე, სახელი ვერ მეპოვნა ამ უცნაური მცენარეებისათვის. ნუთუ ისინი არ შედიოდნენ დღემდე ცნობილ მცენარეთა ორას ათას სახესხვაობაში და მათთვის საგანგებო ადგილი უნდა მიგვეჩინა ჭაობების მცენარეთა ფლორაში? არა. როდესაც მათ ჩრდილში შევედით, სახტად დავრჩი.

არავითარი ხეები. ჩვეულებრივი სოკოები, მაგრამ რას ვამბობ, ჩვეულებრივი კი არა, გოლიათები, ნამდვილი გოლიათები.

- ეს ხომ სოკოს ტყეა, და სხვა არაფერი - თქვა ბიძაჩემმა.

და არც შემცდარა. თვითონ განსაჯეთ, როგორ განვითარებულან ეს მცენარეები, თბილსა და ნესტიან ჰავის პირობებში, ვიცოდი, რომ, ბულიარის შრომის თანახმად,

"lycoperdon giganteum"[1] წრეწირში რვა-ცხრა ფუტამდე აღწევს; მაგრამ ჩვენს წინაშე, ოცდაათი-ორმოცი ფუტის სიმაღლის ათასობით სოკო იყო წამოჭიმული. ასეთივე ზომის დიამეტრის ქუდი ეფარათ. შუქი ვერ აღწევდა მათ ხშირ ჩრდილში. მრგვალსახურავიანი სახლებით ჩაბნელებული აფრიკული ქალაქი გეგონებოდათ.

სოკოების ტყის სიღრმეში შევედით. საშინლად ციოდა. ნახევარი საათი ვისეირნეთ ამ ნესტიან სიბნელეში და ნამდვილად მესიამოვნა, ზღვის ნაპირს რომ დავუბრუნდით.

მიწისქვეშეთის მცენარეულობა ამ სოკოებით არ ამოიწურებოდა. უფრო მოშორებით ბევრი სხვა მცენარეც ჩანდა. უფერული ფოთლები ჰქონდათ. მათი ცნობა ადვილი იყო; ხმელეთის ტანმორჩილ მცენარეებს აქ იშვიათ ზომამდე მიეღწიათ. კიდევ ზევით მიიწევდნენ ასი ფუტის სიმაღლის ლიკოპოდიები. გოლიათი სიგილარიები, ჩრდილოეთის ნაძვებივით ტანადი გვიმრა, გრძელფოთლება და ბეწვიანი ლეპიდოდენდრონები.

- საკვირველია, მშვენიერია, დიდებულია! - იძახდა ბიძაჩემი. - აი, სამყაროს მეორე, გარდამავალი ეპოქის მთელი ფლორა. აი, ჩვენი ბაღების ტანმორჩილი მცენარეები, დედამიწის არსებობის პირველ დღეებში ხეებად რომ იქცნენ! უყურე, აქსელ, დასტკბი! ჯერ არც ერთი ბოტანიკოსი არ დასწრებია ასეთ სასწაულს!

- მართალი ხართ, ბიძაჩემო. განგებამ თითქოს მოისურვა ამ ვეება სათბურში შემოენახა წარღვამდელი მცენარეები, რომლებიც მეცნიერთა ნააზრევმა ესოდენ კარგად აღადგინა.

- შენ კარგად თქვი, ჩემო ბიჭუნა, მართლაც რომ სათბურია; მაგრმ კიდევ უკეთ იტყოდი, ისიც დაგემატებინა, აქ, შესაძლოა სამხეცეც იყოსო.

- სამხეცეო!

---

1 გიგანტური სოკო.

- დიახ, უეჭველად. დახედე, ამ მტვერსა, და ძვლებით მოფენილ ნიადაგს.

- ძვლებიო! - წამოვიძახე.

- დიახ, წარღვნამდელი ცხოველებ ის ძვლებ ი!

გამხმარი ხეებივით ძირს დაყრილ საუკუნოვან ძვლებს დავწვდი.

უყოყმანოდ დავიწყე სახელების შერქმევა.

- აი, მასტოდონტის ქვედა ყბა, - ვამბობდი მე; - აი, დინოთორიუმსი უკანა კბილები; აი, ბარძაყის ძვალი, რომელიც უთუოდ ყველაზე დიდ ცხოველს მეგეთერიუმს ეკუთვნოდა. დიახ, ეს მართლაც სამხეცეა. ამ ძვლის პატრონი ცხოველები, ამ მიწისქვეშა ზღვის ნაპირებზე ცხოვრობდნენ, ამ ხისებრი მცენარეების ჩრდილში. აი, მე ვხედავ მთლიან ჩონჩხებს.

- ჰო, მაგრამ. . .

- მაგრამ რა? - იკითხა ბიძაჩემმა.

- არ მესმის, საიდან მოხვდნენ ეს ოთხფეხები ამ გრანიტის მღვიმეში.

- რატომ?

- იმიტომ რომ ცხოველები დედამიწაზე მხოლოდ მეორე პერიოდში არსებობდნენ, როდესაც დანალექი ქანები შეიქმნა და პირველადი პერიოდის კლდეები შეცვალა.

- ჰოდა, აქსელ, შენს შენიშვნაზე სრულიად მარტივი პსუხის გაცემა შეიძლება, ეს ნიადაგი დანალექი ქანებისაგან შეიქმნა.

- როგორ! დედამიწის ზედაპირიდან ასეთ სიღრმეზე!

- რა თქმა უნდა, შეიძლება ეს ფაქტი გეოლოგიური მოვლენებით ავხსნათ.

გარკვეულ ეპოქაში, დედამიწა დაფარული იყო დრეკადი ქერქით, რომელიც მიზიდულობის კანონის შესაბამისად ვერტიკალურად ირხეოდა. ხშირად დედამიწის ქერქის ნაწილის ჩაქცევა ხდებოდა და შესაძლებელია დანალექი ქანებით დაფარული მთელი უბანი უეცრად ჩაირღვა და უფსკრულში ჩაეშვა.

- უთუოდ ასე იქნებოდა. მაგრამ, რადგან წარღვნამდელ ცხოველებს ამ მიწისქვეშეთში უცხოვრიათ, რა გარანტია გვაქვს, რომ ერთი ამ ურჩხულთაგანი ახლაც არ დაბოგინობს ამ ბნელ ტყეებში, ან ამ ციცაბო კლდეების იქით?

ეს გავიფიქრე და ცოტა არ იყოს შეშინებულმა, მიდამოს მოვავლე თვალი; მაგრამ ამ უკაცრიელ ნაპირებზე არც ერთი ცოცხალი არსება არ ჩანდა.

ცოტა არ იყოს დავიღალე. ერთ მაღალ კონცხზე ჩამოვჯექი. კონცხის ძირს ტალღები ხმაურით ეხეთქებოდნენ. აქედან თვალი მთელს ამ ყურეს წვდებოდა. ყურე ნაპირში შეჭრილ ნაპირალს გაეჩინა. სიღრმეში, პირამიდისებრ კლდეთა შორის პატარა ნავსადგური ჩანდა. ამ წყნარ, ქარისაგან მოფარებულ ნავსაყუდელს თავისუფლად მიადგებოდა ერთი ბრიგი და ორი-სამი ორანძა ნავი. ვუცქროდი და თითქოს ველოდი, აი, ახლა დავინახავდი აფრააშლილ ხომალდს, რომელსაც სამხრეთის ქარი ზღვაში გააქროლებდა.

მაგრამ ილუზია მალე გაქრა. ამ მიწისქვეშეთში ჩვენს მეტი ნამდვილად არც ერთი ცოცხალი არსება არ იყო. ხანდახან ქარი მიყუჩდებოდა და მაშინ ამ უკაცრიელ კლდეებსა და ოკეანის ზედაპირზე სამარისებური სიჩუმე მკვიდრდებოდა, გავცეროდი და ვცდილობდი, გამერღვია შორეული ნისლი და დამენახა, რა ხდებოდა ჰორიზონტის საიდუმლო ფონზე ჩამოფარებული ფარდის იქით, - ათასი კითხვა მებადებოდა, მაგრამ ვინ გამცემდა პასუხს? სად თავდებოდა ეს ზღვა? რა იყო მის მიღმა? როდესმე თუ ვიხილავდით მის მოპირდაპირე ნაპირს?

ბიძაჩემს ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა. მეც მინდოდა ნახვა, მაგრამ მოგზაურობა მაშინებდა. მთელი საათი ვისხედით კონცხზე და ამ შესანიშნავი სანახაობით ვტკბებოდით.

მერე ისევ ქვიშიან ნაპირს გავყევით და მღვიმეში დავბრუნდით. ამ საარაკო სურათების ცქერით დაღლილს, უცნაური ფიქრებით შეპყრობილს ღრმად ჩამეძინა.

ოცდამეთერთმეტე თავი

მეორე დღეს სრულიად განკურნებულს გამეღვიძა. ვიფიქრე, ბანაობა მარგებს-მეთქი და რამდენიმე წუთით შევედი ამ "ხმელთაშუა" ზღვის წყალში. ეს ზღვა, უთუოდ, ყველა ზღვაზე უფრო მეტად იმსახურებდა "ხმელთაშუას" სახელს.

ბანაობის შემდეგ მადა გამეხსნა. ჰანსს ოსტატურად მოემზადებინა საუზმე. თუმცა ბევრი არაფერი გვქონდა, მაგრამ ახლა წყლის და ცეცხლის გასაჭირი მაინც არ იყო. ასე რომ, შეეძლო სხვადასხვა კერძი შემოეთავაზებინა: დესერტად ფინჯანი ყავა მოგვართვა და ეს მშვენიერი სასმელი ჯერ არასოდეს ასე გემრიელად არ მომჩვენებია.

- ახლა კი, - თქვა ბიძაჩემმა, - ზღვის მიმოქცევის დროა და არ უნდა გავუშვათ ხელიდან ამ მოვლენის შესწავლის შესაძლებლობა.

- მიმოქცევის დროაო? - წამოვიძახე მე.

- ცხადია.

- მთვარისა და მზის გავლენა აქამდე აღწევს?

- რატომაც არა? განა, ყველა საგანი არ ემორჩილება მიზიდულობის საერთო კანონს? ამ წყლის მასასაც ვერ ასცდება ამ საერთო კანონის გავლენა. ამიტომაც არის, რომ მის ზედაპირზე მოქმედი ატმოსფერული წნევის მიუხედავად, შენ ნახავ, თუ როგორ ატლანტის ოკეანესავით აიწევს მისი ზედაპირი.

ჩვენ უკვე ნაპირის სილაზე ვიყავით გასული და ტალღები ნელ-ნელა ფარავდნენ დამრეც ნაპირს.

- აი მართლაც, მოქცევა იწყება, - წამოვიძახე მე.

- დიახ, აქსელ, და ქაფის მიხედვით შეგიძლია ნახო, რომ ზღვა დაახლოებით ათიოდე ფუტით მაღლა აიწევს.

- შეუძლებელია!

- არა, ეს სავსებით ბუნებრივია.

- როგორც გნებავთ, ბიძაჩემო, მაგრამ ყოველივე ეს არაჩვეულებრივად მეჩვენება და საკუთარ თვალებს ძლივს ვუჯერებ. ვინ წარმოიდგენდა, რომ დედამიწის ქერქში

შეიძლებოდა ნამდვილი ოკეანე ყოფილიყო. მიმოქცევ ა არის, ქარიც ქრის და ქარიშხალიც მძვინვარებს!

- რატომაც არა? განა, ეს მოვლენები ეწინააღმდეგება რამდენიმე ფიზიკურ კანონს?

- არა, გარდა იმისა, თუ უარი ვთქვით ცენტრალური სითბოს თეორიაზე.

- ასე რომ, ჯერჯერობით დევის თეორია მართლდება?!

- როგორც ჩანს, და, აქედან გამომდინარე, დედამიწის შიგნით ზღვებისა თუ მთელი მხარეების არსებობასაც ვეღარ უარვყოფ თ.

- კი მაგრამ, ამ ზღვაში სიცოცხლე არ ჩანს...

- განა არ შეიძლება ამ ზღვაში თავი შეეფარებინათ რომელიმე უცნობი სახის თევზებს?

- ჯერჯერობით არც ერთი არ შეგვხვედრი...

- ვცადოთ, გავაკეთოთ ანკესი, ჩავუშვათ წყალში და ვნახოთ, ამოჰყვება თუ არა მას რამე.

- უნდა ვცადოთ, აქსელ, რადგან საჭიროა ამ ახალი ქვეყნის ყველა სიდუმლოს ჩავწვდეთ.

- ბიძაჩემო, ერთი მითხარით, სადა ვართ? თქვენმა ინსტრუმენტებმა ალბათ უკვე გაგვცეს პასუხი!

- ჰორიზონტალურად - ირლანდიიდან სამას ორმოცდაათი ლიეს მანძილზე.

- ისევ ისე?

- დარწმუნებული ვარ, რომ ხუთას ტუაზე მეტად არ ვცდები.

- კომპასი ისევ ისე სამხრეთ-აღმოსავლეთს აჩვენებს?

- დიახ, ოღონდ დასავლეთის ცხრამეტი გრადუსის და ორმოცდაორი წუთის დახრილობა აქვს, ზუსტად ისევე, როგორც დედამიწაზე. რაც შეეხება მის დახრილობას, საკმაოდ საინტერესო მოვლენამ იჩინა თავი, რომელიც მე ძალზე ყურადღებით შევისწავლე.

- რაშია საქმე?

- საქმე ისაა, რომ ისარი, ნაცვლად იმისა რომ პოლუსისაკენ იხრებოდეს, როგორც ჩრდილოეთის ნახევარსფეროსი ხდება, პირიქით, გაურბის.

- მაშ, აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ მაგნიტური მიმზიდველობის წერტილი მდებარეობს დედამიწის ზედაპირისა და იმ ადგილებს შორის, სადაც ჩვენა ვართ?

- სწორედ ასეა, და ალბათ, ჩვენ რომ პოლარული მხარეების ქვეშ აღმოვჩნდეთ, იმ სამოცდამეათე გრადუსზე, სადაც ჯეიმზ როსმა მაგნიტური პოლუსი აღმოაჩინა, დავინახავთ, რომ ისარი ვერტიკალურად დადგება. ამრიგად, მიზიდულობის ეს საიდუმლო ცენტრი დიდ სიღრმეზე არ მდებარეობს.

- მართლაც, და ეს ისეთი ფაქტია, რომლის არსებობა მეცნიერებს არც დასიზმრებიათ.

- მეცნიერება, ჩემო ბიჭუნა, შეცდომებისაგან შედგება, მაგრამ ისეთი შეცდომებისაგან, რომელთა დაშვება სასარგებლოა, რადგან მათ თანდათან ჭეშმარიტებისაკენ მივყავართ.

- ჩვენ რა სიღრმეზე ვართ?

- ოცდახუთმეტი ლიეს სიღრმეზე.

- ამრიგად, - ვთქვი მე და რუკას დავხედე, - შოტლანდიის მთიანი ნაწილი ჩვენ ზემოთაა, სწორედ იქ, სადაც გრამპიანის მთელი თოვლით დაფარული მწვერვალებია აზიდული.

- დიახ, - სიცილით მიპასუხა პროფესორმა. - მძიმე ტვირთია, მაგრამ თაღიც გამძლეა! სამყაროს დიდმა ხუროთმოძღვრმა იგი სანდო მასალისაგან ააგო, ადამიანი ასეთ გამძლე ნაგებობას ვერასოდეს ვერ შექმნიდა! რა წარმოადგენენ ხიდების თაღები და ტაძრების კამარები ამ, სამი ლიეს რადიუსის მქონე გუმბათთან შედარებით, რომლის ქვეშ მთელი ოკეანე თავსდება და ქარიშხალი თარეშობს!

- მე სულაც არ მაშინებს, რომ ზეცა თავზე დამემხობა. თქვენ ეს მიბრძანეთ, რა გეგმები გაქვთ? დედამიწის ზედაპირზე ხომ არ აპირებთ დაბრუნებას?

- დაბრუნებასო? ეს რა მითხარი! პირიქით, რადგან დღემდე ყველაფერი კარგად წარიმართა, გზა უნდა განვაგრძოთ.

- კი, მაგრამ, არ მესმის, რა გზით უნდა ჩავიდეთ ამ ზღვის ქვეშ.

- ო! მე სულაც არ ვაპირებს თავდაყირა დაშვებას, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რადგან ოკეანე, ოკეანე კი არა ტბაადა ხმელეთითაა გარემოცული, მითუმეტეს ადვილი სავარაუდოა, რომ ეს შინაგანი ზღვა გრანიტულ მასივშია ჩამჯდარი და ირგვლივაც გრანიტი აკრავს.

- უეჭველად ასეა.

- რადგან ასეა, დარწმუნებული ვარ, მოპირდაპირე ნაპირზე სხვა გასასვლელს ვიპოვით.

- რა სიფართე აქვს ამ ზღვას?

- ოცდაათი ან ორმოცი ლიე.

- ა! - წამოვიძახე და თან წარმოვიდგინე, რომ ეს ვარაუდიც, შეიძლება, მთლად ზუსტი არ ყოფილიყო.

- ამრიგად, მეტ დროს ვეღარ დავკარგავთ და ხვალვე ზღვაში გავალთ.

უნებლიეთ თვალებით დავუწყე ძებნა ხომალდს, რომელსაც ჩვენ უნდა წავეყვანეთ.

- რადგან მივემგზავრებით, ხომალდი დაგვჭირდება. კეთილი! რომელ გემზე უნდა დავსხდეთ?

- გემი არა, ჩემო ბიჭუნა, მაგრამ კარგი მაგარი ტივი კი გვექნება.

- ტივი! - წამოვიძახე მე. - ტივის შეკვრაც მეტად ძნელი საქმეა, და მე ვერა ვხედავს...

- ვერ ხედავ, აქსელ, მაგრამ ყური რომ დაგეგდო, იქნებ გაგეგონა...

- გამეგონა?

- დიახ, ჩაქუჩის ხმა, და მიხვდებოდი, რომ ჰანსი უკვე საქმეს შეუდგა.

- ტივსა კრავს?

- დიახ.

- როგორ! ხეების მოჭრა უკვე მოასწრო?

- ქარიშხლისაგან წაქცეული ხეები მიწაზე ეყარა. მოდი ვნახოთ, როგორ მიდის საქმე.

თხუთმეტი წუთის შემდეგ მაღალ კონცხს მოფარებულ ბუნებრივ ნავსადგურში შევნიშნე შრომაში გართული ჰანსი. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და მე მის გვერდით აღმოვჩნდი. დიდად გამიკვირდა, როდესაც სილაზე თითქმის შეკრული და დამთავრებული ტივი დავინახე; იგი შერკული იყო რაღაც უცხო ხის მორებისაგან. იქვე მიწაზე ბევრი ძელი, სქელი ფიცარი, ფიცრის ნაჭრები და თოკები ეყარა. ამ მასალით მთელი ფლოტილიის აგება შეიძლებოდა.

- ბიძაჩემო, - წამოვიძახე მე, - ეს რა ხეებია?

- აქ არის ზღვის წყლისაგან მინერალიზირებული ჩრდილოეთის წიწვიანი ხეების ყველა სახეობა: ფიჭვი, ნაძვი, არყი.

- განა ეს შესაძლოა?

- ასეთ გაქვავებულ ხეს "სურტარბრანდურს" უწოდებენ.

- თუ გაქვავებულია, მძიმეც იქნება და წყალში ვერ იტივტივებს.

- ზოგჯერ ასეც ხდება: ამ ხეთა ზოგიერთი სახეობა ნამდვილ ანტრაციტად იქცა; მაგრამ ზოგმა ჯერ მხოლოდ გაქვავების დაწყებითი სტადია განვლო. თვითონ დარწმუნდი, - დაუმატა ბიძაჩემმა და ერთი ასეთი ძვირფასი ნაფოტი ზღვაში გადაისროლა.

ნაფოტი ჯერ ჩაიძირა, შემდეგ წყლის ზედაპირზე ამოტივტივდა და ტალღებზე ათამაშდა.

- დარწმუნდი? - მკითხა ბიძაჩემმა.

- თუმცა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ დავრწმუნდი.

გამყოლმა ისე იმარჯვა, რომ მეორე დღეს, საღამოს ხანს ტივი მზად იყო; ათი ფუტის სიგრძე ჰქონოდა, სიგანეში ხუთი ფუტი იქნებოდა. მაგრამ თოკით მკვიდრად შეკრული სურტარბრანდურის მორები საიმედო ნაგებობ ის შთაბეჭდილებას ტოვებდა და, როდესაც წყალში ჩავუშვით, ჩვენმა იმპროვიზირებულმა ხომალდმა დინჯად დაიწყო რწევა ლიდენბროკის ზღვის ტალღებზე.

ოცდამეთორმეტე თავი

13 აგვისტოს დილაადრიანად გაგვეღვიძა. მოგზაურობის ახალი, სწრაფი და ნაკლებად დამღლელი საშუალება უნდა გამოგვეცადა.

ტივი კეთილსაიმედოდ იყო აღჭურვილი. ანძად ორი დაწყვილებული ლატანი ეყენა, მესამე ლატანისაგან ქანდარა გავუკეთეთ, აფრა საბნებისაგან შევკერეთ. არც ბაწრების უქონლობა გვჭირდა. ყველაფერი გამძლედ და სანდოდ იყო მორგებული.

ექვს საათზე პროფესორმა ნიშანი მოგვცა ტივი დატვირთეთო. სურსათს, ბარგს, ხელსაწყოებს, იარაღს და წყარო წყლის მნიშვნელოვან მარაგს თავისი ადგილი მივუჩინეთ.

ჰანსმა ტივს საჭე დაუყენა, რაც საშუალებას მოგვცემდა, ჩვენს ნებაზე გვეტარებინა. თვითონ საჭესთან დადგა. ნაპირზე მიბმული ტივის ბაგირი შევხსენით და აფრა გავშალეთ. ტივი სწრაფად დაიძრა ადგილიდან.

ყურეს რომ ვტოვებდით, ბიძაჩემს გაახსენდა, რომ ყურეს სახელი უნდა დავარქვათო და თვითონვე დაუმატა: აქსელი მოუხდებაო.

- რას ბრძნებთ, - შევეკამათე, - სხვა სახელს შემოგთავაზებთ!

- რომელს?

- გრაუბენისას, პორტ-გრაუბენი - ძალიან კარგად გამოჩნდება.

- იყოს პორტ-გრაუბენი.

აი, როგორ დაუკავშირდა ჩემი ძვირფასი ფილანდიელი ქალიშვილის მოგონება ჩვენს ფათერაკიან ექსპედიციას.

მსუბუქი ქარი ჩრდილო-აღმოსვლეთიდან უბერავდა. ჩვენთვის ზურგის ქარი იყო და ჩვენც დიდი სისწრაფით მივქროდით. თანაც, მკვრივ ატმოსფეროში ჰაერის დაწოლა გაცილებით მეტი იყო და სამჭედლოს მძლავრი საბერველივით აწვებოდა აფრას.

ერთი საათის შემდეგ ბიძაჩემმა საკმაოდ ზუსტად შეძლო ჩვენი მოძრაობის სიჩქარის გამოანგარიშება.

- თუ კვლავაც ასე ვიარაეთ, - თქვა მან, - დღე-ღამეში ოცდაათ ლიეს მაინც გავივლით და მალე გაღმა ნაპირსაც ვიხილავთ.

არაფერი ვუპასუხე და ტივის წინა ნაწილში დავიკავე ადგილი. ჩრდილოეთი ნაპირი უკვე ნისლიან ჰორიზონტს ეფარებოდა. წინ კი თვალუწვდენელი ზღვის სივრცე იშლებოდა. შავი ღრუბლები ჩამოწოლილიყო და კიდევ უფრო საზარელს ხდიდა ისედაც პირქუშ ტალღებს.

აქაფებულ წყალში სხივები ირეკლებოდა და მოციმციმე კვალს დატოვებდა. მალე ნაპირი თვალს მიეფარა. გაქრა ყოველივე ორიენტი და ტივს ქაფის ნაკვალევი რომ არ დაეტოვებინა იგი სრულიად უძრავი მეგონებოდა.

შუადღისას ზედაპირზე უშველებელი წყალმცენარეები ამოტივტივდა. ამ მცენარეთა საოცარი თვისება ვიცოდი. ისინი ეფინებიან ზღვის ფსკერს თორმეტი ათასი ფუტისა და უფრო დიდ სიღრმეზე, ხარობენ და მრავლდებიან ოთხასი ატმოსფერო წნევის პირობებში და ხშირად იმდენად მნიშვნელოვან წყალქვეშ მეჩეჩებს ქმნიან, რომ გემების მოძრაობასაც აფერხებენ; მაგრამ ისეთი ბუმბერაზი წყალმცენარეები, როგორიც ლიდენბროკის ზღვაში შეგვხვდა, ვგონებ, არსად არ იზრდება.

ჩვენმა ტივმა ჩაუარა სამი-ოთხი ათასი ფუტის სიგრძის ზღვის წყალმცენარეებს. ისინი ვეებერთელა გველებივით მიიკლაკნებოდნენ იმდენად შორ მანძილზე, რომ ბოლომდე თვალს ვერ ვაყოლებდი, მათი ცქერით ვერთობოდი, იმედი მქონდა, სადაცაა კუდს დავინახავდი, მაგრამ საათს მისდევდა და ბაფთასავით წყალმცენარეს ბოლო არ უჩანდა.

ვფიქრობდი, რა ბუნების ძალამ შეძლო ასეთი მცენარეების წარმოშობა და როგორ გამოიყურებოდა დედამიწა ქვეყნის გაჩენის პირველ დღეებში, როდესაც, სითბოსა და სინოტივის ზეგავლენით, მთელ მის ზედაპირზე მხოლოდ მცენარეულობა იყო

გამეფებული? დადგა საღამო. გგონიათ, ბინდი ჩამოწვა? არა, ისევ ისეა არემარე განათებული.

ვახშმობის შემდეგ ანძის ძირას წამოვწექი, მალე ჩამეძინა და სიზმრებს მივეცი თავი.

ჰანსი უძრავად იდგა საჭესთან, ტივს თავის ნებაზე უშვებდა. ზურგის ქარი უბერავდა და ამიტომ მართვაც არ იყო საჭირო.

პორტ-გრაუბენიდან გასვლის შემდეგ პროფესორმა ლიდენბროკმა დამავალა "საზღვაო დღიურის" წერა. მე უნდა აღმენიშნა სულ უმნიშვნელო დაკვირვებებიც კი, აღმენუსხა საინტერესო მოვლენები: ქარის მიმართულება, ტივის სიჩქარე, განვლილი მანძილი, ერთი სიტყვით, ამ შესანიშნავი მოგზაურობის ყველა წვრილმანი.

ასე რომ, თქვენ ამ ყოველდღიურ ჩანაწერებს გაგაცნობთ. ეს ნაწერები ასე ვთქვათ, თვით ამბებმა მიკარნახეს და, ამიტომ, ზუსტად მოგითხრობთ, როგორ გადავლახეთ ზღვა.

პ ა რ ა ს კ ე ვ ი, 14 ა გ ვ ი ს ტ ო. - ქრის ჩრდილო-დასავლეთის თანაბარი ქარი. ტივი სწრაფად მიდის პირდაპირი მიმართულებით. ქარიანი ნაპირი ოცდაათ ლიეზე რჩება. ჰორიზონტზე არაფერი ჩანს. სინათლის ინტენსიურობა უცვლელია. კარგი ამინდია, მსუბუქი იშვიათი ღრუბლები ძალიან მაღლა დაცურავენ ატმოსფეროში. ატმოსფერო გამდინარ ვერცხლსა ჰგავს.

თერმომეტრი: + 32°.

შუადღისას ჰანსმა კანაფის ბოლოზე ანკესი დაამაგრა, ხორცის პატარა ნაჭერი მიაბა და ზღვაში გადაისროლა. ორი საათი ტყუილად ვუყურყუტეთ. არაფერი გამოჩენილა. ვფიქრობდი, ნუთუ არა ჰყავს ამ წყალს ბინადარი-მეთქი, რომ კანაფი შეირხა. ჰანსმა ანკესი ამოსწია.

- თევზი! - წამოიძახა ბიძაჩემმა.

- ზუთხია! - ვთქვი მე. - პატარა ზუთხი!

პროფესორმა ყურადღებით დაათვალიერ თევზი და არ დამეთანხმა. თქვ ა, ეს თევზი უკბილო, ბრტყელი, მომრგვალებული თავიანია და სხეულის წინა და უკანა ნაწილი მთლიანად ძვლის ფირფიტების ჯავშინითა აქვს დაფარული. იმავე კლასს ეკუთვნის, რომელსაც ბუნებისმეტყველებმა ზუთხი მიაკუთვნეს, მაგრამ ზუთხისაგან საკმაოდ განსხვავდებაო. არც შემცდარა. თევზი ყურადღებით შეათვალიერა და დაასკვნა.

- ეს თევზი ეკუთვნის მრავალი საუკუნის წინ ამოწყვეტილ ოჯახს, რომლის განამარხებული ძვლები დევნონური პერიოდის ფენებშიღა მოიპოვება.

- როგორ! - გამიკვირდა მე, - ჩვენ ხელთ ვიგდეთ პირველყოფილი ზღვების ცოცხალი მკვიდრი?

- დიახ, - მიპასუხა პროფესორმა, თან დაკვირვება განაგრძო, - და, როგორც ხედავ, ამ თევზისმაგვარ ნამარხს თანამედროვე თევზებთან არაფერი აქვს საერთო. ჰოდა, ერთ-ერთი ასეთი თევზის ცოცხლად ხელში აყვანა ნამდვილი ბედნიერებაა ბუნებისმეტყველისათვის.

- კი მაგრამ, ეს თევზი რომელ ოჯახს ეკუთვნის?

- განოიდური თევზების ოჯახს, სეფლასპისების კლასისა, გვარი კი...

- რომელია?

- ვფიცავ, პტერისტების გვარი უნდა იყოს! მაგრამ ამას ერთი თავისებურება აქვს, რომელსაც, როგორც ამბობენ, მიწისქვეშა წყლების თევზებში ვხვდებით.

- რომელი?

- ბრმაა!

- ბრმაო!

საერთოდ არა აქვს მხედველობის ორგანო.

ვაკვირდები. სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ, იქნებ ეს გამონაკლისია. ანკესს კიდევ წამოვაცვით ხორცი და ზღვაში გადავაგდეთ. ზღვა თევზით სავსე იყო. ორი საათი ვითევზავეთ და უამრავი პტერიტები დავიჭირეთ. ანკესს დიპტერიდებიც მოჰყვა, ბიძაჩემმა მათი გვარი ვერ დაადგინა. თვალი არცერთს არა ჰქონდა. ეს მოულოდნელი თევზაობა სასარგებლო გამოდგა. სურსათი შეგვემატა.

ეტყობა, ამ ზღვაში მხოლოდ ნამარხი სახეობანი მოიპოვება, განსაკუთრებით უძველესი თევზები და ქვეწარმავლები შემონახულან.

იქნებ, რომელიმე ქვეწარმავალსაც წავაწყდეთ, რომელთა არსებობაზე მეცნიერები ერთი ციცქნა ძვლის ნარჩენებით მსჯელობენ.

დურბინდს ვიმარჯვებ და ზღვას ვათვალიერებ. არაფერი ჩანს, უთუოდ, ჩვენ ჯერ კიდევ შორს არ შევჭრილვართ ზღვაში.

ზევით ავიხედე, რატომ არ უნდა გაჰკვეთოს ეს მკვრივი ჰაერი და ფრთების შხუილით არ გადაგვიაროს თუნდაც უკვდავი კიუვიეს მიერ აღდგენილმა რომელიმე ფრინველმა? საკვებად მათ თევზიც საკმაოდ ექნებოდათ. სივრცეს ვაკვირდები, მაგრამ ჰაერშიც, ნაპირისა არ იყოს, ერთი სულდმგულიც არა ჩანს. წარმოდგენას გადავყევარ პალეონთოლოგიის მშვენიერი ჰიპოთეზების სამყაროში. ცხადლივ სიზმარსა ვხედავ. წყლის ზედაპირზე მელანდება უშველებელი ქერსიტები, წარღვნამდელი კუ, მოტივტივე კუნძულებს რომ ჰგავს. მოქუფრული ნაპირების ქვიშაზე გამოდიან პირველყოფილი ძუძუმწოვარა ცხოველები, ლეპტოთერიუმი, ბრაზილიის გამოქვაბულებში რომ იპოვეს, მერიკოთერიუმი, ციმბირის მყინვარეული არეების მკვიდრი. უფრო შორს, კლდეებს იქით, ჩანს სქელკანიანი ლოფიოდონი - ბუმბერაზი ტაპირი, ნადავლს ედავება ანოპლოთერიუმს, უცნაურ ცხოველს, რომელიც მარტორქასაც, ცხენსაც, ჰიპოპოტამსაც და აქლემსაც ჰგავს, თითქოს უფალი სამყაროს შექმნის პირველ საათებში აჩქარებულა და ერთ ცხოველში მრავალი ცხოველის თვისება აურევია. გოლიათი მასტოდონტი თავის ხორთუმს ატრიალებს და ეშვებით ნაპირის კდლეებს ანგრევს, ხოლო მეგათერიუმი უშველებელი თათებით მიწას თხრის და მისი ბღავილი ჟღერადი გრანიტის კლდეებში ექოს იწვევს. უფრო მაღლა ციცაბო კლდეებზე დაცოცავს მაიმუნების წინაპარი. კიდევ უფრო მაღლა, ფრთახელიანი პტეროდაქტილი ღამურასავით ნავარდობს მკვირვ ჰაერში. და ბოლოს, სულ ზედა ფენებში, ვხედავ ვეება ფრინველებს, კასიურაზე უფრო ძლიერებს, სირაქლემაზე უფრო დიდებს, ფართო ფრთებს შლიან და ზევითკენ მიისწრაფიან, გრანიტის გუმბათს აწყდებიან.

მთელი ეს მიწისქვეშა ნამარხი სამყარო გაცოცხლდა ჩემს გონიერებაში. თვალწინ მესახება სამყარო, პირველყოფილი ადამიანის წარმოშობამდე ბევრად ადრე, როდესაც ჯერ ჩამოუყალიბებელი დედამიწაზე საკმარისი პირობები არ იყო ადამიანის არსებობისათვის. ჩემი სიზმარი წინ უსწრებს ცოცხალ არსებათა წარმოშობას. უკან ვიხევ: ძუძუმწოვარი ცხოველები ქრებიან, შემდეგ ფრინველები, შემდებ მეზოზიური ერის ქვეწარმავლები, და ბოლოს, თევზები, კიბოსნაირნი, მოლუსკები. ქრებიან და არყოფნაში იძირებიან გარდამავალი პერიოდის ზოოფიტები. დედამიწის მთელი სიცოცხლე ჩემშია მოქცეული და ამ დაცლილ, უკაცრიელ სამყაროში მხოლოდ ჩემი გული ჟღერს. არ არსებობს არც წელიწადის დროები, არც კლიმატების სხვაობა; დედამიწის სითბო განუწყვეტლივ მატულობს და უკვე სხივოსანი მნათობის სითბოს აღემატება. მცენარეულობა ჭარბად ვითარდება და ბუმბერაზი ხდება. აჩრდილივით დავდივარ ხისებრ გვიმრებს შორის, გაუბედავად დავდივარ ჭრელ მერგელსა და ქვიშაქვაზე, უშველებელი წიწვიანი ხეების შტამბს ვეყრდნობი; სფენოფილების, ასტეროფილებისა და ასი ფუტის სიმაღლის ლიკოიპოდების ჩრდილში ვიძინებ.

საუკუნეები წუთებივით გარბიან! მივყვები დედამიწის გარდაქმნას. მცენარეები ქრებიან; გრანიტული კლდეები სიმკვრივეს კარგავენ; უფრო ინტენსიური სიცხის გავლენით, მკვირვი მდგომარეობა თხევადში გადადის, დედამიწის ზედაპირზე წყალი იშლება, დუღს და ორთქლდება; წყლის ორთქლი დედამიწას ფარავს, დედამიწა - კი თანდათან გაზისებურ, გავარვარებულ მასად იქცევა, თეთრად ვარვარებს, მზის ოდენაა და მასავით ბრწყინვალე!

ამ ნისლეულის შუაგულში, რომელიც მილიონ ოთხასი ათასჯერ უფრო დიდია ვიდრე ის დედამიწა, რომელსაც იგი ერთ მშვენიერ დღეს შექმნის, მე პლანეტარულ სივრცეში მივქრივარ! ჩემი სხეული უწონადო ხდება და ატომის მსგავსად ერთვის გაზისებურ მასას, რომელიც უსასრულობაში თავის ალმოდებულ ორბიტას ხაზავს!

რა ოცნებაა! სად გადავყავარ? ჩემი ციებ-ცხელებით შეპყრობილი, აკანკალებული ხელით უცნაურ დეტალებს ქაღალდზე ვხატავ! ყველაფერი დამავიწყდა; პროფესორიც, გამყოლიც და ტივიც! ჩემს გონებას ჰალუცინაცია დაეუფლა...

- რა დაგემართა? - მეკითხება ბიძაჩემი.

ფართოდ გახელილი თვალებით შევცქერი - ვერ კი ვხედავ.

- ფრთხილად, აქსელ, თორემ წყალში ჩავარდები!

იმავე წამს მე ვგრძნობ, თუ როგორ ღონივრად ჩამავლო ხელი ჰანსმა. ის რომ არ ყოფილიყო, ზმნებით შეპყრობილი, ტალღებში გადავეშვებოდი.

- ხომ არ შეიშალა? - წამოიძახა პროფესორმა.

- რა მოხდა? - ვიკითხე, გონს რომ მოვედი.

- ავად ხომ არა ხარ?

- არა, წამიერი ჰალუცინაცია მქონდა, მაგრამ უკვე გამიარა. ისე, ყველაფერი ხომ რიგზეა?

- დიახ! ზურგის ქარია, ზღვა მშვიდია, სწრაფად მივქრივართ და, თუ ვარაუდი არ მღალატობს, მალე ნაპირსაც უნდა მივადგეთ.

ამ სიტყვების გაგონებაზე წამოვდექი და ჰორიზონტს გავხედე; მაგრამ წყლის კიდე კვლავინდებურად ღრუბელთა კიდეს ერთვოდა.

ოცდამეცამეტე თავი

შ ა ბ ა თ ი, 15 ა გ ვ ი ს ტ ო. - ზღვა ისევ ისეთივე ერთფეროვანია. ხმელეთი არსად ჩანს. მხოლოდ უკიდეგანო სივრცეა ჩვენ წინ.

სიზმრის სიმძაფრე ჯერაც თავს მიმძიმებს.

ბიძაჩემს სიზმარი არ უნახავს, მაგრამ უგუნებოდ არის. დურბინდით ზვერავს სივრცის ყველა წერტილს და განაწყენებული ხელებს გულზე იკრებს.

ვამჩნევ, რომ პროფესორ ლიდენბროკს ისევ უბრუნდება კვლავინდებური მოუთმენლობა, რომელსაც თითქოს გადაეჩვია და ამ ფაქტს ჩემს დღიურში ვინიშნავ. ადრე ალბათ ჩემმა ფათერაკმა გაუღვიძა ადამიანური გრძნობა, მაგრამ, განვიკურნე თუ არა, ისევ თავისას დაუბრუნდი და ბუზღუნი დაიწყო. რა საჭიროა გაფიცხება? ჩვენ მოგზაურობას ხომ ყველაფერი ხელს უწყობს, ტივი სწრაფად წინ მიიწევს და მეტი რაღა უნდა?

- რაღაც გაწუხებთ, ბიძჩემო? - ვკითხე, როდესაც დავინახე დურბინდი ისევ თვალებთან მიაქვს.

- მაწუხებს? არა.

- მაშ მოთმინება აღარ გყოფნით?

- მოთმინება, რახანია, დავკარგე!

- რატომ? ჩვენ ხომ დიდი სიჩქარით მივცურავთ...

- ამას რა მნიშვნელობა აქვს? სიჩქარე კი არ არის მცირე, მაგრამ ზღვა მეტისმეტად დიდია!

მაშინ გამახსენდა, რომ გამგზავრება წინ ამ მიწისქვეშა ოკეანის სიგანეს პროფესორი დაახლოებით ოცდაათი ლიეს ვარაუდობდ. ჩვენ კი უკვე სამი იმდენი გავიარეთ, და სამხრეთ ნაპირი კი ჯერ არსად ჩანდა.

- მივცურავთ, მაგრამ, ქვევით არ ჩავდივართ! - განაგრძო პროფესორმა. - ეს დაკარგული დროა და, კაცმა რომ თქვას, მე იმისათვის კი არ მოვსულვარ ამ სიშორეს, რომ ტბორზე ვისეირნო!

ამ მოგზაურობას იგი გასეირნებას უძახის, ხოლო ამ ზღვას კი - ტბორად თვლის!

- რახან საკნუსემის მიერ მითითებულ გზას დავადექით...

- სწორედ ესაა საკითხავი, მაგ გზას თუ მივყვებით? შეხვდა თუ არა საკნუსემს ეს ზღვა? მოუხდა თუ არა მისი გადალახვა? გზა ხომ არ აგვიბნია იმ ნაკადულმა, ჩვენ რომ გამყოლად ავირჩიეთ?

- ყოველ შემთხვევაში, დასანანი არაფერი გვაქვს... ეს სანახაობა საუცხოოა, - და...

- რა დროს სანახაობაა! მე გარკვეული მიზანი დავისახე და მინდა მივაღწიო კიდევაც! ასე რომ სანახაობასა და სილამაზეზე ნუ მელაპარაკები!

შევისმინე ნათქვამი და პროფესორი ნებას მივუშვი - რამდენიც უნდა იკვნიტოს ტუჩები მოუთმენლობისაგან. საღამოს ექვს საათზე ჰანსმა თავისი ჯამაგირი მოითხოვა. პროფესორმა დაუთვალა სამი რიქსდალი.

კ ვ ი რ ა, 16 ა გ ვ ი ს ტ ო. - ახალი არაფერია. ამინდი ისეთივეა. ქარი ძლიერდება. გავიღვიძე თუ არა, ჩემი პირველი საზრუნავი სინათლის ინტენსიურობის შემოწმება იყო. სულ იმას ვშიშობ, რომ ეს ელექტრონული მოვლენა არ შესუსტდეს და მერე სულაც არ ჩაქრეს. მაგრამ არაფერი ეტყობა: ტივი ს ჩრდილი მკაფიოდაა გამოსახული ტალღების ზედაპირზე.

ეს ზღვა მათლაც რომ უსასრულოა? იგი, უთუოდ, ხმელთაშუა ზღვასავით განიერია, ან იქნებ ატლანტის ოკეანესავით ვრცელია. რატომაც არა?

ბიძაჩემი ხშირად ზომავს ზღვის სიღრმეს. თოკის ბოლოს ყველაზე მძიმე წერაქვს აბამს და ორასი ბრასის სიღრმეზე უშვებს. ფსკერს ვერ წვდება. ძალიან გვიჭირს ლოტის უკან ამოღება.

როდესაც წერაქვი ტივზე დავაბრუნეთ, ჰანსმა მიჩვენა მის ზედაპირზე მკაფიოდ აღბეჭდილი ნაჭდევები. გეგონებოდა, რკინის ეს ნაწრი მარწუხებში მოხვდაო.

მონადირეს ვუცქერი.

- Tänder!- ამბობს იგი.

მე არ მესმის, ბიძაჩემს შევხედე, მაგრამ იგი ფიქრებშია წასული. მის შეწუხებას ვერ გავბედავ. ისლანდიელს მივუბრუნდი. ჰანსმა ბევრჯერ გააღო და დამუწა პირი. ამით გამაგებინა თავისი აზრი.

- კბილები! - წამოვიძახე გაოცებულმა და წერაქვი უფრო გულდასმით, დავათვალიერე.

დიახ! ლითონზე სწორედ ნაკბილევი იყო აღბეჭდილი. ცხოველი, რომელსაც ეს ყბა და კბილები ეკუთვნის, დიდი ღონის პატრონი უნდა იყოს! წყლის ღრმა ფენებში ხომ არ ფართხალებს იმ გამქრალ სახეობათა ერთ-ერთი ურჩხული, ზვიგენზე უფრო გაუმაძღარი, და ვეშაპზე უფრო საშიში? ამ ნახევრად გადაკვნეტილ წერაქვს თვალს ვერ ვაშორებ! გასული ღამის სიზმარი ხომ არ ამიცხადდა?

მთელი დღის განმავლობაში ეს ფიქრები არ მასვენებდა აფორიაქებული გონება რამდენიმე საათის ძილმა ოდნავ დამიმშვიდა.

ო რ შ ა ბ ა თ ი, 17 ა გ ვ ი ს ტ ო. - მეორე ეპოქის წარღვნამდელი ცხოველების დამახასიათებელი ინსტინქტების გახსენებას ვცდილობდი. ეს ცხოველები მოყვნენ მოლუსკებს, კიბოსნაირებსა და თევზებს და დედამიწაზე ძუძუმწოვარი ცხოველების გამოჩენას წინ გაუსწრეს. მაშინ დედამიწა ქვეწარმავლებს ეკუთვნოდა. ეს ურჩხულები იურული პერიოდის ზღვების ბატონ-პატრონები იყვნენ. ბუნებამ მათ უბოძა ყველაზე სრულყოფილი ორგანიზაცია. გოლიათური აგებულება, სასწაულებრივი ძალა! ახლანდელი ყველაზე დიდი და საშინელი ხვლიკები, ალიგატორები და ნიანგები, წინაპებთან შედარებით სუსტი და დაკნინებული მოგეჩვენებათ.

ამ ურჩხულთა გახსენებაზე ჟრუანტელმა დამიარა. ადამიანის თვალს ისინი ცოცხალი არ უნახავს. ისინი ადამიანამდე ათასი საუკუნით ადრე გაჩდნენ დედამიწაზე, მაგრამ იმ კირქვებში, რომელსაც ინგლისელები ლეიასს[1] უწოდებენ, მოპოვებული ნამარხი ძვლების ანტატომიური რეკონსტრუქციის შედეგად შესაძლებელი გახდა მათი კოლოსალური სიდიდის დადგენა.

ჰამბურგის მუზეუმში მე მინახავს ერთი ხვლიკის ჩონჩხი, რომლის სიგრძე ოცდაათი ფუტი იყო. ნუთუ მე, დედამიწის მკვიდრს, წილად მხვდა პირისპირ შევხვდე წარღვნამდელ

ქვეწარმავალთა ოჯახის წარმომადგენელს? არა! ეს შეუძლებელია. მაგრამ რკინის ბერკეტს ძლიერი კბილების კვალი ამჩნევია და მათი ანაბეჭდი, როგორც ვხედავთ, ისეთივე კონუსისებურია, როგორც ნიანგის კბილების კვალი.

შეძრწუნებული ზღვას ვაჩერდები და შიშით მოველი, თუ როგორ ამოიყურყუმელავებს წყალქვეშა გამოქვაბულების ერთ-ერთი მკვიდრი.

ვფიქრობ, რომ პროფესორი ლიდენბროკიც ჩემს შიშს თუ არა, აზრებს მაინც იზიარებს, რადგან მას შემდეგ, რაც წერაქვი დაათვალიერა, დროდადრო ოკეანეს _____

1 მეორეული პერიოდის ზღვები, რომლებმაც ის ქანები შექმნეს, რომელთაგან იურული მთები შედგება (ავტორის შენიშვნა).

გადაავლებს ხოლმე თვალს.

"რა ჭირად უნდოდა ეს ზონდირება რომ მოიგონა! მან ხომ რომელიღაც ცხოველი შეაწუხა თავის ბუნაგში და თუ თავს დაგვესხა!..."

იარაღს გადავხედე და დავრწმუნდი, რომ კარგად არის შენახული. ბიძაჩემმა თვალი გააყოლა და მოწონების ნიშნად თავი დამიქნია.

წყლის ზედაპირის აღელვება უკვე მოწმობს, რომ შიდა ფენებშიაც სიწყნარე არ არის. ხიფათი ახლოა. საჭიროა სიფხიზლე.

ს ა მ შ ა ბ ა თ ი, 18 ა გ ვ ი ს ტ ო. - დადგა საღამო, ან, უკეთ, ის წამი, როდესაც ძილი ქუთუთოებს ამძიმებს, რადგან ამ ოკეანეში ხომ ღამე არ არის. ულმობელი სინათლე თვალებს ღლის, თითქოს ვმოგზაურობდეთ არქტიკის მზის ქვეშ. ჰანსი საჭესთანაა. ვიდრე იგი მორიგეობს, მე ვიძინებ.

ორი საათი მეძინა. ტივის ძლიერად რყევამ გამომაღვიძა. საშინელმა ძალამ ტივი ასწია. ტალღებს ააცილა და ოცი ტუაზის მანძილზე გადაისროლა.

- რაშია საქმე? - წამოიძახა ბიძაჩემმა. - ხმელეთზე ხომ არ შეგვაგდო?

ჰანსი თითით უჩვენებს ორასი ტუაზის მანძილზე მოშავო მასას, ეს მასა ხან ამოტივტივდება, ხან წყალქვეშ ეშვება. შევხედე და დავიძახე:

- ეს უშველებელი ზღვის ღორია!

- დიახ, - მომიგო ბიძაჩემმა, - და აი, კიდევ უჩვეულო ზომის ზღვის ხვლიკი.

- იქით, უფრო მოშორებით კი ვეება ნიანგი! დახედეთ მის ფართე ყბას და კბილებს... დახედეთ, უკვე იმალება!

- ვეშაპი! ვეშაპი! - იძახის პროფესორი. - მე ვხედავ მის ვეება ფარფლებს! დახედეთ, როგორ ანთხევს სასულეთი ჰაერსა და წყალს!

მართლაც, სითხის ორი შადრევანი საკმაოდ მაღლა ამოიფრქვა. ჩვენ გაკვირვებული ვართ, თავზარი დაგვცა ზღვის ამ ურჩხულთა ჯოგის დანახვამ. მათმა არაჩვეულებრივმა სიდიდემ დაგვაფრთხო, რადგან ყველაზე პატარასაც კი შეეძლო კბილებით დაემსხვრია ჩვენი ტივი. ამ სახიფათო მეზობლობას რომ გავქცეოდით ჰანსმა განიზრახა ქარის მიმართულებით დაეყენებინა საჭე. მაგრამ მეორე მიმართულებით არანაკლებ საშიში მტრები დაინახა: ორმოცი ფუტის სიგანის კუ და ოცდაათი ფუტის სიგრძის გველი, რომელსაც უშველებელი თავი ტალღებიდან ამოეწია.

გაქცევა შეუძლებელი იყო. ქვეწარმავლები გვიახლოვდებოდნენ. ისინი ტივის ირგვლივ ჩქარი მატარებელივით ტრიალებდნენ. კარაბინს ხელი დავავლე, მაგრამ რა ზიანს მოუტანდა ტყვია მათ ჯავშანს?

შიშისაგან დავმუნჯდით. აი, ისინი გვიახლოვდებიან! ერთის მხრივ ნიანგი, მეორე მხრიდან გველი. ზღვის ურჩხულები გაქრნენ. გასროლას ვაპირებდი. ჰანსმა მანიშნა შევჩერებულიყვი, ორმა ურჩხულმა ტივისაგნ ორმოცდაათი ტუაზის მოშორებით ჩაიარა, ერთიმეორეს ეცნენ და, გაშმაგებულები, ჩვენ ვეღარ გვხედავდნენ.

ტივიდან ასი ტუაზის დაშორებით დაიწყო ორთაბრძოლა. ჩვენ გარკვევით ვხედავდით, როგორ ჩაეჭიდა ერთმანეთს ორი ურჩხული.

მაგრამ მე მომეჩვენა, რომ ახლა სხვა ცხოველებიც უახლოვდებიან, ბრძოლაში ჩასაბმელად ზღვის ღორი, ვეშაპი, ხვლიკი, კუ რიგრიგობით ჩნდებიან წყლიდან. ისლანდიელს ვანიშნებ, მაგრამ ჰანსი უარის ნიშნად თავს იქნევს.

- Tva , - ამბობს იგი.

- რაო! ორი? იგი ამტკიცებს, რომ მხოლოდ ორი ცხოველია.

- მართალიცაა, - წამოიძახა ბიძაჩემმა, - რომელსაც დურბინდი არ მოუშორებია თვალიდან.

- რასა ბრძანებთ!

- დიახ! ამ ურჩხულთაგან პირველს ზღვის ღორის დინგი აქვს, ხვლიკის თავი და ნიანგის კბილები და სწორედ ამან შეგვაცდინა. ეს ხომ წარღვნამდელ ცხოველთა შორის ყველაზე საშიში ცხოველია - იხტიოზავრი!

- მეორე?

- მეორე კუს ჯავშანში დამალული გველი, პირველის ულმობელი მტერი პლეზიოზავრი.

ჰანსს მართალი უთქვამს. ამრიგად, მხოლოდ ორი ურჩხული აღელვებს ზღვის ზედაპირს, და ჩემ თვალწინა პირველადი ხანის ოკეანეთა ორი ქვეწარმავალი. ვამჩნევ იხტიოზვრის ადამიანის თავის ოდენა ჩასისხლიანებულ თვალებს. ბუნებამ იგი აღჭურვა უძლიერესი ოპტიკური აპარატით, რომელსაც შეუძლია გაუძლოს წყლის სიღრმეული ფენების წნევას, სადაც იგი ცხოვრობს. მას სწორედ შეარქვეს ქვეწარმავალთა ვეშაპი, რადგან იგი ვეშაპივით სწრაფი და დიდია. სიგრძე არა ნაკლებ ასი ფუტისა აქვს და როდესაც იგი ტალღებს ზემოთ გამოაჩენს ხოლმე კუდის ვერტიკალურ ფარფლებს, უზარმაზარია. ყბა ვეებერთელა აქვს და, ბუნებისმეტყველთა აზრით, ას ოთხმოცდაორ კბილზე ნაკლები არ უნდა ჰქონდეს.

პლეზიოზვრს, ცილინდრული სხეულის მქონე გველს, მოკლე კუდი აქვს და ნიჩბისებურად განლაგებული თათები. მისი სხეული დაფარულია ჯავშანით. გედის კისერივით მოქნილი კისერი იკლაკნება და ზღვის ზედაპირიდან ოცდაათი ფუტითაა ამოწეული.

ცხოველები გაშმაგებით ეკვეთნენ ერთმანეთს. აქაფებენ და აღელვებენ ზღვას და მთასავით ზვირთებს აყენებენ. ოცჯერ კინაღამ გადავტრიალდით. საშინელი ღრიალი იქაურობას ზარავს. ორი ცხოველი ერთმანეთში გადაიხლართა და ვეღარ ვარჩევთ რომელი სად არის. გამარჯვებული მხეცი შეიძლება ჩვენ გვეცეს.

განვლო ერთმა, ორმა საათმა. გააფთრებული შერკინება არა ცხრება. შებმულები ხან უახლოვდებიან ტივს, ხან შორდებიან. ჩვენ უძრავად ვართ და გამზადებული იარაღი მომარჯვებული გვაქვს.

უეცრად იხტიოზავრიც და პლეზიოზავრიც გაქრა და ტალღებში ნამდვილი მორევი დატრიალდა. რამდენიმე წუთმა განვლო. ზღვის სიღრმეში ბრძოლა დამთავრდა?

უცებ პლეზიოზავრის უშველებელი თავი გამოჩნდა. ზედაპირზე სასიკვდილოდ დაჭრილი ურჩხულის მხოლოდ კისერია აღმართული, რომელიც ხან ეცემა, ხან ისევ სწორდება, იკლაკნება, მათრახივით ტალღებს უტლაშუნებს და გაჭრილ ჭიასავით იგრიხება, გვაბრმავებს. მის ჯავშანს ვეღარ ვხედავ. მალე ქვეწარმავლის აგონიამ დასასრულს მიაღწია. მოძრაობა შენელდა, ცხოველი აღარ იგრიხება და უძრავად გაიჭიმა დამშვიდებულ ზვირთებზე.

რა იქნა იხტიოზავრი? თვის წყალქვეშა გამოქვაბულს დაუბრუნდა თუ ისევ ამოყოფს თავს ზღვის ზედაპირზე?

ოცდამეთოთხმეტე თავი

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი, 19 ა გ ვ ი ს ტ ო. - საბედნიერო, ქარი, რომელიც ძლიერად უბერავდა, დაგვეხმარა სწრაფად გავშორებოდით ბრძოლის ადგილს. ჰანსი ისევ საჭესთანაა. ბიძაჩემი

ამ ბრძოლის ინციდენტებმა ფიქრებიდან გამოიყვანა და ახლა კვლავ მოუთმენლად ათვალიერებს ზღვს.

მოგზაურობა ისევ ერთფეროვანი ხდებოდა, მე მაიცნდამაინც არ მინდა, რომ ეს ერთფეროვნება დაირღვეს გუშინდელი სახიფათო მრავალფეროვნებით.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ი, 20 ა გ ვ ი ს ტ ო. - საკმაოდ არათანაბარი ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი ქრის. თბილა. საათში სამ ნახევარი ლიეს სიჩქარით მივდივართ.

შუადღისას ძალიან შორეული ხმაური გაისმა. მხოლოდ ფაქტს აღვნუსხავ, მაგრამ მისი ახსნა კი არ შემიძლია. გაბმული ღმუილი ისმის.

- შორს უნდა იყოს, - თქვა პროფესორმა, - ტალღები ეხეთქებიან რომელიმე კლდეს ან პატარა კუნძულს.

ჰანსი ანძაზე ავიდა, მაგრამ არავითარი რიფი არ დაუნახვს. ჰორიზონტამდე ზღვის უწყვეტი ზედაპირი იშლება.

გაიარ სამმა საათმა. ღმუილი თითქოს შორეული ჩანჩქერიდან მოდიოდა.

ბიძაჩემს გავუზიარე ჩემი აზრი, მაგრამ თავი გააქნია. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ არა ვცდები. რომელიმე ჩანჩქერისაკენ ხომ არ მივემართებით, რომელიც უფსკრულში გადაგვისვრის? შესაძლოა, რომ ჩასვლის ასეთი საშუალება პროფესორს მოეწონოს, რადგან იგი ვერტიკალს უახლოვდება, მაგრამ მე...

ყოველ შემთხვევაში, ჩვენგან რამდენიმე ლიეს მანძილზე უნდა იყოს რაღაც მოვლენა, ხმაურს რომ იწვევს, რადგან ღმუილი სულ უფრო და უფრო ძლიერდება. ზეციდან მოდის ეს ხმაური თუ ოკეანიდან?

ვაკვირდები ატმოსფეროში ჩამოკიდბულ ორთქლის ღრუბლებს და ვცდილობ ჩავწვდე მათ სიღრმეს. ცა მშვიდია. ღრუბლები ზედ თაღქვეშაა აკრეფილი, თითქოს უძრავია და სინათლის ინტენსიურ გამოსხივებაში იკარგება. ასე რომ, მოვლენის მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ.

მზერას ნისლისაგან თავისუფალ, გადაწმენდილ ჰორიზონტს მივაპყრობ. მისი იერი არ გამოცვლილა. მაგრამ თუ ეს ხმაური ჩანჩქერიდან მოდის, თუ მთელი ეს ოკეანე უფრო დაბალ აუზში ეშვება და თუ ამ ღმუილს ვარდნილი წყალი წარმოშობს, მაშინ დინება უნდა აჩქარდეს, და მისმა აჩქარებამ შეიძლება გვაგრძნობინოს მოახლოვება ხიფათისა, რომელიც ჩვენ გვემუქრება. წყალს ვაკვირდები, მაგრამ დინებას ვერ ვამჩნევ. ზღვაში ჩაგდებული ცარიელი ბოთლი ერთ ადგილას ტივტივებს.

ოთხი საათისათვის ჰანსი ადგა და ანძის წვერზე ავიდა. აქედან მზერა წვდება ოკეანის კიდეს. მან გარშემო დაათვალიერა მიდამო და ერთ წერტილზე შეჩერდა. მისი სახე არავითარ გაკვირვებას არ გამოხატავს, მაგრამ თვალები გაუშტერდა.

- რაღაც დაინახა, - მითხრა ბიძაჩემმა.

- მგონი კი.

ჰანსი ჩამოვიდა, შემდეგ სამხრეთისაკენ გაიშვირა ხელი და თქვა:

- Der nere!

- იქ? - იკითხა ბიძაჩემმა. - აიღო დურბინდი და ერთ წუთს ყურადღებით უჭვრეტდა. ეს წუთი მე საუკუნედ მეჩვენა.

- დიახ, დიახ! - წამოიძახა პროფესორმა.

- რას ხედავთ?

- ტალღების ზემოთ ვეება წყლის სვეტს.

- ისევ ზღვის ცხოველია?

- შესაძლოა.

- მაშინ უფრო დასავლეთისაკენ ავიღოთ გეზი, რადგან ვიცით, თუ რა ხიფათს წარმოადგენს ამ წარღვნამდელი ურჩხულების შეხვედრა!

- ისევ ამ გეზით ვიაროთ, - მიპასუხა ბიძაჩემმა.

ჰანს მოვუბრუნდი. საჭე უდრეკად ეჭირა. წყლის სვეტამდე თორმეტი ლიე მაინც იქნებოდ. თუკი სეთი შორი მანძილიდან ცხოველების მიერ ამოტყორცნილი წყლის სვეტის

დანახვა შეიძლებოდა, თვითონ ცხოველი უშველბეი ზომისა უნდა ყოფილიყო, სიფრთხილის წესებს რომ დავმორჩილებოდით, გაქცევა გვმართებდა, მაგრამ აქ იმისათვის კი არ ვიყავით მოსული, რომ სიფრთხილე გამოგვეჩინა.

ამრიგად, კვლავინდებურად განვაგრძეთ გზა. რაც უფრო ვუახლოვდებოდით, მით უფრო იზრდება წყლის სვეტი. რომელ ურჩხულს შეუძლია ამდენი წყლის შთანთქმა და შემდეგ მისი ამოტყორცნა?

საღამოს რვა საათზე ურჩხულს ორი ლიეც კი აღარ გვაშორებდა. მისი მოშავო სხეული, ვეება, საზარელი, პატარა კუნძულივით აღმართულ ზღვაში. თვალი გვატყუებს თუ შიში ზომას მატებს? მე მეჩვენება, რომ ათასი ტუაზის სიგრძისაა! რომელია ეს ვეშაპისებრი ცხოველი, რომელიც არ გაუთვალისწინებიათ არც კიუვიესა და არც ბლუმენბახს? იგი უძრავადაა და თითქოს ჩასძინებია. ზღვას არ ძალუძს მისი დაძვრა, ტალღები ეტლაშუნებიან მის გვერდებს, ხუთასი ფუტის სიმაღლეზე ატყორცნილი წყლის სვეტი გამაყრუებელი ხმაურით აწვიმს. ჩვენ კი გიჟებივით მივქრივართ ამ უშველებელი სხეულისაკენ, რომელსაც დღეში ასი ვეშაპიც ვერ გააძღებდა.

შიშმა შემიპყრო. უფრო შორს წასვლა არ მინდოდა. თუ საჭირო გახდებოდა, აფრის ბაწარსაც გადავჭრიდი. პროფესორს აღშფოთება გავუზიარე, მაგრამ მან პასუხიც არ გამცა.

უცებ ჰანსი ფეხზე წამოდგა და იმ საშიში სხეულისაკენ თითი გაიშვირა.

- Holte! - თქვა მან.

- კუნძული! - წამოიძახა ბიძაჩემმა.

- კუნძული! - გავიმეორე მეც და მხრები ავიჩეჩე.

- რა თქმა უნდა, - მიპასუხა პროფესორმა და ხარხარი დაიწყო.

- ეს წყლის სვეტი რაღაა?

- Geyser, - თქვა ჰანსმა.

- ცხადია, რომ გეიზერია! - მიპასუხა ბიძაჩემმა - ისლანდიის გეიზერბის მსგავსი გეიზერი![1]

ჯერ არ მინდოდა გავმტყდარიყავი, რომ ასე სამრაცხვინოდ შევცდი პატარა კუნძული ზღვის ურჩხულად მომეჩვენა! მაგრამ ვაღიარე. ეს ხომ მხოლოდდამხოლოს ბუნებრივი მოვლენაა.

რაც უფრო ვუახლოვდებოდით, შადრევანი სულ უფრო და უფრო გრანდიოზული ჩანდა, პატარა კუნძული საოცრადა ჰგავდა ვეება ვეშაპისებრ ცხოველს, რომლის თავი ათი ტუაზის სიმაღლიდან გადაჰყურებდა ტალღებს. გეიზერი, რომელსაც ისლანდიელები "გეისერად" გამოთქვამენ და "გაშმაგებას" ნიშნავს, დიდებულად ჩქეფდა მის კიდეზე.

დროდადრო იფეთქებდა ხოლმე ყრუ დეტონაცია და კიდევ უფრო გაფიცხებული უშველებელი ჭავლი შეარხევდა ორთქლის ქუდს და ავარდებოდა ხოლმე ღრუბელთა პირველ შრემდე. მას გარს არ ერტყმოდა არც ფუმაროლები, არც _____

1 ჰეკლას მახლობლად მდებარე ძალიან ცნობილი მფეთქავი წყარო (ავტორის შენიშვნა).

ცხელი წყაროები და მთელი ვულკანური ძალა აქეთ იყო მისწრაფებული. ელექტრონის შუქის სხივები ამ თვალისმომჭრელ თაიგულს უერთდებოდა, რომლის თითოეული წვეთი პრიზმის ფერთა ყველა ნიუანსში გადადიოდა.

- მივადგეთ, - ამბობს პროფესორი.

მაგრამ ძალიან უნდა მოვრიდებოდით წყლის ორმოტრიალს, რომელსაც ერთ წამში შეეძლო ტივის ჩაძირვა. ჰანსმა მოხერხებულად შეაბრუნა ტივი და პატარა კუნძულის კიდესთან მიაყენა.

მე კლდეზე გადავხტი. ბიძაჩემიც გამომყვა, მონადირეს კი თავისი პოსტი არ მიუტოვებია. მას ხომ არაფერი არ ანცვიფრებდა.

ჩვენ მივაბიჯებდით კაჟიანი ტუფისა და გრანიტის ნამსხვრევებზე. მიწა თრთოდა ჩვენ ფეხქვეშ, გეგონებოდა, გავარვარებული საქვაბე შენობის კედლებიაო. ჩვენ მივუახლოვდით პატარა ცენტრალურ აუზს, საიდანაც ამოტყორცნილა გეიზერი. მდუღარე წყალში ჩავუშვი თერმომეტრი და დავინახე, რომ ას სამოცდასამ გრადუსს უჩვენებდა.

ამრიგად, ეს წყალი გავარვარებული კერიდან ამოდის. ეს კი საოცრად ეწინააღმდგება პროფესორ ლიდენბროკის თეორიებს. თავი ვერ შევიკავე და ვუთხარი.

- აბა, რას ამტკიცებს ეს გარემოება ჩემი მოძღვრების წინაღმდეგს? - მიპასუხა ბიძაჩემმა.

- არაფერს, - ვუთხარი მშრალად, რადგან ვხედავდი, რომ თავის სიჯიუტეს მაინც არ იშლიდა.

მიუხედავად ამისა, მე იძულებული ვიყავი მეღიარებინა, რომ ჯერჯერობით ბედი საოცრად გვწყალობდა და, რაღაც ჩემთვის გაურკვეველი მიზეზის გამო, ეს მოგზაურობა ტემპერატურის განსაკუთრებულ პირობებში მიმდინარეობდა; მაგრამ ჩემთვის ისიც აშკარა და უდავო იყო, რომ ჩვენ დღეს თუ არა ხვალ მაინც მივადგებოდით იმ მხარეს, სადაც ცენტრალური სითბო ყველაზე მაღალ დონეს მიაღწევდა და თერმომეტრის ყველა გრადაციას აღემატებოდა.

- ამასაც ვნახავთ, - ამბობს პროფესორი, რომელმაც მონათლა რა ეს პატარა კუნძული თავის ძმისწულის სახელით, გამგზავრების ნიშანი მოგვცა.

კიდევ რამდენიმე წუთს ვტკბებოდით გეიზერის ცქერით. შევამჩნიე, რომ მისი ჭავლი თანაბრად არ სჩქეფდა, რომ მისი ინტენსიურობა ზოგჯერ კლებულობს, შემდეგ კი განახლებული ძალით ჩქეფს, რასაც მე მის რეზერვუარში დაგროვილი ორთქლის წნევის ცვალებადობით ვხსნი.

ბოლოს გავემგზავრე და გვერდი ავუარეთ სამხრეთის მეტად ფრიალო კლდეებს. ჰანსმა ისარგებლა გაჩერებით და ტივი შეაკეთა.

ვიდრე ნაპირს მოვშორდებოდით, მე რამდენიმე გავლილი მანძილი გამოვითვალე. დაკვირვებებმა მიჩვენა, რომ პორტ-გრაუბენის აქეთ ჩვენ გადავლახეთ ორას სამოცდაათი ლიე და ვიმყოფებოდით ისლანდიიდან ექვსასი ლიეს დაშორებით, ინგლისის ქვეშ.

ოცდამეთხუთმეტე თავი

პ ა რ ა ს კ ე ვ ი, 21 ა გ ვ ი ს ტ ო, - მეორე დღეს დიდებული გეიზერი თვალს მიეფარა. ქარი გაძლიერდა და ჩვენ სწრაფად დაგვაშორა პატარა კუნძულს. ღმუილი თანდათან მიჩუმდა.

ამინდი, თუ შეიძლება ამ სიტყვის ხმარება, უთუოდ, მალე შეიცვლება. ატმოსფერო იტვირთებოდა ორთქლით, რომელსაც თან მიჰქონდა მლაშე წყლის ანაორთქლით წარმოშობილი ელექტონი; ღრუბლები საგრძნობლად დაბლა დაეშვნენ და ზეთისხილის ფერისანი გახდნენ; ელექტრონის სხივები ძლივს არღვევდნენ ამ სქელ ფარდს, რომელიც ფარავდა სცენას, სადაც მალე ქარიშხალთა დრამა უნდა გათამაშებულიყო.

მე ძალიან ვღელავდი, როგორც ყოველი მიწიეირ არსება სტიქიური უბედურების მოახლოებისას. სამხრეთით დახვავებული ფენაგროვა ღრუბლები მრისხანედ გამოიყურებოიდნენ; ამთ ის ულმობელი იერი ჰქონდათ, რომელიც ხშირად შემინიშნავს ჭექაქუხილის წინ. ჰაერი დამძიმებულია, ზღვა მშვიდი.

შორეული ღრუბლები უწესრიგოდ დახვავებულ ბამბის ლამაზ ფანტელებსა ჰგავდნენ; მერე თანდათან გაიბერნენ, შეერწყნენ ერთმანეთს, მათმა რიცხვმა იკლო, სამაგიეროდ მოცულობამ იმატა. თანაც ისე დამძიმდნენ, რომ ჰორიზონტს ვეღარ ასცილდნენ. ქარმა იმძლავრ და ისინი თანდათან გაჰფანტა, ღრუბ ლები ზემოთკენ აიტაცა და იქ ერთ მრისხანე მრუმე ფენად გაშალა. ამ რუხ ფენაში ზოგჯერ შეიჭრებოდა ჯერ კიდევ მთვარის შუქის გამსჭვალული ორთქლის ბოლქვი, მაგრამ უმალვე იძირებოდა მუქსა და სქელ ღრუბლის ფენაში და იკარგებოდა. ატმოსფერო დაჭურვილი იყო ელექტრობით; მეც მთლად დამუხტულს, თმა ყალყზე მიდგებოდა, როგორც ელექტრონის მანქანის მოახლოებისას. მეჩვენებოდა, რომ თუ თანამგზავრები შემეხებოდნენ, მათ დენი დაარტყამდა.

დილის ათ საათზე ქარიშხლის მოახლოების ნიშნები უფორ მკაფიო გახდა. გეგონებოდა ქარის სიძლიერემ დაიკლო, რათა სული მოითქვასო; ღრუბელი ქარიშხალდაგროვილი ვეება ტიკს ჰგავდა.

არ მინდოდა დაჯერება, მაგრამ თავი ვერ შევიკავე და ვთქვი.

- ავდარი მოდის!

პროფესორმა არ მიპასუხა. იგი საშინელ გუნებაზე იყო, ამ უსასრულო ოკეანეს რომ გასცქეროდა.

ჩემს სიტყვებზე მხრები აიჩეჩა.

- ჭექა-ქუხილი იქნება, - ვუთხარი და ხელი ჰორიზონტისაკენ გავიშვირე. - ეს ღრუბლები ისე ეშვებიან ზღვაზე, თითქოს მის გაჭყლეტას ლამობენ!

ყველანი ვდუმდით. ქარი ჩადგა, ბუნება თითქოს ჩაკვდა. ნიავიც კი არ ქროდა. გაშლილი აფრა ისე ჩამოშვებულიყო, რომ ნაოჭები გასჩენოდა და მის ბოლოზე უკვე ვამჩნევ "წმინდა ელმის ცდომილ ალს", ტივი უძრავად იდგა მოლივლივე ზღვაში. რახან წინ არ მივიწევდით, რაღა საჭირო იყო აფრა აშვებული ყოფილიყო, მას ხომ ჩვენი დაღუპვა შეეძლო ქარიშხლის პირველსავე შემოტევის დროს.

- სიფრთხილე გვმართებს. აფრა დავუშვათ და ანძა მოვჩეხოთ, - ვამბობ, მაგრამ ბიძაჩემი აყვირდა;

- არა, ეშმაკსაც წაუღივართ! - ასჯერ არა! ქარმა გაგვიტაცოს! ქარიშხალმა წაგვიღოს! მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხმელეთი მაინც ვნახოთ. თუნდაც იმის ფასად, რომ ჩვენი ტივი ნაკუწ-ნაკუწად იქცეს!

ეს სიტყვები ჯერ დამთავრებული არ ჰქონდა, როდესაც ცის კიდემ უცებ იერი იცვალა. ღრუბლებში დაგროვილი ორთქლი დელგმად იქცა, გრილად ქცეული ჰაერის ტლღები უეცრად შემოიჭრა გაიშვიათებულ ატმოსფეროში. ქარაშოტი გამოქვაბულის ყველაზე შორეული კიდიდან მოდიოდა. ჩამობნელდა. ძლივს, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ვახერხებდი ზოგიერთი რამ ჩამენიშნა წიგნაკში. ქარმა ტივი ააბურთავა, ბიძაჩემი მაღლა აისროლა და დასცა. მისკენ გავცოცდი, იგი მაგრად ჩასჭიდებოდა ბაგირის წვერს და, ეტყობოდა, სიამოვნებით შესცქეროდა გაშმაგებული სტიქიის თარეშს.

ჰანსი ადგილიდან არ იძროდა. გრძელი თმა გასწეწოდა, სახეზე ჩამოშლოდა და მის გაბურძგნილ თმაში მოელვარე ნაპერწკალი ისე ენთო, იხტიოზავრებისა და მეგათერიუმების თანამედროვე პირველყოფილ ადამიანს ჰგავდა.

ანძა ჯერჯერობით უძლებდა. აფრა იჭიმებოდა, როგორც გაბერილი ბუშტი, რომელიც ეს-ეს არის უნდა გამსკდარიყო. ტივი სწრაფად მიქროდა, სიჩქარის გამოანგარიშებას ვერ ვახერხებდი, მაგრამ ნაკლებ სწრაფად, ვიდრე წყლის ჭავლი, წვიმის წვეთები უკვე სახეში გვცემდა.

- აფრა! აფრა! - ვყვიროდი და აფრის ჩამოშვების ნიშანს ვაძლევდი, მაგრამ ბიძაჩემი მიპასუხებდა:

- არა!

- Nej , - კვერს უკრავდა ჰანსი და თავს ოდნავ იქნევდა.

ამასობაში წვიმა თქრიალით ეშვებოდა იმ მწვანე ჰორიზონტის წინ, საითაც ჩვენ გიჟებივით მივექანებოდით. მაგრამ ვიდრე იგი ჩვენამდე მოაღწევდა, ღრუბლის ფარდა დაირღვა, ზღვა ადუღდა და მალულ ფენებში ქიმიური ზემოქმედების გავლენით წარმოშობილი ელექტრონი ჩაერთო თამაშში. ქუხილის გრგვინვას ელვის მოელვარე ნაკადები უერთდება. ურიცხვი ელვა ჯვარედინდებოდა. ჰაერში დაგროვილი ორთქლის მასა გახურდა; სინათლით გამსჭვალული სეტყვის მარცვლები ლითონის იარაღებს ეცემოდა და ელვარებდა; გაზრდილი ზვირთები ცეცხლისმფრქვეველ ძუძუს თავებსა გვანდნენ, რომლებსაც შინაგანი ცეცხლი აელვარებდა.

ძლიერმა სინათლემ დამაბრმავა, ქუხილის გრგვინვამ დამაყრუა, ჩავებღაუჭე ანძას, რომელიც ისე იხრებოდა, როგორც ლერწამი ქარში!

. . . . . .

. . . . . .

აქ ჩემი მოგზაურობის ჩანაწერები ძალზე არასრული გახდა. მე ვიპოვე მხოლოდ რამდენიმე სახელდახელოდ ჩანიშნული ნაჩქარევი შენიშვ ნა - მოკლე და ბუნდოვანი, მაგრამ ეს სიმოკლე და გაურკვევლობა იმ მღელვარების შედეგია, რომელიც მაშინ დამეუფლა. მაინც ეს ჩანაწერები უკეთ გადმოსცემენ იმ დღეების განწყობილებას, ვიდრე ჩემს მეხსიერებაში აღბეჭდილი ამბები.

. . . . . .

. . . . . .

კ ვ ი რ ა, 23 ა გ ვ ი ს ტ ო. - სადა ვართ? მივქრივართ წარმოუდგენელი სიჩქარით.

საშინელი ღამე გავატარეთ. ქარიშხალი არ ცხრება. ჩვენ ქარიშხლის ღრიალს და ჭექა-ქუხილის გრგვინვაში ვარსებობთ. ყურებიდან სისხლი გვდის. ერთმანეთს სიტყვასაც ვერ ვაგებინებთ.

ელვა განუწყვეტლივ თანა გვსდევს. მე ვხედავ ელვის ზიგზაგებს, რომლებიც, ზღვაზე სწრაფი იერიშის შემდეგ, ზემოთ ბრუნდებიან და გრანიტის თაღს ეკვეთებიან. შეიძლება თავზე ჩამოგვექცეს! ხანდახან ელვა შუაზე იხლიჩება, ან ცეცხლის ბურთად იქცევა და ყუმბარასავით სკდება, მაგრამ ხმაურს ეს არაფერს ჰმატებს. მან უკვე ყოველგვარ ზომას გადააჭარბა. მსოფლიოს ყველა არსენალიც რომ ერთბაშად აფეთქებულიყო, ჩვენ ამაზე მეტ ხმაურს მაინც ვერ გავიგონებდით.

განუწყვეტლივ ქუხს. ელვის იკანკლები გაიელვებენ ხოლმე წყლის ზედაპირზე, მაგრამ აიჭრებიან და ეხეთქებიან გრანიტის კამარას.

საით მივქრივართ? .. ბიძაჩემი ტივზე გაშოტილა.

სიცხე ორკეცდება. თერმომეტრს ვუყურებ; იგი... უჩვენებს... (ციფრი წაშლილია).

ო რ შ ა ბ ა თ ი, 24 ა გ ვ ი ს ტ ო. - ქარიშხალს ბოლო არ უჩანს! თუკი ამ მკვრივი ატმოსფეროს მდგომარეობა ერთხელ შეიცვალა, ხომ შეიძლება ასევე დარჩეს?

დაღლილობისაგან ქანცგაწყვეტილები ვართ. ჰანსი იხტიბარს არ იტეხს. ტივი უცვლელად სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიქრის. აქსელის პატარა კუნძულს ორას ლიეზე მეტით გავცდითო.

შუადღეს გრიგალი ორკეცდება. ვეჭიდები ჩვენს ტვირთს და ტივზე ვაბამ. ჩვენც ბაწრებით ვებმებით. ზვირთები ზევიდან გვივლიან.

უკვე სამი დღეა, ერთი მეორეს ვერაფერს ვერ ვააგებინებთ. პირს ვაღებთ, ტუჩებს ვამოძრავებთ; არავითარი გარკვეული ბგერა არ ისმის, ყურშიც რომ ჩაგძახონ, მაინც ვერ გაიგებ.

ბიძაჩემი მომიახლოვდა. რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა. მგონი მითხრა: "დავიღუპეთ". დარწმუნებული არა ვარ.

ბოლოს გადავწყვიტე მივწერო: "აფრა დავუშვათ".

მანიშნებს, რომ თანახმაა.

თავის აწევაც ვერ მოასწრო, რომ ტივის კიდესთან ცეცხლის დისკო დაეცა. ანძა და აფრა ერთიანად მოხვეტა და დავინახე, როგორ აიტაცა მაღლა, პტეროდაქტილივით, პირველ საუკუნეთა ამ ფანტასტიურ ფრინველივით.

შიშმა გაგვაშეშა. მოთეთრო-მოცისფრო ათ დიუმიანი ყუმბარის ოდენა ბურთი საოცარი სისწრაფით ტრიალებს გრიგალში, ჩვენს ტივს ეცემა და ხან აქეთ აწყდება, ხან იქით: ტივის ჩარჩოზე ადის, სურსათის ჩანთას გარშემო უვლის, თოფისწამლის ყუთს ახტება.

საშინელებაა! ნამდვილად ავფეთქდებით! არა, თვალისმომჭრელი დისკო განზე გადის; ჰანსს უახლოვდება, რომელიც თვალს არ აშორებს; შემდეგ - ბიძაჩემს; რათა აიცდინოს, ბიძაჩემი მუხლებზე ეცემა; ჩემკენ რომ გამოსწევს, ფერი მეცვლება და ვცახცახებ. ბურთი ჩემ წინ ფეხებთან კოტრიალობს, ვცდილობ, ფეხი გამოვაცალო, ვერ ვახერხებ.

ატმოსფეროს ოზონის სუნი ავსებს, ამ სუნმა გაჟღინთა ყელი, ფილტვები. ვიგუდებით.

რატომ ვერ ვანძრევ ფეხს? ტივს ხომ არ მივეკარი? ამ ელექტრონის ბუშტმა დაამაგნიტა ტივზე მყოფი რკინეულობა. ინსტრუმენტები, ხელსაწყოები, იარაღი დაქრის და ხმაურით ერთი მეორეს ეხეთქება; ჩემი ფეხსაცმლის ლუსმნები მაგრად მიჰკვრია ხეში ჩაჭედილ რკინის ფილას. ფეხი ვერ ამიწევია.

როგორც იქნა, ფეხი გავითავისუფლე იმ წუთას, როდესაც ბურთი უნდა შეხებოდა, ასე რომ არა, ალბათ მეც ჩამითრევდა...

რა თვალისმომჭრელი შუქია! ბურთი სკდება! ალში ვეხვევით!

შემდეგ ყვეალფერი ქრება. ისღა მოვასწარი, რომ თვალი მომეკრა ტივზე დამხობილ ბიძაჩემისათვის და ნირშეუცვლელად საჭესთან მდგარი ჰანსისათვის, რომელიც გარშემო მოფენილ ელქტრონის წყალობით "ცეცხლს აფრქვევდა".

სად მივდივართ? საით მივემართებით?

. . . . . .

ს ა მ შ ა ბ ა თ ი, 25 ა გ ვ ი ს ტ ო. გული როდის წამივიდა, არ მახსოვს. გონს მოვედი, ჭექა-ქუხილი გრძელდება, ელვა ბრწყინავს და გველივით იკლაკნება.

ნუთუ კვლავ ზღვაში ვართ? დიახ, წარმოუდგენელი სიჩქარით მივქრივართ. გავიარეთ ინგლისის, ლამანშის, საფრანგეთის და იქნებ, მთელი ევროპის ქვეშ!

. . . . . .

ისევ ხმაური ისმის! ცხადია, ზღვა ასკდება კედლებს!...

მაგრამ მაშინ...

. . . . . .

. . . . . .

ოცდამეთექვსმეტე თავი

აქ თავდება ჩანაწერები, რომელსაც "საზღვაო დღიური" ვუწოდე და რომელიც ბედზე, ტივის დაღუპვისას გადავარჩინე. კვლავინდებურად განვაგრძობ თხრობას.

იმას ვერ აღვწერ, რა მოხდა, როცა ტივი ნაპირზე რიფს დაეჯახა. მხოლოდ ის ვიგრძენი, როგორ გადავვარდი ტალღებში, და თუ სიკვდილს გადავურჩი, თუ ჩემი სხეული წვეტიან კლდეებს არ გადაეგო, ჰანსს უნდა ვუმადლოდე. მისმა ღონიერმა ხელმა ამომიყვანა მორევიდან.

მამაცმა ისლანდიელმა ტალღებს ამაშორა, ნაპირზე გამიტანა და ბიძაჩემის გვერდით დამასვენა ცხელ სილაზე.

შემდეგ კლდიან ნაპირს მიუბრუნდა და გაშმაგებულ ტალღებს ტივის ნარჩენები გამოსტაცა. ლაპარაკის თავი არა მქონდა; განცდებისა და დაღლილობისაგან დაუძლურებული ვიყავი; ერთი საათი გონს ვერ მოვეგე.

კვლავ კოკისპირულად წვიმდა, უმატა კიდეც, ცა ჩამოქცევას აპირებდა. თავი კლდეებს შევაფარეთ. ჰანსმა სადილი მოამზადა, მე არც მივკარებივარ. უძილოდ გატარებულმა სამმა ღამემ გაგვტანჯა. ქანცგაწყვეტილები მივეგდეთ და მშფოთვარე ძილს მივეცით თავი.

მეორე დღეს მშვენიერი ამინდი იდგა. ცაც და ზღვაც მიწყნარდა. ქარიშხალის ნასახიც კი არ ჩანდა. პოფესორი კარგ გუნებაზე იყო და გაღვიძებულს მომეგება:

- ჩემო ბიჭო, კარგად გეძინა?

ისე მკითხა, გეგონებოდა, კონიგშტრასზე ვიყავი, ახალგაღვიძებულს ცხელი საუზმე მელოდებოდა და საბრალო გრაუბენზე დასაქორწინებლად უნდა მოვმზადებულიყავი.

ვაგლახ, ქარიშხალს ტივი აღმოსავლეთით რომ გადაესროლა, ჩვენ გერმანიის, ჩემი ძვირფასი ქალაქის ჰამბურგის და იმ ქუჩის ქვემოთ აღმოვჩნდებოდით, სადაც ცხოვრობდა ის, ვინც ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარდა. მისგან მხოლოდ ორმოციოდე ლიე თუ მაშორებდა! მაგრამ ორმოცი ლიე შვეულად გრანიტის კედლით, სინამდვილეში კი ათას ლიეზე მეტი მანძილი იდო ჩვენს შორის. ვიდრე ბიძაჩემს პასუხს გავცემდი, გონებაში სწორედ ამ ფიქრებმა გამიელვა.

- აი საკვირველება! - იწყინა პროფესორმა, - პასუხის გაცემაც არ გინდ, კარგად გეძინა თუ ცუდად?

- ძალიან კარგად, - ვუპასუხე მე. - ჯერააც ტანში მამტვრევს, მაგრამ არაფერია.

- ეგ არაფერი, გაგივლის.

- თქვენ კი ძალიან მხიარულად გამოიყურებით დილას, ბიძაჩემო.

- შესანიშნავად, ჩემო ბიჭო, ჩინებულად ვარ! ჩვენ ხომ მივაღწიეთ.

- ჩვენი ექსპედიციის დასასრულს?

- არა, მაგრამ ამ ზღვის კიდეს, რომელსაც ბოლო არ უჩანდა. ახლა კი ხმელეთით განვაგრძობთ გზას და ნამდვილად დედამიწის სიღრმეში ჩავალთ.

- ბიძაჩემო, ნება მომეცით, რაღაც გკითხოთ.

- ბრძანე, აქსელ.

- დაბრუნების საქმე როგორ იქნება?

- დაბრუნება? შენ უკვე დაბრუნებაზე ფიქრობ, როდესაც ჩვენ მიზნამდეც არ მიგვიღწევია?

- არა, მე მხოლოდ იმის გაგება მინდა, რა გზით დავბრუნდებით?

- სულ უბრალოდ. როგორც კი სფეროიდის ცენტრს მივაღწევთ, ახალ გზას გამოვნახავთ, ანდა სრულიად უბრალოდ, როგორც მოვედით, იმავე გზით დავბრუნდებით. იმედი მაქვს, დაბრუნებისას არაფერი გადაგვეღობება.

- მაშ, ტივის შეკეთებაა საჭირო.

- აუცილებლად.

- სანოვაგე თუ დაგვრჩა ბოლომდე რომ გაგვწვდეს?

- რა თქმა უნდა. ჰანსი მოხერხებული კაცია და, დარწმუნებული ვარ, ტვირთის დიდ ნაწილს გადაარჩენდა. რახან სიტყვამ მოიტანა, მივიდეთ, ვნახოთ.

დავტოვეთ გამოქვაბული, რომელშიც ქარი ყველა მხრიდან იჭრებოდა ზუზუნით. ვშიშობდი, რომ ტივის დაღუპვის შემდეგ ჩვენ ავლადიდებას გაცამტვერებულს ვნახავდი, მაგრამ შევცდი. სანამ ჩვენ გვეძინა, ამ უერთგულეს კაცს იმდენი უქნია, რომ თავის სიცოცხლის ფასად ჩვენთვის ყველაზე საჭირო ნივთები გადაურჩენია. ბიძაჩემმა მადლობის ნიშნად მას მაგრად ჩამოართვა ხელი.

ცხადია, დავზრალდით კიდეც. მაგალითად, იარაღი დავკარგეთ, მაგრამ ბოლოსდაბოლოს, უიარაღოდაც გავძლებდით. თოფის წამლის მარაგი კინაღამ რომ აგვიფეთქდა ქარიშხლის დროს, უვნებლად გადარჩა.

- რახან თოფები დავკარგეთ, იძულებული ვიქნებით, ნადირობაზე ხელი ავიღოთ! - წამოიძახა პროფესორმა.

- კეთილი, ეგ არაფერი, მაგრამ ინსტრუმენტები? - ვუთხარი მე.

- აგერაა მანომეტრი, ინსტრუმენტთა შორის ყევლაზე სასარგებლო, რომელშიც მე ყველა დანარჩენს გავცვლიდი, მანომეტრით შემიძლია სიღრმის გამოანგარიშება და იმის გაგება, თუ როდის მივაღწევთ დედამიწის ცენტრს. უიმისოდ კი შეიძლება ცენტრს გავცდეთ, დედამიწის მეორე მხარის რომელიმე წერტილში გავიდეთ.

ბიძაჩემის ამგვარი ხუმრობა აუტანელი გახდა.

- კომპასი? - ვკითხე მე.

- სრულიად უვნებელია. ბუსოლიც აქ არის, ამ კლდეზე. ქრონომეტრი და თერმომეტრებიც შესანიშნავად შენახულა. ჩვენი მონადირე იშვიათი ადამიანია!

მართლაც, უნდა გვეღიარებინა: ყველა ინსტრუმენტი, ხელსაწყო და სამუშაო იარაღი იქვე, სილაზე ერტმანეთზე ელაგა: კიბეები, ბაწრები, თოხები, ნიჩბები და სხვა.

საჭმლის საკითხი მაინტერესებდა და ვიკითხე:

- სურსათი?

- სურსათსაც გადავხედოთ, - მიპასუხა ბიძაჩემმა.

ხელუხლებელი სურსათის ყუთებს წყალი თითქოს არც გაჰკარებოდა, ასე რომ, ორცხობილა, აპოხტი, ღვიის არაყი და გამხმარი თევზი კიდევ ოთხ თვეს გვეყოფოდა.

- ოთხი თვე! - წამოიძახა პროფესორმა. - ამდენ ხანში ჩასვლასაც მოვასწრებთ და ამოსვლასაც და ამით, რაც შემოგვრჩება, მინდა დიდი სადილი გავუმართო ჩემს იოჰანეუმელ კოლეგებს.

თუმცა კარგა ხანია უნდა შევგუებოდი ბიძაჩემის ტემპერამეტს, მაგრამ ეს ადამიანი მაინც მაოცებდა.

- ახლ კი, - გვითხრა პროფესორმა, - სასმელად წვიმის დროს გრანიტის ღრმულებში დაგროვილი წყალი მოვიმარაგოთ. ამრიგად, წყურვილისა არ უნდა შეგვეშინდეს. რაც შეეხება ტივს, ჰანსს ვურჩევ, საგულდაგულოდ შეაკეთოს, თუმცა, ვგონებ აღარც უნდა დაგვჭირდეს.

- როგორ? - წამოვიძახე გაკვირვებულმა.

- ვფიქრობ, ჩვენ იმ გზით აღარ გავალთ, რომლითაც შემოვედით.

ცოტა არ იყოს უნდობლად შევხედე პროფესორს. გუნებაში გავიფიქრე, ხომ არ გაგიჟდა-მეთქი. თუმცა "მას ასე კარგად არასოდეს ულაპარაკია".

- წავიდეთ, ვისაუზმოთ, - განაგრძო მან.

პროფესორმა გასაკეთებელი დაავალა მონადირეს, შემდეგ კი გავემართეთ შემაღლებული კონცხისაკენ, სადაც საუცხოო სუფრა გველოდა: აქ იყო აპოხტი, ორცხობილა და ჩაი. უნდა გამოვტყდე, ეს ერთ-ერთი საუკეთესო პურმარილი იყო, რაც ჩემს სიცოცხლეში მიგემია. შიმშილი, სუფთა ჰაერი, აღელვების შემდეგ ჩამოვარდნილი სიმშვიდე, ყოველივე ეს მადას მიხსნიდა.

საუზმის დროს ბიძაჩემს ვკითხე, სად ვიყავით ამჟამად, თან დავძინე:

- ამის განსაზღვრა ძნელი უნდა იყოს.

- ზუსტად შეუძლებელია, რადგან ქარიშხალმა შემიშალა ხელი და ვერ მოვახერხე ტივის მოძრაობის სიჩქარისა და მიმართულების ჩანიშვნა. მაგრამ დაახლოებით მაინც შეგვიძლია ჩვენი ადგილმდებარეობის განსაზღვრა.

- მართლაც, უკანასკნელად გეიზერის პატარა კუნძულზე განვსაზღვრეთ ჩვენი ადგილმდებარეობა.

- აქსელის კუნძულზე, ჩემო ბიჭო. ნუ ამბობ უარს, იმ პატივზე, რომელიც გერგო, როდესაც დედამიწის ცენტრში აღმოჩენილ პირველ კუნძულს შენი სახელი დავანათლეთ.

- ასე იყოს! აქსელის პატარა კუნძულზე დაახლოებით ორასსამოცდაათი ლიე გავიარეთ ზღვით და ისლანდიიდან ექვსასზე მეტი ლიეთი ვიყავით დაშორებული.

- კეთილი! მაშ ამ წერტილიდან დავიწყოთ და ვიანგარიშოთ ქარიშხლის ოთხი დღე, როდესაც ჩვენი სიჩქარე დღე-ღამეში ოთხმოც ლიეზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

- მეც ასე ვფიქრობ. ასე რომ კიდევ სამასი ლიე უნდა მივუმატოთ.

- ამრიგად, ლიდენბროკის ზღვის ერთი ნაპირიდან მეორემდე დაახლოებით ექვსასი ლიე არის! ასე რომ, აქსელ, სიდიდით იგი ხმელთაშუა ზღვის ტოლია.

- ასეა, თუ სიგანეზე გადავკვეთეთ!

- რაც სავსებით შესაძლოა!

- და თანაც საინტერესო ისაა, რომ - თუ ჩვენი ვარუდი სწორია, ხმელთაშუა ზღვა ახლა სწორედ ჩვენს თავზეა, - დავურთე მე.

- ნამდვილად ასეა!

- ნამდვილად, რადგან ჩვენ რეიკიავიკიდან ცხრაასი ლიეს დაშორებით ვიმყოფებით.

- კარგა მანძილი გაგვივლია, მაგრამ იმის მტკიცება, რომ ჩვენ ხმელთაშუა ზღვის ქვეშა ვართ და არა თურქეთისა ან ატლანტის ოკეანის ქვეშ, მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუკი ადრე აღებულ მიმართულებას არ ავცდენილვართ.

- არა, ქარი თითქოს მუდმივად ერთი მიმართულებით ქროდა. ასე რომ, მე ვფიქრობ, ეს ნაპირი უნდა პორტ-გრაუბენის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდეს.

- კეთილი, ამის შემოწმება ადვილია კომპასის მეშვეობით. აბა, ერთი დავხედოთ ბუსოლს.

პროფესორი გაემართა იმ კლდისაკენ, რომელზეც ჰანსმა ინსტუმენტები დააწყო. მიდიოდა მხიარულად, მხნედ, ხელებს იფშვნეტდა, თითქმის სულ გაახალგაზრდავდა! გავყევი, მაინტერესებდა, ვარაუდში ხომ არ ვცდებოდი.

როდესაც კლდემდე მივედით, ბიძაჩემმა ხელთ კომპასი აიღო, ჰორიზონტალურად დადო და მიაჩერდა ისარს, რომელიც ჯერ ირყეოდა, შემდეგ კი უძრავად გაჩერდა.

ბიძაჩემმა დახედა, შემდეგ თვალები მოიფშვნიტა და ისევ დახედა. ბოლოს გაოცებული მომიბრუნდა.

- შევეკითხე, რა მოხდა-მეთქი.

მანიშნა, ინსტრუმენტს დახედეო. დავხედე და გაკვირვებისაგან ყვრილი ამომხდა. ისრის წვერი ჩრდილოეთს იქ უჩვენებდა, სადაც ჩვენ სამხრეთი გვეგულებოდა! იგი ნაპირისკენ უჩვენებდა, ნაცვლად იმისა, რომ შუა ზღვისკენ მიმართულიყო!

კომპასი მივატრიალ-მოვატრიალე, დავაკვირდი. სავსებიტ უვნებელი იყო. როგორც არ უნდა შეგვებრუნებინა, ისარი დაჟინებით იმ ჩვენთვის მოულოდნელ მიმართულებას უბრუნდებოდა.

ამრიგად, ეჭვს გარეშე გახდა, რომ ქარიშხლის დროს ქარს მიმართულება შეეცვალა ისე, რომ ჩვენ არც გაგვიგია, და იმ ნაპირისაკენ მიუგდია ტივი, რომელიც ბიძაჩემის ვარაუდით, უკან გვქონდა მოტოვებული.

ოცდამეჩვიდმეტე თავი

მე არ ძალმიძს იმ გრძნობათა თანმიმდევრულად აღწერა, პროფესორ ლიდენბროკს რომ დაუფლა, ჯერ გაოცებამ მოიცვა, მერე უნდობლობა დაეტყო და ბოლოს ბრაზი მოერია. არასოდეს მინახავს ადამიანი ასე დაბნეულიყოს, შემდეგ კი ასე გაშმაგებულიყოს. რომ დაღლა-დაქანცვა, საფრთხე, ყოველივე, ის, რაც გადავიტანეთ, ხელახლა უნდა განგვეცადა, თურმე დაგვიხევია, ნაცვლად იმისა, რომ წინ წავსულიყავით!

მაგრამ ბიძაჩემმა სწრაფად სძლია თავს.

- ბედმა ასე გამამასხარავა! - წამოიძახა მან. - სტიქია ჩემს წინააღმდეგაა შეთქმული! ჰაერი, ცეცხლი და წყალი შეერთებული ძალებით გზას მიღობავენ, ახლა ისიც ნახონ, თუ რად ღირს ჩემი ნებისყოფა. მე არ დავთმობ, არც ეთი ნაბიჯით უკან არ დავიხევ და იმასაც ვნახავ, ვინ გაიმარჯვებს, - ადამიანი თუ ბუნება!

კლდეზე შემდგარი, გაღიზინებული ოტო ლიდენბროკი იმქურებოდა, ფიცხი აიაქსის მსგავსად, თითქოს ღმერთებს უპირებდა შერკინებას, მაგრამ მე საჭიროდ ჩავთვალე ჩვრეოდი და ბიჩაძემის გაშმაგება შემენელებინა.

- მოისმინეთ, - ვუთხარი მტკიცედ, - ამქვეყნად ყოველგვარ პატივმოყვარეობას საზღვარი აქვს: შეუძლებელს არ უნდა შევეჭიდოთ; ზღვაში სამოგზაუროდ ცუდად ვართ აღჭურვილი; ხუთასი ლიეს გავლა შეუძლებელია სახელდახელოდ შეკრული უბადრუკი ტივით, აფრის ნაცვლად რომ საბანი გვაქვს და ანძის ნაცვლად უბრალო ჭოკი. თანაც გააფთრებულ ქარში ჩვენ არ შეგვიძლია მიმართულების აღება, ქარიშხალი გვათამაშებს და ასეთ მოგზაურობის გამოერება სიგიჟე იქნებოდა!

ათი წუთის განმავლობაში ეს ერთიმეორეზე უფრო დამაჯერებელი არგუმენტები ისე დავახალე, რომ ერთხელაც არ შეუჩერებივარ, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ყურს არ მიგდებდა და ჩემი არგუმენტაციის არც ერთი სიტყვა არ გაუგონია.

- ტივისაკენ! - დაიძახა მან.

ასეთი იყო მისი პასუხი. რა არ ვიღონე, ვთხოვე, ვეხვეწე; გავბრაზდი კიდევაც, მაგრამ გრანიტზე უფრო მაგარ ნებისყოფას ვაწყდებოდი.

ამასობაში ჰანსმა ტივის შეკეთებაც დაამთავრა. გეგონებოდათ, რომ ეს უცნაური ადამიანი წინასწარ ხვდებოდა ბიძაჩემის განზრახვას. სურტარბრანდურის რამდენიმე ნაჭრით ტივი გაემაგრებინა. აფრა უკვე აღემართა. ფრიალებდა კიდეც.

პროფესორმა ორიოდე სიტყვა უთხრა გამყოლს და ისიც მაშინვე შეუდგა ბარგის ტივზე დატვირთვას და გამგზავრების სამზადისს. ჰაერი საკმაოდ სუფთა იყო და ჩრდილო-დასალეთის ზურგის ქარი ქროდა.

რა უნდა გამეკეთებინა? ორთავესთვის გამეწია წინააღმდგობა? შეუძლებელი იყო. ჰანსი მაინც ყოფილიყო ჩემს მხარეზე! მაგრამ გაგიგონია! გეგონებოდა, ირლანდიელმა ყოველგვარ საკუთარ სურვილზე ხელი აიღო და თითაღკვეთის ფიცი დასდო. თავისი პატრონის ეგზომ ერთგულ მსახურთან მე ვერაფერს გავხდებოდი. ძალაუნებურად უნდა ავყოლოდი.

ის იყო ტივზე ჩემი ჩვეულებრივი ადგილის დაკავება დავაპირე, როდესაც ბიძაჩემმა ხელით გამაჩერა და მითხრა:

- ჩვენ მხოლოდ ხვალ გავემგზავრებით.

ხელი ჩავიქნიე, ჩამთვის უკვე ყველაფერი სულერთი იყო.

- არაფერი გამომრჩეს, - განაგრძო მან, - და რახან ბედმა ამ ნაპირზე გამომრიყა, ისე ხომ არ დავტოვებ, რომ არ გავეცნო.

ეს სიტყვები გასაგები გახდება, თუ განვმარტავთ, რომ ჩვენ ჩრდილოეთის ნაპირს კი დავუბრუნდით, მაგრამ ზუსტად იმ ადგილას კი არა, საიდანაც პირველად გავემგზავრეთ. პორტ-გრაუბენი ალბათ, უფრო დასავლეთით მდებარეობდა. ამრიგად, ხმელეთის ნაწილის გულდასმით დათვალიერების განზრახვა მეტად გონივრული იყო და ამიტომ შევძახე:

- ახალ აღმოჩენათა საძებნელად გავწიოთ!

საქმეში გართული ჰანსი დავტოვეთ და მიდამოს დასაზვერად გავემგზავრეთ. ზღვის ნაპირას მდებარე ჩვენი ბანაკიდან მთების ძირამდე დიდი მანძილი იყო. ნახევარი საათი მაინც უნდა გვევლო, რომ შვეულ კლდეებამდე მივსულიყავით. ფეხქვეშ ნაირნაირი მოყვანილობისა და სხვადასხვა ზომის ურიცხვ ნიჟარას ვთელავდით, ნიჟარებს, რომლებშიც პირველადი ეპოქების ცხოველებს უცხოვრიათ. მე ვამჩნევდი უშველებელ ჯავშნებს, რომელთა დიამეტრი თხუთმეტ ფუტს აღემატებოდა. ისინი ოდესღაც პლიოცენის პერიოდის იმ გოლიათურ გლიპტოდონებს ეკუთვნოდნენ, რომლის გადაშენებულ სახეობას წარმოადგენს თანამედროვე კუ. ნიადაგი მოფენილი იყო აგრეთვე ნაპირზე გამორიყული და შრეებად დალექილი ქვის დიდძალი ნამსხვრევებით, ტალღების მიერ გათლილი კენჭებით, ამიტომ გავიფიქრე, რომ უთუოდ, ადრე ეს სივრცე ზღვას ეჭირა. ნაპირზე გაფანტულ და, ამჟამად, ზღვას დაშორებულ კლდეებზე ტალღებს თავიანთი მოქმედების აშკარა კვალი დაემჩნიათ. ყოველივე ამას როგორღაც შეეძლო აეხსნა ამ ოკეანის არსებობა დედამიწის ზედაპირიდან ორმოცი ლიეს სიღრმეზე. მაგრამ ჩემის აზრით, წყლის მთელი ეს მასა, უთუოდ თანდათან დაიკარგებოდა დედამიწის წიაღში, ხოლო მისი წარმოშობა, უდავოდ ოკეანის წყლებთან იყო დაკავშირებული, რომლებიც რომელიმე ბზარით ჩამოედინებოდა. მაგრამ ისიც უნდა დაგვეშვა, რომ ეს ნაბზარი ამჟამად ამოქოლილი იყო, რადგან, ასე რომ არ მომხდარიყო, მთელი ეს მღვიმე ან, უკეთ, ეს უშველებელი რეზერვუარი, საკმაოდ მცირე დროის განმავლობაში გაივსებოდა. იქნებ ისეც მოხდა, რომ ეს წყალი მიწისქვეშა ცეცხლმა ნაწილობრივ ააორთქლა. ამით შეიძლებოდა ჩვენ ზემოთ დაგროვილი ღრუბლების არსებობისა და იმ ელექტრონის წარმოშობის ახსნა, რომელიც დედამიწის შიგნით ქარიშხალს წარმოშობდა.

ამგვარი განმარტება იმ მოვლენებისა, რომელთაც ჩვენ შევესწარით, დამაკმაყოფილებლებლად მეჩვენებოდა, რადგან, რარიგ დიდი არ უნდა იყოს ბუნების მოვლენა, მისი ახსნა ყოველთვის ხერხდება ფიზიკური მიზეზებით.

ამრიგად, ჩვენ მივაბიჯებდით დანალექი წარმოშობის ისეთსავე ქანებზე, როგორიცაა ამ პერიოდის ყველა ქანი ასე უხვად გავრცელებული დედამიწის ზედაპირზე. პროფესორი ყურადღებით ათვალიერებდა კლდის თითოეულ ბზარს. რომელიმე ხვრელს რომ წავაწყდებოდით, მაშინვე აუცილებლად უნდა გამოერკვია მისი სიღრმე.

ლიდენბროკის ზღვის ნაპირს მივყვებოდით, უკვე ერთი მილი გვქონდა გავლილი, როდესაც ნიადაგმა უეცრად იერი იცვალა. შიდა ფენების ძლიერი ამოზევების შედეგად, ისე

ჩანდა, თითქოს მთელი შიგნეთი ამოტრიალებულიყო. ზედაპირი ბევრგან ჩაქცეული ან, პირიქით, ამოწეული იყო, რაც დედამიწის ქერქში ძლიერი რღვევების არსებობას მოწმობდა.

გაჭირვებით მივიწევდით წინ გრანიტის, კაჟის, კვარცისა და დანალექი ქანების ნამსხვრევებს შორის, როდესაც უეცრად ჩვენ წინ გადაიშალა ძვლებით მოფენილი მინდორი. დიდი სასაფლაო გეგონებოდთ, სადაც ოცი საუკუნის განმავლობაში ცხოველთა ურიცხვი თაობის ერთმანეთში არეული ძვლები დაგროვილიყო. ძვლები ბორცვებივით იყო დახვავებული, ზვირთებივით ჰორიზონტის კიდემდე მიიჭიმებოდა და შორს ნისლში იკარგებოდა. შესაძლოა, რომ აქ, სამი კვადრატული მილის ფართობზე, მთელი ისტორია იყრიდა თავს, ორგანული სიცოცხლის ის ისტორია, რომელიც მხოლოდ ოდნავ თუ არის დამჩნეული უფრო გვიანდელი წარმოშობის ქანებში.

ახლის გაგების მოუთმენლობა წინ გვერეკებოდა. ფეხქვეშ ვთელავდით ისტორიამდელი სიცოცხლის ნაშთებს და იმ ნამარხ ცხოველებს, რომელთა შორის იშვიათი და საინტერესო ნიმუშების შეძენაში დიდი ქალაქების მუზეუმები ერთმანეთს ეცილებიან. ათასი კიუვიეც ვერ გასწვდებოდა ამ შესანიშნავი ძვლებიდან ცხოველთა ჩონჩხების აღდგენას.

გაოცებული ვიყავი, ბიძაჩემს ხელები აღეპყრო მაღლა იმ გუმბათისაკენ, რომელიც ზეცის მაგივრობას გვიწევდა, პირი დაეღო, სათვალეების შუშებში თვალები უელავდა, თავს აკატუნებდა და აქეთ იქით აბრუნებდა. მოკლედ მთელი მისი პოზა უსაზღვრო გაკვირვებას გამოხატავდა. იგი იდგა ლეპტოთერიუმების, მერიკოთერიუმების, ლოფოდიონთა, ანოპლოთერიუმების, მეგათერიუმების, მასტოდონტების, პროტოპითეკების, პტეროდაქტილების, წარღვნამდელი ურჩხულების ფასდაუდებელი კოლექციის წინაშე, რომელიც თითქოს მხოლოდ მისი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად დაეხვავებინათ. წარმოიდგინეთ თავდადებული ბიბლიოფილი, რომელიც უცებ აღმოჩნდებოდა ალექსანდრიის იმ ცნობილ ბიბლიოთეკაში, ომარმა რომ დასწვა, სასწაულებრივ ფერფლიდან აღმდგარი ეხილა. სწორედ ასე გამოიყურებოდა ბიძაჩემი, პროფესორი ლიდენბროკი.

მაგრამ კიდევ უფრო გაუბრწყინდა სახე, როდესაც ამ ორგანულ მტვერში თავის ქალას წაავლო ხელი. ამხელა კაცი აკანკალდა:

- აქსელ! აქსელ! ადამიანის თავი!

- ადამიანის თავი, ბიძაჩემო! - არანაკლებ გაკვირვებული ვიყავი მე.

- დიახ, ძმისწულო! ესეც თქვენ, ბატონო მილნ-ელვარდს! ბატონო დე კატრეფაჟ! რატომ არა ხართ აქ, სადაც ვარ მე, ოტო ლიდენბროკი!

ოცდამეთვრამეტე თავი

იმის გასაგებად, თუ რატომ გაიხსენა ბიძაჩემმა ეს ცნობილი ფრანგი მეცნიერები, საჭიროა, ვიცოდეთ, რომ ჩვენს გამგზავრებამდე რამდენიმე ხნით ადრე მოხდა ერთი პალეონთოლოგიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ამბავი.

საფრანგეთში სომის დეპარტამენტში აბევილის მახლობლად მულენ-კინიონის ქვის სამტეხლოში მიწის მთხრელებმა, - ბ-ნ ბუშე დე პერტის ხელმძღვანელობით, 1863 წლის 28 მარტს დედამიწის ზედაპირიდან თოთხმეტი ფუტის სიღრმეზე იპოვნეს ადამიანის ყბა. ეს იყო ნამარხი ადამიანის ამ სახესხვაობის პირველი მონაპოვარი, რომელმაც მზის შუქი იხილა. მის მახლობლად ნახეს ქვის ნაჯახები და თლილი ტალი, დროის მიერ შეფერილი და დახავსებული.

ამ აღმოჩენამ დიდი ხმაური გამოიწვია, არა მხოლოდ საფრანგეთში, არამედ ინგლისსა და გერმანიაშიც. საფრანგეთის ინსტიტუტის მრავალმა მეცნიერმა, სხვათა შორის ბ-მა მილენ-ედვარდსმა და კატრეფაჟმა ეს ამბავი გულთან ახლოს მიიტნეს, დაამტკიცეს

აღმოჩენილ ძვალთა სინამდვილე და ამ "ყბის ირგვლივ დავის" (ინგლისური გამოთქმა რომ ვიხმაროთ) ყველაზე თავდადებული დამცველები შეიქმნენ.

გაერთიანებული სამეფოს გეოლოგებს, ბატონებს ფალკონერს, ბასკს, კარპენტერსა და სხვებს, ვისაც ფაქტი უდავო მიაჩნდათ, შეუერთდნენ გერმანიის მეცნიერები და, მათ შორის, პირველ რიგში ყველაზე ფიცხი, ყველაზე უფრო ენთუზიასტი მომხრე ბიძაჩემი ლიდენბროკი.

ამრიგად, მეოთხეული ეპოქის დროინდელი წიაღისეული ადამიანის აუთენტურობა, თითქოს, უტყუარად იყო დამტკიცებული და აღიარებული.

მართალია, ამ თეორიას გაშმაგებული მოწინააღმდეგე აღმოაჩნდა, ბ-ნი ელი დე ბომონი. ესოდენ მაღალი ავტორიტეტის მეცნიერი ამტკიცებდა, რომ მიულენ-კინიონის ნიადაგი დილუვიურ ნალექებს კი არ ეკუთვნის, არამედ უფრო ახალ ფენებს მიეკუთვნება და რომ ამ საკითხში მხარს უჭერდა კიუვიეს, და შეუძლებლად მიაჩნდა ის, რომ ადამიანთა მოდგმა მეოთხეული ეპოქის ცხოველთა თანამედროვე ყოფილიყო. ბიძაჩემმა ლიდენბროკმა, გეოლოგთა დიდ უმრავლესობასთან ერთად, მტკიცედ დაიცვა თავისი პოზიცია, იკამათა, იპაექრა და იმდენი საბუთი მოიტანა, რომ ბ-ნი ელი დე ბომონი თითქმის მარტო დარჩა თავისი თეორიის მომხრე. ამ პაექრობის ყველა წვრილმანებს ვიცნობდით, ოღონდ ის კი აღარ ვიცოდით, რომ ჩვენი გამგზავრების შემდეგ საკითხს ახალი ვითარება მიეცა. მსგავსი ყბები, თუმცა ისინი სხვადასხვა ტიპის ინდივიდუმებს და სხვადსხვა ერებს ეკუთვნოდნენ, აღმოაჩინეს საფრანგეთის, შვეიცარიის, ბელგიის ზოგიერთი გამოქვაბულის ფხვიერ ნიადაგში. აქვე აღმოჩნდა იარაღი, ინსტრუმენტები, ხელსაწყოები და ბავშვთა, მოზარდთა, მამაკაცთა, მოხუცთა ძვლები. ამრიგად, მეოთხეული ეპოქის ადამიანის არსებობა დღითიდღე აშკარა ხდებოდა.

არც ამით დამთავრდა ეს ამბავი. პლიოცენის მესამეულ ქანებში აღმოჩენილმა ახალმა მონაპოვარმა გაბედულ მეცნიერებს შესაძლებლობა მისცა, ადამიანის მოდგმის კიდევ უფრო ხანგრძლივი ასაკი დაედგინათ. მართალია, ეს მონაპოვარი ადამიანის ძვლები კი არ იყო, არამედ მხოლოდ ადამინის საქმიანობის შედეგად შექმნილი ნივთები. ნამარხ ცხოველთა ბარძაყის გათლილი ძვლები, პირველყოფილი მოქანდაკის მიერ გამოკვეთილი, ადამიანის შრომის კვალს ატარებდნენ.

ამრიგად, ერთი ნახტომით, ადამიანი მრავალი საუკუნით უფრო ზევით ადიოდა დროის კიბეზე, უკან ტოვებდა მასტოდონტს და სამხრეთის სპილოს, თანამედროვე ხდებოდა; და რახან ქანების პლიოცენურ ფორმაციას, რომელშიაც ადამიანის მოღვაწეობის ნიშნები ნახეს, გეოლოგები ასი ათასი წლობით ათარიღებდნენ, მაშ ადამიანიც მაშინ უკვე არსებობდა.

ასეთი იყო იმ დროს პალეონთოლოგიური მეცნიერების მდგომარეობა და, აქედან გამომდინარე, ცხადია და ადვილად გასაგებია ბიძაჩემის განცვიფრება, როდესაც ლიდენბროკის ზღვის პირას ნამარხი ძვლები დაინახა. ამას ისიც დაერთო, რომ ოცი ნაბიჯის დაშორებით იგი მეოთხეული პერიოდის ადამიანის ჩონჩხს წააწყდა.

სულ ადვილი გამოსაცნობი იყო, რომ ჩვენ წინ ადამიანის სხეულია. ნუთუ იგი დაიცვა და საუკუნეთა მანძილზე შემოინახა ამ განსაკუთრებული თვისებების მქონე ნიადაგმა, რომელიც ისეთივე ხასიათს ატარებს, როგორიცაა ბორდოში სენ-მიშელის სასაფლაოს ნიადაგი? ამის ახსნა არ შემიძლია. მაგრამ ამ სხეულს, რომელსაც პერგამენტის კანი ფარავს, ჯერ კიდევ რბილი კიდურები აქვს და თვალის ერთი გადავლებით - ხელუხლებელი კბილები, ხშირი თმა, ხელფეხზე მეტდ გრძელი ფრჩხილები, - ერთი სიტყვით ისეთია, როგორიც სიცოცხლის დროს იყო.

გარდასულ ჟამთა აჩრდილის წინაშე დავმუნჯდი. ყოველთვის ასეთი ენაწყლიანი, ასეთი აღტკინებით მოსაუბრე ბიძაჩემიც დუმდა. ჩონჩხი გავმართეთ და ფეხზე წამოვაყენეთ. იგი გამოციებული თვალებით გვიცქერდა, ხოლო ხერხემლის ძვლები ხელის ყოველ შეხებაზე ჩხრიალებდა.

რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ, პროფესორობამ სძლია ბიძაჩემს. თავისი ტემპერამენტით აღტკინებულ ოტო ლიდენბროკს გადაავიწყდა ჩვენი მოგზაურობის გარემოება, რა პირობებში ვიყავით ჩავარდნილი და ის უშველებელი გამოქვაბული, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებოდით, მან თავი იოჰანეუმში წარმოიდგინა ლექციის დროს, თავისი მსმენელების წინაშე და დამრიგებულური კილოთი მიმართა აუდიტორიას:

- ბატონებო, - თქვა მან, - მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ მეოთხეული პერიოდის ადამიანი. ზოგიერთმა დიდმა მეცნიერმა მისი არსებობა უარყო. სხვა, არანაკლებ დიდმა მკვლევარებმა კი, პირიქით, დაადასტურეს, რომ იგი არსებობდა. პალეონთოლოგიის ურწმუნო თომები აქ რომ ყოფილიყვნენ და ხელით შეხებოდნენ ადამიანს, იძულებული გახდებოდნენ, ეღიარებ ინათ თავისი შეცდომა. კარგად ვიცი, რომ მეცნიერება მეტად ფრთხილად უნდა მოექცეს ამგვარ აღმოჩენებს! ისიც ვიცი, თუ როგორ გამოიყენეს ადამიანის ნამარხი ნარჩენები ბრაუნმმა და სხვა ამავე ჯურის გაიძვერებმა. ვიცი, აიაქსის მუხლის ფიალის, ვითომდა სპარტანელების მიერ ნაპოვნი ორესტის სხეულისა და ათი წყრთის სიგრძის ასტერიუსის სხეულის ამბავი, რომელიც პავზანიუსმა მოგვითხრო. წაკითხული მაქვს მოხსენებითი ბარათები XVI საუკუნეში აღმოჩენილი ტრაპანის ჩონჩხის შესახებ, ამ ჩონჩხში თითქოს პოლიფემსა სცნობდნენ, ვიცით პალერმოს გარეუბანში XVI საუკუნეში აღმოჩენილი გოლითების ამბავი. ჩემი არ იყოს, თქვენც მოგეხსენებათ, ბატონებო, 1577 წელს ლუცერნის მახლობლად ნაპოვნი იმ დიდი ძვლების შესწავლის შედეგები. ეს ძვლები, ცნობილი ექიმის ფელიქს პლატერის თქმით, ცხრამეტფუტიანი გოლიათისა იყო. მე ხარბად დავეწაფე დოფინეს პროვინციის სილიდან 1613 წელს ამოთხრილი გალიის დამპყრობელის ციმბრების მეფის ტევტობოხუსის ჩონჩხის გამო გამოქვეყნებულ კასანიონის ტრაქტატებს და იმ მოგონებებს, ბროშურებსა, სიტყვებსა და კონტრ-სიტყვებს. XVIII საუკუნეში რომ მეცოცხლა, პიერ კამპეს შევედავებოდი შიოხცერის პრეადამიტებსი არსებობფის საკითხში! მე ხელთ მეჭირა ხელნაწერი სათაურით Gigans..

აქ თავი იჩინა ბიძაჩემის ბუნებრივმა ნაკლმა, რომელიც ძნელად გამოსათქმელი სიტყვების საჯაროდ თქმას უშლიდა.

- ხელნაწერი სათაურით Gigans.... , - კვლავ წამოიწყო მან.

მაგრმ სიტყვა ვერ დაასრულა.

- Giganteo...

შეუძლებელია! ეს ავბედითი სიტყვა ყელში ეჩხირებოდა! იოჰანეუმში კარგა გემრიელად გაეცინებოდათ.

- Gigantostéologie, - როგორც იქნა ამოღერხა პროფესორმა ლიდენბრაოკმა, და ზედაც ორიოდე წყევლა-კრულვა მიაყოლა. ამის შემდეგ გამოცოცხლდა; და აღფრთოვანებ ულმა განაგრძო:

- დიახ, ბატონებო, ყოველივე ეს ვიცი! რომ კიუვიემ და ბლუმენბახმა ეს ძვლები მეოთხეული ეპოქის მამონტისა და სხვა ცხოველთა ძვლებად ჩათვალეს. მაგრამ თვით ეს ეჭვი უკვე მეცნიერების შეურაცხყოფაა! სხეული აგრეაა, ჩვენს წინაშე. შეგიძლიათ ნახოთ და ხელითაც შეეხოთ! ეს უბრალო ჩონჩხი კი არაა, არამედ დაუზიანებელი სხეულია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ანთროპოლოგიის ინტერესებისათვისაა შემონახული.

ცხადია, ამ მტკიცების უარყოფას არ შევდგომივარ.

- ამ სხეულის გოგირდმჟავას ხსნარში დაბანა რომ შემეძლოს, - განაგრძო ბიძაჩემმა, - მოვაშორებდი ზედ მყრალ მიწას და მოელვარე ნიჟარებს. მაგრამ ეს ძვირფასი ხსნარი არ გამაჩნია. თუმცა ეს სხეული ასეთი სახითაც თვითონ მოგვითხრობს საკუთარ ამბავს.

ამის თქმა და პროფესორმა დაავლო ხელი ნამარხ სხეულს და შეატრიალა-შემოატრიალა გამოცდილი ჯამბაზივით.

- ხომ ხედავთ, - განაგრძო ლიდენბროკმა, - იგი ექვსი ფუტის სიგრძისაც კი არ არის. გოლიათობამდე ბევრი უკლია, ხოლო თუ ვიმსჯელებთ, რომელ რასას ეკუთვნის იგი, უეჭველად კავკასიური რასის წარმომადგენელია, ჩვენთვის თეთრ რასას ეკუთვნის. ამ ნამარხი ადამიანის ქალა თანაბრად ოვოიდურია. ყბები განვითარებულია და ქვედა ყბა წინ

წაწეული არ არის. მასში არავითარი ნიშანი არ არის, პროგნატიზმისა,[1] გაზომეთ ეს კუთხე: იგი თითქმის ოთხმოცდაათ გრადუსს შეადგენს. მაგრამ მე კიდევ უფრო შორს წავალ დედუქციის გზით და იმის თქმასაც გავბედავ, რომ ეს ადამიანი იაფეტურ ოჯახს ეკუთვნის, რომელიც ინდოეთიდან მოყოლებული დასავლეთ ევროპის საზღვრებამდეა გავრცელებული. ნუ იღიმებით, ბატონებო!

---

1 ანთროპოლოგთა ენით პროგნატიზმს უწოდებენ ყბის წინ წამოწევას, რაც სხის კუთხეს ცვლის (ავტორის შენიშვნა).

არავის ეღიმებოდა, მაგრამ პროფესორი შეჩვეული იყო, რომ მისი მეცნიერული ახსნა-განმარტებების დროს მსმენელები ღიმილს ვერ იკავებდნენ.

- დიახ, - განაგრძო მან კიდევ უფრო მეტი აღფრთოვანებით, - ეს წიაღისეული ადამიანი იმ მასტოდონტების თანამედროვეა, რომელთა ძვლები ამ

ამფითეატრს ავსებს. მაგრამ ჩემს თავს იმის უფლებას არ მივცემ, გითხრათ, რა გზით მოაღწია აქამდე, როგორ ჩამოცოცდნენ დედამიწის ამ უშველებელ გამოქვაბულში ის ფეხები, რომლებშიც იგი დაიმარხა. ცხადია, მეოთხეულ ეპოქაში დედამიწის ქერქში ჯერ კიდევ გრძელდებოდა მნიშვნელოვანი ძვრები დედამიწის უწყვეტ გაცივებას რღვევები მიჰყვებოდა, ქერქი იბზარებოდა და, როგორც ჩანს, ზემოთ მდებარე ქანების ერთი ნაწილი ჩაირღვეოდა ხოლმე. ჩემს საბოლოო აზრს არ მოგახსენებთ, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ეს ადამიანი აქ არის. მას თან აქვს თავისი ნახელავი - ნაჯახი, ეს თლილი კაცი, რომელიც ქვის ხანას ეკუთვნის. ეს კაცი ჩემი არ იყოს, ტურისტი ყოფილა და მე, როგორც მეცნიერების პიონერი, ეჭვსქვეშ ვერ დავაყენებ მის უძველეს წარმოშობას.

პროფესორი გაჩუმდა და აღტაცებულმა ტაში დავუკარი. თანაც ბიძაჩემი მართალი იყო და მის ძმისწულზე უფრო მცოდნე ადამიანებსაც გაუჭირდებოდათ მასთან კამათი.

კიდევ ახალ მონაპოვარს შევხვდით. ვეება ძვლების გროვაში ეს ნამარხი სხეული მარტო როდი იყო. ამ მტვერში ყოველ ფეხის გადადგმაზე სხვა სხეულებიცა გვხვდებოდა და ბიძაჩემს შეეძლო ურწმუნოთა დასარწმუნებლდ ყველაზე შესანიშნვი ნიმუშის შერჩევა.

ამ სასაფლაოზე ერთმანეთში არეული ადამიანთა და ცხოველთა მრავალი თაობის წარმომადგენლები მართლაც საოცარი სანახავი იყო, მაგრამ ჩვენ წინაშე ერთი სერიოზული საკითხი დგებოდა, რომლის გადაწყვეტასაც ვერ ვბედავდით. მიწისძვრის შედეგად მოხვდნენ ეს უკვე ადრევე მტვრადქცეული არსებები ლიდენბროკის ზღვის ნაპირზე, თუ აქ, მიწისქვეშეთში, ამ ყალბი ცის ქვეშ არსებობდნენ, აქ იბადებოდნენ და კვდებოდნენ დედამიწის მკვიდრთა მსგავსად? ჯერჯერობით ცოცხლად ვიხილეთ მხოლოდ თევზები და ზღვის ურჩხულები! ნუთუ ადამიანიც დააბიჯებდა ამ უკაცრიელ ნაპირებზე?

ოცდამეცხრამეტე თავი

ნახევარი საათი ამ ძვლების ხროვაზე მივაბიჯებდით. ცნობისმოყვარეობა სულ უფრო წინ გვიხმობდა. გვინდოდა გაგვეგო, კიდევ რა სასწაულს შეიცავდა ეს გამოქვაბული, მეცნიერებისათვის რა განძი იყო აქ დაცული? ახლა უკვე აღარაფრის დანახვა არ გამაკვირვებდა.

ზღვის ნაპირი უკვე კარგა ხანია ძვლების ბორცვებს იქით მოეფარა. პროფესორს სულაც არ ადარდებდა, რომ შეიძლება გზა დაგვბნეოდა, და სულ უფრო და უფრო შორს მიიწევდა. ელექტრონის ტალღების შუქში უხმოდ მივაბიჯებდით. ჩემთვის უცნობი მოვლენების წყალობით, რომლის ახსნა მე არ შემიძლია, და სრული დიფუზიის გამო, შუქი თანაბრად ანათებდა საგნების სხვადასხვა მხარეს. შუქის წყარო ერთ გრკვეულ წერტილში არ იყო და ამიტომ ჩრდილი სრულებით არ არსებობდა. გეგონებოდთ, შუადღეაო, თანაც შუა ზაფხულში და ეკვატორის მიდამოებში, სადაც სხივები ვერტიკალურად ეცემიან. ორთქლი გაქრა, შუქის თანაბარი განაწილების წყალობით კლდეებს, შორეულ მთებს და ტყის კორომებს უცნაური იერი მიეცათ. ჰომფმანის ამ ფანტასტიკურ გმირსა ვგავდით, რომელმაც თავისი ჩრდილი დაკარგა.

ერთი მილი, რომ გავიარეთ, ვეება ტყის პირი გამოჩნდა, მაგრამ სოკოების ტყე კი არ იყო პორტ-გრაუბნის მახლობლად რომ ვნახეთ.

ეს იყო მესამეული ეპოქის დიადი მცენარეულობა, დიდი, დღეს უკვე გამქრალი სახეობის პალმის ხეები, დიდებული პალმაცეტები, ფიჭვი, ურთხელი, კვიპაროსი. ეს წიწვოვანთა ოჯახის წარმომადგენლები ერთმანეთთან დაბურული ლიანებით იყვნენ გადაქსელილი. ხავსისა და ჰეპატიკის რბილი ხალიჩა ფარავდა ნიადაგს. რამდენიმე ნაკადული მორაკრაკებდა ამ ხეთა ჩრდილში, რომელიც არც იმსხურებდა ამ ეპითეტს რადგან ისინი არაფერს არ ჩრდილავდნენ. ნაკადულთან ნაპირზე იზრდებოდა ხე-გვიმრა, რომელიც სათბურებში გამოყვანილსა ჰგავდა. ოღონდაც, მზის მაცოცხლებელ სითბოს მოკლებული ხეები, ბუჩქნარი და ყველა აქაური მცენარე უფერული იყო. ამ ერთფეროვან მოყავისფრო და თითქოს გაცრეცილი ფერის მცენარეულობაში ცალკე მცენარეს ვერც გმოარჩევდით. ფოთლებს სიმწვანე აკლდათ და თვით ყვავილები, თუმცა მსამეულ ეპოქაში, რომლმაც ისინი წარმოშვა, მეტად მომრავლებულან, მაგრამ არც ფერი ჰქონდათ, არც სურნელება და ჰაერზე გამოხუნებული, ქაღალდისაგან დამზადებული გეგონებოდათ.

ლიდენბროკი შეიჭრა ამ ბუმბერაზ ტყეში. მეც მივყევი, თუმცა რაღაც წინათგრძნობა მაწუხებდა. რახან ბუნებამ უხვად დაამზადა მცენარეული საკვები, რატომ არ შეიძლებოდა საშიში ძუძუმწოვარი ცხოველებიც შეგხვედროდა? დაბერებული და წაქცეულ ხეებს შორის შექმნილ ველობებზე ვხედავდი პარკოსან მცენარებსა და ათასგვარ საკვებ ბალახებს, ყველა პერიოდის მცოხნავ ცხოველს რომ გაახარებდა. შემდეგ დავინახეთ დედამიწის ზედაპირზე სხვადასხვა განსხვავებულ სარტყლებში მოზარდი, აქ კი ერთმანეთში არეული ხეები, პალმის ხის გვერდით - მუხა, ნორვეგის ნაძვზე დაყრდნობილი ავსტრლიის ევკალიპტე, ზელანდიის კორისის ტოტებში გახლართული ჩრდილოეთის არყის ტოტები. აქ უგულვებელყოფილი და დარღვეული იყო დედამიწის ყველაზე ჭკუამახვილ ბოტანიკოსთა საკალსიფიკაციო მოსაზრებანი.

უცებ შევჩერდი და ბიძაჩემის დავაკავე. ტყის სიღრმეში გაბნეული შუქი სულ უმცირესი საგნების გარჩევის საშუალებას იძლეოდა. მომეჩვენა, რომ დავინახე... არა! არა! ნამდვილად, საკუთარი თვალით ვხედავდი, ხეებქვეშ მოძრავ უშველებელ ცხოველს. მართლაც, გოლიათური ცხოველების მასტოდონტების მთელი ჯოგი იყო. მაგრამ ახლა უკვე ცოცხალი და არანამარხი, ოჰაიოს ჭაობებში, 1801 წელს აღმოჩენილ ნამარხ ცხოველთა მსგავსი. ხეებზე ვხედავდი დიდ სპილოებს, გველებივით რომ ამოძრავებდნენ ხორთუმებს, მესმოდა გრძელი ეშვების ხმაურით როგორ აპობდნენ ბებერ მუხებს, ისინი ამტვრევდნენ ტოტებს და მოგლეჯილი ფოთლები ინთქმებოდა ურჩხულის ხახაში.

ამრიგად, ჩემი სიზმარი ახლა ხორცს ისხმდა, ჩემ თვალწინ გაცოცხდა მესამეული და მეოთხეული ეპოქების გარდასულ დროთა ნათელი სამყრო! ჩვენ მარტონი ვიყავით აქ დედამიწის წიაღში, მიწისქვეშეთის ონავარ მკვიდრთა პირისპირ.

ბიძაჩემიც ხედავდა.

- წამოდი, - თქვა მან ერთბაშად და მკლავში ხელი წამავლო - წინ გავწიოთ!

- არა! - წამოვიძახე მე, - არა! ჩვენ უიარაღონი ვართ და რას გავხდებით ამ უშველებელ ოთხფეხთა შორის? წამოდით, ბიძაჩემო, გავეცალოთ, ამ ურჩხულთა გაღიზიანება არც ერთ ადამიანს არ შერჩება ტყუილუბრალოდ.

- არც ერთ ადამიანს? - ხმადაბლა გაიმეორა ბიძაჩემმა. - ცდები, აქსელ! შეხედე! მგონი, ცოცხალ არსებას ვხედავ! მგონი, ცოცხალ არსებას ვხედავ! ჩვენს მსგავს არსებას! ადამიანს!

ვუცქერდი და თან მხრებს ვიჩეჩავდი. გადაწყვეტილი მქონდა არ დამეჯერა და ბოლომდე უნდობლობ გამომეჩინა, მაგრამ იძულებული გავხდი, სინამდვილის წინაშე უკან დამეხია და ჭეშმარიტება მეღიარებინა.

მართლაც, მეოთხედ მილზე ახლოს, ვეება კაურისის ხეს მიყრდნობილი, ადამიანი მიწისქვეშეთის პროთეოსი, ნეპტიუნის ახალი ვაჟი მასტონტების უთვალავ ჯოგს აძოვებდა.

Immanis pecoris cusros, immanior ipse![1]

დიახ! immanior ipse! ეს უკვე აღარ იყო წიაღისეული არსება, რომლის გვამი ჩვენ ძვლების გროვიდან ამოვიღეთ. ეს იყო გოლიათი, რომელსაც ამ ურჩხულების მბრძანებლობა შეეძლო, თორმეტ ფუტზე მეტი სიმაღლისა გახლდათ, კამეჩის თავისოდენა ქალის გაბურძგნული თმა ფარავდა. ნამდვილი ფაფარი გეგონებოდათ, პირველყოფილი სპილოს ფაფარის მსგავსი, ხეშლი უშველებელი ტოტი ეჭირა და იქნევდა. სწორედ წარღვნამდელი მწყემსის ღირსებული კვერთხი იყო!

გაოცებულნი გავქვავდით. ადვილად შეეძლო ჩვენი დანახვა, ამიტომ თავისთვის უნდა გვეშველა.

- წამოდით, წავიდეთ! - ვიძახდი და ბიძაჩემს უკან ვეწეოდი. ისიც სიცოცხლეში პირველად დამემორჩილა.

თხუთმეტ წუთში ჩვენ ამ საშიშ არემარეს მოვეფარეთ.

- ახლა როდესაც გულდამშვიდბულად ვიგონებ ყოველივეს, როდესაც ჩემს გონებას სიმშვიდე დაეუფლა, და თვეებმა განვლო, ამ უცნაური და ზნებუნებრივი შეხვედრის შემდეგ, რა ვიფიქრო? ნუთუ დავიჯერო ყოველივე? არა შეუძლებელია! მაშინ გრძნობებმა გვიღალატეს. თვალებს ნამდვილად არ უხილავთ ის, რასაც ხედავდნენ! ეს მხოლოდ ჰალუცინაცია იყო და არა სინამდვილე!

მიწისქვეშეთში ადამიანური არსება არ არსებობს!

დედამიწისშიგა გამოქვაბულში ადამიანთა მოდგმა ვერ იარსებებდა ისე, რომ დედამიწის ზედაპირზე მცხოვრებლებთან რაიმე კავშირი არ ჰქონოდა! ეს ხომ სიგიჟეა, სრული სიგიჟე!

მირჩევნია დავუშვა რომელიმე ცხოველის არსებობა, რომლის აგებულება ადამიანის აგებულებას უახლოვდება, პირველად გეოლოგიურ ეპოქათა რომელიმე მაიმუნისა, რომელიმე პროტოპითეკისა, რომელიმე მეზოპითეკისა, რომლის მსგავსი სანსანის საძვლეში ბ-ნმა ლარტემ აღმოაჩინა! მაგრამ ეს ხომ გაცილებით უფრო დიდი იყო, ვიდრე სხვა რომელიმე საძვლის შესახებ თანამედროვე პალეონთოლოგიისათვის ცნობილი. ნამდვილად მაიმუნი იყო, მაიმუნი, რარიგ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს ეს ამბავი. მაგრამ ადამიანი, ცოცხალი ადამიანი, და მასთან ერთად მიწისქვეშეთში დამარხული მთელი მოდგმა! არასოდეს დავიჯერებ!

ამასობაში, გამოვედით ნათელი და მღელვარე ტყიდან, გაკვირვებისაგან დამუნჯებულები და შიშისაგნ გაოგნებულები, ჩვენდა უნებლიეთ გავრბოდით. ნამდვილი ლტოლვა იყო მსგავსი იმ ზრდაცემული სრბოლისა, რომელსაც კოშმარების დროს განიცდი. ინსტინქტურად ლიდენბროკის ზღვას დავუბრუნდით და არ ვიცი, ალბათ ნამდვილად შევიშლებოდი, რომ უფრო პრაქტიკული ხასიათის სადარდებელი არ გამჩენოდა.

---

1 ბუმბერაზი ჯოგის მწყემსი, თვითონაც ბუმბერაზის მსგავსი.

თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ სრულიად ყამირ ნიადაგზე დავდივართ, მაინც ვამჩნევდი, რომ ეს კლდე პორტ-გრაუბენის მიდამოებს მაგონებდა. ეს ადასტურებდა ბუსოლის მონაცემებსა და ჩვენს უნებლიე დაბრუნებას ლიდენბროკის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში. ზოგჯერ თავს იჩენდა გასაოცარი მსგავსება. კლდეებში ასობით ჩქეფდა ნაკადული და ჩანჩქერი. მეჩვენებოდა, რომ კვლავ ვხედავდი სურტარბრანდურის ნაჭრებს, ვცნობდი ჩვენს ერთგულ ჰანს-ბახს და იმ გამოქვაბ ულს, სადაც მე სიცოცხლეს დავუბრუნდი. რამდენიმე ნაბიჯის იქით, ქანების განლაგება, რომელიმე ნაკადული, კლდის მოყვანილობა ისევ ეჭვს აღძრავდა ჩემში.

ჩემი ეჭვები ლიდენბროკს გავუზიარე. ისიც, ჩემი არ იყოს, მერყეობდა და იბნეოდა ამ ერთფეროვან გარემოში.

- ცხადია, - ვუთხარი მე, - ჩვენ ზუსტად გამგზავრების ადგილს არ მივდგომივართ. ქარიშხალმა ოდნავ უფრო დაბლა დაგვაბრუნა და თუკი ნაპირს გავყვებ ით, პორტ-გრაუბენთან გავალთ.

- მაშ თუ ასეა, - მიპასუხა ბიძაჩემმა, - ჩვენი დაზვერვ ის გაგრძელება ზედმეტია. და ისევ აჯობებს ჩვენს ტივს დავუბრუნდთ. მაგრამ იქნება გეშლება, აქსელ?

- გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია, ბიძაჩემო, რადგან ყველა ეს კლდე ერთმანეთსა ჰგავს. მაგრამ თითქოს მეცნობა ის კონცხი, რომლის ძირში ჰანსმა ტივი შეკრა. ჩვენ, უთუოდ, იმ პატარა ნავსადგურის მახლობლად ვართ, ან შეიძლება, იგი აქვე იყოს, - დავსძინე და ნაპირს გავხედე, რომელიც თითქოს მეცნობოდა.

- არა, აქსელ, ჩვენ საკუთარ ნაკვალევს მაინც წავაწყდებოდით; მე კი ვერაფერსა ვხედავ...

- სამაგიეროდ, მე ვხედავ, - წამოვიძახე და გავეშურე საგნისაკენ, რომელიც იქვე სილაზე ბრჭყვიალებდა.

- რა არის?

- აი, - ვუპასუხე და გავუწოდე დაჟანგული ხანჯალი, იქვე მიწიდან რომ ავიღე.

- შეხედე! - გაიკვირვა მან. - მაშ თან გქონდა წამოღებული?

- მე კი არა მქონდა, მაგრამ, თქვენ...

- არ მაგონდება, - მიპასუხა პროფესორმა. - ეს ნივთი არასოდეს არა მქონია.

- საკვირველი ამბავია!

- არა, ეს სრულიად უბრალო შემთხვევაა, აქსელ, ისლანდიელებში ამგვარი იარაღი ხშირად გვხვდება, უთუოდ ჰანსისაა და მას დაუკარგავს.

თავი გავიქნიე. ეს ხანჯალი ჰანსს არ ჰქონია.

- მაშ წარღვნამდელი მეომრის იარაღი ხომ არ არის? - წამოვიძახე, - ანდა იმ გოლიათი მწყემსის, თანამედროვე ცოცხალი ადამიანისა? მაგრამ არა! ეს ქვის ხანის იარაღი არ არის, არც ბრინჯაოს ხანისა! ეს დანის პირი ხომ ფოლადისა...

ბიძაჩემმა მაშინვე შემაჩერა, შემაწყვეტინა ბოდვა და მკვახედ მომიგო:

- დამშვიდდი, აქსელ, და გონს მოდი. ეს ხანჯალი მეთექვსმეტე საუკუნის იარაღია, სწორედ ასეთ ხანჯლებს წელზე ატარებდნენ აზნაურები იმ მიზნით, რათა დაჭრილი მოწინააღმდეგისთვის ბოლო მოეღოთ. ხანჯალი ესპანური წარმოშობისაა. არც შენ გეკუთვნის, არც მე, არც მონადირეს, არც იმ არსებებს, რომლებიც, შესაძლოა, მიწისქვეშეთში ცხოვრობენ!

- ნუთუ იმის მტკიცებას ბედავთ, რომ...

- დახედე, იგი კაცისმკვლელობას კი არ დაუზიანებია. მისი პირი ჟანგის ისეთი ფენითაა დაფარული, რომლის ასაკი არც ერთი დღეა. არც წელიწადი, არც საუკუნე!

პროფესორი თანდათან გამოცოცხლდა და, ჩვეულებისამებრ, აზრებმა გაიტაცეს.

- აქსელ, - განაგრძო მან. - ჩვენ დიდი აღმოჩენის გზაზე ვართ. ეს დანის პირი აქ, სილაზე, უკვე ასი, ორასი, სამასი წელია რაც გდია და ამ მიწისქვეშა ზღვის კლდეებზე დაზიანდა!

- მაგრამ იგი ხომ აქ თავისით არ გაჩენილა, - წამოვიძახე მე; - ხომ ვიღაცამ ჩამოასხა, ვიღაცამ დაგვასწრო!...

- დიახ! ადამიანმა.

- ვინ არის ეს ადამიანი?

- ამ ადამიანმა თავისი სახელი ამ ხანჯლით ამოკვეთა. მან კიდევ ერთხელ მოისურვა თავისი ხელით დედამიწის ცენტრისაკენ მიმავალი გზის აღნიშვნა! მაშ, ვეძებოთ!

და, უაღრესად დაინტერესებულები, ჩვენ გავყევით ფრიალო კლდეს, ვაკვირდებოდით სულ უმცირეს ბზარებს, რომლებიც შეიძლება დერეფნად ქცეულიყვნენ.

ასე მივედით ისეთ ადგილამდე, სადაც ნაპირი ვიწროვდებოდა. ზღვა თითქმის შტოქედის ძირს ეკვროდა და, სულ ბევრი ერთი ტუაზი სიგანის გასასვლელსღა ტოვებდა. კლდის ორ ქიმს შორის ბნელი გვირაბის შესასვლელი მოჩანდა.

აქ, გრანიტის ფილაზე, მოჩანდა ნახევრად წაშლილი ორი საიდუმლო ასო, მამაცი და ფანტასტიკური მოგზაურის ინიციალები:

- ა. ს! - წამოიძახა ბიძაჩემმა, - არნე საკნუსემი! ისევ არნე საკნუსემი!

მეორმოცე თავი

მოგზაურობის დაწყებიდან იმდენ გასაოცარ ამბავს წავაწყდი, არ მეგონა, თუ რაიმე კიდევ გამაკვირვებდა. თავი დაზღვეული მეგონა ყოველგვარი მოულოდნელობისაგან. მიუხედავად ამისა, სამასი წლის წინ ამოკვეთილი მ ორი ასოს წინაშე გაოცებამ გამაშეშა. ჩვენ ხომ არა მარტო მეცნიერ ალქიმ იკოსის მიერ კლდეზე წარწერილის წაკითხვა შეგვეძლო, არამედ ის ხანჯალიც ხელში გვეჭირა, რომლითაც ეს წარწერა გაკეთდა. ახლა უკვე, თუკი მაინცდამაინც სიჯიუტეს არ გამოვიჩენდი, აღარ შემეძლო ეჭვის თვალით მივდგომოდი მოგზაურის არსებობას და მისი მოგზაურობის რეალობა უნდა მეღიარებინა!

ვიდრე ეს მოსაზრებები თავში მიტრიალებდა, პროფესორმა ლიდენბროკმა ხოტბმა შეასხა არნე საკნუსემს.

- სასწაულებრივო გენიავ! - წარმოთქვა მან. - შენ არაფერი გამოგრჩენია იმისათვის, რომ მოკვდავთათვის დედამიწის ცენტრისკენ გზა გგეხსნა და შესაძლებოდათ სამი საუკუნის წინათ ამ ბნელ მიწისქვეშეთში შენს მიერ დატოვებული ნაკვალევის ხილვა! შენ სხვასაც შემოუნახე ამ სასწაულებით დატკბობის საშუალება! შენი სახელი, რომელიც გზის ყოველ ნაბიჯზეა ამოკვეთილი, წინ უძღვის და პირდაპირ მიზანთან მიჰყავს გაბედული მოგზაური, რომელიც შენ გამოგყვება და თვით ჩვენი პლანეტის ცენტრში კვლავ იხილავს შენი ხელთი ამოკვეთილ ასოებს! მაშ ასე! მეც ჩემს სახელს მივაწერ გრანიტის ამ უკანასკნელ ფურცელს! მაგრამ დაე ამიერიდან ამ კონცხს, შენ მიერ ხილულს, შენს მიერ აღმოჩენილი ზღვის მახლობლად, სამარადისოდ დაერქვას საკნუსემის კონცხი!

აი, დაახლოებით, ის, რაც გავიგონე და ამ სიტყვების აღტყინება მეც გადმომედო. ჩემს მკერდში კვლავ აგიზგიზდა შინაგნი ცეცხლი. ყოველივე დამავიწყდა, მოგზაურობის ფათერაკიცა და უკანა გზის ხიფათიც. რაც სხვამ გააკეთა, მეც მსურდა იმის გაკეთება და თუკი ადამიანმა მოიმოქმედა, არც მე მეჩვენებოდა შეუძლებლად იმის განმეორება.

- წინ! წინ გავწიოთ! - წამოვიძახე და უკვე ბნელი დერეფნისაკენ გავეშურე, როდესაც პროფესორმა გამაჩერა და ამჯერად ამ ფიცხმა ადამიანმა მოთმინება და თავშეკავებულობა მირჩია.

- ჯერ ჰანსთან დავბრუნდეთ, - მითხრა მან, - და ტივი აქ მოვიყვანოთ.

ამ ბრძანებას არც თუ მაინცდამაინც დიდი სიამოვნებით დავემორჩილე, სანაპირო კლდეებს შორის სწრაფად გავუდექით გზას.

- იცით, ბიძაჩემო, - ვეუბნებოდი გზადაგზა, - ჯერჯერობით გარემოება საოცრად ხელს გვიწყობს!

- ასე გგონია, აქსელ?

- ცხადია, თვით ქარიშხალმაც კი ხელი შეგვიწყო და სწორ გზაზე დაგვაყენა. დაილოცოს ის ქარიშხალი! მან იმ ნაპირს დაგვაახლოვა, რომელსაც კარგი ამინდი უფრო დაგვაშორებდა! წამით დავუშვათ, რა ბედი გვეწეოდა, ჩვენი ტივი ლიდენბროკის ზღვის სამხრეთ ნაპირს რომ მისდგომოდა? საკნუსემის სახელს ვერ ვიხილავდით და ახლა რომელიმე უდაბურ პლაჟზე ვიქნებოდით მეტად სავალალო მდგომარეობაში.

- დიახ, აქსელ, ალბათ განგებას სურდა, რომ სამხრეთისაკენ მიმავალები ჩრდილოეთში გადმოვესროლეთ და სწორედ საკნუსემის კონცხზე ამოგვეყო თავი. უნდა ვაღიარო, რომ ძალზე უცნაური ამბავია, რაღაც ისეთი შეგვემთხვა, რისი ახსნაც მე ნამდვილად არ ძალმიძს.

- რა ბედენაა! მოვლენების ახსნა რაში გვჭირდება, ახლა იმ მოვლენით უნდა ვისარგებლოთ!

- უთუოდ, ჩემო ბიჭო, მაგრამ...

- .... მაგრამ ჩვენ კვლავ ჩრდილოეთის გზას ვადგებით. ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების ქვეშ უნდა ვიაროთ, შვეციისა, რუსთის, ციმბირის და, ვინ იცის, კიდევ რომელი ქვეყნების

ქვეშ? ნაცვლად იმისა, რომ აფრიკის უდაბნოთა ან ოკეანის ქვეშ გვევლო და ამაზე მეტი არაფერი მინდა გავიგო!

- დიახ, აქსელ, მართალი ხარ, რადგან ჩვენ ვიტოვებთ ჰორიზონტალურ გზას ამ ზღვაში, რომელიც ვერსად ვერ გაგვიყვანდა. ახლა ქვემოთ უნდა დავეშვათ, კიდევ უფრო ქვემოთ და მხოლოდ ქვემოთ! იცით თუ არა, რომ დედამიწის ცენტრში მისასვლელად მხოლოდ ათას ხუთასი ლიე დაგვრჩა გასავლელი!

- ეს ხომ სალაპარაკოდაც არ ღირს! - წამოვიძახე, - მაშ, გზას გავუდგეთ!

ასე გვაბოდებდა, სანამ მონადირესთან მივედით. ყველაფერი მზად იყო გასამგზავრებლად. ტივზე მთელი ჩვენი ტვირთი უკვე ელაგა. აფრა ავწიეთ და ჰანსმა ტივი ნაპირის გაყოლებით საკნუსემის კონცხის მიმართულებით გაიყვანა.

ქარი ხელს რა გვიწყობდა, რადგან ტივს ნაპირის სიახლოვეს ცურვა უჭირდა, ამიტომ ადგილ-ადგილ იძულებული ვიყავით რკინის წვეტიანი ჭოკები ფსკერზე მიგვებჯინა და წინ წაგვეგდო. ხშირად წინ წყლიდან ამოშვერილი კლდეები გვეღობებოდა და საკმაოდ შორი გზის მოვლა გვიხდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, სამი საათის ცურვის შემდეგ, დაახლოებით საღამოს ექვს საათზე, ნაპირზე მისადგომად სახიერო ადგილს მივადექით.

ნაპირზე გადავედი, ბიძაჩემი და ისლანდიელიც მომყვნენ. ამ მოგზაურობამ არ დამამშვიდ, პირიქით, წინადადებაც კი შემოვიტანე, რომ "ჩვენი ხომალდები დაგვეწვა", რათა უკან დასახევი გზა მოგვეჭრა: მაგრამ ბიძაჩემი უარზე დადგა. ისიც კი მომეჩვენა, რომ იგი მეტად გულგრილად იყო განწყობილი.

მაშ, დროს მაინც ნუ ვკარგავთ და ახლავე გავემგზავროთ მეთქი. იგი დამეთანხმა:

- ყაბულსა ვარ, მაგრამ ვიდრე გზას გავუდგებოდეთ, ეს ახალი დერეფანი დავათვალიეროთ, რათა ვიცოდეთ, კიბეების დამზადება ხომ არ არის საჭირო.

ბიძაჩემმა რუმკორფის აპარატი ჩართო, ტივი ნაპირზე დავაბით და იქ დავტოვეთ; დერეფნის შესასვლეს ოცი ნაბიჯიც კი არ გვაშორებდა და მე დაუყოვნებლივ გავუძეხი ჩვენს პატარა რაზმს და შესასვლელისაკენ გავეშურეთ.

თითქმის მრგვალ ხვრელს ხუთიოდე ფუტის დიამეტრი ჰქონდა. კლდეში გამოკვეთილი ბნელი გვირაბის კედლები ვულკანური ამოფრქვევის იმ მასალებს მოეგლუვებინათ, რომლებიც ოდესღაც ამ გვირაბის მეშვეობით დედამიწის ზედაპირზე მიისწრაფოდა. ხვრელის იატაკი თითქმის ზედაპირს უსწორდებოდა, ასე რომ შიგ შესასვლელი არ გაგვძნელებია.

ჩვენ თითქმის ჰორიზონტალურ ზედაპირზე მივდიოდით, მაგრამ ექვსი ნაბიჯი რომ გადავდგით, უშველებელი ლოდი გადაგვეღობა.

- წყეული კლდე! - წამოვიძახე გაბრაზებულმა, როდესაც დავინახე, რომ წინ გადაულახავი დაბრკოლებაა.

ამაოდ ვიტრიალეთ მარჯვნივ და მარცხნივ, დაბლა და მაღლა ვერც გასასვლელი, ვერც შემოსასვლელი გზა ვერა ვნახეთ. იმედი მწარედ გაგვიცრუვდა, მაგრამ არ მინდოდა დაჯერება, რომ გადაგვეღობა დაბრკოლება ნამდვილად გადაულახავი. დავიხრე, ლოდის ქვეშ შევიხედე. იგი მჭიდროდ იყო გაჭექილი, ზევიდან დავათვალიერე, მაგრამ აქაც იგივე გრანიტის ბარიერი იყო აღმართული. ჰანსმა ნათურის შუქი ტიხრის ყველა წერტილს მიანათა; მაგრამ გზის გაგრძელებაზე ხელი უნდა აგვეღო. მიწაზე ჩავიკეცე: ბიძაჩემი დერეფანში ბოლთასა სცემდა.

- მაშ საკნუსემმა როგორღა Gგაიარა? - წამოვიძახე მე.

- დიახ, - დასძინა ბიძაჩემმა. - ნუთუ ამ ქვის საიდუმლო კარებმა შეაჩერა?

- არა! არა! - მაშინვე მივუგე მე, - დედამიწის ქერქის მერყევისა ან რომელიმე მაგნიტური მოვლენის შედეგად კლდის ამ ლოდმა უეცრად ამოქოლა ეს გასასვლელი. საკნუსემის დაბრუნებასა და ამ ლოდის ვარდნას შორის მრავალმა წელმა განვლო. განა ცხადი არაა, რომ ოდესღაც ეს დერეფანი ლავის მოძრაობის გზას წარმოადგენდა და მაშინ ამოფრქვევის ეს მასალები ამ გვირაბში თავისუფლად მოძრაობდნენ. დახედთ გრანიტის ჭერს სულ ახალი ბზარები კვეთენ. ეს ჭერი აქ მოტანილი ნამსხვრევებისაგან, უშველებელი

ლოდებისაგან შედგება, რომლებიც თითქოს რომელიმე გოლიათის ხელს დაუხვავებია და ჩაუხერგია ამ გვირაბში. ერთი უფრო ძლიერი დაწოლისას ეს ლოდი ჩამოინგრა, თაღი ჩაანგრია, ძირს დაცურდა, გვირაბში გაიჭედა და გასასვლელი გადაკეტა. ეს შემთხვევითი დაბრკოლებაა, რომელსაც საკნუსემი არ შეხვედრია და თუ ჩვენ ვერ შევძლებთ მის დაძლევას, არც იმის ღირსნი ვიქნებით, რომ დედამიწის ცენტრს მივაღწიოთ!

აი, როგორ ავლაპარაკდი. პროფესორის სული ერთიანად ჩემში გადმოსახლდა. აღმოჩენათა წყურვილმა შემიპყრო. წარსული დავივიწყე, მომავალს ქედმაღლურად გავყურებდი. ჩემთვის აღარაფერი არსებობდა დედამიწის იმ სფეროიდის ზურგზე, რომლის წიაღშიც ჩავეშვი; არც ქალაქები, არც სოფლები, არც ჰამბურგი, არც კონიგშტრასე, არც ჩემი საბრალო გრაუბენი, რომელიც ალბათ, ახლა დედამიწის სიღრმეში სამუდამოდ გადაკარგულად მთვლიდა!

- მაშ ასე! - განაგრძო ბიძაჩემმა, - წერაქვითა და ძალაყინით გზა გავიკვლიოთ! შევანგრიოთ კედლები!

- ძალაყინი ამ მაგარ ქანებთან ვერაფერს გახდება, - წამოვიძახე მე.

- მაშ წერაქვი ვიხმაროთ!

- წერაქვით დიდხანს მოვუნდებით, ზღუდე მეტად დიდია!

- მაშ....

- დე ნთი ხომ გვაქვს და ავაფეთქოთ ხერგილი!

- ავაფეთქოთ?

- დიახ, სულ მცირე ნიშანი გამოსანგრევი ნაღმის ჩასადებად.

- ჰანს, საქმეს შეუდექი! - წამოიძახა ბიძაჩემმა.

ისლანდიელი ტივს დაუბრუნდა და მალე წერაქვი მოიტანა, რომლითაც სანაღმე ხვრელის ამოკვეთას შეუდგა. მცირე სამუშაო როდი იყო. გამოსათხრელი იყო საკმაოდ მოზრდილი ხვრელი, რომელშიაც ორმოცდაათი გირვანქან პიროქსილინი ჩაეტეოდა. მისი აფეთქების ძალა თოფის წამალის ძალას ოთხჯერ აღემატებოდა.

ძალიან აგზნებული ვიყავი. ვიდრე ჰანსი მუშაობდა, ვეხმარებოდი ბიძაჩემს დასველებული ტილოს ნაჭერში გახვეული თოფის წამლისაგან გრძელი პატრუქის დამზადებაში.

- ამ კედელს დავძლევთ! - ვამბობდი და ბიძაჩემიც ბანს მაძლევდა:

- ცხადია, დავძლევთ!

შუაღამისას მესანგრეთა სამუშაო სავსებით დავამთავრეთ: ხვრელი პიროქსილინით გამოვჭედეთ, პატრუქი დერეფნის მთელ სიგრძეზე გავჭიმეთ და გარეთ გამოვიყვანეთ.

ამ საშინელი მექანიზმის ასამოქმედებლად ნაპერწკალიც ეყოფოდა.

- ხვალამდე, - დაგვემშვიდობა პროფესორი.

კიდევ ექვსი დაუსრულებელი საათი უნდა მეცადა!

ორმოცდამეერთე თავი

მეორე დღე, 27 აგვისტო, ხუთშაბათი, ჩვენი მიწისქვეშა მოგზაურობის ღირშესანიშნავ თარიღად დარჩა. ისე ამ დღის გახსენებაზე არ შეიძლება შიშისაგან არ ამიძგერდს გული. დაწყებული ამ დღიდან, ჩვენს გონებას, ჩვენს განსჯას, ჩვენს გამჭრიახობას არავითარი მნიშვნელობა აღარ ენიჭებოდა და ჩვენ მხოლოდ ბუნების, მიწიერი მოვლენების საალალბედოდ გავხდით.

ექვს საათზე უკვე ფეხზე ვიდექით. ახლოვდებოდა ის წამი, როდესაც აფეთქებით უნდა გაგვერღვია გზა გრანიტის ზღუდეში.

ნაღმისთვის ცეცხლის მოკიდების საპატიო უფლება დავისაკუთრე. ამის შემდეგ ტივზე მსხდომსა და სამგზავროდ გამზდებულ ჩემს თანამგზავრებს უნდა შევერთებოდი. შემდეგ განზე უნდა გავცურებულიყავით, რათა აფეთქების დროს შესაძლებელ ხიფათს

მოვრიდებოდით, რადგან აფეთქება, შესაძლოა, მხოლოდ მასივის შიგა ნაწილით არ შემოფარგლულიყო.

ჩვენი ვარაუდით, პატრუქი ათი წუთის განმავლობაში ენთებოდა, სანამ ცეცხლი ნაღმს მიადგებოდა. ასე რომ ტივამდე მისარბენად საკმარისი დრო მრჩებოდა.

ცოტა არ იყოს, ვღელავდი, საჩქაროდ ვისაუზმეთ, ბიძაჩემი და მონადირე ტივზე ავიდნენ, მე ნაპირზე დავრჩი. გამზადებული მქონდა ანთებული ფარანი, რომლითაც პატრუქისათვის ცეცხლი უნდა მომეკიდებინა.

- მიდი, ჩემო ბიჭუნა, და მაშინვე ჩვენ შემოგვიერთდი.

- არხეინად იყავით, არ დავყოვნდები, - ვუპასუხე მე, და მაშინვე გვირაბის შესასვლელს მივაშურე. ჩემი ფარანი გამოვიღე და პატრუქის ბოლოს ხელი წავავლე.

პროფესორმა ქრონომეტრი მოიმარჯვა და დამიძახა:

- მზადა ხარ?

- მზადა ვარ.

- მაშ, ცეცხლი, ჩემო ბიჭუნა!

პატრუქს სწრაფად მოვუკიდე და სირბილით ნაპირს მივაშურე.

- ამოდი, დავიშრათ, - მომძახა ბიძაჩემმა.

ჰანსმა მიაბჯინა ჭოკი ნაპირს და მძლავრად უბიძგა. ტივი ოციოდე ტუაზით დაშორდა ნაპირს.

მღელვარებამ მოგვიცვა. პროფესორი თვალს არ აშორებდა ქრონომეტრის ისარს.

- კიდევ ხუთი წუთი დარჩა, - ამბობდა იგი. - ოთხი! სამი!

გული აჩქარებულად მიძგერდა.

- კიდევ ორი! ერთი.... გაცამტვერდით, გრანიტის მთებო!

მერე რა მოხდა? მგონი აფეთქების ხმა არც გამიგია, მაგრამ სანაპირო კლდეების ფორმა ჩემ თვალწინ უეცრად შეიცვალა; დვინახე, როგორ ჩაიქცა ზედ ნაპირთან თვალუწვდენელი უფსკრული ერთ ტალღად ქცეული, აზვირთებულ ზღვის ორმოტრიალში მოქცეული, ყალყზე შემდგარი ტივი ზედ თავზე მოექცა.

სამივენი წავიქეცით. თვალის დახამხამებაში სინათლე წყვდიადმა შესცვალა. შემდეგ ვიგრძენი, როგორ გამოგვეცალა ფეხქვეშ კი არა, თვით ტივქვეშ მყარი დასაყრდენი, მომეჩვენა, რომ იგი უფსკრულში გადაეშვა. მაგრამ ასე არ ყოფილა, მინდოდა ბიძაჩემისათვის სიტყვა მიმეწვდინა, მაგრამ წყლის ღრიალში მაინც ვერ გაიგებდა.

ამ სიბნელესა და წყლის გამაყრუებელ ხმაურში, მოულოდნელობისა და აღელვების მიუხედავად, მაინც მივხვდი, რა მოხდა.

აფეთქებული კლდის ქვემოთ უფსკრული ყოფილა. დაბზარულ ქანებში აფეთქებამ მიწისძვრა გამოიწვია, უფსკრული განიხვნა და გაცოფებულ ნიაღვრად ქცეულმა ზღვამ გაგვიტაცა.

დავიღუპეთ და ის არის! აბა, რა ვიცი, რამდენმა საათმა განვლო! ერთმანეთს ვეკვროდით, ხელიხელს ჩავკიდეთ რათა ტივიდან არ ჩამოვვარდნილიყვით. ხანდახან ტივი ეხეთქებოდა კედელს, მაშინ საშინლად შეგვანჯღრევდა ხოლმე. კიდევ კარგი თანდათან სულ უფრო იშვიათად ვეხეთქებოდით კედლებს. კიდევ კარგი, რომ დერეფანი საგრძნობლად ფართოვდებოდა. უეჭველად, საკნუსემის გზას მივყვებოდით, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ მარტო ჩვენ ჩავსულიყავით, ჩვენი წინდაუხედაობით, თან მთელი ზღვა გავიყოლიეთ.

გასაგებია, რომ ეს აზრები, ბუნდოვნად, დაულაგებლად ირეოდა ჩემს გონებაში. ამ თავბრუდამხვევ ქროლვაში, რომელიც ვარდნას უფრო ჰგავდა, აზრბს ძლივს ვუკავშირ ებდი ერთმანეთს. ჰაერი ძლიერად გვირტყამდა სახეში და თუ ამის მიხედვით ვიმსჯელებდით, ჩვენ ექსპრეს-მატარებელზე სწრაფად მივქროდით. ამ პირობებში ჩირაღდნის ანთება შეუძლებელი იყო, ხოლო ჩვენი შემორჩენილი ერთადერთი ელექტრონის აპარატი აფეთქბის დროს დაიმსხვრა.

ამიტომ ძალიან გამიკვირდა, როდესაც იქვე ჩემ გვერდით უეცრად სინათლე დავინახე. იგი ჰანსის მშვიდ სახეს ანათებდა. მარჯვე მონადირემ ნათურის ანთება მოახერხა. თუმცა მისი შუქი ძლივს კრთოდა, მცირე ნათელი მაინც შეიტანა უკუნეთ სიბნელეში. ჩემი ვარაუდი დადასტურდა. გვირაბი ფართო ჩანდა. სუსტ შუქზე მის ორივე კედელს ერთად ვერ ვხედავდი. წყლის ნაკადის დაქანება, რომელიც შვენ მიგვაქროლებდა, ამერიკის ყველაზე დიდი ჩანჩქერის ვარდნაზე მეტი იყო. წყლის ნაკდი თითქოს უკიდურესი სიძლიერით გატყორცნილი ისრების კონისაგან შედგებოდა. ჩემი შთაბეჭდილების გადმოსაცემად უფრო ზუსტ შედარებას ვერ ვპოულობ. დროდადრო მორევში მოქცეული ტივი ჩიკორივით ტრიალებდა და ასე მიიწევდა წინ. როდესაც ტივი გვირბის კედელს უახლოვდებოდა, ნათურას მივანათებდი ხოლმე და როდესაც კლდის შიბები ერთ განუწყვეტელ ხაზად იქცეოდა, ჩვენი მოძრაობის სისწრაფის გამოანგარიშებას ვახერხებდი. ჩემი ვარაუდით, მოძრაობის სიჩქარე საათში ოცდაათ ლიეს აღწევდა.

კატასტროფის დროს ანძა ძირშივე გადატყდა. ჰაერს ზურგს ვუშვერდით, რათა არ გავეგუდეთ. ანძის ნამსხვრევს ჩაჭიდებულნი შეშინებულნი, მეც და ბიძაჩემიც თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდით, ქარის ნაკადისათვი ზურგი მიგვეშვირა, რომ სულის მოთქმა შეგვძლებოდა და არ გავგუდულიყვით. ამ ქროლვაში მოძრაობის სისწრაფის შემცირება არავითარ ადამიანურ ძალს არ შესწევდა.

საათები ილეოდა, მდგომრეობა არ იცვლებოდა, ერთმა ინციდენტმა კი იგი უფრო გაართულა.

ჩვენი ბარგის წესრიგში მოყვანას შევეცადეთ. დავინახე, რომ ტივზე დატვირთული საგნების უმრავლესობა აფეთქების დროს გამქრალიყო, როდესაც ზღვამ ესოდენ მკაცრად შემოგვიტია! მე მინდოდა გამეგო, ზუსტად რამდენი სურათი დაგვრჩა და რისი იმედით უნდა ვყოფილიყვით. ავიღე ნათურა და ნივთების აღრიცხვას შევუდექი. ინსტრუმენტებიდან მხოლოდ კომპასი და ქრონომეტრი დაგვრჩენოდა. აღარც კიბეები იყო და აღარც თოკი. ანძის ნამსხვრევზე შემოხვეულ ბაგირს თუ არ მივიღებთ მხედველობაში. არც ერთი წერაქვი, რაც ძალაყინი, არც ჩაქუჩი და, რაც მთავარია, მხოლოდ ერთი დღის სანოვაგე-ღა დაგვრჩენოდა!

ტივის ყველა ნაპრალი გავჩხრიკე, ძელებსა და ფიცრებს შორის დარჩენილი სულ მცირე ხვრელიც გავსინჯე, მაგრამ ამაოდ! ვერაფერი ვნახე. ჩვენი მარაგი მხოლოდ გამხმარი ხორცის ნაჭერი და რამდენიმე ორცხობილა იყო.

გავშტერდი. დაჯერებაც არ მინდოდა! ნეტა, სანოვაგეზე რატომ ვფიქრობდი, როდესაც საჭმელი თვეების, წლების სამყოფიც რომ გვქონოდა, როგორ უნდა დაგვეღწია თავი ამ უფსკრულიდან, სადაც ეს ულმობელი ნიაღვარი მიგვათრევდა? რაღა შიმშილით ტანჯვა მაშინებდა, როდესაც უკვე სხვა სახის, კარზე მომდგარი სიკვდილი გვემუქრებოდა.

უცნაური იყო, მაგრამ საშინელ მომავალზე ფიქრს, უშუალო ხიფათი მავიწყებდა. ვინ იცის, იქნებ ნიაღვრის მრისხანებას გადავრჩენოდით. მაშინ დედამიწის ზედაპირს დავუბრუნდებოდი. მაგრამ როგორ და რა გზით? არ ვიცოდი. ამას მნიშვნელობა არა ჰქონდა ათასიდან ერთი შანსი მაინც შანსია, ხოლო შიმშილისაგან სიკვდილი გადარჩენის სულ მცირე იმედსაც არ გვიტოვებდა.

გავიფიქრე, რომ ყოველივე ეს ბიძაჩემისათვის მეთქვა, ამეხსნა, თუ რა სავალალო მდგომარეობაში ჩავცვივდით, ზუსტად გამომეანგარიშებინა სიცოცხლისათვის რამდენი დრო-ღა დაგვრჩენოდა. მაგრამ საკმაო სულგრძელობა გამოვიჩინე და გავჩუმდი. მინდოდა, ბიძაჩემს თავდაჭერილობა არ დაეკარგა, სიდინჯე შერჩენოდა.

ამასობაში ნათურის შუქმა თანდათან იკლო და ბოლოს სულ გაქრა. ისევ წყვდიადმა მოგვიცვა. ამ უკუნეთი სიბნელის გაფანტვის არვითარი იმედი არ არსებობდა. ერთი ჩირაღდანი კი გვქონდა, მაგრამ ამ ქარში როგორ უნდა აგვენთო? წყვდიადის შიშით ბავშვივით დავხუჭე თვალები.

საკმაო ხანმა გაიარა. შევნიშნე, რომ ჩვენი სრბოლის სიჩქარე გაორკეცდა. ჰაერი მეტი ძალით გვირტყამდა სახეში. ნაკადის დაქანებამ და სისწრაფემ მეტისმეტად იმატა. ჩვენ კი აღარ მივსრიალებდით, ვერტიკალურად ვეცემოდით.

ბიძაჩემი და ჰანსი მკლავში ჩამჭიდებოდნენ და ძლივს მაკავებდნენ.

ძნელია იმის თქმა, როდის მოხდა, მაგრამ უეცრად ბიძგი ვიგრძენი; ტივი მაგარ სხეულს არ დატაკებია, მაგრამ მისი ვარდნა უეცრად შეყოვნდა. წყლის უშველებელი სვეტი ჩამოიქცა და ტივს დაეცა. სული შემეკრა. ვეღარ ვსუნთქავდი, ვიხრჩობოდი...

ამ უეცარმა წყალდიდობამ დიდხანს არ გასტანა. რამდენიმე წამში ისევ სუფთა ჰაერზე აღმოვჩნდი და ღრმად შევისუნთქე. ბიძაჩემი და ჰანსი ისევე ხელს მიჭერდნენ მკლავზე, ტივი ჯერ კიდევ გვიძლებდა და მიგვაქროლებდა სამივეს.

ორმოცდამეორე თავი

დაახლოებით საღამოს ათი საათი იქნებოდა, ყურთასმენა რომ დამიბრუნდა. აღარ ისმოდა საშინელი ღრიალი. გვირაბში სიჩუე სუფევდა. ბიძაჩემის ჩურჩულსაც კი მოვკარი ყური.

- ჩვენ ავდივართ!

- რისი თქმა გინდათ? - წამოვიძახე მე.

- დიახ, ჩვენ ავდივართ! ავდივართ! !

კედელს შევეხე; ხელი გამისისხლიანდა. ჩვენ უკიდურესი სიჩქარით ვმოძრაობდით.

- ჩირაღდანი! ჩირაღდანი! - შეჰყვირა პროფესორმა.

ჰანსმა, გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოახერხა ჩირაღდნის ანთება და ალმა, მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მივიწევდით, საკმაოდ გაანათა იქაურობა.

- სწორედ ასე ვფიქრობდი, - თქვა ბიძაჩემმა. - ჩვენ ვიწრო ჭაში ვართ, რომლის დიამეტრი ოთხი ტუაზიც არ არის. წყალი, რომელმაც უფსკრულის ფსკერამდე მიაღწია, ესწრაფვის თავის დონეს დაუბრუნდეს და ჩვენც თან ავყავართ.

- სად?

- არ ვიცი, მაგრამ ყოველგვარ შემთხვევისათვის მზად უნდა ვიყოთ. ჩემი ვარაუდით, წამში ორი ტუაზის ანუ წუთში ას ოცი ტუაზის ანუ საათში სამ ლიე ნახევარზე მეტი სიჩქარით ავდივართ. ასეთი ტემპით კარგი მანძილის გავლა შეიძლება.

- დიახ, თუკი არაფერმა გაგვაჩერა და თუ ამ ჭას გასასვლელი აქვს! მაგრმ თუ დახურულია, წყლის სვეტის დაწოლისაგან ჰაერი თანდათან შეიკუმშება და შეიძლება გაგვჭყლიტოს.

- აქსელ, - უაღრესად მშვიდად მიპასუხა პროფესორმა, - ჩვენი მდგომარეობა თითქმის უიმედოა, მაგრამ გადარჩენის რამდენიმე შესაძლებლობა მაინც არსებობს. განვიხილოთ ეს შესაძლებლობანი. თუკი დაღუპვა ყოველ წამს მოსალოდნელია, არც გადარჩენის იმედი უნდა გავიწყვიტოთ. ასე რომ, მზად უნდა ვიყოთ, გამოვიყენოთ გადარჩენის ყოველი შესაძლებლობა.

- მაგრამ ახლა რა უნდა ვქნათ?-

- ვჭამოთ და ამით ძალ-ღონე მოვიკრიბოთ.

ამის გაგონებაზე ბიძაჩემს დაბნეული თვალებით შევხედე. ახლა ხომ უნდა მეთქვა ის, რისი თქმაც ასე მიჭირდა:

- ვჭამოთ? - გავიმეორე.

- დიახ, დაუყოვნებლივ.

პროფესორმა დანიურად რამდენიმე სიტყვა თქვა. ჰანსმა თავი დაუქნია.

- როგორ! - წამოიძახა ბიძაჩემმა, - სანოვაგე დაიკარგა?

- დიახ, აი, რა დაგვრჩა სამივეს წილად - გამხმარი ხორცის ერთი ნაჭერი!

ბიძაჩემი შემომცქეროდა. ვითომ ვერ გაიგო, რაცა ვთქვი.

- კიდევ გაქვთ გადარჩენის იმედი? - შევეკითხე მე, მაგრამ შეკითხვას არავითარი პასუხი არ მოყოლია.

ერთმა საათმა გაიარა. მომშივდა, ჩემს თანამგზავრებსაც შიოდათ. ვერცერთი ვერა ვბედავდით საჭმლის ამ საცოდავი ნაჭერისათვის ხელი გვეხლო.

ამასობაში, უაღრესად სწრაფად ზევითკენ მივიწევდით. ზოგჯერ სუნთქვაც გვიჭირდა, როგორც აერონავტებს, რომლებიც მეტისმეტად სწრაფად იზევებენ, ოღონდ ისინი, რაც უფრო მაღალ ატმოსფეროს ფენებში ადიან, პროპორციულად მით უფრო მეტ სიცივეს გრძნობენ, ჩვენ კი, პირიქით სიცხე საგრძნობლად მატულობდა და ახლა, ალბათ უკვე ორმოც გრადუსს აღწევდა.

რას ნიშნავდა ტემპერატურის ამგვარი ცვლილება? აქამდე ფაქტები დევისა და ლიდენბროკის თეორიებს ადასტურებდა; აქამდე ცეცხლგამძლე ქანებმა, ელექტრონებმა და მაგნეტიმზმმა თავისებური პირობები შექმნეს, ბუნების ზოგადი კანონები დაარღვიეს. ცეცხლის თეორია, ერთადერთი სწორი თეორია, ჩემი აზრით, ძალაში რჩებოდა. იგი ყველაფერს განმარტავდა და ხომ არ მოვხდით იმ გარემოში, სადაც ბუნების მოვლენები მთელის სიმკაცრით მოქმედებდნენ და სადაც სიცხე ქანების ლღვობას იწვევდა. ამას ვშიშობდი და პროფესორსაც გავუზიარე ჩემი ეჭვები.

- თუ წყალში არ დავიხრჩვით, არ გადავიჩეხეთ და შიმშილით არ დავიხოცეთ, ცოცხლად დაწვის შესაძლებლობაც გვრჩება.

ლიდენბროკმა პასუხად მხოლოდ მხრები აიჩეჩა დ ისევ ფიქრებში ჩაიძირა.

გავიდა კიდევ ერთი საათი. ტემპერატურამ მოიმატა, სხვა მხრივ მდგომარეობა არ შეცვლილა. როგორც იქნა, ბიძაჩემმა დუმილი დაარღვია:

- რამე მაინც უნდა ვიღონოთ, - თქვა მან.

- რა უნდა ვქნათ? - მივუგე მე.

- ღონე უნდა აღვიდგინოთ. თუ საჭმლის ამ ნარჩენებს არ შევჭამთ და ამით არ ვეცდებით, რამდენიმე საათით არსებობა გავიხანგრძლივოთ, საბოლოდ დავსუსტდებით.

- დიახ, საბოლოოდ, და ამ ბოლოს ლოდინი დიდხანს არ მოგვიხდება.

- თუ გადარჩენის შესაძლებობა მოგვეცა და სწრაფი მოქმედება გახდა საჭირო, უჭმელობით დასუსტებულებს ღონეც არ გვექნება.

- ეჰ, ბიძაჩემო, როდესაც ხორცის ამ ნაჭერს შევჭამთ, აბა რაღა დაგვრჩება?

- არაფერი, აქსელ, არაფერი. მაგრამ არც მაგის ყურება გაგაძღებს. შენ უნებისყოფო ადამიანივით მსჯელობ, ენერგიას მოკლებული არსებასავით:

- მაშ, იმედს არა კარგავთ? - წამოვიძახე გაღიზიანებულმა.

- არა! - მტკიცედ მიპასუხა პროფესორმა.

- როგორ! თქვენ კიდევ გჯერათ, რომ გადარჩენის რაიმე შესაძლებლობა არსებობს?

- დიახ, ცხადია, დიახ! და ვიდრე ნებისყოფის მქონე არსების გული ძგერს, სანამ მოძრაობის უნარი შესწევს, სანამ მისი სხეული ცოცხლობს, მას უფლება არა აქვს, სასოწარკვეთილებას მიეცეს.

როგორი ნათქვამია! ადამიანს, რომელიც ამგვარ მდგომარეობაში ამ სიტყვებს ამბობდა, უეჭველად უტეხი ნებისყოფა გააჩნდა.

- ბოლოს და ბოლოს რის გაკეთებას აპირებთ?

- უკანასკნელ ნამცეცამდე შევჭამოთ დარჩენილი საჭმელი და ამით დაკარგული ძალ-ღონე აღვიდგინოთ. დაე, ეს ჩვენი უკანასკნელი საუზმე იყოს, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ქანცგაწყვეტილები ვიყოთ, ჩვენ ისევ ადამიანები გავხდებით.

- მაშ, შევჭამოთ, რაც გვაბადია! - წამოვიძახე მე.

ბიძაჩემმა გადარჩენილი ხორცის ნაჭერი და ოთხი ორცხობილა თანაბრად გაანაწილა და დაგვირიგა. თითოეულს დაახლოებით ერთი გირვანქა საჭმელი შეგვხვდა. პროფესორი ხარბად დააცხრა საჭმელს. ხომ მშიოდა, საჭმელმა, ზიზღის გარდა, ვერაფერი სიამოვნება მომგვარა. ჰანსი მშვიდად, გამოზომილად ნელ-ნელა უხმოდ ღეჭავდა ხორცს და გემოს ატანდა, როგორც მშვიდი ადამიანი, რომელსაც მომავლის დარდი ვერ შეაწუხებს, ჰანსმა

მათარაში ნახევრამდე ღვიის არაყი იპოვა და დაგვალევინა. ამ ხალისის მომგვრელმა სასმელმა ოდნავ გამოგვაცოცხლა.

- Förtaffig! - თქვა ჰანსმა, როდესაც თავისი წილი დალია.

- საუცხოოა, - მიუგო ბიძაჩემმა.

ისევ ცოტაოდენი იმედი მომეცა. დილის ხუთი საათი იყო.

ადამიანი ისე ყოფილა აგებული, როგორც კი შიმშილს დაიკმაყოფილებს, განცდილის საშინელება ძნელად წარმოსადგენი ხდება; ეს რომ გაიგო, შიმშილი თვითონ უნდა განიცადო. ამრიგად, ხანგრძლივი უჭმელობის შემდეგ ორცხობილისა და ხორცის რამდენიმე ლუკმამ განცდილს სძლია. ნასაუზმევს ყველა საკუთარ ფიქრებს მისცემოდა. ჰანსს, უკიდურესი დასავლეთის შვილს, აღმოსავლელი ადამიანივით მშვიდად ეჭირა თავი. მე მოგონებებში ჩავიძირე: დედამიწის ზედაპირზე დავბრუნდი, კონიგშტრასეს ვეწვიე. ჩემმა საბრალო გრაუბენმა, ჩვენმა მოახლე მართამ აჩრდილებივით ჩიარეს ჩემ თვალწინ და, გრანიტის მასივის მიღმიდან მგრგვინავ მრისხანე ხმებში მე დედამიწის ქალაქების ხმაური მომელანდა.

ყოველთვის საქმეში გართულ ბიძაჩემს ხელში ნათურა ეჭირა და ყურადღებით იკვლევდა ქანების ხასიათს; იგი ცდილობდა ჩვენი ადგილმდებარეობის დადგენას, ერთი მეორეზე დაწყობილი შრეების აგებულაბას სწავლობდა. ცხადია, მხოლოდ ვარაუდი შეეძლო, თანაც მეტად მიახლოებითი ვარაუდი, მაგრამ მეცნიერი ყოველთვის მეცნიერია, თუკი სიმშვიდის შენარჩუნება მოახერხა. პროფესორ ლიდენბროკს კი ეს თვისება ნამდვილად ჰქონდა.

მესმოდა, როგორ ბურტყუნებდა იგი გეოლოგიურ ტერმინებს; მესმოდა და ჩემდა უნებლიეთ ამ უკანასკნელი გამოკვლევის შედეგმა დამაინტერესა.

- ამოფრქვეული გრანიტი, - ამბობდა იგი. - ჩვენ ჯერ კიდევ პირველად ეპოქაში ვართ; მაგრამ ჩვენ ისევ ავდივართ! ავდივართ! და ვინ იცის...

ვინ იცის? იგი იმედს არ კარგავდა. ხელით ვერტიკალურ კედელს უფართურებდა და, რამდენიმე წამის შემდეგ, განაგრძნობდა:

- აი, გნეისი! აი ქარსიანი ფიქალი. კეთილი! მალე გარდამავალი ეპოქის ქანებიც გამოჩნდება, და მაშინ...

რისი თქმა სურდა პროფესორს? განა შეეძლო მას ჩვენს ზემოთ მდებარე დედამიწის ქერქის სისქის გამოანგრიშება? რაიმე საშუალება გააჩნდა ამის გამოსაანგარიშებლად? არა. მას მანომეტრი არ ჰქონდა, უამისოდ კი ვერავითარ ვარაუდს ვერ გასწევდა.

ტემპერატურა თანდათან მატულობდა. მე ოფლში ვიწურებოდი. ჰაერი ისე ხურდა, თავი მეტალურგიული ქარხნის ღუმელში გეგონებოდა. ჰანსმა, ბიძაჩემმა და მეც პიჯაკები და ჟილეტები გავიხადეთ. დედიშობილად დავრჩებოდით, მაგრამ რას გვიშველიდა.

- გავარვარებული კერისაკენ ხომ არ ავდივართ? - წამოვიძახე, როდესაც სიცხემ კიდევ უფრო იმატა.

- არა, - მიპასუხა ბიძაჩემმა, - ეს შეუძლებელია! ნამდვილად შეუძლებელია!

- აბა, ნახეთ, - ვთქვი მე და, კედელი მოვსინჯე, - გავარვარებულია.

ეს სიტყვები რომ წარმოვთქვი, ხელზე წყალი გადამესხა, დავიმდუღე.

- წყალი მდუღარეა, - ვიყვირე მე. გაბრაზებულმა პროეფსორმა მხოლოდ ხელი აიქნია.

დაუძლეველი შიში დამეუფლა. თავს ვეღარ ვძლიე, ვგრძნობდი, კატასტროფა გვიახლოვდებოდა, თანაც ისეთი, ყველაზე გაბედული ფანტაზიაც რომ ვერ წარმოიდგენს. ერთი აზრი ამეკვიატა. ვცდილობდი, არ მეფიქრა, მაგრამ მოსვენებას არ მაძლევდა. მთლად ნათლად არ მქონდა ჩამოყალიბებული. ბოლოს იძულებული გავხდი მერწმუნა. გრანიტულ ფენებში უწესრიგო მოძრაობა შევნიშნე: ეტყობა, რაღაც ხდებოდა, რომელშიც გარკვეულ როლს ელექტრონი თამაშობდა. ამას ზედ ერთვოდა მეტისმეტი სიცხე, მდუღარე წყალი! ... კომპასს დავხედე...

გაგიჟებულიყო!

ორმოცდამესამე თავი

დიახ, გაგიჟებულიყო! ისარი ერთი პოლუსიდან მეორესაკენ ხტოდა, ციფერბლატის ყველა წერტილს გაირბენდა და უკან ბრუნდებოდა, თითქოს თავბრუ ეხვეოდა.

კარგად ვიცოდი, რომ ყველაზე აღიარებული თეორიების თანახმად, დედამიწის ქერქი არასოდეს არ არის სავსებით მოსვენებული, ქანების დაშლის შედეგად გამოწვეული ცვლილებანი, წყლის მასების დინებით გამოწვეული მღელვარება, მაგნეტიზმის მოქმედება განუწყვეტლივ არყევს დედამიწის ქერქს, მაშინაც კი, როდესაც მის ზედაპირზე გაფანტული არსებანი ამ რყევას ვერცა გრძნობენ. ასე რომ, თავისთავად, მხოლოდ ეს მოვლენა იმდენად არ მაშინებდა.

მაგრამ სხვა ფაქტები, ზოგიერთი sui generis[1] წვრილმანები ვერ შემაცდენდნენ. დეტონაცია საშინელი ინტენსიურობით იზრდებოდა, მრავლდებოდა. მისი შედარება შეიძლებოდა მხოლოდ ქვაფენილზე ზედიზედ მიმავალ ურიცხვ ოთხთვალას რახრახთან.

უწყვეტი ჭექა-ქუხილი იდგა.

გარდა ამისა, ელექტრუილი მოვლენების მიერ გაგიჟებული კომპასი ჩემს აზრს ადასტურებდა. დედამიწის მინერალური ქერქი გასკდომაზე იყო, გრანიტის მასივები ეს-ეს არის უნდა შეერთებულიყვნენ, ბზარი ამოივსებოდა და ჩვენ, საბრალო ატომები, განწირული ვიყავით.

- ბიძაჩემო, ბიძაჩემო! - წამოვიძახე, - დავიღუპეთ.

- ეს ახალი შიში საიდან მოგევლინა? - მიპასუხა საოცრად მშვიდად პროფესორმა.

- როგორ თუ საიდან, დახედეთ, როგორ ირყევა კედლები, როგორ იბზარება გრანიტის ქანები, დახედეთ საშინელ სიცხეს, ამ მდუღარე წყალს და შეგუბებულ ორთქლს, ამ გაგიჟებულ ისარს, ყოველივე ეს მიწისძვრას მოასწავებს.

ბიძაჩემმა წყნარად დაიქნია თავი.

- მიწისძვრა? - თქვა მან.

- დიახ!

---

1 თავისებური სახის (ლათ.)

- ჩემო ბიჭუნა, ვგონებ, სცდები!

- როგორ! მიწისძვრის ნიშნებს ვერ სცნობთ?...

- მიწისძვრისა? არა! მე უფრო უკეთესს მოველი!

- რას ბრძანებთ?

- ამოფრქვევას ველი.

- ამოხეთქვას! - ვთქვი მე. - მაშ, ჩვენ მოქმედი ვულკანის ყელში ვართ!

- ასე ვფიქრობ, - ღიმილით მომიგო პროფესორმა, - და ამაზე უკეთესი რა უნდა შეგვემთხვეს! გვეწვიოს!

უკეთესიო? ხომ არ გაგიჟებულა ბიძაჩემი? რას ნიშნავდა ეს სიტყვები? რას ნიშნავდა მისი სიმშვიდე და ეს ღიმილი?

- როგორ! - წამოვიძახე მე, - ჩვენ ამოფრქვევაში მოვექეცით! ბედმა გავარვარებული ლავის ყელში ჩაგვაგდო, გავრვარებულ ქანებს, მდუღარე წყალსა და ამოსნთხევ მასალასთან ერთად. ჩვენ დავიწვებით და შემდეგ გაგვისვრის, ამოგვაგდებს, ჰერში აგვტყორცნის, კლდის ნამსხვრევებთან, ფერფლსა და წიდის წვიმასთან ერთად, ალის ორმოტრიალში. ეს უდიდესი ბედნიერებაა?!

- დიახ, - მიპასუხა პროფესორმა და სათვალეების ზემოდან გამომხედა, - რადგან ეს დედამიწის ზედაპირზე დაბრუნების ერთადერთი შესაძლებლობაა.

თავში ფიქრები ამერია. ბიძაჩემი მართალი იყო. სავსებით სწორედ მსჯელობდა. არასოდეს მენახა იგი უფრო გაბედული. უფრო დარწმუნებული, ვიდრე ამ მომენტში, მშვიდად სწონიდა ამოფრქვევის ყველა შანსს.

ისევ მაღლა მივიწევდი. მაღალ-მაღლა სიარულში ღამემ გაიარა; ხმაური ძლიერდებოდა. თითქმის გავიგუდე, მეგონა, აღსასრულს ვუახლოვდებოდი, თუმცა ადამიანის წარმოდგენა უცნაური რამაა ნამდვილად ბავშვურ ფანტაზიებს ავყევი. მე კი არ ვიმორჩილებდი აზრებს, თვითონ ჩემს აზრებს დავემორჩილე.

როგორც ჩანს, ამონთხევის დაწოლას ზევითკენ მივყავდით; ტივქვეშ მდუღარე წყალი იყო, ამ წყლის ქვეშ კი ლავის მასა, რომელიც ზევით კრატერის თავზე ამოინთხეოდა და აქეთ-იქით გაიფანტებოდა: ეჭვი აღარ იყო, რომ ჩვენ ვულკანის ყელში ვიმყოფებოდით.

მაგრამ ამჯერად უკვე ჩამქრალ ვულკანში, სნეფელსში კი არ ვიყავით, არამედ მოქმედ ვულკანში, ოღონდ რომელში არ ვიცოდი. ჩემს თავს ვეკითხებოდი, რომელი მთა უნდა ყოფილიყო და დედამიწის რომელ მხრეში ამოგვაგდებდა.

ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ჩრდილოეთის ქვეყნებში უნდა ვყოფილიყავით. სანამ კომპასი აურევდა, ისარი სწორედ აქეთ მიუთითებდა. საკნუსემის კონცხიდან ასობით ლიე ჩვენ პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ გავიარეთ. იქნებ ისლანდიის ქვეშ დავბრუნდით? ვფიქრობდი ჰეკლას კრატერი ამოგვაგდებს თუ რომელიმე ერთ-ერთ კუნძულზე მყოფი შვიდი ცეცხლმფრქვევი კრატერიდან? დასავლეთით ამ პარალელზე, ხუთასი ლიეს რადიუსში, მხოლოდ ამერიკის ჩრდილოეთ-დასავლეთის ნაკლებად ცნობილი ვულკანები ვიცოდი. აღმოსავლეთით, ჟან მაიერის კუნძულზე, შპიცბერგენის მახლობლად განედის მეოთხმოცე გრადუსზე კიდევ იყო და თანაც საკმაოდ ფართო კრატერები. ამ კრატერებს მთელი არმიის ამოფრქვევა შეეძლოთ! ვცდილობდი, გამომეცნო, რომელი მათგანი ამოგვისვრიდა.

დილას სიჩქარემ უფრო იმატა. დედამიწის ზედაპირს ვუახლოვდებოდით და მეგონა სიცხე დაიკლებდა. მაგრამ პირიქით, ვიხრუკებოდით. ეს მოქმედი ვულკანის გავლენით იყო.

ჩვენი გადაადგილების საშუალება აღარავითარ ეჭვს არ იწვევდა. დედამიწის წიაღში დაგროვებული ორთქლისაგან წარმოშობილი მრავალი ასეული ატმოსფეროს ძალა განუხრელად წინ გვერეკებოდა. რამდენ ხიფათს ვუძლედით!

მალე, ახლა უკვე საკმაოდ ფართო ვერტიკალურ გვირაბში, იასამნისფერი შუქის ანარეკლმა შემოაღწია. მარჯვნივ და მარცხნივ ვამჩნევდი ღრმა ხვრელებს. უშველებელ გვირაბებს გვანდნენ იქიდან სქელი ორთქლი გამოდიოდა. ალის ენები ტკაცუნით ლოკავდნენ კედლებს.

- დახედეთ! დახედეთ! - მივაძახე ბიძაჩემს.

- ეს გოგირდის ალია, ამოფრქვევის დროს სავსებით ბუნებრივი მოვლენაა.

- მაგრამ თუ შიგ მოვხვდით?

- არ მოვხვდებით!

- რომ გავიგუდოთ?

- არ გავიგუდებით. გვირაბი ფართოვდება და, თუ სჭირო გახდა, ტივს მივატოვებთ და რომელიმე ღრმულს თავს შევაფარებთ.

- ქვევიდან მოწოლილ წყალს რაღას ვუზამთ?

- წყალი აღარ არის, აქსელ, ახლა მხოლოდ ცომისებური ლავა გვერეკება ზევით კრატერის ხვრელისაკენ.

წყალი მართლაც გაქრა. ახლა იგი საკმაოდ სქელმა, მდუღარე ამონანთხევმა შეცვალა. ტემპერატურა აუტანელი ხდებოდა და თერმომეტრი რომ გვქონოდა ალბათ სამოცდაათ გრადუსზე მეტს გვიჩვენებდა! ოფლში ვიწურებოდი. აღმა ასე სწრაფი ასვლა გვშველოდა, თორემ უთუოდ გავიგუდებოდით.

პროფესორს აღარ გახსენებია თავისი ნათქვამი, ტივს მივატოვებთო და კარგად მოიქცა. ამ სახელდახელოდ შეკრულ მორებზე მყარად ვიდექით.

დილის რვა საათზე მდგომარეობა შეიცვალა. აღმასვლა შეჩერდა. ტივი სრულიად უძრავად იდგა.

- რა ამბავია?! - ვიკითხე მე როდესაც ტივი უეცრად შეჯანჯღარდა, თითქოს უბიძეგოს, და გაჩერდა.

- გაჩერება, - მიპასუხა ბიძაჩემმა.

- ნუთუ ამონთხევა შეყოვნდა?

- იმედი მაქვს, რომ არა.

წამოვდექი. ვცადე, ირგვლივ მიმომეხედა. იქნებ კლდის შიბზე მიდებული ტივი აკავებდა ლავას? თუ ასე იყო, რაც შეიძლება სწრაფად უნდა აგეშვა ტივი.

მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ფერფლის, წიდისა და კლდეების ნამსხვრევების სვეტის აღმასვლა თვითონ შეჩერდა.

- ნუთუ ამონთხევა შეჩერდება? - წამოვიძახე მე.

- შენ ამისა გეშინია, ჩემო ბიჭუნი, - კბილების კრაჭუნით თქვა ბიძაჩემმა. - დამშვიდდი; ასე არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. ჯერ ხუთი წუთი გავიდა, სულ მალე განვაგრძობთ აღმასვლას კრატერის პირისაკენ.

პროფესორი ლაპარაკობდა და თან თავის ქრონომეტრს უყურებდა. მისი პროგნოზი ახლაც გამართლდა. ტივი კვლავ სწრაფად და უწესრიგოდ ამოძრავდა. დაახლოებით ორი წუთის შემდეგ ისევ გაჩერდა.

- კეთილი, - თქვა ბიძაჩემმა და საათს დახედა. - ათ წუთში ტივი გზას განაგრძობს.

- ათ წუთში?

- დიახ. ცვალებადი ამოფრქვევის ვულკანთან გვაქვს საქმე, ამიტომ შეგვიძლია მასთნ ერთად სული მოვითქვათ.

ასეც მოხდა. ზუსტად ათ წუთში ლავამ ისე ჩქარა აგვიტაცა, მორებს რომ არ ჩავჭიდებოდით, გადავცვივდებოდით. შემდეგ შევჩერდით.

მერე ჩავუფიქრდი ამ უცნაურ მოვლენას, მაგრამ ახსნა ვერ მოვუნახე. ცხადად ჩანდა, რომ ჩვენ ვულკანის მთავარ ყელში არ ვიყავით, არამედ გვერდითა გასასვლელში, სადაც მხოლოდ შესუსტებული ბიძგების გავლენა იგრძნობოდა.

ვერ დავითვალე, რამდენჯერ შევჩერდი და რამდენჯერ დავიძარით. ის კი მახსოვს, ყოველი შეჩერების შემდეგ ვულკანი ყუმბარასავით გვტყორცნიდა. გაჩერებულები ხომ ვიგუდებოდით; ატყორცნილებს გახურებული ჰაერი სუნთქვას გვიხშობდა. წამით წარმოვიდგინე, რა სიამოვნება იქნება, უცებ რომ აღმოვჩნდე რომელიმე ჰიპერბორიულ ქვეყანაში ოცდაათ გრადუსიან სიცივეში-მეთქი. ჩემი ზეაღგზნებული წარმოდგენა არქტიკის თოვლით დაფარულ ველებზე დანავარდობდა. იმ წამზე ვოცნებობდი, როდესაც პოლუსის ყინულზე გავგორდებოდი. გაუთავებელმა ბიძგებმა თავგზა ამიბნია. ჰანსი მაკავებდა, თორემ ვინ იცის, რამდენჯერ მივახლიდი თავს გრანიტის კედელს. ამიტომ ბუნდოვნად მახსოვს, როგორ ირყეოდა გრანიტი, როგორ ვბრუნდებოდით, როგორ ირწეოდა ტივი ლავის ტალღებზე, როგორ წვიმასავით გვაცვიოდა ფერფლი, როგორ ლაპლაპებდა ალი, მიწისქვეშა ცეცხლს როგორ აძლიერებდა გრიგალი, მაგონდება ჰანსის სახე, თითქოს ხანძარი მოედო. მეტი აღარაფერი მახსოვს. შიშმა შემაძრწუნა. ვფიქრობდი, ზარბაზნის ლულაში ვარ მოქცეული, მივრიან და ნაკუწ-ნაკუწად ქცეული ჰაერში გავიფანტები-მეთქი.

ორმოცდამეოთხე თავი

თვალი რომ გავახილე, ჩემი ქამარი გამყოლის ძლიერ ხელს ეჭირა, მეორე ხელით ბიძაჩემი ჰყავდა ჩაბღუჯული, მე ძლიერ დაშვებული არ ვიყავი, მაგრამ დაღლილ-დაქანცული უგონოდ ვეგდე. ვულკანმა მთის ფერდობზე ამოგვაფრვია. ჰანსი რომ არა, ერთი უბრალო მოძრაობით ხახადაღებულ უფსკრულში გადავიჩეხებოდით!

- სადა ვართ? - იკითხა ბიძაჩემმა. მომეჩვენა, ბრაზობს, დედამიწის ზედაპირს რომ დავუბრუნდით.

მონადირემ მხრები აიჩეჩა, არ ვიციო.

- ისლანდიაში, - ვთქვი მე.

- Nej, - მიპასუხა ჰანსმა.

- როგორ თუ არა! - წამოიძახა პროფესორმა.

- ჰანსი ცდება, - ვთქვი და ფეხზე წამოვდექი.

ამ უცნაურობებით სავსე მოგზაურობის შემდეგ კიდევ ერთი საკვირველება გველოდა. მეგონა, მარადიული თოვლით დაფარულ კონუსს ვნახავდი, ჩრდილოეთის უკაცრიელ მხარეში. პოლარული ცის მკრთალი სხივები მოგველამუნებოდა, ყველაზე მაღალი განედების მიღმა აღმოვჩნდებოდით. ნაცვლად ამისა, ხრიოკ, მთის ფერდობზე ვიწექით და მზე გვაცხუნებდა.

საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი; მაგრამ ნახევრად გაშიშვლებულ მზეს, რომლისგან ორი თვის მანძილზე არაფერი გვითხოვია, უხვად გვაფრქვევდა სინათლესა და სითბოს.

როდესაც თვალები დღის სინათლეს შეეჩვია, შევეცადე, ჩემი ფანტაზია და სინამდვილე ერთმანეთისათვის შემედარებინა. მსურდა სულ ცოტა, შპიცბერგენზე მაინც ვყოფილიყავით.

პროფესორმა პირველმა აიღო სიტყვა:

- მართლაც რომ ისლანდიას არა ჰგავს.

- არც ჟან მაიენის კუნძულს?

- არც ამ კუნძულს ჰგავს. ეს არ არის გრანიტის ბორცვებიანი და თოვლით დაფარული ჩრდილოეთის ვულკანი.

- თუმცა...

- შეხედე, აქსელ, შეხედე!

ჩვენ ზემოთ, სულ ბევრი ხუთას ნაბიჯზე იხსნებოდა ვულკანის კრატერი. იქიდან ყოველ თხუთმეტ წუთში ძლიერი გრგვინვით ამოდიოდა ალის მაღალი სვეტი და თან პემზა, ფერფლი და ლავა ამოჰქონდა. მთა ისე ფშვინავდა, გეგონებოდა ვეშაპი სუნთქავს, და დროდადრო თავის ვეება ლაყუჩებიდან ცეცხლს აფრქვევსო. ქვემოთ, საკმაოდ ციცაბო ფერდობზე, შვიდას-რვაასი ფუტის მანძილზე ამონაფრქვევი იშლებოდა. ვულკანის სიმაღლე სამას ტუაზს არ აღემატებოდა, მთის ძირი მწვანე ხეების ტევრებში იკარგებოდა, ვარჩევდი ზეთისხილისა და ლეღვის ხეებს, მტევნებით დახუნძლულ ვენახს.

უნდა გამოვტყდე, რომ ეს პეიზაჟი სულაც არ ჰგავდა არქტიკულ მხარეს.

საითაც გაიხედავდი, ირგვლივ ზღვისა თუ ტბის წარმტაცი სანახაობა იშლებოდა, ასე რომ, ეს ჯადოსნური მიწა სულ რამდენიმე ლიეს სიგანის კუნძულს წარმოადგენდა. აღმოსავლეთით, რამდენიმე სახლის სახურავებს იქით, პატარა ნავსადგურში, წყლის ლაჟვარდ ტალღებზე უცხო გემები ირწეოდნენ. წყლის შუაგულში პატარ-პატარა კუნძულები ჭიანჭველების ვრცელ ბუდესავით მოჩანდა. დასავლეთისაკენ ჰორიზონტზე მორკალულიყო შორეული ნაპირი. ცოტა იქით, კოხტა, წერწეტი ლურჯი მთების სილუეტი ილანდებოდა. უფრო შორს ძალიან მაღალი კონუსი ამართულიყო. მის მწვერვალს კვამლის ქულა ადგა. ჩრდილოეთით მზის სხივებში ელვარებდა წყლის თვალუწვდენელი სივრცე, აქა-იქ გაიელვებდა ანძის წვერი ან ქარისაგან გაბერილი აფრა.

არ მოველოდი და ერთი ასად წარმტაცი მეჩვენებოდა.

- სადა ვართ? - ვიმეორებდი ხმადაბლა.

ჰანსი თვალებს გულგრილად ჭუტავდა, ბიძაჩემი ირგვლივ იცქირებოდა და ვერაფერი გაეგო.

- რა სახელიც არ უნდა ერქვას, - თქვა მან ბოლოს, - აქ ცოტა არ იყოს ცხელა; აფეთქებებს ბოლო არ უჩანს. თუ ამოფრქვევას გადავურჩით, შეიძლება კლდის ნამსხვრევი დაგვეცეს. გავეცალოთ აქაურობას. იმასაც გავიგებთ, სადა ვართ და რა ვქნათ. თანაც, შიმშილი და წყურვილი მკლავს.

პროფესორი მეოცნებე ბუნების პატრონი ნამდვილად არ იყო. მე კი ყოველგვარი მოთხოვნილებაც და დაღლილობაც დამავიწყდა და ამ ადგილიდან ფეხსაც არ მოვიცვლიდი კიდევ დიდხანს, მაგრამ მეტი რა გზა მქონდა, ჩემს თანამგზავრებს უნდა გავყოლოდი.

ვულკანს ძალიან ციცაბო ფერდობები ჰქონდა; ჩვენი ფერფლით ამოვსებულ ხევებში ვცურდებოდით, გვერდს ვუვლიდით ლავის ნაკადებს, ცეცხლის გველებივით რომ მიიკლაკნებოდნენ. ჩავდიოდი და თან შეუჩერებლად ვლაპარკობდი. ფანტაზია მომეძალა და გაჩერება არ შემეძლო.

- ჩვენ აზიაში ვართ, - წამოვიძახე მე, - ინდოეთის ნაპირებზე, მალაის კუნძულებზე, შუაგულ ოკეანეში! ჩვენ დედამიწის ნახევარსფერო გადავკვეთეთ და ევროპის ანტიპოდებთან მივედით.

- კი, მაგრამ, კომპასი? - მიპასუხა ბიძაჩემმა.

- დიახ! კომპასი! - ვთქვი შეწუხებულმა. - თუკი კომპასს დავუჯერებთ, ჩვენ სულ ჩრდილოეთისკენ გვივლია.

- მაშ მოგვატყუა?

- იქნებ, ჩრდილოეთ პოლუსია!

- პოლუსი! არა, მაგრამ...

აქ რაღაც გაუგებრობას წავაწყდით. რა გვეფიქრა, ისიც არ ვიცოდით.

ამ ლაპარაკში მობიბინე თვალწარმტაც დაბლობს მივუახლოვდით, მაგრამ ჯერ წყალი არ ჩანდა, ჩვენ გვწყუროდა და გვშიოდა კიდეც. საბედნიეროდ. ორ საათში ზეთისხილისა და ბროწეულის ბაღებს მივადექით. ვენახებში ჩაფლულიყო ლამაზი სოფელი. გეგონებოდათ, ამ ბაღ-ვენახებს პატრონი არა ჰყავსო. კაცის ჭაჭანება არ ისმოდა. მაგრამ ამას ვინ დაგიდევდათ. ნეტარება მოგვგვარა წვნიანმა და გემრიელმა ხილმა. ვენახში სავსე მტევნები მოვწყვიტეთ. ბალახში, ხეების სანეტარო, ჩრდილოში ცივი წყარო მოჩუხჩუხებდა, წარმოიდგინეთ რა სიამე ვიგრძენ, სახე და ხელები რომ გავიგრილე.

ამ ნეტარებაში ვიყავით. უცებ ზეთისხილის ხეთა ორ მწკრივს შორის ბიჭი გამოჩნდა.

- აი, ამ ბედნიერი მხარის მკვიდრიც, - წამოვიძახე მე.

ჩამოკონკილ-ჩამოძონძილს სახეზე ისედაც ფერი არ ედო, ჩვენ რომ დაგვინახა, შეეშინდა, გაფითრდა. ცუდი სანახავები კი ვიყავით წვერმოშვებულნი. ნახევრად შიშველნი და თუ ამ ქვეყანაში ყაჩაღები არა ცხოვრობდნენ, ჩვენი დანახვა აქაურ მცხოვრებთ შიშის ზარს დასცემდა. ყმაწვილი გასაქცევად გაიწია, ჰანსმა შეაჩერა. მიუხედავად იმასა, რომ ყვიროდა და ფეხებს იქნებდა. ბიძაჩემმა დამშვიდება დაუწყო, მიუალერსა. მერე გერმანულად ჰკითხა:

- რა ჰქვია ამ მთას, ჩემო ბიჭუნავ?

ყმაწვილმა არაფერი უპასუხა.

- კეთილი, - თქვა ბიძაჩემმა, - ჩვენ გერმანიაში არა ვართ.

იგივე შეკითხვა ინგლისურად გაუმეორა.

ბავშვმა არც ახლა ამოიღო ხმა. მე ძალიან დავინტერესდი.

- მუნჯი ხომ არაა? - წამოიძახა პროფესორმა. ის ხომ პოლიგლოტობაზე სდებდა თავს და ფრანგულად დაელაპარაკა.

ბიჭი კვლავ დუმდა.

- მაშ იტალიურად ვცადოთ - თქვა ბიძაჩემმა.

- Dove noi siamo? - ჰკითხა მან.

- დიახ! სადა ვართ? - გავიმეორე მოუთმენლად.

ყმაწვილმა ისევ არ გვიპასუხა.

- ამოიღებ თუ არა ხმას, ბოლოს და ბოლოს? - წამოიძახა ბიძაჩემმა, ის უკვე გაბრაზდა და ბავშვს ყურში წაავლო ხელი. - Come si noma questa isola?

- Stromboli, - უპასუხა პატარა მწყემსმა, ჰანსს ხელიდან გაუსხლტა და ზეთისხილის ხეთა შორის მიიმალა.

ეს კი არ მოგვიფიქრებია! სტრომბლიზე! როგორ იმომქდა ჩემს წარმოდგენაზე ამ საზღაპრო სახელმა! ჩვენ შუაგულ ხმელეთაშუა ზღვაში ვიყავით, მითიური წარსულის მქონე ეოლიის არქიპელაგზე, ყოფილ სტრონგილში, სადაც ეოლს მიჯაჭვული ჰყავდა ქარი და ქარიშხალი. ხოლო ეს ლურჯი მომრგვალებული მთები, აღმოსავლეთით რომ ჩანდა,

კალაბრიის მთები იყო! სამხრეთის ჰორიზონტზე აღმართული ვულკანი კი თვითონ მრისხანე ეტნა გახლდათ.

- სტრომბოლი! სტრომბოლი! - გავყვიროდი მე.

ბიძაჩემი ისეთ ბანს მაძლევდა, გუნდი გეგონებოდათ.

ო, რა მოგზაურობაა! რა საკვირველი მოგზაურობა! ერთი ვულკანის ყელში შესულები, მეორე ვულკანის კრატერიდან ამოვედით და ეს მეორე, ქვეყნის კიდეზე მდებარე, უდაბური ისლანდიის სნეფელსიდან ათას ორასზე მეტი ლიეთია დაშორებული. ექსპედიციის ავბედობამ დედამიწის ერთ ყველაზე მშვენიერ მხარეში მოგვიყვანა. მარადიული თოვლის მხარე უკან დავტოვეთ, მარად მწვნე მხარეში მოვედი. ყინულოვანი სარტყლის ნისლი უკან დაგვრჩა და სიცილიის ლაჟვარდი ცის ქვეშ აღმოვჩნდით!

ხილითა და ცივი წყლით საუცხოოდ ვისაუზმეთ და გზას გავუდექით, რათა სტრომბოლის ნავსადგურში ჩავსულიყავით. ცრუმორწმუნე იტალიელებთან სიფრთხილე გვმართებდა. არ გვითქვამს საიდან გავჩნდით აქ კუნძულზე, თორემ თორმეტ ჯოჯოხეთიდან ამოსულ ეშმაკობად ჩაგვთვლიდნენ. თავმდაბლობა გამოვიჩინეთ და გემის დაღუპვის დროს გადარჩენილ მგზავრებად გავასაღეთ თავი. ვერაფერი გმირობა იყო, მაგრამ ხიფათს გვაშორებდა.

გზადაგზა ბიძაჩემის ბურდღუნი მესმოდა:

- კი მაგრამ, კომპასი! კომპასი ხომ ჩრდილოეთს უჩვენებდა! ეს ფაქტი რითი აიხსნება?

აგდებულად ვუთხარი:

- ამის ახნისათვის თავის შეწუხებაც არა ღირს.

- მომიტევე, მაგრამ სირცხვილია, რომ იოჰანეუმის პროფესორმა კოსმოსური მოვლენის მიზეზი ვერ ახსნას.

ეს თქვა და ნახევრად შიშველმა, მაგრამ ტყავის ქამარ-კისიანმა ბიძაჩემმა ცხვირზე სათვალე გაისწორა და ისევ მრისხანე პროფესორ-მინერალოგად იქცა.

ზეთისხილის კორომი გავირეთ და ერთი საათის შემდეგ უკვე სან-ვიჩენცოს პორტში მივედით. შაბათი დღე იყო, ჰანსმა მეცამეტე კვირის გასამრჯელო მოითხოვა. ბიძაჩემმა ფული უმალვე მისცა და, ნიშნად მადლობისა, ორივემ ხელი ჩამოვართვით.

ჰანსს თუმცა ჩვენი მაშინდელი მღელვარება არ გაუზიარებია, თითები ოდნავ ჩამოგვართვა და გაიღიმა.

ორმოცდამეხუთე თავი

აი, დასასრული ამბისა. მონათხრობს ურწმუნო ადამიანები არ დაუჯერებენ, მაგრამ მათი უნდობლობისაგან თავის დასაცავად მე წინასწარვე ჯავშანი ჩავიცვი.

სტრომბოლელი მეთევზეები გემის დაღუპვისაგან დაზარალებულთა მიმართ მიღებული თავაზიანობით შემოგვეგებნენ. მოგვცეს ტანსაცმელი და საჭმელი. ორმოცდარვა საათის მოლოდინის შემდეგ, 31 აგვისტოს, პატარა ნავმა მესინაში მიგვიყვანა. იქ რამდენიმე დღე დავისვენეთ და მთელი ჩვენი დაღლილობა დაგვავიწყდა.

პარასკევს, 4 სექტემბერს, ჩვენ საფრანგეთის საიმპერიო კავშირგაბმულობის ერთ-ერთ საფოსტო პაკეტბოტზე "ვოლტურნაზე" ავედით და სამი დღის შემდეგ მარსელს მივადექით. ის ჩვენი წყეული კომპასი ისევ გვადარდებდა. ვერ აგვეხსნა, რატომ გვიჩვენებდა ჩრდილოეთს. 9 სექტემბერს საღამოს ჰამბურგში ჩავედით.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაოცდა მართა და როგორ გაიხარა გრაუბენმა.

- ახლა შენ გმირი რომ გახდი, - მითხრა ჩემმა საცოლემ, - ხომ აღარ დამოტვებ აქსელ!

მე შევხედე. იგი სიხარულის ცრემლებს ღვრიდა.

ადვილი წარმოსადგენია; თუ როგორი სენსაცია გამოიწვია ჰამბურგში პროფესორ ლიდენბროკის დაბრუნებამ. მართას დედამიწის ცენტრისაკენ პროფესორის გამგზავრების ამბავი ქვეყნისათვის მოუდვია, მაგრამ არავის დაუჯერებია და, როდესაც დაბრუნდა პროფესორი, არც მაშინ დაიჯერეს.

მაგრამ ჰანსის მონაწილეობამ და ისლანდიიდან მიღებულმა სხვადასხვა ინფორმაციამ ნელ-ნელა შეცვალა საზოგადო აზრი.

ბიძაჩემი დიდი ადამიანი გახდა, მე კი დიდი ადამიანის ძმისწული. ესეც ხომ რაღაცას ნიშნავდა. ჩვენს პატივსაცემად ჰამბურგმა ზეიმი გამართა; იოჰანეუმში საჯარო სხდომა შედგა. პროფესორმა ექსპედიციის მიმდინარეობა დაწვრილებით უამბო მსმენელებს კომპასის ამბავი გამოტოვა. იმავე დღეს მან ქალაქის არქივს გადასცა საკნუსემის დოკუმენტი და დიდი სინანული გამოთქვა, მისდა უნებურად დედამიწის ცენტრამდე რომ ვერ გაჰყვა ისლანდიელი მოგზაურის ნაკვალევს.

ბიძაჩემს დამსახურებული დიდება ხვდა წილად, მაგრამ მეტად თავმდაბლად ეჭირა თავი. ამით კიდევ უფრო გაიზარდა მისი რეპუტაცია.

ამდენი პატივის გამო, რა თქმა უნდა, ბიძაჩემს მოშურნეებიც გამოუჩნდა. რადგან უდავო ფაქტებზე დაყრდნობილი მისი თეორიები უარყოფდნენ მეცნიერებაში დამკვიდრებულ თვალსაზრისს ცენტრალური სითბოს საკითხში. პროფესორმა ლიდენბროკმა კალამი და სიტყვა მოიმარჯვა და მრავალი დისკუსია ჩაატარა ყველა ქვეყნის მეცნიერებთან.

მე კი არ შემიძლია ვიწამო მისი თეორია დედამიწის გაცივების თაობაზედ. მიუხედავად იმის, რაც საკუთარი თვალით ვნახე, მაინც მჯერა და ყოველთვის ვიწამებ ცენტრალური სითბოს თეორიას. თუმცა იმასაც ვაღიარებ, რომ ზოგიერთი ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილ ბუნებრივ მოვლენებს ამ კანონის შეცვლა შეუძლია.

იმ მომენტში, როდესაც ამ საკითხების ირგვლივ ცხარე კამათი მიდიოდა, ბიძაჩემს დიდი მწუხარება დაატყდა. ჰანსმა ჰამბრგი დასტოვა. როგორ არ ეხვეწა პროფესორი, მაგრამ არაფერი გაუვიდა. ადამიანმა, რომელსაც ჩვენს წარმატებს ვუმადლოდით, იმის საშუალებაც არ მოგვეცა, სათანადო მადლობა გადაგვეხადა. ისლანდიელს სამშობლოს დარდი აწუხებდა.

- Farval, - თქვა მან ერთ მშვენიერ დღეს, ასე უბრალოდ გამოგვემშვიდობა და რეიკიავიკს გაემგზავრა. შემდეგ გავიგეთ, რომ მშვიდობით ჩასულა.

ძალიან შევეჩვიეთ ჩვენს მამაც მონადირეს. ისინი, ვინც მან სიკვდილს გადაარჩინა, არასოდეს დაივიწყებენ მას. მე კი ისე არ მოვკვდები, კიდევ ერთხელ არ მოვინახულო.

დასასრულ, უნდა დავძინო, რომ ჩვენმა მოგზურობამ დედამიწის ცენტრისაკენ უდიდესი სენსაცია გამოიწვია მსოფლიოში. ამბავი ჩვენი მოგზაურობისა დაიბეჭდა და ითარგმნა ყველა ენაზე: მსოფლიო ავტორიტეტული გაზეთები ერთმანეთს სტაცებდნენ საინტერესო ეპიზოდებს. ზოგი კომენტარს ურთავდა, ზოგი გვეკამათებოდა, ზოგი მხარს გვიჭერდა. ასე რომ მომხრეებიც გვავდდა და მოწინააღმდეგენიც. იყო მორწმუნეთა და ურწმუნოთა ბანაკი. საკვირველება მოხდა: ბიძაჩემმა სიცოცხლეშივე მოიხვეჭა დიდბა. თვით ბ-ნმა ბრაუნმმა დიდი თანხა შეაძლია, შეერთებულ შტატებში ჩამობრძანდი და ხალხს ეჩვენეო.

დიდება დიდებად რჩებოდა და პროფესორი წუხდა, დარდობდა, კომპასის ამბავი ჯერაც ვერ აეხსნა. მალე სატანჯველად გადაექცეოდა, მაგრამ ბიძაჩემს ხომ ბედი სწყალობდა. ერთ დღეს კაბინეტში მინერალების კოლექციას ვალაგებდი. იქვე თვალი მოვკარი ავადსახსენებელ კომპასს, ხელში ავიღე. ექვსი თვე იყო გასული, რაც დავბრუნდით. დავხედე და გაოცებისაგან ხმამაღლა წამოვიყვირე! პროფესორი მომვარდა.

- რა მოხდა? - მკითხა მან.

- კომპასი!

- რა დაემართა?

- ისარი სამხრეთს უჩვენებს და არა ჩრდილოეთს!

- რას ამბობ?

- დახედეთ! მისი პოლუსები შეცვლილია.

- შეცვლილიაო?!

ბიძაჩემმა დახედა. შეადარა, და ისე შეხტა, რომ მთელი სახლი შეაზანზარა, ხმა კი ვერ ამოიღო.

უცებ, თითქოს შუქი მოეფინა ჩვენს გონებას!

- მაშ, - წამოიძახა მან, როგორც კი მეტყველების უნარი დაუბრუნდა, - საკნუსემის კონცხზე მისვლის შემდეგ ამ წყეული კომპასის ისარი სამხრეთს უჩვენებდა და არა ჩრდილოეთს?

- ცხადია.

- მაშინ ჩვენი შეცდომის განმარტება ადვილი ხდება, მაგრამ, რა მიზეზმა გამოიწვია პოლუსების შეცვლა?

- ესეც ადვილად ასახსნელია.

- მაშ ამიხსენი, ჩემო ბიჭუნა.

- ქარიშხალი რომ დაგვატყდა ლიდენბროკის ზღვაზე, ცეცხლის ბურთმა ტივზე რკინეულობა დაამაგინტა და ორიენტაცია აურია ჩვენს ბუსოლს!...

- აა! - წამოიძახა პროფესორმა და გადაიხარხარა, - ხედავ, ელექტრონს აუბნევია ჩვენთვის გზა-კვალი!

ამ დღიდან ბიძაჩემმა იწამა უბედნიერესი მეცნიერი ვარო. მეც მალე უბედნიერესი ადამიანი გავხდი. ჩემი ლამაზი ფირლანდიელი ქალიშვილი კონიგშტრასზე დაბინავდა როგორც ბიძაჩემის ძმისწული და ჩემი მეუღლე. ჩვენი ბიძა სახელოვანი პროფესრო ოტო ლიდენბროკი მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის ყველა სამეცნიერო, გეოგრაფიულ და მინერალოგიურ საზოგადოებათა წევრ-კორესპოდენტად აირჩიეს.

1864 წ.

ბ ო ლ ო ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ადამიანის ცნობისმოყვარეობა უსაზღვროა. ცნობისწადილი, ყველაფრის გაგების, ახსნის, საგანთა არსის სიღრმეში ჩაწვდომის სურვილი განუზომელია.

ადამიანი მოგზაურობს სივრცის სამ განზომილებაში, მაგრამ ჟიულ ვერნის მოგზაურთათვის ეს სამი სივრცით განზომილება საკმარისი არ აღმოჩნდა. იმისათვის, რომ სამყრო დაევლოთ და აეწერათ, საჭირო გახდა მოგზაურობა მეოთხე განზომილებაში - დროში. საჭირო გახდა წარსულში ჩაეხედათ და მომავალი განეჭვრიტათ. ამიტომ ჟიულ ვერნის გმირები - მკვლევარები, მეცნიერები, ჭეშმარიტების მაძიებელნი სამ განზომილებაში მოგზაურობენ: ეცნობიან დედამიწას, ვარსკვლავთშორის სივრცეს და მთელი სამყაროს შესწავლას ცდილობენ, მაგრამ ესეც არ აკმაყოფილებთ და ცდილობენ ჩასწვდნენ წარსულს დღიდან მისი წარმოშობისა და ცოცხალი ბუნების - მცენარეთა და ცხოველთა ევოლუციას გაადევნონ თვალი.

დიდი ფრანგი მწერლის ბიოგრაფები ხშირად წერენ, რომ ალექსანდრე დიუმას მრვალრიცხოვანი ისტორიული რომანების გაცნობის შემდეგ, რომლებშიაც საფრანგეთის მთელი ისტორიაა ასახული, ჟიულ ვერნს თითქოს ეთქვას, "რაც მან გააკეთა ისტორიისათვის, მე გავაკეთებ გეოგრაფიისათვის" და მართლაც, სამეცნიერო-ფანტასტიკური რომანების სერიაში, რომელსაც ავტორმა "არაჩვეულებრივი მოგზაურობანი. ცნობილი და წარმოსახვითი სამყაროები" უწოდა, დავიხატა სურათი მისი დროისათვის ცნობილი დედამიწისა. რახან დედამიწის ზედაპირს არა მარტო გეოგრაფია შეისწავლის, არამედ გეოლოგიაც, ხოლო დედამიწის წიაღის შესწავლა გეოლოგიისა და გეოფიზიკის საგანია, დიდმა ფრანგმა მწერალმა ასევე ბევრი გააკეთა გეოლოგიური იდეების პოპულარიზაციისათვის. დედამიწის გეოლოგიური წარსულის მხატვრულად ჩვენების მიზნით მან შექმნა სრულიად ახალი სამყარო.

როდესაც ჟიულ ვერნმა ჩაიფიქრა "მოგზაურობა დედამიწის ცენტრისაკენ" და შემდეგ შეუდგა ჩანაფიქრის განხორციელებას, ჯერ კიდევ მიწყნარებული არ იყო ცხარე კამათი ჯეიმს ჰეტონის (1726-1768) და "გეოგნოზის შემქმნელის" აბრამ გოტლიბ ვერნერის (1750-

1817) იდეების მიმდევართა შორის. ერთნი თვლიდნენ, რომ ბუნების პირველი არსი და მინერალური სამყაროს წყაროა ოკეანე - წყალია და წყლითაა ამოვსებული ჩვენი პლანეტის ბირთვი (ნეპტუნისტები), მეორენი - ჯეიმს ჰეტონის მიმდევრები (პლუტონისტები) ძირითადად ყოვლადშემქმნელ სტიქიად ცეცხლს მიიჩნევდნენ. გეოლოგიის სახელმძღვანელოები ამ ორი მიმართულების დასკვნებს აშუქებდნენ. ჟიულ ვერნის მხრივ დიდი გამბედაობა იყო, რომ იგი არც ერთ ამ მიმართულებას არ მიემხრო და გაიზიარა თავისი მეგობრის გეოლოგ შარლ სენ-კლერ დევილის იდეები. სენ-კლერი სწვლობდა ვულკანებსა და მიწისძვრებს. ამ კვლევის დროს ვულკან სტრომბოლშიც კი ჩაეშვა. შარლ სენ-კლერის იდეით დედამიწის ბირთვი ცივი და მკვრივია.

ჟიულ ვერნმა ამ ახალი და გაბედული იდეის ჰიპოთეზის საფუძველზე შექმნა თავისი ცივი მიწისქვეშა სამყარო, რომელიც ამ რომანშია აღწერილი. მაგრამ, სჯეროდა კი თვით ჟიულ ვერნს, რომელიც ყოველთვის თავისი დროის ყველა მოწინავე იდეების კურსში იყო, რომ დედამიწის გულში არსებობს ბუმბერაზული ღრმულები?

შეიძლება არც სჯეროდა, მაგრამ ასეთი დაშვება შესაძლებლობას აძლევდა "დედამიწის ცენტრისკენ მოგზაურობის" გმირებს პროფესორ ლიდენბროკის და მისი ასისტენტის აქსელის თვალით დაენახვებინა ჩვენთვის დედამიწის ისტორიის ფურცლები, მათ დიალოგებში გაეხსნა ჩვენთვის დედამიწაზე სიცოცხლის განვითარების ეტაპები - ცოცხალ არსებათა - მცენარეთა და ცხოველთა განვითარება.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქანები სულ სხვაგვარადაა დაჯგუფებული, მათში ჩამარხული და ნამარხებად ქცეული ცოცხალი სამყაროს ევოლუციის სურათი ჟიულ ვერნს სავსებით სწორად აქვს დახატული: ოკეანის თბილ წყლებში ჩაისახა ცოცხალი მატერიის ნაწილაკები, რომელსაც ნივთიერებათა ცვლა ახასიათებდა, შემდეგ განვითარდა და ერთუჯრედიან არსებად იქცა, განვითარების შემდეგი საფეხური მრავალუჯრედიანი წყალმცენარეებია. შემდეგ გაჩნდა ასოსახსრიანი ცხოველთა ჯგუფი, რადიოლარიები, ღრუბლები. შემდეგ თავის დედა-ოკეანიდან სიცოცხლე ხმელეთზე ავიდა, დაიპყრო ხმელეთი და ჰეში აიჭრა. ცხოველების სხეული იზრდებოდა, გაჩნდნენ დიდი, შემდეგ ბუმბერაზული ცხოველები. ერთხანს ქვეწარმავლები დაეპატრონენ დედამიწას, შემდეგ კი დედამიწის ბატონ-პატრონები ძუძუმწოვრები გახდნენ, ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად ჩამოყალიბდა პირველიყოფილი ადამიანი - რომელიც ათასწლეულის განმავლობაში თანამედროვე გონიერად, ადამიანად - Homo sapiens-ად იქცა.

ჟიულ ვერნის რომანის მიწისქვეშა მღვიმურ უმზეო სამყაროს ადამიანმა უკვე ფეხი დაადგა. ცხადია, მთელი ეს უჩვეულო მოგზაურობა, რომლის დროსაც მკვლევარებმა დედამიწის ფენების ჭრილი და მიწისქვეშა სამყარო გაიცნეს, და უკან ვულკანის ყელში ამომავალი მაგმის მეშვეობით დაბრუნდნენ მხოლოდ მხატვრული ხერხია დედამიწის გეოლოგიური ისტორიის საჩვენებლად.

თუმცა თანამედროვე მეცნიერებას, შეიძლება, სხვა წარმოდგენა ჰქონდეს დედამიწის გეოლოგიურ განვითარებაზე, მაგრამ ჟიულ ვერნის მიერ დახატული სურათი შთამბეჭდავია, და, რაც მთავარია, მასში ნაჩვენებია მეცნიერების უანგარო სიყვარული, მეცნიერებისათვის თავგანწირვა და თუნდაც თავისი სიცოცხლის ფასად ბრძოლა დასახული მიზნის მისაღწევად.

ჟიულ ვერნის რომანს "მოგზაურობა დედამიწის ცენტრისაკენ" ქართველი მკითხველი პირველად ეცნობა ამ თარგმანით.

კოტე ჯავრიშვილი